

მწიკს ავი სწავით თვსეუ თქმულად სარ ვნებნ: მუხ ღ  
აწვიტ ღ ავიც: უტ: სწო სწავლამან ან: მძინ: ვლადიქ

ა. ესე: ღ. მშაღონ. სმარაულ

ქდი. სწო სწავლამან. მუც

ვლადიქ. ვლადიქ

ვლადიქ. მუც

ამცა: ღმს

აქ

მს:

აქ ვით იმ დროს გინჯის

მ: შევნიშნულს: სსმარაულს: წიგნს: მთე. იქნებღებ ღ: ამ წიგნით: იქმარღებ: ე  
'ის სწავით: მრადებდეს: ღმარაული: სწავლი: იქმარაულს: წიგნს: სსმა  
თარ: წიგნებღებ ღ: მარაულს: არაღებღებ: მ წიგნს: ვმარაულს: ღ: მარაულს  
ვ: ვმარაულს: მრადეს წიგ: ვლადს: ვმარაულს: მარაულს: მ: მარაულს: მთ  
სარაული: მ: ვლადს: ღ: სწავლი: მთაულს: ღ: ვმარაულს: წიგნს: ღმარაულს: მ  
'ე: მარაულს: სწავლი: არღ: წიგნს: თეცა: მარაულს: თე: თეცა: მარაულს: მთ: ს  
ვმარაულს: ვმარაულს: ვმარაულს: ღ: მარაულს: სწავლი: სწავლი: ღმარაულს  
'მარაულს: მ: წიგნს: მარაულს: სწავლი: ღმარაულს: ვმარაულს: მთ: მარაულს  
ღ: მ: მარაულს: ვმარაულს: ღ: სწავლი: მარაულს: მარაულს: თეცა: მს:

ივ. სურგულაძე

ქართული  
სამართლის  
ისტორიის  
წყაროები



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი — 1984

14 (c41) (09)  
Հ67.3(2Դ)  
34 (47.922) (09)  
ს 961

ნაშრომში განხილულია საქართველოს სახელმწიფოსა და საქართლის ისტორიის მნიშვნელოვანი — საერო და საეკლესიო ძეგლები; გაანალიზებულია წყაროების ცნებასა და კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

რეცენზენტები: პროფ. ვ. აბაშმაძე და  
პროფ. ვ. მებრეველი

10601—098  
S————— გამსახკომის 1984 წლის № 456 ბრძ. 78—84  
M601 (08)—84

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1984

როდესაც საუბარი გვაქვს სამართლის წყაროს შესახებ, მხედველობაში გვაქვს: 1) სამართლის წყარო მატერიალური გაგებით; 2) სამართლის წყარო ფორმალური, ანუ იურიდიული გაგებით.

(სამართალს საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური პირობები განსაზღვრავს; ეს არის სამართლის წყარო მატერიალური გაგებით. სამართლის წყარო ფორმალური, ანუ იურიდიული გაგებით ეწოდება კანონს, ადათობრივ სამართალს, სასამართლო პრეცედენტს, სასამართლო პრაქტიკას და ხელშეკრულებას, ე. ი. სპეციფიკურ ფორმებს, რომლებშიც გამოხატულია სამართალი, როგორც გაბატონებული კლასის ნება, რომელთა საშუალებითაც ნორმები საკლდებულო ხასიათს ღებულობენ და რომელთა უკან სახელმწიფო იძულება დგას. გარდა ამისა, სამართლის წყაროს ცნება შეიძლება გავიგოთ სხვაგვარი მნიშვნელობითაც: მაგალითად, როგორც სამართლის ისტორიის შესწავლის საშუალება. ამ შემთხვევაში სამართლის წყარო გაგებულია ფართოდ — სამართლის ისტორიის შესწავლის, სამართლის ინსტიტუტების შინაარსის შემეცნების მნიშვნელობით.

სამართლის წყარო იურიდიული გაგებით არის პირველადი, სამართლის ისტორიის შესწავლის პირდაპირი საშუალება. ბეჭაღბულას სამართლისა და ვანტანგის სამართლის წიგნები ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის პირდაპირი წყაროა; მათი საშუალებით შეისწავლება დანაშაულის, სასჯელის, სანიეთო სამართლის, სასამართლო პროცესის, სასამართლო ორგანიზაციისა და სხვა საკითხები. საკანონმდებლო ძეგლები გვიჩვენებენ სამართლის ინსტიტუტების განვითარებას სხვადასხვა ეპოქაში/ ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს ადათობრივ სამართალს. ადათები იქმნება როგორც უკლასო საზოგადოებაში, ისე კლასობრივში. სახელმწიფოს წარმოშობამდე ჩვევებს, ნორმებსა და წესებს ხალხი ქმნის ყოველდღიურ ცხოვრებაში ურთიერთშორის დამოკიდებულებათა მოწესრიგების მოთხოვნილების საფუძველზე.

ადათი არის საზოგადოებაში მტკიცედ დამყარებული წესი,



რომელიც არეგულირებს ადამიანთა ყოფაქცევას საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ დარგში; ადათის უკან სახელმწიფოს იძულება არ დგას, მაგრამ მისი შესრულება უზრუნველყოფილია მრავალი ხნის განმავლობაში ამ ადათის განუხრელად და მუდმივად გატარებით.

უძველეს პერიოდში სამართლის მნიშვნელოვან წყაროდ უნდა ჩაითვალოს ადათობრივი სამართალი. ადათობრივი სამართალი ნორმათა ის კრებულია, რომელიც სახელმწიფო ორგანოების მიერ დაწესებული არ არის, მაგრამ გამომუშავებულია ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადათების საფუძველზე და სამართლებრივია იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო მათ სავალდებულო ძალას აძლევს. ადათები, რომლებიც უკლასო საზოგადოებაში წარმოიშენენ, კლასობრივ საზოგადოებაში გადამუშავდებიან, რის შედეგადაც გაბატონებული კლასის ინტერესებისათვის მისაღებ შინაარსს იძენენ; მაგალითად, უკლასო საზოგადოებაში იყო სისხლის საზღაურის სისტემა, ხოლო კლასობრივ საზოგადოებაში სისხლი სოციალური მდგომარეობის მიხედვით შეფასდა. ვახტანგის სამართლის წიგნით, პირველი ხარისხის თავადის სისხლი 15 360 მანეთი ღირს (მუხ. 26), ხოლო გლეხისა — 120 (მუხ. 33).

ფ. ენგელსი წერს: „საზოგადოების განვითარების გარკვეულ, მეტად დაბალ საფეხურზე ჩნდება იმის მოთხოვნილება, რომ პროდუქტების წარმოების, განაწილებისა და გაცვლის აქტები, რომლებიც დღითი დღე მეორდებიან, საერთო წესით შემოფარგლო, იზრუნონ იმაზე, რომ ინდივიდი წარმოებისა და გაცვლის საერთო პირობებს დაემორჩილოს. ეს წესი, რომელიც დასაწყისში ზნე-ჩვეულებით გამოიხატება, მალე კანონად იქცევა“<sup>1</sup>.

შუა საუკუნეებში პირველი ღამის უფლება (*ius primae noctis*) წინაკლასობრივი საზოგადოებიდან მომდინარეობს: ქორწინებაში შესვლის წინ სასძლოს განქალწულებას ახდენდა თემის წარმომადგენელი ან საქმროს ახლობელი, ან ქურუმი; ზოგიერთ ხალხში განქალწულება საკულტო რიტუალებით ხდებოდა; ამისათვის საქმრო საჩუქრებითაც კი უმასპინძლებოდა იმ პირს, ვინც განქალწულებას ახდენდა. ფ. ენგელსის აზრით, ჯგუფობრივი ქორწინებიდან გამომდინარე განქალწულების ეს ჩვეულება საფუძვლად დაედო ფეოდალების უფლებას პირველი ღამის შესახებ<sup>2</sup>.

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. I, 1953, გვ. 726.

2 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1964, გვ. 253.

უკლასო საზოგადოების ჩვეულება მთელი საზოგადოების ინტერესებს ასახავს, ყველას ეხება და მის უკან სახელმწიფოს იძულებითი აპარატი არ დგას. ჩვეულებითი სამართლის ნორმა მხოლოდ გაბატონებული კლასის ინტერესებს შეესაბამება და სახელმწიფო ორგანიზაციის იძულებითი აპარატით არის გამაგრებული. მიუხედავად ამ ძირითადი განსხვავებისა, მათ შორის კავშირია მონაცვლეობის თვალსაზრისით. ჩვეულებითი სამართლის ზოგიერთ ნორმას ემჩნევა მისი წარმოშობის ნიშნები. მაშასადამე, თუ ჩვეულება სანქციონირებულია სახელმწიფოს მიერ, ის ჩვეულებითი სამართალია.

პირველყოფილი-თემური წყობილების დროს საზოგადოებრივი ყოფაქცევის ერთადერთი წესი ჩვეულება იყო. ჩვეულებითი სამართალი კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნასთან ერთად წარმოიშობა. მონათმფლობელური სამართლის სისტემებში საზოგადოებრივი ცხოვრება ძირითადად ჩვეულებითი სამართლის ნორმებით წესრიგდება. ფეოდალიზმის რღვევის დაწყებასა და აბსოლუტიზმის წარმოშობამდე, ადრეფეოდალიზმისა და ფეოდალიზმის დაქსაქსულობის ხანაში ფეოდალური სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას არ გააჩნდა ძალა იმისა, რომ მთელი სახელმწიფოს ფარგლებში მტკიცედ სავალდებულო, დაწერილი კანონები შეექმნა. ამას ხელს უშლიდა ფეოდალური დაქსაქსულობის დროის თვითნებობა, რომელმაც განაპირობა „მუშტის სამართალი“. ამას გარდა, გაბატონებულ კლასს ყოველთვის აქვს შიში მწარმოებელი და ექსპლუატირებული მასების; ამიტომ იგი ცდილობს თავის უფლებას მოუნახოს რაიმე დასაბუთება წარსულში; გაბატონებული კლასი, იმავე მიზეზით, ე. ი. შიშის გამო, ხშირად ჩვეულებითი სამართლის ნორმას ვერ აძლევს წერილობითის ფორმას; მაგალითად, გაბატონებულ კლასს მიზანშეწონილად მიაჩნია პირველი დამის უფლებით სარგებლობა ჩვეულებითი სამართლის ნორმის სახით<sup>1</sup>.

ჩვეულებითი სამართლის ნორმების გავრცელება და მოქმედება ადრეფეოდალურ პერიოდშია სავარაუდო. ძნელია ყველა იმ დარგის ჩამოთვლა, რომლებიც ჩვეულებითი სამართლის ნორმებით წესრიგდებოდნენ. შესაძლებელია, ჩვეულებითი სამართლის ნორმებით საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების არე ძლიერ

<sup>1</sup> ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952, გვ. 82—85; მისივე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 213—219.

ფართო იყო სწორედ ფეოდალიზმის ადრეულ პერიოდში; ალბათ მაშინ, გადასახადები, სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტები, კომპოზიციის, საქორწინო სამართლისა და სამართლის სხვა მრავალი დარგის ინსტიტუტი ჩვეულებითი სამართლის ნორმებით წესრიგდებოდა. სამწუხაროდ, ამის შესახებ ჩვენ სათანადო მასალა არ მოგვეპოვება.

წყაროებში, თუმცა იშვიათად, მაგრამ გვხვდება მითითება, რომ ესა თუ ის საკითხი ჩვეულებითი სამართლის ნორმით წესრიგდება. ვახტანგ გორგასალი, გადმოგვცემს ჯუანშერი, გასაზრდელად მისცეს სპასპეტს, „რამეთუ წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა შინა აღიზარდიან“. ამ წესის საფუძველზე ვახტანგის და გასაზრდელად „მოითხოვა“ კასპის სპასალარმა<sup>1</sup>. ფრიად დამახასიათებელია სიტყვა „მოითხოვა“; ეს ნიშნავს, რომ კასპის სპასალარს ჰქონდა ასეთი უფლება და იგი ამ უფლების განაღდებას „მოითხოვს“<sup>2</sup>.

ადათობრივი სამართლის ნორმები ძველია, რამდენადაც იგი სათავეს წარსულში იღებს.

ფეოდალური სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლისათვის ჩვეულებით სამართალს, როგორც წყაროს, დიდი მნიშვნელობა აქვს; მაგალითად, ვახტანგის სამართლის წიგნისათვის ჩვეულებითი სამართალი ერთ-ერთი წყაროა.

ვახტანგის სამართლის წიგნში კანონმდებელი დაურეგების შესახებ წერს: „ეს სისხლის განაჩენები, რაც დაგვიწერია, ძველად დიდებული დაგვიწერია, თვარა სხვისა არა დაგვირთავს რა“ (მუხ. 34); მაშასადამე, კომპოზიციის სისტემა ვახტანგს ადათობრივი სამართლიდან აუღია. სხვაგვარად მოყვანილი ციტატის გაგება შეუძლებელია. ვახტანგს რომელიმე დაწერილი კანონი რომ ჰქონოდა მხედველობაში, მაშინ მას თავის სამართლის წიგნთა კრებულში შეიტანდა.

პირველყოფილი-თემური წყობილების დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვევას, ტრადიციას; გვარის უხუცესთა ავტორიტეტი წინაპართა მიერ გამოძეულებულ ადათ-წესებს ემყარებოდა. პირველყოფილ საზოგადოებაში „სახელმწიფოს არსებობის ნიშნები ჯერ კიდევ არა ჩანს. ჩვენ ვხედავთ ზნე-ჩვეულებათა ბატონობას,

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 142.

<sup>2</sup> ივ. სურგულაძე. ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1965, გვ. 9—28.

ავტორიტეტს, პატივისცემას, ძალაუფლებას, რომლითაც სარგებლობდნენ გვარის უხუცესნი<sup>1</sup>.

ჩვეულებითი სამართალი წარსულის დანაშრევებთან არის დაკავშირებული, ამდენად ის კონსერვატიული ხასიათისაა და წინ ეღობება სიახლეს.

სახელმწიფოს შექმნის დასაწყისსა და მომდევნო ხანებში ძლიერია ადათობრივი სამართალი როგორც სამართლის წყარო. სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების ხანაში ადათობრივი სამართალი ადგილს უთმობს სახელმწიფოს მიერ თავისი ინიციატივითა და გეგმით შექმნილ დაწერილ კანონს.

ვახტანგის სამართლის წიგნის სახით კანონი სჭარბობს ჩვეულებით სამართალს, თუმცა უკანასკნელის გავლენაც დიდია.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ კანონი ადათობრივ სამართალში გადადის.

ქართული საკანონმდებლო ძეგლები, გიორგი V-ის სამართლის წიგნი, ბექა-აღბუღას კანონები და ვახტანგის სამართლის წიგნი უხვად სარგებლობდნენ ჩვეულებითი სამართლით. მაგრამ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ჩვეულებით სამართალს ამით შეეწყვიტოს არსებობა: ამ კოდექსების შედგენის შემდეგაც ადათობრივი სამართლის მრავალი ნორმა დაწერილი კანონების გარეშე დარჩა და ეს ნორმები ჩვეულებითი სამართლის სახით მოქმედებდნენ.

ჩვეულება იქმნება არა ცალკეულ კაზუსებზე წინასწარმოფიქრებული პასუხებით, არა შეგნებული შემოქმედების შედეგად, არამედ თავისთავად, სტიქიურად.

ყველა ჩვევა არ გადაიქცევა ჩვეულებითი სამართლის ნორმად, ამისათვის საჭიროა: 1) ასე თუ ისე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფაქტიურად ხორციელდებოდეს საზოგადოებაში გარკვეული ქცევა; განუწყვეტლად მოქმედებდეს ცოტა თუ ბევრი დროის განმავლობაში გარკვეული წესი; 2) ამ ჩვევის შინაარსი სავსებით გარკვეული უნდა იყოს; 3) მიჩნეული უნდა იყოს ამ ჩვევის იურიდიული მნიშვნელობა სახელმწიფოს მიერ, რომ ჩვეულება გადაიქცეს ჩვეულებით სამართლად. სასამართლო, ანუ სახელმწიფოს სხვა ორგანო აძლევს სანქციას ჩვეულებით სამართალს, განსაზღვრავს მის გარკვეულ შინაარსს და იწონებს მას, ე. ი. აძლევს სანქციას<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. სახელმწიფოს შესახებ, ტ. 29, გვ. 557—558.

<sup>2</sup> Теория государства и права, учебник для юридических вузов, макет, стр. 401—402.

ხევსურეთში „რჯულის კაცი“, ანუ „ბჭე“ მუდმივად ჰყავთ და მას მიმართავენ ამა თუ იმ კაზუსის გადასაწყვეტად. ასეთი „რჯულის კაცები“ მრავალია ხევსურეთის სხვადასხვა სოფელში. ძნელია იმის თქმა, თუ როგორ წარმოიშვა „რჯულის კაცი“; „რჯულის კაცი“ ხევსურეთში ჭკუა-გონებით სახელგანთქმული, ხანში შესული ადამიანია. იმავე დროს „რჯულის კაცი“ ცნობილია როგორც ხევსურეთის ჩვევების დიდი მცოდნე. ყველამ იცის ვინ არის „რჯულის კაცი“ და მას მიმართავს საქმეების გასარჩევად. თუ სოფელში ასეთი „რჯულის კაცი“ არ არის, მაშინ მიმართავენ მეზობელი სოფლის „რჯულის კაცს“. თუ ძნელი კაზუსია, ე. ი. საქმე მნიშვნელოვანია, და იმავე დროს ასეთი საქმის შესახებ გარკვეული წესი არ ახსოვთ ან საკითხი სადავოა, მაშინ ხევსურები იწვევენ ხევსურეთის „რჯულის კაცებს“ ყველა სოფლიდან და ისინი ერთად შეკრებილნი არჩევენ საქმეს და გამოაქვთ განაჩენი ან გადაწყვეტილება.

სამართლის ერთ-ერთი წყარო სასამართლო პრაქტიკაა; ვახტანგ VI თავის სამართლის წიგნში მოსამართლეს ძლიერ ფართო მოქმედების საშუალებას აძლევს სამართლის დარგში. კანონმდებელი წერს, რომ მის მიერ შედგენილ სამართლის წიგნს არ შეიძლება ყველა კონკრეტული შემთხვევა გაეთვალისწინებია:

„მე ეს წიგნი ასრე არ დამიწერია, არცა ვიჩემებ, რომე არა აკლდესრა: ბევრი ასეთი საჩივრები არის და მოვა, რომე ზოგი ვერ მოვიგონეთ და არც მისწულები კაცის გონება, ვინც მიხუდეს რასმე და მოიგონოს ჩაურთოს, და ჩასწეროს კარგსა და მართებულსა იქს“ (შესავალი). კანონმდებელი წერს, რომ სამართლის წიგნთა კრებულში წარმოდგენილია ებრაული, ბერძნული და სომხური სამართლის წიგნები, ამას გარდა, გიორგი V-ის, ბექა-ალბუღას სამართლის წიგნები და კათალიკოსის სამართალი. ამ სამართლის წიგნებიდან კანონმდებელი მოსამართლეს უფლებას აძლევს გამოიყენოს ის კანონი, რომელიც მოსამართლის შესედულებით უფრო მიუდგება კონკრეტულ შემთხვევას. კანონმდებელი აღნიშნავს აგრეთვე, რომ შეკრიბა სხვადასხვა სამართლის წიგნები და ამასთანავე, საკუთარი სამართლის წიგნიც შეადგინა. მას მიაჩნია, რომ მის მიერ შედგენილი სამართლის წიგნი უფრო შესაბამისია ჩვენი ქვეყნისათვის, რადგანაც უცხო ქვეყნების სამართლის წიგნები არ ასახავენ საქართველოს ვითარებას და ამდენად „ჩვენდა უკმარ არს“. მოსამართლეს შეუძლია თავისი შესედულებით გამოიყენოს სხვა სამართლის წიგნებიც, მაგრამ ისიც უნდა ახსოვდეს, თუკი საკუთრივ

ვანტანგის სამართლის წიგნში ნახავს პასუხს კაზუსის გადასაწყვეტად, ეს უმჯობესი იქნება. ამასთანავე, კანონმდებელი თხოვს მოსამართლეს, თუ ის ახალ ნორმას ჩაწერს, კანონმდებლის მიერ შედგენილი სამართლის წიგნი არ შეერყვნას, არ ამოშალოს რაიმე (მუხ. 404). როგორც ვხედავთ, ვანტანგის სამართლის წიგნით, მოსამართლეს კანონმდებლის უფლება აქვს. ფეოდალურ სახელმწიფოებში სასამართლოს სისტემატური პრაქტიკის შედეგად მუშავებოდა პრაქტიკის გამოყენების შესაძლებლობა, დგებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებულები; მოსამართლის გადაწყვეტილება-განაჩენით ხელმძღვანელობდნენ მსგავსი კაზუსების გარჩევისას სხვა, შემდგომი პერიოდის მოსამართლეები. სასამართლოს პრაქტიკა ფართოდ არის გავრცელებული კაპიტალისტურ ინგლისსა და ამერიკაში პრეცედენტის სახით. ვანტანგის სამართლის წიგნით საჭირო არ არის ხანგრძლივი პრაქტიკა, საკმარისია ერთი შემთხვევაც კი შემდგომ გამოსაყენებლად.

სამართლის წყარო არის აგრეთვე ხელშეკრულება. ფეოდალურ სახელმწიფოებში სენიორისა და ვასალის ხელშეკრულება განისაზღვრებოდა ფეოდალური იერარქიული ურთიერთობით. შეიძლება ყოფილიყო სხვადასხვა ხასიათის ხელშეკრულება. ცნობები ხელშეკრულებათა, ანუ შეთანხმებათა შესახებ საქართველოს ისტორიის წყაროებშიც მოიპოვება (გიორგი III-ისა და ეკლესიის წარმომადგენელთა შეთანხმება, თამარ მეფისა და დიდებულების შეთანხმება და სხვ.), მაგრამ თვით ამ ხელშეკრულებებს ჩვენამდე არ მოუღწევია (ფეოდალთა ზოგიერთი ხელშეკრულების გარდა).

XIX საუკუნემდე არსებულ ჩვეულებითი სამართლის ნორმების კრებულებს, რაიმე ჩანაწერებს არ ვიცნობთ, გარდა იმ ნორმებისა, რომლებიც შესული არიან საკანონმდებლო ძეგლებში. მათი შესწავლით შეიძლება დავადგინოთ, რომ ზოგიერთი მათგანი ჩვეულებითი სამართლიდან მომდინარეობს.

სამართლის წყაროებიდან განვიხილავთ საკანონმდებლო ძეგლებს, ხელშეკრულებებს ან ისეთ ძეგლებს, რომლებიც უამრავ მასალას შეიცავენ სახელმწიფოსა და სამართლის ამა თუ იმ დარგიდან, მაგალითად, „ხელმწიფის კარის გარიგება“, დავით და იოანე ბაგრატიონების პროექტები და სხვა. დასახელებული სამი ძეგლი ძირითადად საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის შესწავლის წყაროებია, მაგრამ ამავე დროს მასში მრავალი მასალა მოიპოვება სამართლის ისტორიის ამა თუ იმ ინსტიტუტის შესასწავლად. სამართლის წყაროები გვიანტერესებს სამართლის ისტო-

რის შესწავლის თვალსაზრისით. ამ მხრივ, სამართლის ისტორიის წყაროა ყოველგვარი მასალა, რომელიც ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესასწავლად გამოდგება.

ქართული სამართლის ისტორიის წყაროები მრავალი სახისაა: საკანონმდებლო ძეგლები, უცხოელი ავტორების ცნობები საქართველოს შესახებ, წარწერები, მხატვრული ნაწარმოებნი, აგიოგრაფიული თხზულებანი, ქართული მათიანეები, სიგელები, ნათარგმნი თხზულებანი, ტრაქტატები, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები.

სამართლის წყაროებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ძეგლები. ასეთებია: გიორგი V-ის „ძეგლის დადება“, ბექა-ალბუღას სამართლის წიგნი, კათალიკოსის სამართალი და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, ერეკლე II-ისა და კათალიკოს ანტონის კანონი, ლევან და ვახტანგ ბატონიშვილების კანონები.

სტრაბონის (I ს.) ცნობები იბერიის შესახებ გამოსადეგია სახელმწიფოებრივი წყობილების ზოგიერთი საკითხის გასარკვევად<sup>1</sup>. არმაზის ორენოვანი წარწერა (მასში მოხსენიებული არიან იბერიის მეფე და მისი მოხელეები) ფრიად საყურადღებოა I—II საუკუნეების სახელმწიფოებრივი წყობილების დასახასიათებლად<sup>2</sup>. ქართული სამართლის ზოგიერთი ტერმინის შინაარსის დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიის ქართულ თარგმანს. „შუშანიკის წამების“ მიხედვით ვიგებთ ქართლის მეფისა და პიტიანშის ურთიერთობას, ქართლის უფლებრივ მდგომარეობას და სხვ.<sup>3</sup>. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ მოხსენიებული არიან ქართლის დიდი მოხელეები (მამასახლისი, პიტიანში, ეკლესიის მეთაური)<sup>4</sup>. პროკოფი კესარიელს საინტერესო ცნობები აქვს ლაზიკის სამეფოს ბიზანტიასა და სპარსეთთან ურთიერთობის შესახებ<sup>5</sup>. საკუთრების ფორმებსა და ნასყიდობის ინსტიტუტის შესწავლის თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა წყისეს VII საუკუნის წარწერა<sup>6</sup>. იოანე სა-

1 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. სტრაბონის გეოგრაფია, 1957.

2 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი. არმაზის ბილინგვა, აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, XIII, 1943.

3 ი. ც უ რ ტ ა ვ ე ლ ი. მარტვილობა შუშანიკისი, ილია აბულაძის რედ., 1938.

4 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, 1964, გვ. 30—45.

5 ვეორგია, ბიზანტიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ის რედ., 1934.

6 ა. შ ა ნ ი ძ ე. ძველი ქართული ქრესტომათია ლექსიკონითურთ, 1935, გვ. 25.

ბანის ძის „აბოს წამება“ საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ძეგლის ეპოქის პატიმრის უფლებრივი მდგომარეობა<sup>1</sup>. „მოქცევა ქართლისაჲში“ დაცულია საინტერესო ცნობები ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ<sup>2</sup>.

ადრეფეოდალური პერიოდის საქართველოს აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში საყურადღებო ცნობები მოიპოვება სოციალური ფენებისა<sup>3</sup>, ქართლის ერისთავთერისთავისა<sup>4</sup>, მთავრისა, მთავართა შორის ფეოდალური აშლილობისა, სოციალური დიფერენციაციისა<sup>5</sup>, ერისთავისა<sup>6</sup>, ნეფის ხელისუფლებისა, ეკლესიისა და საერო ხელისუფლების ურთიერთობისა<sup>7</sup> და საკუთრების უფლების შესახებ<sup>8</sup>. რასაკვირველია, ხსენებულ ძეგლებში, ჩამოთვლილი საკითხების გარდა, სხვა საკითხების შესახებაც მოიპოვება მასალა, მაგრამ მოყვანილი მაგალითებიც საკმარისია იმის გასათვალისწინებლად, რომ ქართული სამართლის ისტორიის შეკვლევარს მრავალგვარი ძეგლით შეუძლია ისარგებლოს.

ქართული სახელმწიფოსა და სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტის შესახებ ცნობები აქვთ შემონახული ლეონტი მროველს, ჯუანშერს, „მატიანე ქართლისას“ ავტორს, დავით აღმაშენებლისა და თამარის ისტორიკოსებს, ჟამთააღმწერელს, ფარსადან გორგიჯანიძეს, ბერი ეგნატაშვილს, სეხნია ჩხვიძეს, პაპუნა ორბელიანს, ომარ ხერხეულიძეს და სხვ. სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ საინტერესო ცნობებია ვახტანგ ირაკლის ძისა და დავით გიორგის ძის შრომებში საქართველოს ისტორიიდან, აგრეთვე იოანესა და თეიმურაზ ბაგრატიონების შრომებში.

სახელმწიფოსა და სამართლის ამა თუ იმ ინსტიტუტის შესახებ საინტერესო ცნობები მოიპოვება მხატვრულ საერო ლიტერატურაში; მაგალითად, სამართლის სხვადასხვა ტერმინის შინაარსის დასადგენად საყურადღებო მასალა მოიპოვება „ამირან-დარეჯანიანში“, „ვეფხისტყაოსანში“ და სხვა. ამ მხრივ საყურადღებოა თეი-

1 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები, წ. I, 1964, გვ. 46—81.

2 იქვე, გვ. 81—163.

3 იქვე, მარტულობა კონსტანტი კახაისი, გვ. 164—172.

4 იქვე, მარტულობა გობრონისი, გვ. 172—183.

5 იქვე, მარტულობა დავითისი და ტირიჭანისი, გვ. 186—191, ცხოვრებაჲ შიოშისი და ევაგრესი, გვ. 217—229.

6 იქვე, მარტულობა აბიბოს ნეკრესელისაჲ, გვ. 240—248.

7 იქვე, ცხოვრებაჲ ვრიგოლ ხანძთელისაჲ, გვ. 240—319.

8 იქვე, ცხოვრებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ, გვ. 319—347.



მურაზ I-ის, არჩილ მეფის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილისა და სხვათა ნაწარმოებები.

ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად ძვირფას მასალას შეიცავს სიგელ-გუჯრები: ბაგრატ IV-ის წყალობის სიგელი, ოპიზის სიგელი, დავით აღმაშენებლის ანდერძი, გიორგი III-ის სიგელი (სამპარავთმძებნელო დაწესებულების შესახებ), მანდატურთუხუცესის სიგელი შიო მღვიმის მონასტრისადმი (1184—1185 წწ.), თამარ მეფის წყალობის სიგელი, გრიგოლ ერისთავთ-ერისთავის ანდერძი (1227—1230 წწ.), სასისხლო სიგელები, ძეგლი ერისთავთა, სამთავნელის სარგო და საკანონო (1459), ქსნის ერისთავის 1470 წლის სიგელი, სვიმონ მეფის 1590 წლის სიგელი მეკობრეთმძებნელის შესახებ, სასამართლო გადაწყვეტილება დიდი მოურავისა და ჯავახიშვილის დავის გამო, წილკნელის სარგო და გარიგების წიგნი, ქალაქის მოურავის სარგო, აბილახვარის სარდლობისა და გორის მოურავის სარგო (1803), მელიქ მამასახლისის სარგო (1813) და სხვ.

ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად აღსანიშნავია ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.), იესე ოსეს ძის ანდერძი (XVIII ს-ის II ნახევარი), ალ. აბილახვარის შრომები (XVIII ს-ის II ნახევარი) და სხვ.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლის წყარო შეიძლება იყოს ყოველგვარი ისტორიული ძეგლი: უცხოელი მწერლების ცნობები, ქვაზე წარწერები, ხელოვნების ნაწარმოები, ისტორიკოსების ნაშრომები, პოლიტიკური შინაარსის ტრაქტატები, მოგზაურთა ჩანაწერები, მემუარული ლიტერატურა, სიგელ-გუჯრები, საეკლესიო კრების დადგენილებანი, სამღვთო წერილების თარგმანები და სამართლის წყაროები ფორმალური გაგებით, ე. ი. კოდექსები, დადგენილებანი, ცალკეული კანონები, ჩვეულებითი სამართალი, ხელშეკრულებანი, სასამართლოს პრაქტიკა და სხვა, ე. ი. ყოველგვარი მასალა, რომელშიც მოიპოვება რაიმე გამოსადეგი ცნობა სამართლის რომელიმე ინსტიტუტის შინაარსის დასადგენად. ცხადია, ყოველგვარი ასეთი ძეგლი უნდა გამოვიყენოთ სამართლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. საკითხავია, რომელი მათგანი გამოვეყნოთ შესასწავლად? აღვნიშნეთ, რომ სამართლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით,

---

<sup>1</sup> ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, გვ. 42—105.

პირველ ყოვლისა, საყურადღებოა ისეთი ძეგლები, რომლებიც უშუალოდ სამართლისადმი მიძღვნილი, სამართლის ისტორიის პირდაპირი წყაროებია, ისინი ამავე დროს, იურიდიული გაგებით, სამართლის წყაროებიცაა. ასეთებია: გიორგი V-ის „ძეგლის დადება“, ბექა-ალბულას სამართლის წიგნი, ვახტანგის სამართლის წიგნი, ლევანისა და ვახტანგის არაგვის საერისთაოს სამართალი, ირაკლი II-ისა და ანტონ I-ის კანონი და საეკლესიო კანონმდებლობა.

სიგელი, გუჯარი, ოქმი, ბრძანება-განაჩენი ან გადაწყვეტილება, უმაღლესი ხელისუფლების მიერ გაცემული, კანონის მნიშვნელობისა იყო. ასეთებიდან ამოკარიბეთ სამართლის ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ძეგლები.

მხატვრულ ნაწარმოებში, ისტორიული შინაარსის შრომებში, შემუშარულ ლიტერატურაში, მოგზაურთა ჩანაწერებში, როგორც ვთქვით, მოიპოვება მასალა სამართლის ისტორიის შესასწავლად, მაგრამ ასეთ ძეგლებს თავიანთი მკვლევარები ჰყავთ და ჩვენც მათი შრომებით შეგვიძლია ვისარგებლოთ.

ძეგლების შესწავლისათვის კრიტიკრიუმად ავიღეთ ის, რომ ეს ძეგლები თავის დროს საკანონმდებლო აქტები იყო. გამონაკლისია „ხელმწიფის კარის გარიგება“. ეს ძეგლი საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიას განეკუთვნება, რამდენადაც ის პოლიტიკური შინაარსის ტრაქტატია. მაგრამ მასში პოზიტიური სამართლის მრავალი ინსტიტუტის აღწერაა მოცემული და ამ მხრივ ძეგლი მდიდარ მასალას შეიცავს. დავით და იოანე ბაგრატიონების სამართლის პროექტები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიას განეკუთვნება, მაგრამ მათში მდიდარი მასალაა წარმოდგენილი ქართული სამართლის ისტორიიდან და ამიტომ შესაძლებლად ჩავთვალოთ, აქაც გამონაკლისი გაგვეკეთებია და ეს პროექტები წყაროებში შეგვეტანა.

არის ძეგლები, რომლებიც არც კანონებს, არც კანონის პროექტებს არ წარმოადგენენ, მაგრამ ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად საყურადღებო მასალას იძლევიან. ზოგიერთ ასეთ ძეგლს წყაროებში განვიხილავთ.

საერო შინაარსის ძეგლებიდან განვიხილავთ საკანონმდებლო ძეგლებს, იურიდიული შინაარსის ტრაქტატებს, პროექტებსა და ცალკეულ სიგელებს, რომლებშიც სამართლის რომელიმე ინსტიტუტის შესახებ მნიშვნელოვანი მასალაა წარმოდგენილი.

საეკლესიო შინაარსის ძეგლებს, ქრისტიანულ ქვეყნებში, და

კერძოდ, საქართველოში, მოქმედი სამართლის მნიშვნელობა ჰქონდათ. ასეთი ძეგლები ორგვარია: მსოფლიო საეკლესიო კრებების კანონმდებლობა, რომლებიც გადმოთარგმნილი იყო ქართულად და ქართული, ე. ი. ადგილობრივი საეკლესიო კრებების დადგენილებანი.

საეკლესიო შინაარსის ძეგლები ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შემსწავლელთათვის მრავალმხრივ არის საყურადღებო: მათში მოიპოვება საინტერესო მასალა სახელმწიფო სამართლის, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტების შესახებ; ამ ძეგლების საშუალებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოკიდებულების საკითხები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს ძეგლები საოჯახო სამართლის ინსტიტუტების შესასწავლად, რადგანაც, როგორც ცნობილია, ეკლესია საოჯახო საკითხებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა.

ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი, ქართული საეკლესიო კრებების დადგენილებანი.

საეკლესიო სასამართლოს ექვემდებარებოდა ზოგიერთი საერო შინაარსის საქმე: ქორწინების, გაყრის, ცოლ-ქმართა დამოკიდებულებისა და ზხვა; ამასთანავე, სისხლის სამართლის ზოგიერთი საქმე, საერო სასამართლოს სასჯელის გარდა, დამატებითი სახით, საეკლესიო სასამართლოს სასჯელსაც იწვევდა. ამასთანავე, ეკლესია გარკვეულ ურთიერთობაში იმყოფებოდა სამეფო ხელისუფლებასთან: ჰყავდა ჯარი, მოხელეები, ჰქონდა თავისი დროშა და სხვა. როდესაც საეკლესიო შინაარსის ძეგლებზე ვლაპარაკობთ, გამოვრიცხავთ ისეთებს, რომელთაც დოგმატიკური, ე. ი. სარწმუნოებრივ-ალსარებითი შინაარსი აქვთ.

ძეგლების კლასიფიკაციას პირობითი ხასიათი აქვს. ავიღოთ ასეთი დაყოფა: საეკლესიო და საერო სამართლის ძეგლები. მაგალითისათვის დავასახელებთ „მეფის კურთხევის წესს“; რამდენადაც ის მეფეს ეხება, იმდენად ძეგლი სახელმწიფო სამართალს განეკუთვნება და საერო დარგისაა, მაგრამ თვით კურთხევა საეკლესიო შინაარსისაა, საერო დარგის წარმომადგენლები თვით კურთხევაში კი არ ღებულობენ მონაწილეობას, არამედ კურთხევასთან დაკავშირებულ ცერემონიალში. ამ ძეგლს საერო სამართლის ძეგლებში მხოლოდ პირობით ვათავსებთ.

საეკლესიო სამართლის ძეგლებიდან შეიძლება გამოგვეყო

მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებანი, რომლებიც ქართულად იყო ნათარგმნი და საქართველოში მოქმედებდა; მაგალითად, მცირე სჯულის და დიდი სჯულისკანონი, აგრეთვე ადგილობრივი საეკლესიო დადგენილებანი (1103 წლის ურბნისის საეკლესიო კრებისა და 1748 წლის საეკლესიო კრების დადგენილება), მაგრამ ეს საჭიროდ არ ჩავთვალეთ, რადგანაც გამომცემლებმა ისინი ცალცალკე ყოველმხრივ დაახასიათეს. აღსანიშნავია აგრეთვე მონასტრის წესდებანი. ერთი მათგანი პეტრიწონის მონასტერშია შედგენილი, რისთვისაც იგი საქართველოში მოქმედ წესდებად არ ჩაითვლება, მაგრამ ამ ნიშნით ერთი ძეგლის ცალკე გამოყოფა მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ.

საერო სამართლის ძეგლებიდან შეიძლებოდა ცალკე გამოგვეყოს სამართლის წიგნები, როგორც არის, გიორგი V-ისა და ბექიალბუღას სამართლის წიგნები, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული, კათალიკოსის სამართალი, ლევან და ვახტანგ ბატონიშვილების განჩინება არაგვის საერისთავოს შესახებ და XIX საუკუნის დასაწყისში შედგენილი ჩვეულებითი სამართლის წიგნი. ეს ძეგლები თავისი მნიშვნელობით ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებიან; მაგალითად, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული არ შეიძლება მხოლოდ სისხლის ან სამოქალაქო სამართლის დარგს მივაკუთვნოთ, მასში სასამართლო პროცესის, სასამართლოს ორგანიზაციისა და სახელმწიფო სამართლის მრავალი ინსტიტუტია მოცემული. სამართლის დარგების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ „დასტურლამალი“, რომელიც ძირითადად სახელმწიფო სამართალს განეკუთვნება, ასევე „მეფის კურთხევის წესი“ და „ხელმწიფის კარის გარიგება“. „ხელმწიფის კარის გარიგება“ შინაარსით სახელმწიფოს სამართალს ეკუთვნის და ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით მისი მნიშვნელობა განუზომელია. რადგან იგი საკანონმდებლო აქტი არ არის, ამდენად, არ შეიძლება „დასტურლამალთან“ ერთად ერთ განყოფილებაში მოთავსება. ამასთან „მეფის კურთხევის წესი“ სამართლის დარგის მხრივ სახელმწიფო სამართალს ეკუთვნის, ისე როგორც „დასტურლამალი“, მაგრამ „მეფის კურთხევის წესი“ მხოლოდ ერთ საკითხს ეხება, მაშინ როდესაც „დასტურლამალი“ სამართლის თითქმის - ყველა დარგის ინსტიტუტებს მოიცავს.

„ძეგლი ერისთავთა“ სამართლის ისტორიის შესასწავლად ძვირფას მასალას შეიცავს, მაგრამ მას ისტორიული თხრობის ხასიათი აქვს. ამ ნიშნით ის ცალკე უნდა გამოიყოს. ასევე შეიძლებო-

და ცალკე განყოფილებად გამოგვეყო საერთაშორისო ხასიათის ძეგლები.

რადგანაც ჩვენი მიზანია სამართლის ძეგლების განხილვა ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის მიზნით, ამიტომ ისინი დავეყავით ორ ნაწილად — საეროდ და საეკლესიოდ. ამასთანავე, ძეგლები დაეალაგეთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. ცალკეული ძეგლის ყოველმხრივი შესწავლა წარმოაჩენს თითოეული მათგანის ადგილს სამართლის დარგებში და მათ მნიშვნელობას ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისათვის.

ოპიზის სიგელი (1027—1072 წწ.)

ოპიზართა სიგელი ქართული სამართლის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. სიგელი თავისი შინაარსით სასამართლოს გადაწყვეტილებაა, რომელიც ეხება ორი მონასტრის — ოპიზისა და მიჯნაძორის დავას მამულების შესახებ. რადგანაც საქმე ეხება ორ მონასტერს შორის სადავო საკითხს, ამიტომ სასამართლო პროცესი დიდად მნიშვნელოვანია და საქმეს არჩევს მეფის თავმჯდომარეობით. ძველი ქართული სამართლის ისტორიის მრავალ საკითხს არკვევს, პირველ ყოვლისა ჩანს, რომ სასამართლო ორ მონასტერს შორის მაზავებლის როლს ასრულებს. ძეგლში წარმოჩენილია სასამართლო პროცესში მხარეების უფლება-მოვალეობანი, მტკიცების საშუალებანი და სხვა; მოცემულია აგრეთვე მეფის, დომენის სამართლებრივი რეჟიმის დასახიათება; საყურადღებოა, რომ ძეგლში დამოწმებულია სამართლის სპეციალისტების მონაწილეობა სასამართლო პროცესში და სხვ.<sup>1</sup>

ეს ძეგლი აღმოაჩინა დ. ფურცელაძემ, რომელმაც გამოსცა მისი რუსული თარგმანი<sup>2</sup> დ. ფურცელაძის თარგმანი ზოგიერთი უმნიშვნელო ცვლილებებით, მოყვანილი აქვს მ. ჯანაშვილს თავის შრომაში<sup>3</sup>.

ეს ძეგლი რუსულად უფრო ზუსტად თარგმნა დ. ბაქრაძემ<sup>4</sup>.

სათანადო კომენტარებით სიგელი გამოსცა ექ. თაყაიშვილმა<sup>5</sup>. იგივე სიგელი გამოაქვეყნეს ა. შანიძემ<sup>6</sup> და ი. დოლიძემ<sup>7</sup>. ძეგლი

1 ივ. სურგულაძე. ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1965, გვ. 7—30.

2 Церковные гуджары, с. 120—121.

3 Царница Тамара, с. 80—81.

4 Статьи по истории и древностям Грузии, Приложение к LV тому запис. импер. Академии наук, № 1, СПб, 1887 г., с. 20—30.

5 საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909, გვ. 2—5; Сигель грузинского царя Баграта IV-го. Записки Восточного отделения императорского русского археологического общества, IX, 1594, с. 59—68.

6 ძველი ქართული ქრესტომათია, 1935, გვ. 93—94.

7 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1955, გვ. 8—9.

განხილული გვაქვს საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისადმი მიძღვნილ შრომებში<sup>1</sup>.

დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის  
მონასტრისადმი (1123 წ.)

ანდერძი საქართველოს ისტორიის მრავალმხრივ საყურადღებო წყაროა. იგი ეკუთვნის მეფე დავით აღმაშენებელს, რის მიხედვითაც მეფე უმტკიცებს მონასტერს მამულებს და განსაზღვრავს მის იმუნიტეტს.

ძეგლში აღნიშნულია, რომ მსხვილი ფეოდალი ძაგანი ფრიად „შემაწუხებელი“ იყო მეფისათვის და მონასტერმა დიდი დახმარება აღმოუჩინა მას ძაგანის შეპყრობაში<sup>2</sup>. დავით აღმაშენებელი სასტიკ ბრძოლებს აწარმოებდა მსხვილი ფეოდალების ასალაგმავად. ცნობილია, რომ ამისათვის მან რიგი ღონისძიებანი ჩაატარა: მოიწვია რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელმაც ძირძველი ფეოდალები შეცვალა საეკლესიო სახელოებიდან და მათ ნაცვლად მეფის ერთგულნი დააყენა. ამასთანავე, საეკლესიო კრებამ ხაზი გაუსვა იმას, რომ საეკლესიო თანამდებობა შეიძლება დაიჭიროს ისეთმა პირებმაც, რომლებიც მსხვილ ფეოდალებს არ ეკუთვნიან.

ძეგლში ხაზგასმულია, რომ შიომღვიმის მონასტერი მეფის ერთგულია; მეფეს სურდა თავისი ერთგული მონასტრისათვის ყოველმხრივ ხელსაყრელი პირობები შეექმნა ფართო იმუნიტეტის მინიჭებით. შიომღვიმის მონასტრის „სოფელნი და აგარანი“ კათალიკოსის „სასჯულოდ სამრებლოდსაგან“ თავისუფალია<sup>3</sup>. ეს ნიშნავს იმას, რომ შიომღვიმის მონასტერი კათალიკოსის იურიდიციიდან ამოღებულია. ეკლესიას ხელი მიუწევდებოდა ზოგიერთ სისხლის სამართლის საქმეზე (მკრეხელობა, მკვლელობა, სქესობრივი დანაშაული და სხვ). მეორე მხრივ, ეკლესიას, როგორც საფეოდალოს, უფლება ჰქონდა საკუთარი ყმების გასამართლებისა; სწორედ ეს გარემოება აქვს მხედველობაში დავით აღმაშენებელს თა-

1 ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 54—58; მისივე, История государства и права Грузии, 1968, с. 60—61.

2 ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 13.

3 იქვე, გვ. 14.

ვის ანდერძში! შიომღვიმის მონასტერი კათალიკოსის ყმა იყო და ამიტომაც შიომღვიმის სოფლებისა და მამულების მცხოვრებნი კათალიკოსის იურიდიქციას ექვემდებარებოდნენ (დავითის ანდერძამდე). ანდერძის მიხედვით, შიომღვიმის მონასტრის ყმებს ასამართლებს დიაკონი და შემოსავალი მონასტერს უნდა მოხმარდეს ზეთის საყიდლად<sup>2</sup>.

ძველში მოხსენებულია მღვიმის „საქონებელნი სოფელნი და აგარანი“<sup>3</sup>, აგრეთვე ნათქვამია: არავის არა აქვს უფლება მღვიმის „აგარაკთა და საქონებელთა-თანა“<sup>4</sup>. მაშასადამე, მონასტერს აქვს სოფლები და აგარაკები. აგარაკი ალოდის მსგავსი იურიდიული რეჟიმის მქონე მიწის საკუთრება უნდა იყოს, როგორც ეს აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>5</sup>. მაგრამ შემდეგში „აგარაკსა და მამულს“ შორის საკუთრების უფლების მხრივ განსხვავება წაიშალა. შესაძლებელია, სოფლის საპირისპიროდ, აგარაკი საყანე ან, საერთოდ, დაუსახლებელი ადგილი იყოს, რომელიც აქვს მონასტერს.

ძველში ნახსენებია „საავაზაკონი და წარტყუენილი“, რაც ნიშნავს ძალადობით წართმეულს<sup>6</sup>. ავაზაკი ყაჩაღს, მძარცველს ნიშნავდა. ანდერძით აკრძალულია მონასტრის შევიწროება, ვისგანაც არ უნდა იყოს ან რის საფუძველზეც არ უნდა მოხდეს ეს; ერთი ასეთი მიზეზია „ქრთამი“, ე. ი. თუ რომელიმე ხელისუფალმა „ქრთამის“ აღების შედეგად ზიანი მიაყენა მონასტერს<sup>7</sup>. „ქრთამს“ ძველ ქართულში ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა: მოხელისათვის დანიშნული კანონიერი გასამრჯელოსი და სამართლის გამრუდებისათვის მოხელის მიერ აღებული საფასური. წყაროებში „ქრთამი“ გვხვდება როგორც კანონიერი გასამრჯელოს<sup>8</sup>, ისე დანაშაულის მნიშვნელობით<sup>9</sup>.

1 ივ. ჯავახიშვილი ი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, 6. II, 1929, გვ. 471—472.

2 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 14.

3 იქვე, გვ. 14.

4 იქვე, გვ. 17.

5 ივ. სურგულაძე. ფეოდალური საკუთრება საქართველოში (ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, I, 1973, გვ. 191—195).

6 ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 16.

7 იქვე, გვ. 17.

8 შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, 1951, 741, I, 742, 2; ხელმწიფის კარის გარიგება, § 13 და სხვ.

9 შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, 1951, 764 და ვახტანგის სამართლის წიგნი, მუხ. 89 და სხვ.



ძეგლში ერთმანეთთანაა დაპირისპირებული მეფე და მთავარი, ეპისკოპოსი და მონაზონი, გლეხი და აზნაური; ცალკეა დასახელებული ხელისუფალი<sup>1</sup>. მეფე ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელია, ის არის სუვერენი; მთავარი ძეგლის შედგენის პერიოდში მეფის მოხელეა ან კიდევ დიდი ფეოდალი, მოხლეობის გარეშე. ეპისკოპოსი ეპარქიის გამგებელია, ხოლო მონაზონი მოწყაეა. ხელისუფალი ეწოდება დიდ მოხელეს.

„სამკვიდრებელი“<sup>2</sup>, საერთოდ, მემკვიდრეობას ნიშნავს, ხოლო ძეგლის მიხედვით, ყოველგვარ ქონებას, რომელიც ადამიანმა მემკვიდრეობით მიიღო; ვინც ჩემი ანდერძი დაარღვიოს, წერია ანდერძში — „სამკვდრებელი მისი ოკერ და ნაშობნი მისნი მოსასრველ“ იყოს<sup>3</sup>.

სასამართლო საქმის გარჩევას ამ პერიოდში, როგორც ჩანს, „განსჯა“ ეწოდებოდა<sup>4</sup>.

ძეგლი გამოქვეყნებულია თ. ჟორდანიას<sup>5</sup>, ს. კაკაბაძის<sup>6</sup> და ი. დოლიძის მიერ<sup>7</sup>.

აკ. შანიძე შეეხო ამ ძეგლის ერთ ადგილს, რომელიც სხვადასხვანაირად აქვთ წაკითხული თ. ჟორდანიასა და ს. კაკაბაძეს. თ. ჟორდანიას აქვს „შედაის მეწყის“, ს. კაკაბაძეს — „მე დთს მაწყიეს“, აკ. შანიძეს — „მე დთს მიწყიეს“, რაც ნიშნავს: „მე დავითს დამიწყია ამ ანდერძის წერა“<sup>8</sup>. საყურადღებოა, რომ ანდერძის დამწერი თავისი ხელით იწყებდა და ამთავრებდა ანდერძს და დავითიც ასევე იქცევა: ანდერძის თავი და ბოლო მხედრულით არის შესრულებული თვითონ დავითის მიერ.

### გიორგი III-ის 1170 წლის სიგელი

ძეგლი, თავისი შინაარსით, გიორგი III-ის მიერ ბოძების სიგელია შიომღვიმის მონასტრისადმი. ამ სიგელით მეფე, პირველ

1 ქართული სამართლის ძეგლები. II, 1965, გვ. 17.

2 იქვე, გვ. 18.

3 იქვე, გვ. 19.

4 იქვე.

5 თ. ჟორდანიას. შიომღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 15—19.

6 ს. კაკაბაძე. ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისათვის დაწერილი.

7 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 12—18.

8 აკ. შანიძე. დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისათვის დაწერილი ანდერძის დასაწყისი სიტყვები (ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება“, № 8, 1924, გვ. 47—48).

ყოველსა, უმტკიცებს მონასტერს იმ მამულებს, რომლებიც წინა მეფეების მიერ მონასტრისათვის იყო შეწირული; თავის მხრივ, მეფე უბოძებს მონასტერს სოფლებს და განსაზღვრავს მონასტრის მფლობელობის იურიდიულ რეჟიმს.

ცნობილია, რომ გიორგი III ცდილობდა სამეფო ხელისუფლების გაძლიერებასა და მსხვილი ფეოდალების ალაგმვას. მაგრამ მსხვილი ფეოდალები იმდენად ძლიერი აღმოჩნდნენ, რომ მეფე ხშირად იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო. იგი ცდილობდა, საერო ან საეკლესიო ფეოდალების მიმხრობის მიზნით მათთვის მამულები ებოძებია. აღსანიშნავია, როდესაც გიორგი III-მ მსხვილი ფეოდალების ერთ-ერთი მძლავრი აჯანყება ჩააქრო, თბილისში დაბრუნებისას მას ეკლესიის მესვეურნი, ე. ი. საეკლესიო მსხვილი ფეოდალები შეეგებნენ და მოთხოვნილებანი წაუყენეს. მეფე იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო.

შიომღვიმის მონასტერი ერთ-ერთი მსხვილი საფეოდალო იყო და მის მეფის მხარეზე ყოფნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

გიორგი III უბოძებს შიომღვიმის მონასტერს ფართო შინაარსის იმუნიტეტს. ძეგლში გარკვეულია მონასტრის საკუთრების წარმოშობის საფუძვლები: 1) ნასყიდობა, 2) შეწირულობა, 3) ბოძება. გიორგი III ათავისუფლებს მონასტრის სამფლობელოს თითქმის ყოველგვარი გამოსაღებისაგან.

განსაკუთრებით საყურადღებოა ძეგლის ის ადგილი, რომელიც სამპარავთმძებნელო დაწესებულებას ეხება. ძეგლიდან ჩანს, რომ გიორგი III-ის დროს საქართველოში ყოფილა ისეთი დაწესებულება, რომელიც მიზნად ისახავდა მეკობრეებისა და ქურდების დევნას და მათ გასამართლებას. ასეთი სპეციალური დაწესებულების არსებობა მაჩვენებელია გამწვავებული კლასთა ბრძოლისა. მპარავთმძებნელის საქმიანობა მიმართული იყო საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისადმი. ასეთი დამნაშავენი ფეოდალური წყობილების დროს ძირითადად გლეხები იყვნენ, ხოლო მეკობრეები კალაპოტიდან ამოვარდნილი წვრილი აზნაურები. სამპარავთმძებნელო დაწესებულება მიზნად ისახავდა სასტიკი ზომების მიღებით დაეთრგუნა გაბატონებული კლასის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენი. მპარავთმძებნელი იძიებდა ასეთ საქმეებს და კიდევ ასამართლებდა დამნაშავეებს, შემდეგში მპარავთმძებნელი შეცვალა მეკობართმძებნელმა (სვიმონ მეტეხის 1590 წლის სიგელი), ხოლო „დასტურლამალით“ მეკობართმძებნელის მაგიერ ზევისთავი გვევლინება. ამ ძეგლის შე-

სახებ სხვა შრომებშიც გვაქვს საუბარი<sup>1</sup>. ძეგლი გამოცემული გვაქვს რუსულ<sup>2</sup> და ფრანგულ<sup>3</sup> ენებზე. ქართულად გამოაქვეყნა ექ. თაყაი-შვილმა<sup>4</sup> და ი. დოლიძემ<sup>5</sup>.

გრიგოლ ერისთავთერისთავის დაწერილი შიომღვიმის  
მონასტრისაღმი (1246—1248 წწ.)

ავტორი ძეგლს „დაწერილს“ უწოდებს<sup>6</sup>. „დაწერილი“ ეწოდებოდა გარკვეული რიგის საბუთებს. X საუკუნემდე ტერმინი „დაწერილი“ გვხვდება მომდევნო პერიოდის „სიგელის ნაცვლად“<sup>7</sup>, X—XV საუკუნეებში „დაწერილი“ ერქვა კერძო პირთა საბუთებს<sup>8</sup>.

ძეგლის შედგენის თარიღს მრავალი მკვლევარი შეეხო. ძეგლის პირველი გამომცემელი თ. ჟორდანიას მას 1227—1230 წლებით ათარიღებს<sup>9</sup>.

ს. კაკაბაძის აზრით, ძეგლი 1245 წლის ახლო ხანებში უნდა იყოს შედგენილი<sup>10</sup>. ნ. ბერძენიშვილი საბუთს 1245 წლის შემდეგ შედგენილად თვლის<sup>11</sup>, ხოლო ი. დოლიძე — 1245—1250 წლებს მიაკუთვნებს<sup>12</sup>.

ნ. შოშიაშვილის აზრით, საბუთი არ უნდა იყოს შედგენილი 1247 წელზე ადრე: „ამასთანავე, ავტორის აზრით, ყველა მისი ხელრთვები საბუთის დაწერის თანადროულია“<sup>13</sup>.

1 ქართული სამართლის ისტორიის მნიშვნელოვანი ძეგლი, „მოამბე“, ტ. II, 1960.

2 Важный памятник истории грузинского права, 1972, „მაცნე“ № 2, 1972.

3 Un Document important de L' Histoire du Droit georgien: La charte du roi Georgie III (1170).

4 საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება, 1926, გვ. 2—6.

5 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 20—24.

6 იქვე, გვ. 37—38.

7 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სიგელთმცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა, 1926, გვ. 25.

8 იქვე, გვ. 29.

9 თ. ჟორდანიას. ქრონიკები..., II, გვ. 97—102.

10 თ. ჟორდანიას. შიომღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 52—58.

11 საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 131.

12 ენიშკის მოამბე, V—VI, 1040, გვ. 405—406.

13 ნ. შოშიაშვილი. XIII ს-ის საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, XVIII—B, 1954, გვ. 123.

გრიგოლ სურამელი წერს, რომ ამ საბუთს ის ადგენს „მიმავალი მეოთხედ წარმართა თათართა შიგან ქრისტეს სჯულისა და ერისა და ეკლესიათა დაცვისათვის“<sup>1</sup>.

ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით, ამ შემთხვევაში იგულისხმება გრიგოლის წასვლა იმ საბხედრო სამსახურის შესასრულებლად, რომელიც საქართველოს დუმნებად დაყოფის შემდეგ მონღოლებმა ქართველებს დააკისრეს<sup>2</sup>. მართლაც გრიგოლ ერისთავი, ჟამთააღმწერლის სიტყვით, აღმუტის წინააღმდეგ საბრძოლველად ქართველი ჯარით მონღოლებთან ერთად იყო<sup>3</sup>.

ნ. შოშიაშვილი აღნიშნავს, რომ აღმუტის წინააღმდეგ საქართველოდან ჯარის გამოყვანა რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ დაიწყეს<sup>4</sup>. რუსუდანი კი 1245 წელს გარდაიცვალა. მაშასადამე, ძეგლის შედგენა უმეფობის ხანასთან არის დაკავშირებული. ძეგლში მეფე არც არის ნახსენები (ორივე დავითი მონღოლთა დიდ ყაენთან იყო წასული მეფედ დასამტკიცებლად). მსხვილი ფეოდალი, როგორც იყო ერისთავთერისთავი, მეფისაგან თითქმის განკერძოებული და დამოუკიდებელი იყო. „ძეგლი ერისთავთა“ (XIV-ის მეორე ნახევარი) და ქსნის ერისთავის შალვა ქვენიფნეველის 1470 წლის სიგელი ლარგვისის მონასტრისადმი ბოძებული, სრულებით არ ცნობენ მეფის ხელისუფლებას. საქართველო XIV—XV საუკუნეებში ძლიერაა დაქუცმაცებული და ერისთავები თავს მთავრებად, მეფეებად მიიჩნევენ. მაგრამ გრიგოლ სურამელის „დაწერილი“, რომელიც XIII საუკუნის ორმოციანი წლების მეორე ნახევარში უნდა იყოს შედგენილი, არ უნდა ასახავდეს სახელმწიფოს ასეთ დაქუცმაცებულობას. სიგელის შედგენის დროს, თამარის მეფობის მომსწრეთ ახსოვდათ გაერთიხნებული საქართველოს სამეფო ხელისუფლების ტრადიცია. საქართველო ჯერ კიდევ არ იყო დანაწილებული. შესაძლებელია, ამ ძეგლის მიერ მეფის მოუხსენებლობა შედეგია იმისა, რომ ძეგლის შედგენისას საქართველოში რამდენიმე წლის განმავლობაში მართლაც უმეფობა იყო. მეფე რუსუდანი გარდაიცვალა 1245 წელს<sup>5</sup>, ხოლო დავით-ულუ და დავით-ნარინი მონღოლეთიდან საქართველოში მეფეებად უნდა დაბრუნებული-

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 39.

2 ენიშკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 405—406.

3 ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 209.

4 ნ. შოშიაშვილი. XIII ს-ის საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის, „მოამბე“, XVIII—B, 1954, გვ. 122.

5 ივ. ჯაფარიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III, 1966, გვ. 121.

ყვენ 1248—1249 წლებში<sup>1</sup>. ნ. შოშიაშვილი ძეგლის დათარიღებისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს საბუთში გრიგოლის შვილის ბეგაის ხელრთვას. რუსუდან დედოფალმა გრიგოლის შვილი ბეგაი, როგორც უფლისწულის თანშეზრდილი, თავის შვილს დავითს მონღოლეთში გაატანა. ნ. შოშიაშვილის აზრით, რადგანაც საბუთი და საბუთის ხელრთვები ერთდროულად არის შესრულებული, ამიტომ საბუთი შედგებოდა მაშინ, როცა დავით-ნარინი და მისი თანამგზავრი ბეგა საქართველოში დაბრუნდებოდნენ<sup>2</sup>. ივ. ჯავახიშვილი პ. კარპინის ცნობის საფუძველზე ორივე დავითის საქართველოში დაბრუნებას 1248—1249 წლებში ვარაუდობს; ნ. შოშიაშვილი არ ეთანხმება ივ. ჯავახიშვილს და ვარაუდობს, რომ პ. კარპინის ცნობით, დავით გიორგის ძე და დავით რუსუდანის ძე მეფეებად ყარაყორუმში დაუმტკიცებიათ 1246 წლის აგვისტოსა და ნოემბერს შორის. მეფეებად დამტკიცების შემდეგ ისინი დიდხანს აღარ დააყოვნებდნენ მონღოლეთში და სამშობლოში წამოვიდოდნენ. მათი საქართველოში დაბრუნება 1247 წელს უნდა ვივარაუდოთ<sup>3</sup>. შეიძლება ნ. შოშიაშვილის ვარაუდი მართლაც იყოს, მაგრამ ერთი გარემოება არის დამაფიქრებელი: ბეგაი საკუთარ თავს ხელრთვაში ერისთავად იხსენიებს, ხოლო მამის სიცოცხლეში ამ სახელს ის ვერ მიითვისებდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ხელრთვები ერთდროულად კი არ არის შესრულებული, როგორც ნ. შოშიაშვილი ვარაუდობს, არამედ სხვადასხვა დროს.

ძეგლის პირველ გამომცემელს თ. ჟორდანიას ძეგლის ჩვენთვის საინტერესო ადგილი ბეგას შესახებ ასე წაუკითხავს: „ძესა ბეგასა (ე) ვ სა“: „ძესა ბეგასა ქართლისა ერისთავსა“<sup>4</sup>.

იმ ხელრთვებს შორის, რომელიც გრიგოლ ერისთავერთისთავის „დაწერილს“ ახლავს ყველაზე რთული და ძნელად წასაკითხი ბეგას ხელრთვაა. გადამხელობა ძლიერ დახლართულია. მაგრამ „ქსა“-ს შემდეგ „ესა“-ს ამოკითხვა შესაძლებელია<sup>5</sup>. რა უნდა იყოს ეს „ესა“, თუ არა „ერისთავსა“? ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა ლილი ათანელიშვილმა სპეციალურად შეისწავლა ხელნაწერის ეს ადგილი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თ. ჟორდანიას

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III, 1966. გვ. 137.

<sup>2</sup> ნ. შოშიაშვილი. XIII ს-ის საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის. „მოამბე“, XVIII—B, 1954, გვ. 122.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 123.

<sup>4</sup> თ. ჟორდანიას ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, 1896. გვ. 56; მისივე, ქრონიკები... II, 1897, გვ. 100.

<sup>5</sup> კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—I.

წაკითხვა მართებულია. თუ ეს ასეა და მართლაც „ერისთავი“ წერია, მაშინ არსენი გრიგოლის არა მხოლოდ თანამედროვე, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ სიგელის მიხედვით გრიგოლის კონტრაგენტიცაა. მონასტრის იმუნიტეტისათვის ის აძლევს გრიგოლს საფასურს, ამიტომ ბევას ხელრთვა არ უნდა იყოს არსენის ხელრთვის წინ; თუ კი ბევას ხელრთვა სიგელის შედგენის შემდგომ არის გაკეთებული, მაშინ შეიძლება თ. ჟორდანიას წაკითხვა არ იყოს სწორი. მაგრამ ნ. შოშიაშვილს სრულებით არ ესაჭიროება ხელრთვა, ვინაიდან გრიგოლი წერს, როცა ამ სიგელს ადგენს, მას გვერდით უდგას ძმა, ხოლო წინ შეილი მისი „ბეგაა“. ასე რომ, სიგელის შედგენა და გაცემა ბევას თანდასწრებით ხდება. თუ ძეგლის შედგენის ხანად უმეფობის პერიოდს მივიჩნევთ, მაშინ იგი 1245 წელზე ადრე (რუსუდანის გარდაცვალების წელი) არ შედგებოდა. რუსუდანის გარდაცვალებას მოჰყვა საქართველოს დუმნებად დაყოფა და ამის მიხედვით ქართველების სამხედრო ბეგარაზე გაყვანა. გრიგოლი კი სამხედრო ბეგარის მოსახდელად სალაშქროდ მეოთხედ მიდიოდა. ამიტომ სიგელის შედგენა რუსუდანის გარდაცვალების თარიღს ერთი წლით მაინც უნდა დავაშოროთ; თუ ვივარაუდებთ, რომ მონღოლეთიდან ქართველი მეფეები და ბეგა 1247—1248 წლებში დაბრუნდნენ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ძეგლი შედგენილია 1245—1248 წლებში. აუხსნელი რჩება, თუ რატომ არის ბეგა ერისთავად მოხსენიებული.

ძეგლი ეხება შიომღვიმის მონასტრის შეუვალობის საკითხს. გრიგოლ ერისთავთერისთავს უკანონოდ დაუბეგრავს მონასტერი: გრიგოლს მონასტრის „სოფელი გავაზელნი უსამართლომსა ზედა დადებულისა ბეგრისაგან გაუთავისუფლებია“<sup>1</sup>. საყურადღებოა, რომ ეს განთავისუფლება გამოსყიდვით მომხდარა. მღვიმის ხელმძღვანელი არსენი წერს, რომ მონასტრის ძველი შეუვალობის აღდგენისათვის სოფელი გავაზელნის მიმართ მან ერისთავთერისთავ გრიგოლს მრავალი ძვირფასი ნივთი, ყული და სხვა ქონება მიართვა<sup>2</sup>. იმის მიუხედავად, რომ გადასახადები, რომელიც ერისთავთერისთავს დაუდვია მონასტრის სოფლისათვის, უკანონოა, ე. ი. მძლავრობით არის დადებული, ისეთი ძლიერი მონასტერი, როგორიც შიომღვიმისა იყო, გამოყიდვისა, ანუ გრიგოლის გულის მოგების გარდა სხვა საშუალებას ვერ ნახულობს ამ გადასახადების

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 41.

2 იქვე, გვ. 43.

თავიდან აცილებსათვის. ერისთავთერისთავი იმდენად ძლიერია, რომ მონასტერს არ შეუძლია მეფესთან უჩივლოს. ძეგლში მეფე სრულებით არა ჩანს: ყველაფრის ბატონ-ბატრონი ერისთავთერისთავია; ის მეფეს არ ცნობს, თვითონ ადებს გადასახადებს, ათავისუფლებს გადასახადებისაგან, საკუთარი ინიციატივით ემზადება ომში წასასვლელად და სხვა. თავის სიგელში ის მეფეს არც ახსენებს.

ძეგლი უმეფობის პერიოდშია შედგენილი, მაგრამ ეს გარემოება არ ნიშნავს იმას, რომ მეფეების დროს ერისთავთერისთავს ან, საერთოდ, მსხვილ ფეოდალს არ ჰქონდა დიდი უფლებები. საქართველოში ფეოდალიზმის განვითარება ისე წარიმართა, რომ ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს მსხვილმა ფეოდალებმა მეფის ძალაუფლება შეკვეცეს და ამის შემდეგ მათი ძალა და განკერძოებისაკენ მიდრეკილება თანდათანობით ძლიერდებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ მწარმოებელი კლასის ყმად გადაქცევის პროცესი მიმდინარეობდა ამ კლასის მსხვილ ფეოდალთა ხელში გადასვლით. ქალაქებმა საქართველოში ვერ შეასრულეს ის როლი, რაც ევროპის ქვეყნებში. XIII საუკუნის საქართველოში ვაზირობასა და მოხელეობაში სამართლის კერძო საწყისმა სძლია საჯაროს და ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის დიდი მოხელეები მთავრებად, ანუ მსხვილ ფეოდალებად გადააქცია. ამ გარემოებას საგარეო ფაქტორებმაც შეუწყო ხელი<sup>1</sup>. მონღოლები, როგორც დაშპყრობლები, სწორედ იმით იყვნენ დაინტერესებულნი, რომ მეფის ხელისუფლება საქართველოში არ გაძლიერებულიყო. ძეგლიც სწორედ მონღოლების ბატონობის ხანაშია შედგენილი. გრიგოლ ერისთავი მსხვილი ფეოდალია, რომელიც სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს.

რუსუდან დედოფალი იძულებული შეიქნა მონღოლებს შერიგებოდა. დედოფალს შეპირდნენ, რომ მის შვილს — დავითს მისცემდნენ მეფობას, თბილისსა და მთელ საქართველოს. დედოფალი რუსუდანი და მისი ძე დავითი აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდნენ, მათ მიეგებნენ: შანშე, ავაგი, შოთა კუბრი, ვარამ გაგელი, ქართლის ერისთავი სურამელი გრიგოლ, ყვარყვარე ციხისჯვარელი, თორელნი, თმოგველნი, შავშ-კლარჯნი და ტაოელნი — გადმოგვეცემს ჟამთააღმწერელი<sup>2</sup>. მაშასადამე, გრიგოლისახელმწიფოში

<sup>1</sup> ივ. სურგულაძე. ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1965, გვ. 139—244.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 195.

ერთ-ერთი ძლიერი ფეოდალი და მოხელეა. იგი დედოფლის ოჯახთან ძლიერ დაახლოებულია. როდესაც რუსუდანის შვილი დავითი ადგილობრივმა ნოინებმა მეფედ დასამტკიცებლად მონღოლეთის მთავარ ბანაკში გაგზავნეს, მეფე რუსუდანმა უფლისწულს თან გაატანა თანშეზრდილი „ქართლისა ერისთავის სურამელის გრიგოლის შვილი ბეგაი“<sup>1</sup>. როგორც ჩანს, გრიგოლ სურამელი დავით რუსუდანის ძის მომხრეც იყო. უმეფობის ხანაში, მოგვიტხრობს ჟამთააღმწერელი, ერისთავები საერისთაოს „თუთოეული თავისა თვისისათუს განაგებდეს“; მონღოლთა ნოინებმა საქართველო დუმნებად დაყვეს და თითოეული დუმნის სათავეში ერისთავები დააყენეს.

როცა ალმუთს სალაშქროდ გაწვეული ქართველი ჯარი დაბანაკებული იყო მონღოლთა ლაშქართან ერთად, ღამით მოკლეს ჩალათა ნოინი. მონღოლებმა ნოინის მკვლელობა ქართველებს დააბრალეს და მათ ბანაკს გარშემოერტყენენ; ქართველებს ბრძოლა დაუშალა ქართლის ერისთავმა გრიგოლ სურამელმა: ჩვენ ცოტანი ვართ, უსათუოდ დავმარცხდებით, ჯობს მოლაპარაკების გამართვა, თუ ბრალდებას ვერ ავიცილებთ, მაშინ ჩვენ „წარჩინებულებს“ დაგვიხოცავენ მონღოლები, ეს უმჯობესია, ვიდრე ყველანი დავიხოცოთო. მოლაპარაკებამ გაჭრა და ქართველები გადაარჩინენ<sup>2</sup>.

ტყვეობიდან განთავისუფლებულ ულუ-დავითს „მიეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი“ და მათ შორის „სურამელი გრიგოლ ქართლისა ერისთავი“; არ მიეგება მხოლოდ ბაკურციხელი<sup>3</sup>, რადგანაც ის დავით-ნარინის მომხრე იყო. შემდეგში სხვა მსხვილ ფეოდალებთან ერთად ულუ-დავითს არ დაუჭირა მხარი გრიგოლ სურამელმაც<sup>4</sup>.

საყურადღებოა, როდესაც ულუ-დავითმა მონღოლების წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოუწოდა გრიგოლი არ გაპყვა მას, არ დაემორჩილა მეფეს. მეფემაც ამ შემთხვევაში ერისთავებს ამორჩევის საშუალება მისცა: გინდა გამოყვეით, თუ არა მონღოლებთან იყავითო. გრიგოლმა სხვა მსხვილ ფეოდალებთან ერთად უკანასკნელი გზა აირჩია. თვითონ ის ფაქტი, რომ მეფე ამორჩევის საშუალებას აძლევს ერისთავებს და ვერ უბრძანებს, იმის მაჩვენებელია, რომ მონღოლების ბატონობის პერიოდში მეფეს სათანადო ძა-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 206.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 209.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 219.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 239.



ლა არა აქვს. აქ საქმე იმითაც არის გართულებული, რომ საკითხი შეეხება დამპყრობლების წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებას.

უმეფობის ხანაში ერისთავები „თვისთვისად“ განაგებდნენ ქვეყანას; ულუ-დავითისა და დავით-ნარინის დროსაც იგივე მდგომარეობა გრძელდება — ფეოდალები მეფეს არ ემორჩილებიან. მაშასადამე, მონღოლების ბატონობამ მსხვილი ფეოდალების განკერძოებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი.

ჭირს მოინახოს სახელწოდება იმის აღსანიშნავად, თუ როგორია მეფისა და ერისთავის თუ ერისთავთერისათვის ურთიერთობა. ამ შემთხვევაში ერისთავთერისთავი ან ერისთავი მეფის მოხელე იმდენად არ არის, რამდენადაც მის ბოძანებას აღარ ასრულებს. შეიძლება მათი დამოკიდებულება დავახასიათოთ როგორც სენიორალურ-ვასალური ურთიერთობა? მაგრამ ვასალიც ხომ ვალდებული იყო მეფის სამსახური შეესრულებინა. აქ ერისთავთერისთავი ან ერისთავი თითქმის დამოუკიდებელია. მონღოლთა ხელისუფლებას საქართველოს მეფე იმისათვის ესაჭიროებოდა, რომ მათ სასარგებლოდ ხარკი მოეკრიფა, საჭირო სამხედრო ბეგარა შეესრულებინა. ამიტომ ის მხარს უჭერდა ქართველთა მეფეს და არ აძლევდა ფეოდალებს მისთვის ურჩობის გაწევის საშუალებას, მაგრამ მონღოლთათვის ქართველთა მეფის ხელისუფლების გაძლიერება არასასურველი იყო.

აღვნიშნეთ, რომ ქართველი მეფეებისა და ერისთავების ურთიერთობა სენიორალურ-ვასალურ ურთიერთობას უფრო ასახავდა, ვიდრე მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულებას, მაგრამ ეს სენიორალურ-ვასალური დამოკიდებულებაც სუსტი იყო იმ მხრივ, რომ ერისთავი თავს შედარებით დამოუკიდებლად გრძნობდა, ამასთანავე, მოხელეობის ელემენტებიც ერისთავობაში სუსტად, მაგრამ მაინც რამდენადმე შემონახული იყო.

ერისთავობა, XI საუკუნის ქართული წყაროების მიხედვით, უძველესი თანამდებობაა და ფარნავაზ მეფიდან მომდინარეობს. ადრეფეოდალურ პერიოდში ერისთავები „მკვიდრობისათვის“ იბრძვიან. ჯუანშერის გადმოცემით, გუარამ კურაპალატმა „ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთავოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკუდრობისათეს საერისთავოთა მათთა“<sup>1</sup>. ჯუანშერისავე

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 221.

ცნობით, VIII საუკუნის შუახანებში, არჩილ მეფემ თავისი ძმის-შვილები დაათხოვა ერისთავებზე და გაუშვა ისინი „თჳს-თჳსად“ საცხოვრებლად<sup>1</sup>. ამასთანავე, მეფემ ნახევარი ქვეყანა სამეფოდ დაიჭოვა. ერისთავები იმავე დროს მთავრებად იწოდებია<sup>2</sup>.

ჯუანშერის გადმოცემით, სამეგრელოს მთავარი ლეონი ეუბნება არჩილ მეფეს: „მომცა მე კეისარმან ქვეყანა ესე მკვდრობით... მამულობით სამკვდრებელ ჩემდა“<sup>3</sup>. „მკვიდრობითა და მამულობით“ დაურბოვა ერისთავებს სამეფო არჩილ მეფემაც. საყურადღებოა, რომ ლეონი კეისარზე უთითებს, რომელმაც მისცა სამკვიდრებლად და მამულობით ქვეყანა. ჯუანშერისავე გადმოცემით, ერისთავებს სპარსეთის მეფემ „დაუწერა საერისთაოთა მათთა მამულობა შვილი-შვილამდე“, და რომ ერისთავები ბიზანტიის მეფესაც იმას სთხოვდნენ, რომ „იყვენენ ერისთავნი იგი თჳს-თჳსთა საერისთაოსა შეუცვლებლად“<sup>4</sup>. საყურადღებოა, რომ გარეშე ძალები — ირანი, ბიზანტია, მონღოლეთი, უფრო გვიან ოსმალეთი და სპარსეთი იმის ცდაში იყვენენ, რომ საქართველოს მეფის ხელისუფლების საზიანოდ ერისთავებისათვის ხელი გაემართათ. ეს გარემოება ასახულია გრიგოლ სურამელის „დაწერილშიც“. ერისთავები ყოველთვის იბრძოდნენ მთავრობისათვის, მეფობისათვის, ყოველთვის თავს უტოლებდნენ მეფეებს. ამ შხრივ აღსანიშნავია ერისთავობის დალოცვის წესები. მთავართა და ციხისთავთა კურთხევის წესი ჩვენამდე მოღწეულია XVI და XVII საუკუნეების ხელნაწერების სახით<sup>5</sup>. კ. კეკელიძე ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ XVIII საუკუნის ხელნაწერში (კ—352) ამ წესთან ერთად მოთავსებულია მეფის „დადგინების წესიც“<sup>6</sup>. „მეფისკურთხევის წესი“ კი შემუშავებულია არა უადრეს XIII საუკუნისა<sup>7</sup>. ბუნებრივია, თუ ვიფიქრებთ, რომ მეფის „დადგინების წესთან“ ერთად ჩამოყალიბდა აგრეთვე მსხვილ მოხელეთა „დადგინების წესიც“<sup>8</sup>. მაშასადამე, კ. კეკელიძე, მთავართა და ერისთავთა „დადგი-

1 ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1953, გვ. 241—242.

2 იქვე, გვ. 242.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 217.

5 კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ლიტერატურის ისტორიიდან, III, 1951, გვ. 157.

6 იქვე.

7 იქვე, გვ. 158.

8 იქვე.

ნების წესის“ შედგენის დროდ თვლის მეფის კურთხევა: წესის შემუშავების დროს, ე. ი. XIII საუკუნეს. მეფის კურთხევის წესთან ერთად, მთავართა და ერისთავთა კურთხევის წესი გამოსცა კ. კეკელიძემ რუსულად (თარგმანი<sup>1</sup>) შემდეგ კი ქართულად სათანადო გამოკვლევით<sup>2</sup>.

კ. კეკელიძე ყურადღებას აქცევს მემატიანის ცნობას იმის შესახებ, რომ ბაგრატ III „დალოცეს მეფედ“<sup>3</sup>. ეს „დალოცვა“ უეჭველად კურთხევას, ამა თუ იმ წესითა და ცერემონიით ტახტზე ასვლას აღნიშნავს<sup>4</sup>; თამარის პირველი ისტორიკოსის გადმოცემით, „შეიწყალეს სარგის ვარამის ძე, დალოცეს და უბოძეს თმოგვი“<sup>5</sup>.

კ. კეკელიძის მართებული მოსაზრებით, მეფის დალოცვა-დადგინების წესთან ერთად, არსებობდა აგრეთვე დიდ ხელისუფალთა დადგინების წესიც<sup>6</sup>. კ. კეკელიძეს მოჰყავს „ვეფხისტყაოსნიდან“ თინათინის შესახებ ნათქვამი: „დალოცეს და მეფედ დასვეს“. მაშასადამე, მეფისა და დიდი მოხელეების განწესება ხდებოდა განსაზღვრული წესით, ცერემონიით, რომელიც, როგორც ჩანს, დიდი ხანია არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, X საუკუნეში ბაგრატ III-ის გამეფებისას ეს წესი შეუსრულებიათ. ამგვარად, მეფის კურთხევის წესი XIII საუკუნიდან გვაქვს, მაგრამ ის გაცილებით ადრე სკოლნიათ საქართველოში, შესაძლებელია, ასეთი წესი პირველად ჩვეულებითი სამართლით არსებობდა.

კ. კეკელიძეს გამოქვეყნებული აქვს „დადგინებათა წესი“: 1) „ლოცვაჲ დადგინებასა მთავართასა“, 2) „კურთხევაჲ ერისთავისაჲ“, 3) „ლოცვაჲ დადგინებისაჲ ერისთავთერისთავისა“, 4) „კურთხევაჲ ცოტაჲს ერისთავის დადგინებისაჲ უფლისა მიმართ ვილოცოთ“<sup>7</sup>.

კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ „მთავარი“ წესის შემდგენელს გაუიგივებია ბიზანტიელ „არხოთან“, ეს იქიდან ჩანს, რომ „წესი მთავართა დადგინებისა“ წარმოადგენს გადაკეთებას ბერძნული

1 Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах, 1908, с. 128—132.

2 კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, 1955, გვ. 156—165.

3 ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 275.

4 იქვე, გვ. 55.

5 კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, 1955, გვ. 158.

6 იქვე.

7 იქვე, გვ. 162—165.

„წესისას“. „არხონი“ ბიზანტიაში იყო პატრიკიოსი, რომელიც სენატორთა წრეს ეკუთვნოდა და სკინკლიტის შემადგენლობაში შედიოდა<sup>1</sup>. კ. კეკელიძის აზრით, ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად ემთხვევა „არხონის პატივი და მოვალეობა“ ქართულ „მთავარს“, მაგრამ ქართული წესის შემდგენელს „მთავარი“ „არხონის“ შესატყვისად მიაჩნია<sup>2</sup>. კ. კეკელიძის ვარაუდით, განსხვავება „არხონსა“ და „მთავარს“ შორის ის უნდა იყოს, რომ „არხონი“ უმთავრესად მოხელეა, ხოლო „მთავარი“ თავისი სამთავროს უზენაესი გამგე<sup>3</sup>.

კ. კეკელიძე ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ „კურთხევა ერისთავისას“ ცერემონიალის ნაწილში წერია: ერისთავი შეიმოსა „ვითარცა შეუენის მეფეთა“. კ. კეკელიძე სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ „ძველი ერისთავის“ მიხედვით, იუსტიციანებმა ქსნის პირველი ერისთავი ვითომ „შემოსა სამოსლითა მით, რომელ ემოსა მაშინ მეფესა“<sup>4</sup>. ეს გარემოება იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ მთავრის დადგინების ბერძნულ წესში ასეთი რამ არ არის აღნიშნული, მაშასადამე, ერისთავისა თუ ერისთავთერისთავისათვის სამეფო სამოსელი ქართული წეს-ჩვეულებისათვის ყოფილა გათვალისწინებული.

ბერძნულიდან გადმოკეთებულ მთავართა დადგენის წესს ერთვის ლოცვა, რომელიც უმნიშვნელო სიტყვიერი ცვლილებით განმეორებულია ერისთავთა და „ცოტად“ ერისთავთა დადგენის წესში, ხოლო ერისთავთა წესში მოცემულია ორი ლოცვა, მეორე ლოცვა წინ უძღვის ერისთავთერისთავთა განწესებას<sup>5</sup>. ეს „წესები“ ლიტურგიკული ხასიათისაა, რამდენადაც ლოცვებისაგან შედგება, მაგრამ ლოცვებში მოცემულია დასადგენთა ფუნქციები, მათი მოვალეობანი<sup>6</sup>. ამ წესის მიხედვით, მთავარი უნდა განაგებდეს მისდამი „რწმუნებულ“ სამთავროს „სიწრფოებითა და სამართლითა“. ის უნდა სჯიდეს თავის ქვეშევრდომთ სამართლიანად, იყოს მწყალობელი „გლახაკთა და ნაკლულევეანთა და მსახურთა მისთა“<sup>7</sup>. ერისთავს ემორჩილებიან „ქვეშემყოფნი“, ის განაგებს სა-

1 კ. კეკელიძე. ვტიულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, 1955, გვ. 160.

2 იქვე, გვ. 161.

3 იქვე, გვ. 163.

4 იქვე, გვ. 161.

5 იქვე, გვ. 181.

6 იქვე.

7 იქვე, გვ. 162.

ერისთაოს „სიმართლითა და ჭეშმარიტებით“, ის უნდა იყოს სათნო და მოწყალე „გლახაკთა და ნაკლულევენთა“ მიმართ. ყველას უნდა აჩვენებდეს მოწყალეობას და „სასჯელსა სიმართლისას ჰყოფდეს უქრთამოდ“<sup>1</sup>.

ერისთავთერისთავის დადგინების ლოცვაში ერისთავთერისთავი არის ღვთის მიერ დამტკიცებული „ქუეყნისა და სოფლის“ მპყრობელად<sup>2</sup>, ღვთის ძალით მას მინიჭებული აქვს მკლავის ძალა, მტერზე გამარჯვება; ის უნდა იყოს თავისი ერის მწყალობელი, მართავდეს მას როგორც „მამა სახიერი“, ასწავლიდეს ღვთის მოყვარებას; ერისთავობის პატივი მას ავალებს ობლებსა და მოხუცებზე ზრუნვას, აგრეთვე ეკლესიის სამსახურს<sup>3</sup>.

„ცოტად“ ერისთავის დადგინების წესში „ცოტად“ არის თავის სოფლის „მპყრობელი“, ქვეშევრდომნი მას ემორჩილებიან, ის სჯის, ე. ი. ასამართლებს ქვეშევრდომთ „სიმართლით“ და „უქრთამოდ“; ის უნდა იყოს მოწყალე და ღვთის წყალობით ქვეშევრდომნი იქნებიან მის მორჩილებაში<sup>4</sup> (ეს განწესებანი, კ. კეკელიძის გამოცემის მიხედვით, გამოქვეყნებული აქვს ი. დოლიძეს)<sup>5</sup>.

ხსენებული წესები საყურადღებოა იმიტომ, რომ 1) მთავრებისა და ერისთავების დასადგენად არსებობდა გარკვეული წესი, ისე როგორც მეფის დადგენისათვის. მეფისა და ერისთავების დადგენას შორის, რასაკვირველია განსხვავებაა, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ კურთხევის, ანუ დადგენის წესი ერისთავებისათვისაც ყოფილა გათვალისწინებული.

2) მეფეს, მთავრებსა და ერისთავებს ეკლესია აკურთხებდა.

3) მთავრები და ერისთავები „მპყრობელები“ იყვნენ თავიანთი ქვეყნისა და კუთხისა. ამ წესებში მათი მეფესთან ურთიერთობა არც არის გათვალისწინებული, იმდენად დამოუკიდებლად არიან ისინი წარმოდგენილი.

„წესების“ მიხედვით, ეკლესია ეხმარება მთავრებსა და ერისთავებს, უკანასკნელნი ერთგულნი უნდა იყვნენ ეკლესიისა.

სათნოება, სამართლიანობა, გლახაკთა დახმარება, ბავშვებსა და მოხუცებზე ზრუნვა, რომლის შესახებაც საუბარია წესებში,

1 კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, 1955, გვ. 163.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 164.

4 იქვე.

5 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 54—57.

ქრისტიანული ქადაგების ცნობილი დებულებებია. ქრისტიანობა გაბატონებული კლასის იდეოლოგიური იარაღი იყო და ეს კარგად ჩანს ხსენებულ წესებშიც.

რა განსხვავებაა ერისთავსა და ერისთავთერისთავს შორის? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხომ არ იგულისხმება ის გარემობა, რომ ერისთავთერისთავი თავის საგამგებლო ქვეყანაში ერისთავების უფროსია?

ივ. ჯავახიშვილის აზრით, დიდი ქვეყნის სათავეს ედგა ერისთავთერისთავი, ხოლო მცირეს — ერისთავი<sup>1</sup>. ერისთავთერისთავს, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ემორჩილებოდნენ თავის საბრძანებელში დიდებულნი და აზნაურნი, როგორც ეს აღნიშნულია „ძეგლი ერისთავთაში“, მაშინ როდესაც დიდებულებზე ერისთავებს ხელი არ მიუწვდებოდათ<sup>2</sup>.

ძეგლის ავტორი თავის თავს „ქართლის ერისთავს“ უწოდებს<sup>3</sup>. გრიგოლის შვილი ბეგაიცი თავის თავს „ქართლის ერისთავად“ იხსენიებს<sup>4</sup>. გრიგოლის ძმა, მეაბჯრეთუხუცესი ივანე, ძმას უწოდებს „ქართლის ერისთავს“<sup>5</sup>.

ამავე ძეგლში ქართლის მთავარი ეპისკოპოსი გიორგი გრიგოლს ქართლის ერისთავად იხსენიებს<sup>6</sup>, ასევე იხსენიებენ მას ალავერდელი<sup>7</sup> და ბერი არსენიცი<sup>8</sup>. „დაწერილის“ სხვა დამამტკიცებელნი გრიგოლს მოიხსენიებენ ორივე სახელით: „ესე ვითა ერისთავთერისთავსა, გრიგოლ ქართლის ერისთავს“ დაუწერია და ჩვენც ვამტკიცებთ<sup>9</sup>. ან კიდევ: „ესე ვითა ერისთავთერისთავსა, ქართლის ერისთავსა გრიგოლს თავის ხელითა დაუწერია მღუიშოსათუის“ ვამტკიცებთ, წერს არსენ მანგლელი<sup>10</sup>. „ესე, ვითა ერისთავთერისთავს, ქართლის ერისთავს გრიგოლს“ დაუწერია ჩვენც ვამტკიცებთ, წერენ გარეჯის უღაბნოთა წარმომადგენლები<sup>11</sup>. მაშასადამე,

1 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. 11, ნაკვ. I, 1928, გვ. 10.

2 იქვე, გვ. 204—205.

3 ქართული სამართლის ძეგლები, 11, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 39.

4 იქვე, გვ. 40.

5 იქვე.

6 იქვე, გვ. 41.

7 იქვე.

8 იქვე, გვ. 43.

9 იქვე, გვ. 40.

10 იქვე, გვ. 42.

11 იქვე.

ძეგლის მიხედვით, გრიგოლ სურამელი ხან ერისთავთერისთავად და ქართლის ერისთავად იწოდება, ხან კიდევ ერისთავად. ძეგლი ამ განსხვავებულ წოდებებს არსებითად არ თვლის, თორემ ყველა შემთხვევაში ერთი ტიტულით იქნებოდა გრიგოლი მოხსენიებული. მაშასადამე, ქართლის ერისთავის ერთი წოდებულება იყო ერისთავთერისთავობა, მეორე ერისთავობა. ეს განსხვავებული წოდებანი ივ. ჯავახიშვილის აზრით, იმას უნდა ემყარებოდეს, რომ ერისთავს მცირე ქვეყანა უჭირავს, ხოლო ერისთავთერისთავს — დიდი. მაგრამ ერთი და იგივე ქვეყნის ერისთავი რატომ ატარებდა ორთავ ტიტულს? დიდსა და მცირე ქვეყანას შორის ხომ დიდი განსხვავებაა (იმის მიხედვით, თუ რამდენად დიდია ან მცირე საერისთაო). შესაძლებელია, ერისთავთერისთავი ეწოდებოდა ქართლის ერისთავის გარდა სანაპირო ქვეყნების ერისთავებს. თამარის მეორე ისტორიკოსს ჩამოთვლილი აქვს სანაპირო ქვეყნები: ძორაკერტი, ტაშირი, ჯავახეთი, არტაანი, შავშეთი და სხვ<sup>1</sup>. საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს მიხედვით, მონაპირე იგივე ერისთავი იყო<sup>2</sup>. ერისთავი ხშირად შთავრალაც იწოდებოდა.

ადრეფეოდალურ პერიოდში ერისთავები ერისმთავარს ემორჩილებოდნენ. მეფობის აღდგენისა და მეფე არჩილის ლეგენდარული რეფორმის შემდეგ სამეფო ორად გაიყო: სამეფოდ და საერისთაოდ. მეფეს ჰქონდა სახასო მამულები, სამეფო მიწები. როგორ განაგებდა ის მამულებს? „კელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მეფის მამულებს მოხელეები განაგებდნენ (მაგალითად, მოურავი)<sup>3</sup>.

ძეგლის მიხედვით, გრიგოლ ქართლის ერისთავს ჰყავს მოურავი<sup>4</sup>, მამასახლისი, ციხისთავი, გზირი, მსახური და სხვ<sup>5</sup>. ასეთივე შტატი და კიდევ უფრო სრული ჰყავდა მეფესაც. მეფეს ჰყავდა აგრეთვე სამოხელეო შტატი, ვითარცა სუვერენს, საჯარო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელს.

იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის ერისთავის დადგენის

1 ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1959, გვ. 129—130; საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 211—212.

2 საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 211.

3 ქართული სამართლის ძეგლები, I, ხელმწიფის კარის გარიგება; 2. დასტურლამალი, ი. სურგულაძის რედ., 1970, გვ. 42.

4 ქართლის სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 43.

5 ი ქვე, გვ. 38.

წესში ერთად მოცემული ერისთავი და ერისთავთერისთავი. კ. კეკელიძე ეხება ამ ორი ინსტიტუტის ურთიერთობის საკითხს და აღნიშნავს, რომ წყაროების მიხედვით, მათ შორის არ არის განსხვავება, „ამ ინსტიტუტის წარმომადგენელს ხან ერისთავი ეწოდება, ხან ერისთავთერისთავი“<sup>1</sup>.

საინტერესოა აგრეთვე ერისთავების განწესება — „ცოტაა ერისთავი“. „ცოტაა“ — ერისთავის მიმართ მცირეს ნიშნავს. რასაკვირველია, ერისთავებს შორის დიდი განსხვავება იყო: ზოგი მათგანი დიდი ქვეყნის პატრონი იყო, ხოლო ზოგი მცირესი. საქმე ისაა, რომ არსად წყაროებში, სამართლიანად აღნიშნავს კ. კეკელიძე, მცირე ან პატარა, ან „ცოტაა“ ერისთავი არ გვხვდება<sup>2</sup>. საგულისხმოა, რომ პატარა ერისთავები ერისთავებს ექვემდებარებოდნენ. მართებულად აღნიშნავს კ. კეკელიძე, რომ მცხეთის ორენოვან წარწერაში მცირე პიტიახშია ნახსენები, პიტიახში კი ერისთავი იყო<sup>3</sup>, მაშასადამე, ერისთავთა ასეთი ლიფერენცირება სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს.

საჭიროა უფრო დაწვრილებით გავარკვიოთ მთავრისა და სხვადასხვა რანგის ერისთავის შინაარსი. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ერისთავებს მთავრებსაც უწოდებდნენ. „ვესტათი მცხეთელის“ წამების მიხედვით, მთავარი ეწოდებოდა დიდ მოხელეებსა და მსხვილ ფეოდალებსაც.

გაერთიანების ხანაში (X—XV სს.) მეფის ხელისუფლება ცდილობს მთავრების, და მათ შორის ერისთავების მოხელეებად გადაქცევას. ამ პერიოდში სავაზიროს დაარსება მეფის ხელისუფლების გაძლიერების საქმეს ემსახურებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ვაზირობის სახელოში მთავარმა სძლია მოხელეობას, ე. ი. სამართლის კერძო საწყისმა გაიმარჯვა საჯაროზე. მეფის ხელისუფლება დამარცხდა მსხვილ ფეოდალებთან ბრძოლაში. ისინი მეფის ხელისუფლებისაგან თანდათანობით დამოუკიდებლობას აღწევენ. უფრო გვიან, საქართველო სამეფოებად და სამთავროებად დაიყო და მთავრები ამა თუ იმ პერიოდში სუვერენის როლშიც გვევლინებიან (სამეგრელოს მთავარი, გურიის მთავარი და სხვა). ამჟამად ჩვენთვის საყურადღებოა ერისთავების დაყოფა-ლიფერენცირება.

„აბოს მარტვილობაში“ აღარნახეს შემდეგ მისი შვილი ნერსე

<sup>1</sup> კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 111, 1955, გვ. 159.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.



ერისმთავრად მოიხსენიება<sup>1</sup>. ერისთავთერისთავი, როგორც ვიცით, პირველად „გობრონის მარტვილობაში“ გვხვდება.

„გობრონის მარტვილობა“ დაუწერია სტეფანე მტბევეარს აშოტ ერისთავთერისთავის შეკვეთით 914—918 წლებში<sup>2</sup>. ამავე ძეგლის მიხედვით, ყველის ციხე ეკუთვნოდა გურგენ ერისთავთერისთავს<sup>3</sup>. აშოტ კუხი (896—918 წწ.) შვილი იყო გურგენ I კურაპალატის, აშოტ I დიდის შვილიშვილისა. აშოტ კუხი ატარებდა ერისთავთ-ერისთავის ტიტულს და განაგებდა შავშეთ-არტაანს, სამცხესა და აჭარას; მისი სამფლობელოს ცენტრი იყო შავშეთ-არტაანი<sup>4</sup>, რეზიდენცია კი ტბეთი; ამ აშოტ ერისთავთერისთავმან ხანძთას ახალი ეკლესია ააშენა<sup>5</sup>. მას, როგორც ერისთავთერისთავსა და ეკლესიის მამულებელს, იხსენიებს სუმბატ დავითის ძე<sup>6</sup>.

აშოტის გარდაცვალების შემდეგ მისი მემკვიდრე გახდა აშოტის ძმისშვილი გურგენი, რომლის შესახებ გიორგი მერჩულე წერს: „ხოლო გურგენ, ძმისწული აშოტისი, დიდი იგი ჯელმწიფე ფრიადითა ნათესავთაჲ, ღმრთის მიერ დაჯდა ერისთავთერისთავად და მან განასრულა ეკლესია იგი ახალი ხანძთისაჲ“<sup>7</sup>. აშოტის მემკვიდრეს, გურგენ ერისთავთერისთავს (918—941 წწ.) „დიდის“ სახელწოდება მიუღია, მას უწოდებენ აგრეთვე ხელმწიფეს. გურგენს გაუფართოვებია საქართველოს საზღვრები<sup>8</sup>. იგი, როგორც დიდი ერისთავთერისთავი, მოხსენიებული ჰყავს სუმბატ დავითის ძეს<sup>9</sup>. გურგენის ძმა დავითი ერისთავთერისთავი იყო<sup>10</sup>.

1 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ს. ყუბანეიშვილის რედ., 1946, გვ. 60.

2 იქვე, გვ. 80.

3 იქვე, გვ. 81.

4 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 99.

5 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ს. ყუბანეიშვილის რედ., 1946, გვ. 121.

6 სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, ე. თაყაიშვილის რედ., 1959, გვ. 65.

7 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ს. ყუბანეიშვილის რედ., 1946, გვ. 121—122.

8 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, 1955, გვ. 100—103.

9 სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებითა და ორი გენეალოგიური ტაბულით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ე. თაყაიშვილმა, 1949 (საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 27, გვ. 65).

10 იქვე.

ბაგრატ IV ასევე ატარებდა ერისთავთერისთავის ტიტულს<sup>1</sup>. „მატიანე ქართლისაში“, X საუკუნის ამბებთან დაკავშირებით, მოხსენებულია „ერისთავთერისთავი გოდერძი“ (კახეთის)<sup>2</sup>.

გიორგი მერჩულეს გადმოცემით, მისი შრომა (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება) დაიწერა 950 წელს; ამ დროს გიორგი მერჩულე საქართველოს მფლობელთა შესახებ წერს: „ქართველთა ზედა მთავრობასა აშოტ კურაპალატისასა, ძისა ადარნესი ქართველთა მეფისასა, აფხაზთა ზედა მეფობასა გიორგისასა, ძისა კონსტანტი მეფისასა, ერისთავთა-ერისთავობასა სუმბატისასა, ძისა ადარნერსე მეფისასა, მაგისტროსობასა ადარნესესა, ძისა ბაგრატ მაგისტროსისასა, ერისთავობასა სუმბატისასა, ძისა დავით მამფლისასა“<sup>3</sup>.

გიორგი მერჩულეს პირველად მოხსენიებული ჰყავს იბერიის სამეფოს სუვერენი მთავრის ტიტულით. პირველად მოხსენიების საფუძველი ისიც არის, რომ იბერიის მეფე, ავტორის მიხედვით, ქვეყნის ხელმწიფეა. საყურადღებოა, რომ აშოტ კურაპალატი მთავარია, ხოლო მისი მამა ადარნასე მეფის ტიტულით არის მოხსენიებული. ამის მიზეზი შეიძლება საგარეო ვითარება, სახელდობრ, ბიზანტიასთან ურთიერთობა იყოს<sup>4</sup>.

გიორგი მერჩულეს შემდეგ დასახელებული ჰყავს აფხაზეთის მეფე გიორგი, მეფე კონსტანტინეს ძე, მას მოსდევს ერისთავთერისთავი სუმბატი, ადარნასე მეფის შვილი, შემდეგ მაგისტროსი ადარნასე და ბოლოს დასახელებულია ერისთავი სუმბატი, დავით მამფლის შვილი. ჩამოთვლილ პირებს შორის ორი პირველი ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელია (მთავარი და მეფე), რაც შეეხება ერისთავთერისთავს, ის ნომინალურად მაინც, იბერიის მთავარს უნდა სცნობდეს სენიორად, მით უფრო, რომ მაგისტროსი და ერისთავი მთავრის ვასალებია. მაშასადამე, X საუკუნეში ერისთავთერისთავობის მატარებელი მსხვილი ფეოდალი მთავარია როგორც პირველი თანასწორთა შორის.

საქართველოს გაერთიანების შედეგად, მეფის ხელისუფლება გაძლიერდა და ერისთავთერისთავი მეფის მოხელე შეიქნა.

1 სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებითა და ორი ვენეოლოგიური ტაბულით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ე. თაყაიშვილმა, 1949 (საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 27, გვ. 67).

2 ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 300.

3 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ს. ყუბანეიშვილის რედ., 1946, გვ. 154.

4 ბ. ი ნ გ ო რ ო ყ ე ა. გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 107—108.

თაძარის დროს იყვნენ შემდეგი ერისთავები: ბარამ ვარდა-  
ნიძე — სვანთა ერისთავი, კახაბერი კახაბერისძე — რაჭისა და  
თაკვერის ერისთავი, ოთალო შარვაშის ძე — ცხუმის ერისთავი,  
ამანელის ძე — არგვეთის ერისთავი, ოდიშის ერისთავი ბედიანი,  
ქართლის ერისთავი რატი სურამელი, კახეთის ერისთავი ბაკურ-ყმა  
ძაგანის ძე, ჰერეთის ერისთავი გრიგოლის ძე ასათ და სამცხის  
ერისთავი ბოცო ჯაყელი<sup>1</sup>. ჩამოთვლილი ერისთავები ერისთავთ-  
ერისთავებია, ეს იქიდანაც ჩანს, რომ რატი ქართლის ერისთავი  
იმავე ისტორიკოსს მოხსენიებული ჰყავს ამავე შრომის სხვა ადგი-  
ლას როგორც ქართლის ერისთავთერისთავი<sup>2</sup>. ერისთავთერისთავი  
მეფის ხელისუფლებისაგან თანდათან დამოუკიდებლობას აღწევს.  
გრიგოლ ერისთავთერისთავი კი უმეფობის ხანაში მხოლოდ მონ-  
ლოლთა ხელისუფლებას ცნობს.

„მატიანე ქართლისას“ მიხედვით, აფხაზთა მეფემ გიორგი  
I-მა, რომელიც იყო ძე ლეონისა, ძმა თეოდოსისა და დემეტრესი,  
„დაიპყრო ქართლი“ და მისცა ერისთაობა დემეტრეს ძეს<sup>3</sup>. აფხაზ-  
თა მეფე გიორგი II-მ „მისცა ქართლი ძესა თუსსა უნუცესსა კოს-  
ტანტის“<sup>4</sup>. იმავე აფხაზთა მეფის გიორგი II-ის შვილი ლეონი იყო  
„ერისთავი ქართველისა“<sup>5</sup>.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „საყურადღებოა, რომ აფხაზთა მე-  
ფეები თავდაპირველად ქართლის ერისთავთერისთავებად თავიანთ  
უფლისწულებს ნიშნავდნენ“<sup>6</sup>. ეს იმიტომ არის საინტერესო, რომ  
ქართლის ერისთავთერისთაობა განსაკუთრებით საპატიოდ ითვლე-  
ბოდა და ეს ასე იყო როგორც X საუკუნეში, ისე გაერთიანების  
ებოქაში.

ჩვენის აზრით, ერისთავთერისთავებსა და ერისთავებს შორის  
არ შეიძლება ყოფილიყო უფროს-უმცროსობა, ე. ი. ადმინისტრა-  
ციული დაქვემდებარება, არც სენიორალურ-ვასალური ურთიერ-  
ობა. ერისთავთერისთავები და ერისთავები, როდესაც ოსინი  
მოხელეები იყვნენ, ექვემდებარებოდნენ მხოლოდ სუვერენს. რაც  
შეეხება მცირე ერისთავებს, ანუ „ცოტა“ ერისთავებს, ასეთი  
ერისთავები წყაროებში არ გვხვდება, მაგრამ ეს უფრო შემთხვე-

1 ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 33—34.

2 იქვე, გვ. 32.

3 იქვე, გვ. 258.

4 იქვე, გვ. 266.

5 იქვე, გვ. 268.

6 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, 1928,

ვითი გარემოებით უნდა აიხსნას და ისინი სინამდვილეში უნდა ყოფილიყვნენ, მით უფრო, რომ მათი „დადგინების წესი“ შეუღვენიათ; მცირე ერისთავი, როგორც ერისთავი და როგორც მოხელე, მეფის ხელისუფლებას ემორჩილებოდა. ერისთავთერისთავის ან ერისთავის საგამგებლო ტერიტორიაზე შეიძლება ყოფილიყო მცირე ერისთავი და სავარაუდოა, ის ერისთავთერისთავს ან ერისთავს ექვემდებარებოდა.

ლეონტი მროველი, რომელიც ჩამოთვლის ფარნაგაზის მიერ განწესებულ ერისთავებს თუ ერისთავთერისთავებს, მათდამი დაქვემდებარებულ მოხელეებში მოიხსენიებს სპასალარებსა და ათასისტავებს<sup>1</sup>. მაშასადამე, ლეონტი მროველი ერისთავს არ თვლის ერისთავთერისთავისადმი დაქვემდებარებულ მოხელედ.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ერისთავთერისთავს ჰყავდა „ქვეშეთი მოხელეები“, „მათ შორის, რასაკვირველია, იყვნენ ყველა მის თემის ერისთავნი“<sup>2</sup>. ამასთანავე, ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს გელათის სახარების ერთი მინაწერი: „ყოველნი ერისთავნი და აზნაური, მღვდელნი და ყოველნი მსახურნი ერისთავთერისთავისა“<sup>3</sup>. ამ ამონაწერიდან გამომდინარეობს, რომ ერისთავები ერისთავთერისთავებს ექვემდებარებოდნენ. გელათის სახარების ეს მინაწერი თ. ჟორდანიას დათარიღებული აქვს 1047—1053 წლებით<sup>4</sup>. IX—XI საუკუნის ერისთავთერისთავებს, როგორც ჩანს, ექვემდებარებოდნენ ერისთავები, მაგრამ მეფის ხელისუფლების გაძლიერების ხანაში ერისთავთერისთავები და ერისთავები, ალბათ, მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ. მცირე ერისთავები კი შეიძლება ერისთავების ქვემდებარენი იყვნენ.

ივ. ჯავახიშვილი მართებულად აღნიშნავს, რომ ერისთავთერისთავთა შორისაც იყო განსხვავება: „ყველა ერისთავთერისთავთა საგამგეო ერთნაირ ღირსებითად არ ითვლებოდა; მათ შორის ზოგი უფრო საპატიოდ იყო ცნობილი, ზოგს კიდევ ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა“. ი. ჯავახიშვილის აზრით, „საერისთავო-საერისთავოთა, ანუ სამთავროთაგან ყველას მეფის ხარისხი ებყრათ და უაღრესად საპატიოდ ისეთი ადგილები ითვლებოდნენ, რომელნიც წინათ მეფეთა საჯდომებად და სამეფოებად იყვნენ“<sup>5</sup>. ასეთი

1 ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 24—25.

2 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. 1, 1928, გვ. 266.

3 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, 1913, გვ. 468.

4 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, 1892, გვ. 191.

5 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. 1, 1928, გვ. 212.

იყო გუზანი, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, „რომელი ძუ-  
ელთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილსა ზედა შეეწყალა  
პატრონსა“<sup>1</sup>, თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, ზაქარია  
მხარგრძელი იყო „მჯდომი სომეხთა მეფისა ადგილსა“<sup>2</sup>. ივ. ჯავა-  
ხიშვილი განაგრძობს: „თუმცა სხვები მოხსენიებულნი არ არიან,  
მაგრამ საფიქრებელია, რომ სრულიად საქართველოს ყველა იმ  
საერისთავთ-საერისთაოების ადგილებიც, რომლებიც წინათ, გა-  
ერთიანებამდე დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ითვლებოდნენ,  
როგორც მაგ., კახთა და რანთა სამეფო და სხვა, განსაკუთრებით  
საპატიო სახელისუფლოდ იყვნენ ცნობილნი და ამ სახელოთა მქო-  
ნელნიც მეფეთა ადგილსა მჯდომად იყვნენ ცნობილნი“<sup>3</sup>.

გრიგოლ ერისთავთერისთავს ჰყავს თავისი მოხელეები: ცი-  
ხისთავი, მამასახლისი, გზირი და სხვ<sup>4</sup>. რასაკვირველია, აქ ერის-  
თავთერისთავის ყველა მოხელე არ არის ჩამოთვლილი, ისეთ დიდ  
მთავარს, როგორც იყო ქართლის ერისთავთერისთავი, თავისი  
სამდივნო უსათუოდ ექნებოდა. ვიცით, რომ „მატიანე ქართლისას“  
მიხედვით, თრიალეთის მფლობელს, ერისთავთერისთავს ლიპარიტს  
თავისი მწიგნობართუხუცესი ჰყავდა<sup>5</sup>.

ციხისთავის შესახებ ცნობები ნაკლებად გვაქვს შემონახული.  
„ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ (VI ს.) მიხედვით, ქალაქ  
მცხეთას განაგებდა ციხისთავი, მასვე ექვემდებარებოდა შედარე-  
ბით წვრილი სამოსამართლო საქმეები<sup>6</sup>. X საუკუნესა და გაერთი-  
ანების ხანაშიც არიან ციხისთავნი, ანუ „ციხის უფალნი“<sup>7</sup>. ცნობი-  
ლია ატენის ციხისთავი, მუხრანის ციხისთავი და სხვა<sup>8</sup>. როგორც  
ჩანს, ციხისთავები ციხეებს განაგებდნენ, აგრეთვე პატარა ქალა-  
ქებსაც<sup>9</sup>.

გრიგოლ ერისთავთერისთავი წერს: „დავთმე საციხოჲ სა-

1 ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 49.

2 იქვე, გვ. 55.

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, 1928, გვ. 212.

4 ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 37—38.

5 ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 305.

6 ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, I, 1964, გვ. 31—32.

7 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 307.

8 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, 1928, გვ. 207

9 იქვე.

მართალი“<sup>1</sup>. სიგელი წარმოადგენს შეწირულობითი შინაარსის ან-  
დერძს, რომელიც მონასტერს შეუვალობას ანიჭებს. ამ შემთხვევა-  
ში ძეგლის ციტირებული ადგილი ისე უნდა გავიგოთ, რომ გრიგოლ  
ერისთავთერისთავმა შიომღვიმის მონასტრის სასარგებლოდ უარი  
თქვა მისი მოხელის — ციხისთავის სამოსამართლო შემოსავალზე  
ან კიდევ მონასტრის ყმებისათვის ციხისთავისათვის დაწესებულ გა-  
დასახადზე. ძეგლში მოხსენიებული მამასახლისი მხოლოდით რიცხვ-  
შია, ისე როგორც „ძეგლი ერისთავთაში“. ამიტომ სავარაუდოა, რომ  
ძეგლის მიხედვით, საქმე გვაქვს არა სოფლის მამასახლისთან, არა-  
მედ ისეთთან, როგორიც გათვალისწინებულია „პეტრიწონის მო-  
ნასტრის წესდებაში“ და „ვესტატი მცხეთელის მარტილობაში“<sup>2</sup>.

ძეგლში მოხსენიებულია მესაბანჯრე — ცხერის ფარის ძოვე-  
ბისათვის გათვალისწინებული საბანჯაროს გადასახადის ამკრეფი<sup>3</sup>.  
გზირი, რომელიც მოხსენიებულია ძეგლში, ადმინისტრაციული  
შინაარსის დაბალი მოხელეა — ბრძანების ადგილზე მიმტანი და  
გამომცხადებელი.

✓ ძეგლში გათვალისწინებულია სასამართლო საქმეების გარ-  
ჩევა:

1. თუ ერისთავისა და მღვიმის ყმები ერთმანეთს წაეკიდნენ,  
მათი სასამართლო შემოსავალი უნდა განაწილდეს ერისთავის მამა-  
სახლისსა და მონასტრის მოხელეს შორის: ერისთავის ყმისაგან  
მამასახლისმან აიღოს, ხოლო მონასტრის ყმისაგან — მონასტრის  
მოხელემ<sup>4</sup>.

2. თუ დასაურვებელი, ე. ი. სისხლის სამართლის საქმე კჳონ-  
დეს ერისთავისა და მონასტრის ყმებს ურთიერთშორის, ერისთავის  
მამასახლისმა და მღვიმის მოხელემ „მართლითა სამართლითა დაუ-  
ურვონ“<sup>5</sup>. დაურვებას, ე. ი. სისხლის განსაზღვრას ორი მოხელე  
გააკეთებს ერთმანეთთან შეთანხმებით.

3. თუ მღვიმის კაცს ერისთავის კაცის სისხლი დაედვას, მღვი-  
მის ხელისუფალმა სისხლის ფასი გადასცეს ერისთავის კაცს, რო-  
გორც მონასტრის წესია, თუ პირიქით მოხდა, ამას ერისთავის მო-  
ხელე შეასრულებს.

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 37.

2 ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე. მამასახლისობის ინსტიტუტის შესახებ („მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1972, № 4).

3 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 37.

4 ი ქ ე ე.

5 ი ქ ე ე.

4. სხვა მხრივ, ერისთავის მამასახლისი მონასტრის ყმებს გადასახდევინებლად ვერ მიადგება, მონასტრის საქმეებში ვერ ჩაერევა, მხოლოდ „შუა ჩამოდგების“ დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის და როგორც მონასტრის ხელისუფალი იტყვის, მამასახლისი იმას გააკეთებს.

5. თუ მღვიმის ყმას პარვა, ქურდობა დაუმტკიცდება, დამნაშავეს შეიღმაგი გადახდება: დამკარგავს დაუბრუნდება თავნი, ე. ი. ის, რაც დაკარგა, ხოლო შეიღმული ზღვევინება, რაც გათვალისწინებულია ქურდობისათვის, ის საერისთაოა, ე. ი. შეიღმაგი ღირებულება მონაპარისა დამნაშავეს გადახდება როგორც ჯარიმა ერისთავთერისთავის სასარგებლოდ და ამ შეიღმაგ ღირებულებაზე, ე. ი. ჯარიმაზე ერისთავთერისთავი გრიგოლი ხელს იღებს და უთმობს მონასტერს.

6. თუ მღვიმის ყმას მიაყენეს ვნება, აწყინეს რაიმე, ამის შესახებ ერისთავის მამასახლისი იურვის, ე. ი. ასეთი საქმეები ერისთავის მამასახლისს ექვემდებარება და გადასახდელსაც ერისთავის სასარგებლოდ აიღებს. ამ შემთხვევაში, წერია ძეგლში, ერისთავის მამასახლისი ისევე მოიქცევა, როგორადაც ის იქცევა, როცა ქვათახევის გლეხების საქმეებს არჩევს.

7. სხვა მხრივ შიომღვიმის მონასტერი თავისუფალია ერისთავის გადასახადებისაგან: „სხუაი ყოველი ამიკლია ჩუენი ბეგარაი და გაგუიშვია“<sup>1</sup>.

ძეგლში პირდაპირ ნათქვამია, რომ მონასტერი „შეუვალი“ არის ჩენი მოხელეებისაგანთ. შეუვალობა, ანუ იმუნიტეტი ძეგლში განსაზღვრულია. გრიგოლი წერს, რომ შეუვალობა მან მონასტერს მისცა, რათა მონასტერმა მისთვის სულის მოხსენიება დააწესოს. შეუვალობასთან დაკავშირებით გრიგოლი ჩამოთვლის იმ მოხელეებს, რომლებიც ვერ „შეკლენ“, ე. ი. ვერ ჩაერევიან მონასტრის საქმეებში, ვერ შეაწუხებენ მონასტერს; ესენია: მამასახლისი, ციხისთავი, გზირი, მსახური და საერთოდ, ვერც ერთი „ხელისუფალი“<sup>2</sup>.

ამასთანავე, გრიგოლი მიმართავს მომავალთა შვილებს, შვილისშვილებს, რომლებმაც უნდა დაიცვან მის მიერ მონასტრისათვის მიცემული შეუვალობა. ამ შემთხვევაში საყურადღებოა შემდეგი: ერისთავთერისთავი მიმართავს ყველას, შეასრულონ მისი დაწერი-

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ.38.

2 • ქვეყ.

ლი, ხოლო თუ ვინმემ დაარღვია ის, ამის ნება არ უნდა მისცეს მომავალში გრიგოლის „სახლის პატრონმან“<sup>1</sup>. სახლი ამ შემთხვევაში მისი საფუძვალად, მისი სამთავროა და საინტერესო ის არის, რომ გრიგოლ ერისთავთერისთავი აქცენტს აკეთებს სწორედ „სახლზე“, ე. ი. სამთავროზე. ერისთავთერისთავი ამ შემთხვევაში მოხელე კი არაა, მთავარი, მსხვილი ფეოდალია.

გრიგოლ ერისთავთერისთავი თავის „დაწერილს“ „ანდერძსაც“ უწოდებს. იგი მიმართავს ძმას ივანეს და შვილს ბეგას, რომ მეოთხედ მიდის სალაშქროდ და სთხოვს, მტკიცედ დაიცვან მისი ანდერძი.

არსებობდა კანონით მემკვიდრეობა და ანდერძითი. თუ ანდერძი არ არსებობდა, მემკვიდრეობის დამტოვებლის გარდაცვალების შემთხვევაში მემკვიდრეობა იხსნებოდა, ე. ი. მემკვიდრეობა გადადიოდა კანონით ან ჩვეულებითი სამართლის ნიერ ვათვალისწინებული წესით, შვილებზე, ძმაზე და სხვა. მაგრამ თუ მემკვიდრეობის დამტოვებელს უნდოდა სხვაგვარად მოეგვარებია მემკვიდრეობის დატოვება, მაშინ ის წერდა ანდერძს.

ანდერძში ნებისგამოცხადება განსაზღვრული ფორმით ხდებოდა. ეს გარემოება კარგად არის გამოხატული გრიგოლ ერისთავთერისთავის ანდერძში: „ეს ყოველი ჩემითა ნებითა დამიწერია, სრულითა ცნობითა, სიმრთელესა შინა ტანისა ჩემისასა, მე ქელითა ჩემითა ძესა სულკურთხეულისასულა ქართლისა ერისთავთერისთავისასა, დიდად ვალიანსა ჩემსა სახლსა ზედა, მარჯუნით დგომასა ძმისა ჩემისა ივანესსა და წინა დგომასა ძისა ჩემისა ბეგასსა“<sup>2</sup>.

მაშასადამე, ანდერძის დამტოვებელი აღნიშნავს, რომ ანდერძი მან დატოვა თავისი ნებით, ყოველგვარი იძულების გარეშე; ამასთანავე, ანდერძის დაწერის დროს ის სრულიად ჯანმრთელი იყო. ჯანმრთელობა აქ იმიტომ არის აღნიშნული, რომ შესაძლებელია, სავსებით დასუსტებული ადამიანი ადვილად მოექცეს სხვისი გავლენის ქვეშ ან სულიერად ჯანმრთელი არ იყოს.

საყურადღებოა, რომ გრიგოლი ანდერძს საკუთარი ხელით წერს. ის აღნიშნავს: „დავწერე ხელითა ჩემითა“<sup>3</sup>. თუ ანდერძს, მისი დამტოვებელი არ დაწერდა თავიდან ბოლომდე, ყოველ

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, კვ. 39.

2 იქვე, კვ. 38.

3 იქვე, კვ. 39.



შემთხვევაში დასაწყისის, უფრო კი დასასრულს საკუთარი ხელით წერდა.

გრიგოლ ერისთავთერისთავის ამ ანდერძის მიხედვით, ანდერძისათვის საჭირო ყოფილა აგრეთვე მოწმეები.

ანდერძის მიხედვით, მონასტერს უყილია სოფელი გავაზელნი ფავნელთაგან. გრიგოლ ერისთავთერისთავს მონასტრის ნასყიდი სოფელი უსამართლოდ დაუბეგრავს. შიომღვიმის მონასტერს გრიგოლისათვის, როგორც ზემოთ ვთქვით, ძვირფასი საჩუქრები მიუერთმეგია, რომ ფავნელთაგან ნასყიდი სოფელი ისეთივე იურიდიულ რეჟიმში დარჩენილიყო, როგორც ამ სოფლისათვის ფავნელთა ნასყიდობის წიგნში იყო გათვალისწინებული. საჩუქრებისა და ფულის გარდა, რომელიც მონასტერს გრიგოლისათვის მიუცია, „ოცი ღუკატი მისთა (ე. ი. გრიგოლისათ, ი. ს.) ყმათა მოურავისა-ცა შიმიცემია, წერს მონასტრის წარმომადგენელი, მართ გავაზელთა საქმისათეს, რომელ სამართლისა ნახევარსა აიღებდეს“, როგორც ეს „დადებული“ იყო გრიგოლის მამის — სულა ერისთავთერისთავის დროსო<sup>1</sup>. ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს ტერმინი „მოურავი“. მოურავი გვიანფორმალურ საქართველოში კონკრეტული სახელი იყო: იყვნენ ქალაქის მოურავები. ამ შემთხვევაში კი მოურავი მოხელის ზოგადი სახელი უნდა იყოს. თვითონ გრიგოლი ჩამოთვლის მოხელეებს: ციხისთავს, მამასახლისს და გზირს. ხოლო მონასტრის წარმომადგენელი ამ სახელოებს „მოურავის“ სახელწოდებით იხსენიებს. ასევე ზოგადი მნიშვნელობით იხმარება ეს ტერმინი „ხელმწიფის კარის გარიგებასა“ და სხვა ძეგლებში<sup>2</sup>.

გრიგოლ ერისთავთერისთავის ძმა ივანე მეაბჯრეთუხუცესობით არის მოხსენიებული. რასაკვირველია, ის მეფის მეაბჯრეთუხუცესი იქნებოდა და შას მეფის მეაბჯრენი ექვემდებარებოდნენ. იგი სამხედრო შინაარსის სახელო იყო და ამირსპასალარის სახელისუფლოში შედიოდა<sup>3</sup>.

საეკლესიო ხელისუფალთაგან მოხსენიებულია: ქართლის კათალიკოსი, ქართლის მთავარეპისკოპოსი ალავერდელი, მანგლელი,

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 43.

2 ქართული სამართლის ძეგლები. I. ხელმწიფის კარის გარიგება, 2. დასტურლამალი, ივ. სურგულაძის რედ., 1970, იხ. ლექსიკონებში — „მოურავი“, გვ. 183, 801—811; გვ. 103—106.

3 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, 1928, გვ. 151—152; ქართული სამართლის ძეგლები. ი. სურგულაძის რედ., 1970, გვ. 181.

გარეჯის უდაბნოს წარმომადგენელი, შიომღვიმის მონასტრის მთავარი და შიომღვიმის ბერი — არსენი<sup>1</sup>. სამართლის შინაარსის ტერმინებიდან ძველში გვხვდება: ნასყიდი, კანონი, სამართალი, უსამართლო, თავსდებობა, ხელისუფალი, სასჯელი, პატიჟი, გაპატიჟება და სხვა<sup>2</sup>.

**შეწირულების დაწერილი მეგობრულთხუხუცეს კახა  
თორელისა რკონის მონასტრისაღმრ (1259 წ.)**

სიგელი მრავალმხრივ არის საყურადღებო. რკონის ამ სიგელში საუბარია ნასყიდობის განსაკუთრებულ რეჟიმზე. კახა თორელი წერს, რომ მისმა მამამ დიდძალი მამულები დაუტოვა, მაგრამ რკონის მონასტრისათვის შესაწირი მამული მან მაინც იყიდა. შეილი არა ჰყავს, ამბობს თორელი, მაგრამ შეიძლება მომეცეს და არ მინდოდა ჩემი მამისეული ქონება მისთვის დამეკლო. ვთქვათ შეილი არ მომეცა, მაშინ ჩემს ძმებს გადაეცემა ჩემი მამული და ქონება, ხოლო მამისეული რომ შემეწირა, მაშინ მემკვიდრეებს დააკლდებოდათ და მათ „არ ვემართლები“<sup>3</sup>. ამიტომაც სოფელი ხოვლე, შემოგწირე და ეს იმიტომ გავაკეთე, რომ მონასტრისათვისაც შეუღებელი იქნებოდა ასეთი შეწირულობაო. აქ საყურადღებოა საკუთრების სხვადასხვა სახე: მემკვიდრეობით მიღებული ქონება, მამისეული მემკვიდრეობა ერთგვარად საერთოა მემკვიდრეებისათვის. ასეთ საკუთრებაზე პრეტენზია აქეთ მემკვიდრეებს. ამ შემთხვევაში მამისეული ქონება კახას ეკუთვნის, რომელსაც შეილი არა ჰყავს, მაგრამ შეიძლება ეყოლოს. ძმები კი ჰყავს. ამ შემთხვევაში საინტერესო ის არის, რომ ანდერძის დამტოვებელი ერთგვარად შეზღუდულია სამემკვიდრეო ქონებით.

კახა თორელი, მართალია, წერს, მამისეული ქონების შეწირვა „კელმეწიფებოდაო“, მაგრამ იქვე დასძენს: არ „ვემართლებოდი“ კანონით მემკვიდრეებს ასე მოქცევასო, ე. ი. სამემკვიდრეო ქონების განსხვავებასო.

ნასყიდი ქონება, როცა ის მემკვიდრეებზე გადადის, სამემკვიდრეო ხდება. სამემკვიდრეო ქონება საოჯახო, საერთო იყო.

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 28—43.

2 იქვე, გვ. 39—43.

3 იქვე, გვ. 57—58.

მემკვიდრეობის დამტოვებელი, მართალია, ამ ქონების მფლობელია, მაგრამ ანგარიში უნდა გაუწიოს მემკვიდრეებს. კახა თორელი წერს, შესაწირავი იმიტომ ვიყიდე, რომ კანონით მემკვიდრეებისაგან შეუღავებელი იყოსო. ეს ნიშნავს, რომ კანონით მემკვიდრეებს მემკვიდრეობის გახსნის შემდეგ უფლება ჰქონდათ სამემკვიდრეო ქონების მიმღებს შეღავებოდნენ.

მაშასადამე, ძეგლის მიხედვით, ქართულმა სამართალმა იცის კანონით მემკვიდრეობა და ანდერძითი მემკვიდრეობა. კანონით მემკვიდრეობა ზღუდავდა ანდერძით მემკვიდრეობას.

წყისეს წარწერასთან (VII ს.) დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ნასყიდობის საფუძველზე წარმოშობილი საკუთრების უფლება განსაკუთრებით მტკიცე იყო და ამდენადვე შეუღავებელი<sup>1</sup>.

ძეგლში ნახმარია ტერმინები „მამული“ და „დედული“; „მამული“ მამისეულის მნიშვნელობით, „დედული“ — დედისეულის<sup>2</sup>.

კახა განმარტავს, რომ ხოვლე მის მიერ არის ნასყიდი, მასში არაფერი არ ურევია არც მამისეული და არც დედისეული. მხოლოდ, ამბობს ის, მამაჩემმა „ასი ცხვარი და ექვსასი თეთრი მიბოძა და მისთვის მწირველი გამიჩენია“<sup>3</sup>, ე. ი. მამის მიერ მოცემული თვითონ მამის სულის მოსახსენებლად გვაჩინე, მისი საჭიროებისათვის დავდევი და იმიტომ მამის ეს მოცემული სამემკვიდრეო ქონების ნაწილად არ ჩაითვლებათ. ბიძამ მიბოძა, ხუთასი თეთრი<sup>4</sup>, მაგრამ ბიძის ქონებაც სამემკვიდრეოში არ შედისო.

კახა თორელი წერს, რომ „ჩემი სულისათვის მიყიდი“ სოფელი ხოვლე და მასთან არავის საქმე არა აქვს, არც შვილსა და არც ძმას; „თუ შვილი მომეცეს და ერთიც სოფელი არლა ქონდეს“ ხოვლესთან ხელი არა აქვს „შიგაც ვერ გაიაროს“. ტყვედაც თუ ვინმე მოხვდეს ჩემი გვარისკაცი, წერს ავტორი, მაშინაც ხოვლეს ხელი არ ახლონ<sup>5</sup>. აღსანიშნავია, რომ ტყვის გამოსახსნელად ყოველმხრივ უნდა ეზრუნათ: მის გამოსახსნელად საფასური უნდა გამოეღოთ გვარისეულებს, სახლისკაცებს. კახა თორელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტყვის გამოსხსნის დროსაც შეწირულს ხელი არ ახლოთო. მეფეს რომ შეეცოდოთ მე ან ჩემმა მემკვიდრემ და ეს

1 ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 49.

2 ქართული სამართლის ძეგლები, 11, გვ. 58.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 58—59.

შეცოდება ისე დიდი იყოს, რომ საფლავის მოთხრასაც კი მემართ-  
ლებოდეს, მაშინაც ხოვლე, როგორც შეწირული ისე განიხილოს  
(მეფემ) და მას ხელი არ ახლოს. თუ რაიმე დანაშაული ჩავიდინო,  
სხვაგვარივ გადამხდევინონ, ყველაფერი წამართვან, ხოლო შეწი-  
რულს ხელი არ ახლონ<sup>1</sup>. თუ ცოცხალი აღარ ვიყო, ჩემი დანაშაუ-  
ლისათვის თუნდაც „ძუალნი ძაღლთა მიუყარონ“, ოღონდ ხოვლე  
შეუვალი იყოსო<sup>2</sup>.

საყურადღებოა, რომ დანაშაულისათვის თურმე საფლავის  
„მოთხრაც“ კი შეიძლებოდა.

ქველში გვხვდება ტერმინი „ორტალი“, ანუ „ურტალი“. კახა  
თორელი მოგვითხრობს, რომ ის გაგზავნილი იყო ბაღდადში, რო-  
მელიც მონღოლების მიერ იყო აღებული (1259 წ.). იქ მან მრავა-  
ლი ძვირფასი ნივთი შეიძინა. იგი აღნიშნავს, რომ მას არ ჰქონდა  
ფული და „ორტალისაგან“ ლარი და თეთრი“ აიღო<sup>3</sup>. როგორც ჩანს,  
არსებობდა საამხანაგო ორგანიზაცია „ორტალის“, ანუ „ურტალის“  
სახით<sup>4</sup>, რომელიც ასესხებდა ფულს, ყიდულობდა და ყიდდა მამუ-  
ლებს და სხვ. „ორტალი“, ალბათ, იურიდიული პირის უფლებით  
სარგებლობდა. ასეთი ორგანიზაციის არსებობა XIII საუკუნის  
ფეოდალური საზოგადოების წიაღში მომხდარ დიდ ძვრებს ნიშ-  
ნავდა.

ქველში დაპირისპირებულია „მემამულე“ და „მოსაკარგავე“<sup>5</sup>.  
„მამული“ ეწოდებოდა მამისეულ ქონებას, რომელიც მემკვიდრეო-  
ბით გადადიოდა მამიდან შვილზე. „საკარგავე“ ეწოდებოდა სენიო-  
რის, მეფის მიერ სამსახურის პირობით მიცემულ მიწას. ორთავე  
მიწის საკუთრების სახეებია — ერთი მემკვიდრეობითი, მეორე  
პირობითი. სამეფოს ხელისუფლება ცდილობდა მემამულეების მო-  
საკარგავეებად გადაქცევას, რაც ცენტრალური ხელისუფლების  
გაძლიერებას ნიშნავდა, ფეოდალები კი საკარგავეების მემკვიდრეო-  
ბით გადაქცევისათვის იბრძოდნენ, რაც მსხვილი ფეოდალის მეფის  
ხელისუფლებისაგან ამა თუ იმ სახის დამოუკიდებლობას ნიშნავდა<sup>6</sup>.

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 59.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 58.

4 ბ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური გან-  
ვითარება XIX—XX სს., ტ. II, გვ. 119—126, 133—152.

5 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 64.

6 იქვე.

„სამკვიდრებელი“ ძეგლში ნიშნავს ქონების მთელ კომპლექსს, რომელიც მონასტერს აქვს.

მოურავი ძეგლში, ზოგადად, მეურვეს პრქვია, ის არ არის კონკრეტული სახელი; ძეგლში წერია: ვეზირები და დარბაზის კარის მოურავები<sup>1</sup>. ან კიდევ, ეს ჩვენი დაწესებული შეწირულება არაინ არ უნდა შეცვალოს, არც „წინამძღვარმა, ანუ ვინ სსუამა მოურავმა“, ე. ი. რომელიმე მოხელემო<sup>2</sup>.

ძეგლის მიხედვით, ვეზირი და დარბაზის კარის მოხელე, ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ვეზირი მთავრობის, სავაზიროს წევრია, ის მმართველობის ცენტრალური ორგანოს მოხელეა. მეფის ხელისუფლებას სამეფო კარზე მრავალი მოხელე ჰყავდა. ეს მოხელეები ძეგლში „კარის მოურავებად“ არიან მოხსენიებული<sup>3</sup>.

ძეგლში გვხვდება ტერმინი ქრთამი, რომელსაც დანაშაულის მნიშვნელობა აქვს<sup>4</sup>.

ანდერძის დამტოვებელი კახა თორელი რკონის ღვთისმშობელს სთხოვს, რომ ღვთის წინაშე დაიცვას ის, მისი „მეოხი“ იყოს. „მეოხი“ აქ დამცველს ნიშნავს<sup>5</sup>.

ძეგლში მოხსენებულია „ავაზაკი“<sup>6</sup> ცოდვილის მნიშვნელობით. ავაზაკი ეწოდებოდა დამნაშავეს, რომელიც მძიმე სახის სისხლის სამართლის დანაშაულს ჩადიოდა, მაგალითად, გაძარცვას, შკელელობას და სხვ.

ანდერძის ავტორი არის მეჭურჭლეთუხუცესი. მეჭურჭლეთუხუცესი, „კელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, არის სავაზიროს წევრი, სამეფოს საფინანსო საქმეების გამგებელი<sup>7</sup>.

ამავე ძეგლში კახა თორელი ერისთავთერისთავად იწოდება<sup>8</sup>. დამამტკიცებელთა შორის არიან: ბეგა ქართლის ერისთავი, გრიგოლ ერისთავთერისთავის შვილი და გრიგოლის ძმა ივანე<sup>9</sup>. კახა თორელი არის ბეგას სიძე, ბეგას დის ხათუნას მეუღლე. ხათუნა

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 64.

2 იქვე, გვ. 61.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 61, 62.

6 იქვე, გვ. 62.

7 ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის რედ., 1970, გვ. 28—29.

8 ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. ლოლიძის რედ., 1965, გვ. 66—67.

9 იქვე, გვ. 65—66.

თავის მხრივ წერს, რომ ჩემს ქმარს შეუწირავს, მეც მასთან ერთად ამისი შემწირველი ვარო!

ძეგლში მოხსენიებულია მსახურთუხუცესი გრიგოლი<sup>2</sup>. მსახურთუხუცესი კარის მოხელეა, რომელიც სასახლის სამსახურს განაგებდა. სავაზიროში ის რუსუდან დედოფალმა შეიყვანა<sup>3</sup>.

სიგელის დამამტკიცებელნი არიან მეფეები, კათალიკოსები, საეკლესიო და საერო დიდი მოხელეები.

ძეგლის ავტორი, მონასტერს შიშართავს, რომ „გლესთათუის კარგნი იყუენითო“<sup>4</sup>. ამაში შეიძლება დავინახოთ, იმდროინდელი ფეოდალური კლასის წარმომადგენლის, ამ კლასის პროგრესული ნაწილის მიერ შეგნება იმისა, რომ გლესის შრომაზეა დამოკიდებული ფეოდალური საზოგადოების არსებობა, როგორც ამას შემდეგში არჩილ მეფე კიდევ უფრო დაწვრილებით განმარტავს. ამ შემთხვევაში კახა თორელი არჩილ მეფის წინამორბედი ხომ არ არის? ან შეიძლება ამაში მხოლოდ რელიგიური მოსაზრებით ნათქვამი სიტყვები ვიგულისხმოთ?

ძეგლი პირველად გამოსცა თ. ჟორდანიამ<sup>5</sup>, მეორედ ი. დოლიძემ<sup>6</sup>.

ძეგლი რუსულად თარგმნა, შესავლითა და კომენტარებით გამოაქვეყნა ვ. დონდუამ<sup>7</sup>.

## ✓ კელაშივის კარის გარიგება

„ხელმწიფის კარის გარიგება“ XIV საუკუნის ძეგლია. ჩვენამდე მოაღწია ამ ძეგლის XVIII საუკუნის ხელნაწერმა. იგი დაღუპვას გადაარჩინა და გამოსცა ექ. თაყაიშვილმა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ხელმწიფის კარის გარიგების“ მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის, კერძოდ, ქართული სამართლის ისტორიისათვის

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 65—66.

2 იქვე, გვ. 65.

3 ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის რედ., 1970, გვ. 29—30.

4 ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 62.

5 თ. ჟორდანიამ, ქრონიკები..., გვ. 136.

6 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 57—69.

7 Д о н д у а В. Писание о вкладе Каха Торели в Рконский монастырь; ქართული წყაროთმცოდნეობა, II, 1968, გვ. 50—76.

თვის განუზომელია<sup>1</sup>. ექ. თაყაიშვილი წერდა: ხელმწიფის კარის გარიგების აღმოჩენა „ზეიმია ჩვენი ისტორიისათვის“<sup>2</sup>.

ძეგლის აღდგენაზე მუშაობდნენ ექ. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი და ნ. მარი. ექ. თაყაიშვილსა და ნ. მარს განზრახული ჰქონდათ ამ ძეგლის რუსული თარგმანის გამოცემაც<sup>3</sup>.

ძეგლი ნაკლული და ძნელად გასაგებია.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ დახასიათებულია გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობა. ძეგლის მიხედვით, მეფე საერო და საეკლესიო ხელისუფლების მეთაურია.) საეკლესიო დღესასწაულის დროს (ნათლისღება) „მეფე სადაც იყოს რაც სული კაცი არის ქრისტიანი“ იქ იყრიან თავს და მეფის მეთაურობით, დროშებით, მიემართებიან ეკლესიისაკენ. წყლის კურთხევის შემდეგ მეფე ეკლესიიდან იმავე წესით ბრუნდება სასახლეში<sup>4</sup>. მეფე იწვევს დარბაზს თავისი შეხედულების „დიდი წესითა და უმცროსითა“<sup>5</sup>. ამ შემთხვევაში მეფის ხელისუფლებას, ისე როგორც ბიზანტიაში, თეოკრატიული ნიშნები აქვს. სავარაუდოა, რომ მეფის ხელისუფლების ასეთი ხასიათი ქრისტიანული ბიზანტიის გავლენითაც იყო განპირობებული.

„ხელმწიფის კარის გარიგებით“, მეფე განსაკუთრებული პატივით სარგებლობს. თითოეული მისი ნაბიჯი გაანგარიშებულია; დილით ვინ აცმევს ტანთ, როგორ მიესალმებიან, როგორ ღებულობს კარის კაცებს და სხვა<sup>6</sup>. ისიც არის გათვალისწინებული თუ მასთან ვინ არის, როცა მეფე „უკაზმავია“<sup>7</sup>, ვინ აწვედის სასმელს „თუ მეფესა ღამით მოეწყუროს“<sup>8</sup>, როგორი ცერემონიით მოგზაურობს მეფე<sup>9</sup> და სხვა. მეფის ცხოვრება ისე არის აღწერილი, როგორც აბსოლუტური მონარქისა საფრანგეთში<sup>10</sup>. ძეგლის მიხედვით, მეფის ხელისუფლება შეუზღვეველია. აბსოლუტიზმი წარმოიშობა მაშინ, როცა ფეოდალიზმის წიაღში კაპიტალიზმის ჩანასახებია

1 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 67—68.

2 ექ. თაყაიშვილი. ხელმწიფის კარის გარიგება, 1920, გვ. XXXVIII.

3 ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის რედ., 1970, გვ. 1—2.

4 იქვე, გვ. 33.

5 იქვე.

6 იქვე, გვ. 32.

7 იქვე, გვ. 35.

8 იქვე, გვ. 38.

9 იქვე, გვ. 37.

10 А д а ш е в П., Абсолютная монархия на Западе, 1902.

განვითარებული, აბსოლუტიზმი ფეოდალიზმის უკანასკნელი საფეხურია, ასეთი ვითარება-გარემოება კი XIV საუკუნის საქართველოში არ იყო!

(XIII საუკუნეში ქართული სამართლის განვითარება მაღალ საფეხურზეა ასული. არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ იყო გამომუშავებული საკუთრების უფლების ამსახველი ტერმინი, ხოლო X საუკუნის ძეგლში (სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება) ასეთი ტერმინი დამოწმებულია<sup>2</sup>. დამოწმებულია აგრეთვე საკრედიტო-ამხანაგობა (რკონის სიგელი); ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ბრალის პრობლემის დამუშავება მაღალ საფეხურზეა აყვანილი<sup>3</sup>. ეს ასეა, მაგრამ კაპიტალიზმის ჩანასახები X—XIV საუკუნეების საქართველოში მაინც არ არის და აბსოლუტიზმის იდეები, რომელიც ძეგლშია, ამ დროის მიხედვით მოწინავე და პროგრესული, შეიძლება წარმოშობილიყო იმაზე ადრე, ვიდრე შესაძლებელი იყო მისი რეალურად განხორციელება.

თამარის დროს მეფის ხელისუფლება, მსხვილი ფეოდალების აჯანყების შედეგად შეიზღუდა. მეფე დარბაზს თავისი შეხედულებით იწვევდა. დარბაზი როგორც საერაო, ისე საეკლესიო მსხვილი ფეოდალებისაგან შედგებოდა. ოპიზართა სიგელში ჩამოთვლილია დარბაზის შემადგენლობა: ერისთავთერისთავები, ერისთავები, ეპისკოპოსები და სხვ. არ არიან დასახელებული კარის დიდი მოხელეები, რაც სიგელის ნაკლულევაანებას უნდა მიეწეროს. დარბაზს ზეფისათვის მრჩევლის მნიშვნელობა ჰქონდა. მისი მოწვევა, ფორმალურად, მეფის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ფორმალურად ვამბობთ იმიტომ, რომ სინამდვილეში მეფე სახელმწიფოს განაგებდა მსხვილ ფეოდალებთან „ერთნებაობით“; ერისთავები, რომელნიც თამარ მეფემ „განაჩინა“, მეფესთან ერთად მართავდნენ სამეფოს. „ერთნებაობითა შუდსავე სამეფოსა დიდებულთა“—წერია ხელმწიფის კარის გარიგებაში<sup>4</sup>. თამარი დიდი მოხელეების დანიშვნის ზაკითხს დიდებულების დაკითხვით, მასთან შეთანხმებით წყვეტდა.

1 ივ. სურგულაძე. საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო წყობილების ფორმის საკითხი „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, № 3, 1959.

2 ივ. სურგულაძე. საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, თსუ შრომები, XXXV, 1949.

3 ივ. სურგულაძე. სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, 1953, გვ. 149—172.

4 ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის რედ., 1970, გვ. 46.



საკითხავია, თუ როგორია საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფო ფორმის მხრივ? აქ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ფორმალური და ფაქტიური მდგომარეობა, რომელიც თამარ მეფემდე იყო. დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის დროს, ე. ი. დიდ მეფეთა ხანაში, მეფის ხელისუფლება ფორმალურად არ იყო შეზღუდული; ფაქტიური მდგომარეობის მხრივ კი, მეფე მსხვილ ფეოდალებთან მუდმივ ბრძოლაში იმყოფებოდა. მართალია, ქვეყანა გაერთიანებული იყო, მაგრამ მეფეები სამეფოში შენაგალ სამეფოსამთავროებს ამ უკანასკნელთათვის დამახასიათებელი კანონებითა და წეს-ჩვეულებით მართავდნენ. დავით აღმაშენებელმა სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად მნიშვნელოვანი რეფორმები ჩაატარა, მაგრამ შემდეგში მოვლენათა განვითარება სამეფოს ცენტრალიზაციის გაძლიერების მიმართულებით არ წავიდა. ამ გარემოებას მთელი რიგი მიზეზები აპირობებდა. მთავარი ის იყო, რომ ეკონომიკური განვითარება არ უწყობდა ხელს ხელისუფლების ცენტრალიზაციას. საქმე ისაა, რომ მსხვილი ფეოდალების ალაგმვა, მეფის ხელისუფლების გაძლიერების, მიზნით, მათი ეკონომიურად დასუსტებას საჭიროებდა. სინამდვილეში კი, მეფე, ფეოდალებთან მორიგების მიზნით, მიწებს მსხვილ ფეოდალებს უწყალობებდა, რის გამოც გლეხობა და წვრილი აზნაურობა მსხვილი ფეოდალების ხელში გადადიოდა. ამას გარდა, საქართველოს გაერთიანებას წინ უსწრებდა საქართველოს ცალკე სამეფოებად დაყოფის ხანგრძლივი პერიოდი. ეს ტრადიცია ძლიერი იყო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ საქართველო ხშირად იყო ობიექტი ძლიერი დამპყრობი სახელმწიფოების ოკუპაციისა. ამასთანავე, ეს სახელმწიფოები კულტურით უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე საქართველო და მათი დაპყრობა ხელს უშლიდა ინტენსიური მეურნეობის განვითარებას. (თურქ-სელჩუკები, მონღოლები და სხვ.). ყველა ამ გარემოებამ საქართველოში სუსტი ცენტრალური ხელისუფლების არსებობა განაპირობა.

სავაზირო — მეფის დასაყრდენი — დარბაზის საწინააღმდეგოდ, ბიუროკრატიული დაწესებულება იყო, რომელსაც მეფის ხელისუფლების გაძლიერებისათვის ხელი უნდა შეეწყო. სავაზირო ექვსი ვეზირისაგან შედგებოდა, მეექვსე ვეზირად მსახურთუხუცესი მხოლოდ რუსუდან დედოფლის დროიდან გვხვდება. ათაბაგობა კი საქართველოში თამარის მეფობის უკანასკნელ წელს შემოიღეს

და პირველი ათაბაგი ივანე მხარგრძელი იყო, რომელმაც ათაბაგობა თავისი თხოვნით მიიღო<sup>1</sup>.

ცნობილია, დავით აღმაშენებელმა ჭყონდიდელს მწიგნობართუხუცესობა მისცა იმ მიზნით, რომ მეფის ხელისუფლებას ეკლესიაც ზორჩილი ჰყოლოდა; ჭყონდიდელი ეპისკოპოსია და მისი მწიგნობართუხუცესობა, ე. ი. კანცლერობა, ანუ პრემიერ-მინისტრობა იმასაც ნიშნავდა, რომ კანცლერს, როგორც სასულიერო პირს ხელი მიუწვდებოდა ეკლესიაზე. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელობა ემთხვევა შედარებით ძლიერი ხელისუფლების არსებობას და ამ სახელს საბოლოო გადაშენებას დაემთხვა (XIV ს.) საქართველოს პოლიტიკური დაშლის დასაწყისი.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი მეფის შემდეგ პირველი პირია.

გიორგი III-ის დროს მოხსენებულია ვეზირები, მაგრამ ისინი კონკრეტულად დასახელებული არ არიან<sup>2</sup>. გიორგი III-ის დროიდან იხსენიება ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი<sup>3</sup>. ყუთლუ-არსლანი, რომელმაც თამარის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო, მეჭურჭლეთუხუცესი იყო<sup>4</sup>. მაშასადამე, თამარის დროს იყო კარის შემდეგი დიდი თანამდებობები: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელობა, ამირსპასალარობა, მანდატურთუხუცესობა და მეჭურჭლეთუხუცესობა. მსახურთუხუცესობა თამარ მეფის დროსაც იყო და ეს თანამდებობა ივანე მხარგრძელს ეჭირა, მაგრამ მაშინ მსახურთუხუცესი არ იყო ვეზირი. „ხელმწიფის კარის გარიგების“ ავტორის ცნობით, „მსახურთუხუცესი მანაველი რუსუდან მეფეს შეუყვანია სავაზიროში“<sup>5</sup>. როგორც ჩანს, „სავაზირო“ დაწესებულებაა. ძეგლის მიხედვით, სავაზირო ისეთ დაწესებულებად არის მოხსენიებული, რომელშიც ვეზირები შედიოდნენ და რომელიც რუსუდან მეფემდეც არსებობდა. თუმცა „ქართლის ცხოვრება“ გიორგი III-მდე ვეზირებს არ იხსენიებს, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, რუსუდანის დროს სავაზირო ისეთ კონტექსტშია მოცემული, რომელიც მის არსებობას წინადაც გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ „სავაზირო“ გვხვდება X საუკუნის ძეგლში

<sup>1</sup> ივ. სუ რ გ უ ლ ა ძ ე. ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორიიდან, 1965, გვ. 36; ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 370.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 10.

<sup>3</sup> იქვე, II, 1959, გვ. 6, 16, 20.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 31.

<sup>5</sup> ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 41.

„მამათა ცხოვრება“ და ის „სათათბიროს“ ნიშნავს<sup>1</sup>, ხოლო „ვაზირობა“, იმავე ძეგლის მიხედვით, „თანამზრახველობას“ ნიშნავს<sup>2</sup>, ე. ი. სავარაუდოა, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ „სავაზირო“ წინა პერიოდიდან მომდინარეობს.

„ამირან დარეჯანიანში“ დამოწმებულია „ვაზირთა უხუცესი“<sup>3</sup>, ასეთი იყო მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი.

„ვეფხისტყაოსანში“ ნახსენებია მთავარი ვეზირი არაბეთის მეფესთან; აგრეთვე ამირსპასალარი, ამილახორი და სხვ<sup>4</sup>.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ კი სავაზიროში ნ ვეზირი შედის;

იგი მთავრობის სახით, მუდმივად მომქმედი დაწესებულებაა.

საინტერესოა სავაზიროს მოწვევის საკითხი. ძეგლში ვკითხულობთ: „და თუ ვეზირობა იყოს მათ მოახსენონ ჭყონდიდელსა, ათაბაგსა, ამირსპასალარსა, მეჭურჭლეთუხუცესსა, მსახურთუხუცესსა და ამილახორსა“<sup>5</sup>. რას ნიშნავს სიტყვები: „და თუ ვეზირობა იყოს მათ მოახსენონ“. ვინ არიან ეს „მათ“? ჩამოთვლილ მოხელეებს თავიანთი საგამგეო დარგი აქვთ და ყოველდღიურად იმას განაგებენ, ამასთანავე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაჭრელად სავაზიროში იკრიბებიან. შეიძლება „მათ“, ამ შემთხვევაში, იმ ვეზირებს ნიშნავდეს, რომლებიც ქვემოთ ჩამოთვლილია, სხვაგვარად „მათ“-ის გაგება არ ხერხდება. სავაზიროს მოწვევის ინიციატივა მეფეს უნდა ეკუთვნოდეს ან მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს, რამდენადაც ვეზირთა უპირველესის შესახებ ძეგლში წერია: „ჭყონდიდელი მამა არს მეფისა, აგრეთვე ყველა საურავი უმისოთ არ იქნების“<sup>6</sup>. ძეგლში განმეორებულია, რომ „ჭყონდიდელი მამა არს მეფისა“<sup>7</sup>.

საინტერესოა, სავაზირო მუდმივად მომქმედი დაწესებულება იყო თუ დროებითი, ე. ი. ისეთი, რომელსაც საჭიროების მიხედვით იწვევდნენ. სავაზიროს, თუ მეფე ესწრებოდა, ის ხელმძღვანელობდა, ხოლო სხვა შემთხვევაში მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი.

1 ი. ა. ბ. უ. ლ. ა. ძ. ძეგლი ქართული ენის ლექსიკონი, 1973.

2 ი. კ. ვ. ე.

3 ძეგლი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, ს. ყუბანეიშვილის რედ., 1949, გვ. 5.

4 ივ. ს. უ. რ. გ. უ. ლ. ა. ძ. ე. სავაზირო „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ყურნ. „მნათობი“, № 12.

5 ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 49.

6 ი. კ. ვ. ე., გვ. 39.

7 ი. კ. ვ. ე., 49.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ აღწერილია სავაზიროს მუშაობა, რომელსაც მეფე ხელმძღვანელობს. სავაზიროს მეფის სასახლეში იწვევდნენ. სხდომის დაწყებამდე ხდებოდა „ჯალაბის გაყრა“<sup>1</sup>; ჯალაბი ოჯახის წევრებს ნიშნავს: ცოლს, ყმაწვილებს<sup>2</sup>. აქ უნდა იგულისხმებოდეს მეფის ოჯახის წევრები; როდესაც სავაზიროში მეფე თავის ადგილს დაიჭერდა, მსახურთუხუცესი, როგორც სასახლის ვეზირი, ვეზირებს სხდომის დაწყებას აუწყებდა და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, აიაბაგი, მანდატურთუხუცესი (ხელნაწერის დაზიანების გამო მანდატურთუხუცესი გამოტოვებულია) და მეჭურჭლეთუხუცესი თავიანთ ადგილებს იკავებდნენ<sup>3</sup>. ვეზირები სხედან. ამილახორი დგას, „ვეზირობა ესმის და იგი არას იტყვის“.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელთან დგას საწოლის მწიგნობარი, როგორც მისი მოადგილე, მას ხელში საწერელი უჭირავს. „ამირეჯიბი შუაზე დგას“<sup>4</sup>. იგი მანდატურთუხუცესის მოადგილეა და სავაზიროს სათათბიროს ხმის უფლებით ესწრება, ასევე ამილახორი; იგულისხმება რომ იქვეა მანდატურთუხუცესი. მესაწოლეთუხუცესი გარეთ დგას, „მეფის ზურგით“<sup>5</sup>. იგი დიდი მოხელეა, ემსახურება მეფეს მაშინაც, როცა ის „უკაზმავია“. მესაწოლეთუხუცესს ექვემდებარება 700 სახლი მესაწოლე, ძირითადად აზნაურები, რომელთაც მეფის დაცვა ევალებათ<sup>6</sup>. სავაზიროს სხდომის დროს იქვე არის მოლარეთუხუცესი, რომელიც „სალაროს კართა შიგან დგას, გამოსავალსა“<sup>7</sup>. იქვე, მაგრამ, სავაზიროს გარეთ იცდიან: მეაბჯრეთუხუცესი, განმგეთუხუცესი, საჭურჭლის ნაცვალი, მესტუმრე და ზარდახნის მწიგნობარი<sup>8</sup>. ესენი დიდი მოხელეებია, რომლებიც სავაზიროს რაიმე განკარგულებას უცდიან: „ვინცა კელისუფალნი სამოციქულოდ უნდათ, შეასხმენ და გაგზავნიან“<sup>9</sup>. ამასთანავე, „მწიგნობარს ჭყონდიდელი გადასცემს და ასწერენ. და იურვიან, რაც სასურვო იყოს“<sup>10</sup>. აი, ყველაფერი ის, რაც

1 ქართული სამართლის ძეგლები, 1965, ვვ. 49.

2 იქვე, ვვ. 32.

3 იქვე, ვვ. 56.

4 იქვე, ვვ. 50.

5 იქვე, ვვ. 56.

6 იქვე, ვვ. 37.

7 იქვე, ვვ. 50.

8 იქვე.

9 იქვე.

10 იქვე.

სავაზიროს საქმიანობას შეეხება. სიტყვა „სამოციქულო“, როგორც ჩანს, ფართოდ უნდა გავიგოთ.

ი. აბულაძეს „მოციქული“ განმარტებული აქვს როგორც „მიმთხრობი“, დესპანი, გაგზავნილი<sup>1</sup>. ასეთი „მოციქული“ შეიძლება და გაგზავნილი ყოფილიყო საზღვარგარეთ, აგრეთვე ქვეყნის შიგნით რაიმე საკითხის მოსაგვარებლად, მაგალითად, ლაშქრის მოსაწვევად, ადგილზე რაიმე განკარგულების შესასრულებლად და სხვა. თუ საჭირო იყო, სათანადო საბუთიც შედგებოდა. ამისათვის მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს მწიგნობრები ჰყავდა. ძეგლში, სავაზიროს მუშაობასთან დაკავშირებით, მოხსენიებულია საწოლის მწიგნობარი, ზარდახნის მწიგნობარი და მწიგნობარი<sup>2</sup>.

სააჯო კარს, როცა ორშაბათობით მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი საქმეების განსახილველად დაჯდებოდა, მასთან ერთად იყვნენ საწოლისა და ზარდახნის მწიგნობარნი. „ზარდახნის მწიგნობარი საწოლის მწიგნობარის გვერდით“<sup>3</sup> იდგა. გარდა ამ ორი მწიგნობრისა, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს ექვემდებარებოდა კიდევ 24 მწიგნობარი<sup>4</sup>.

სავაზიროს „ურვა“ საჭიროებდა სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტის შედგენას, რასაც მწიგნობარნი და სამეფო კანცელარია აკეთებდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ხელმძღვანელობით. ძეგლის მიხედვით, აღნიშნული „სასაურვო“, ანუ საქმიანობა ეხებოდა სავაზიროს მუშაობას, სადაც იხილებოდა ყოველგვარი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გადაწყვეტა არ შეეძლო ერთ რომელიმე უწყებას. ამისათვის საჭირო იყო უწყების, ანუ მმართველობის სხვადასხვა დარგის მეთაურების, ე. ი. ვეზირების შეკრება.

ექვსი ვეზირისაგან შემდგარ სავაზიროს (რომელიც რუსუდან მეფის დროიდან ჩამოყალიბებული ჩანს), წინ უნდა უსწრებდეს „ვეზირისაგან შემდგარი სავაზირო“ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის, ამირსპასალარის, მანდატურთუხუცესისა და მეჭურჭლეთუხუცესის შემადგენლობით. აღვნიშნეთ, რომ სავაზიროს შესახებ ასეთი ცნობები მხოლოდ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“.

აღსანიშნავია, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“ ძვირფას ცნობებს შეიცავს მოძღვართ-მოძღვრის შესახებ; არსად, არც ერთ წყაროში ამ ინსტიტუტის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. „ხელ-

1 ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973.

2 ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 50.

3 იქვე, გვ. 34.

4 იქვე, გვ. 46.

მწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მოძღვართ-მოძღვარს სახელ-  
მწიფოში ისეთი პატივი აქვს როგორც არც ერთ მოხელეს. მეფის  
შემდეგ ის პირველი პირია.) დარბაზობის დროს მოძღვართ-მო-  
ძღვარს მეფე მეტი პატივით ღებულობს ვიდრე კათალიკოსებსა და  
მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს<sup>1</sup>. მოძღვართ-მოძღვარი სწავლუ-  
ლი ბერია. შესაძლებელია ის გელათის აკადემიის რექტორი იყოს,  
მოძღვართა მასწავლებელი, რომელსაც საკუთარი სკოლა ჰქონდა  
ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით და საკუთარი მოწაფეებიც  
ჰყავდა. ეს იმის მაჩვენებელია, თუ განვითარების რაოდენ მაღალ  
საფეხურზე იდგა მაშინდელი საქართველო<sup>2</sup>.

( ძეგლი გამოცემულია ექვთიმე თაყაიშვილის<sup>3</sup>, ი. დოლიძის<sup>4</sup>  
და ი. სურგულაძის მიერ<sup>5</sup>;

## წ წესი და განგება მეფეთ კურთხევის (XIV ს.)

„წესი და განგება მეფეთ კურთხევისა“ საქართველოს სახელ-  
მწიფოებრივი წყობილების შესწავლის თვალსაზრისით შესანიშნა-  
ვი ძეგლია. სამოხელეო წყობილების გასათვალისწინებლად ის  
„ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობებს ავსებს და ადასტურებს.

ძეგლის პირველი გამოცემლის ს. კაკაბაძის აზრით, ძეგლში  
მოხსენიებულია ათაბაგობის ინსტიტუტი, რომელიც XIII საუკუ-  
ნის დასაწყისში შემოიღეს; აგრეთვე აფხაზეთის კათალიკოსი. აფ-  
ხაზეთის საკათალიკოსო XII ს-ის ბოლოსა და XIII ს-ის დასა-  
წყისში უნდა იყოს დაარსებული. ამიტომ, ს. კაკაბაძის აზრით,  
ძეგლი XIII საუკუნეზე ადრინდელი არ შეიძლება იყოს<sup>6</sup>.

ნ. ბერძენიშვილი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ  
ძეგლში მსახურთუხუცესი ვეზირებს შორისაა მოხსენიებული, ხო-  
ლო მსახურთუხუცესს ვეზირობა რუსუდან მეფემ უბოძა. ნ. ბერძე-

1 ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 43—44—47—48.

2 იქვე, გვ. 30—31.

3 ექ. თაყაიშვილი. ხელმწიფის კარის გარიგება, 1920.

4 ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და  
საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. 1965, გვ. 80—101.

5 ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 1—211.

6 ს. კაკაბაძე. მეფის კურთხევის წესი, შედგენილი XIII საუკ. დასა-  
წყისში.

ნიშვილი ვარაუდობდა, რომ ძეგლი არ შეიძლება შედგენილი ყოფილიყო XIII საუკუნის 40-იან წლებზე ადრე<sup>1</sup>.

ძეგლი მეორედ გამოსცა ი. დოლიძემ<sup>2</sup>, რომელიც ვარაუდობს, რომ იგი XIII საუკუნის II ნახევარშია შედგენილი<sup>3</sup>.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მეფის კურთხევის წესი, როგორც თამარის პირველი ისტორიკოსის შრომიდან ჩანს, ცნობილი ყოფილა საქართველოში<sup>4</sup>.

თამარის ისტორიკოსის სიტყვით, თამარის მეფედ კურთხევის დროს „ვინათგან ლიხთ-იმერეთგან იყო წესი დადგმად გვრგვნათავსა სამეფოსა“, ამიტომაც მოიწვიეს „ეპისკოპოსი ქუთათელი ანტონი, საღირის ძე“ და სწორედ ამან შეასრულა ეს წესი<sup>5</sup>. მაშასადამე, მეფისათვის გვირგვინი ქუთათელს უნდა დაედგა. ტახტზე ასვლა და მეფეთ კურთხევა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ ამისათვის სავსებით გარკვეული განაწესი უნდა არსებებულიყო. სავარაუდოა, რომ ამის შესახებ წერილობითი განაწესი არსებობდა. აფხაზეთის საკათალიკოსო კათედრის დაარსების შემდეგ (XIII საუკუნის დასაწყისი) აფხაზეთის კათალიკოსი ქუთათელს შედავებია: დასავლეთ საქართველოს საეკლესიო უმაღლესი იერარქი მე ვარ და მეფის კურთხევაც მე მეკუთვნისო. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, „დაისარჩლენ აფხაზეთის კათალიკოსი და ქუთათელი იოვანე“. იოვანემ თურმე კათალიკოსს უთხრა: ორჯერ-სამჯერ „ჩემს საყდარსა შიგან“ მეფეები დამილოცავს, ე. ი. მეფედ მიკურთხებიანო, ამიტომ „გვგვნი, ანუ სკიპტრა ჩემს საყდარსა შიგან არ დასდვა?“. დავა, „ვეზირთა და ერთობილთ ლაშქართა“ გადაწყვეტილებით, ქუთათელის სასარგებლოდ გადაწყდა და „სკიპტრა ქუთათელს გაუჩინეს“<sup>6</sup>.

თამარის ისტორიკოსის მიხედვით, როგორც აღვნიშნეთ, მეფის კურთხევა ქუთათელს უნდა შეესრულებინა, „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ქუთათელს აფხაზეთის კათალიკოსი შედავებია, ხოლო „წესისა და განგების“ მიხედვით, მეფის კურთხევა მხოლოდ კათალიკოსს შეეძლო. საკითხავია, რომელია უფრო

1 ნ. ბერძენიშვილი. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება („მომხილველი“, I, 1926, გვ. 105—106).

2 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 50—54.

3 იქვე, გვ. 597.

4 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 68.

5 ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 26—27.

6 ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 45.

ადრინდელი ძეგლი: „წესი და განგება“, თუ „ხელმწიფის კარის გარიგება“. უწინდელი უნდა იყოს მეორე, რადგან მასში საუბარია ქუთათელის მიერ მეფის კურთხევაზე. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ეს ძეგლი წესი სადაოდ გამხდარა; „წესსა და განგებაში“ ხაზგასმულია, რომ მეფის კურთხევას მხოლოდ საქართველოს კათალიკოსი ასრულებს: „ხოლო ესე საცნაურ იყავნ, რომელ თვნიერ კათალიკოზისა არა ვისგან ჯერ არს კურთხევა“.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“ XIV საუკუნეშია შედგენილი, ზემოთ კი ვთქვით, რომ „წესი და განგება მეფეთ კურთხევისა“ XIII საუკუნის ძეგლად მიაჩნიათ. ეს ორი ძეგლი დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდში უნდა იყოს შედგენილი. ჯერ „ხელმწიფის კარის გარიგება“ და შემდეგ „წესი და განგება“. სავარაუდოა, რომ ორივე ძეგლი XIV საუკუნისაა.

რას ნიშნავს „დასდევას“ ან „გაუჩინოს“? ჩანს, თითქოს მეფის კურთხევის გვირგვინი ქუთათელის ეკლესიაში ინახებოდა, ასე ესმის ტექსტის ეს ადგილი ივ. ჯავახიშვილს<sup>1</sup>. ჩვენი აზრით, ეს ადგილი ბუნდოვანია: რატომ უნდა ინახებოდეს მეფის გვირგვინი ეკლესიაში და არა მეფის სასახლეში? შესაძლებელია, ის გვირგვინი, რომლითაც მეფეს აკურთხებდნენ ტახტზე ასვლისას, მხოლოდ ამ ცერემონიისათვის იყო განკუთვნილი და მეფე სხვა დროს არ დაიდგამდა, ე. ი. სხვა შემთხვევისათვის მას სხვა გვირგვინი ჰქონდა. მაგრამ სინამდვილესთან ის უფრო ახლოა, რომ მეფის გვირგვინი სასახლეში იყო და რომელი გვირგვინიც უნდოდა იმას დაიდგამდა.

თამარ მეფე როცა აკურთხეს, დასაუღეთ საქართველოდან ქუთათელი თბილისს „აწვიეს“ და გვირგვინი აკურთხებინეს. საეჭვოა, რომ ქუთათელს ქუთაისიდან წამოეღოს მეფის გვირგვინი. ყოველ შემთხვევაში, თუ „ხელმწიფის კარის გარიგებით“ გვირგვინი ქუთაისის ეკლესიაში ინახებოდა, ამჟამად საკვლევი ძეგლის მიხედვით, გვირგვინი და სკიპტრა მეფის პალატაში ინახება<sup>2</sup>. მეფის კურთხევისა და გვირგვინის დადგმას კათალიკოსი ასრულებს, მას ეხმარებიან აფხაზეთის კათალიკოსი და სხვა საეკლესიო და საერო იერარქები<sup>3</sup>.

1 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 70.

2 ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 50.

3 იქვე, გვ. 53, 55.



მაშასადამე, ძეგლის მიხედვით, როგორც კურთხევის წესს, ისე გვირგვინის დადგმას კათალიკოს-პატრიარქი ასრულებდა და ამ შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელი არ იღებს მონაწილეობას. მეფის კურთხევა რთული წესით სრულდებოდა, პირველ ყოვლისა, კათალიკოსის შერჩევით. ერთ-ერთი მღვდელთმთავარი, მღვდლები, დიაკვნები და მგალობლები სათანადოდ შემოსილნი, მეფის კურთხევის წინაღობით, გზა და გზა გალობით მოდიოდნენ მეფის სასახლეში, მეფის გვირგვინს, სკიპტრას, პორტირსა და ბისონს დადებდნენ ფეშხუმზე და მიიტანდნენ იმ ეკლესიაში, რომელშიც მეფის კურთხევა უნდა მომხდარიყო<sup>1</sup>. სამეფო ნიშნებს ეკლესიაში საკურთხეველის ტრაპეზზე დადებდნენ. ლოცვა მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. მას ესწრებოდნენ თვით საკურთხეველი მეფე, „სამღვდელოება და საერო პირნი“<sup>2</sup>. გათენებისას, ლოცვის შემდეგ, მიდიოდნენ დასასვენებლად, ხოლო წირვის დასაწყისში, როცა „სამჯერ რეკონ ძელსა“, კვლავ შეიკრიბებოდნენ. მეფის ჯვარისმტვირთველი „ძელი ცხოვრებისას“ დაიჭერდა ხელში და მთავარდიაკონის წინამძღოლობით მეფის სასახლეში მიემართებოდა. სამეფო პალატაში შესვლისას, თავმოდრეკილი ჯვარისმტვირთველი ასე ძიმართავდა მეფეს: „გუარკუთხენ, წმიდაო და თვთმპყრობელო მეფეო, მრავალმცა არიან წელნი მეფობისა თქუენისანი“; ლაშქარიც იგივეს იმეორებდა<sup>3</sup>.

შემდეგ თავმოდრეკილი ჯვარისმტვირთველი მიმართავდა ლაშქარს: „და თქუენცა გიხაროდენ ძალნო უძღვევლნო და დამავობელნო მტერთა სამეფოთანო, უამი არს წინამდებარისა საქმისა აღსრულებად“<sup>4</sup>.

საყურადღებოა მეფის მიმართ ნახმარი ტერმინი „თვითმპყრობელი“. ამ შემთხვევაში „თვითმპყრობელი“ მხოლოდ „სუვერენს“ ნიშნავს; მაგრამ საქართველოში აბსოლუტური მონარქია არ დამყარებულა. მეფეების ბრძოლა ფეოდალების ასალაგმავად, მათი განცალკევებისაკენ მიდრეკილების აღმოსაფხვრელად, მეფეების გამარჯვებით არ დამთავრებულა, პირიქით, თამარ მეფის წინააღმდეგ ფეოდალთა აჯანყებანი ერთგვარი კომპრომისით დამ-

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 50.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე.

თავრდა; მსხვილი ფეოდალები ქვეყანას მეფესთან ერთად განაგებდნენ. ძველშიც სწორედ ეს გარემოებაა ასახული.

როგორც ვნახეთ, ჯვარისმტვირთველი მეფის შემდეგ ლაშქარს მიმართავს. „ლაშქარი“ ამ შენთხვევაში უნდა იყოს სამხედრო გავლენიანი მაღალი წრე. ეს იყო ის „ლაშქარი“, რომელსაც ჯვარისმტვირთველმა მიმართა: დრო არის მეფის კურთხევის შევუდგეთო. ეს იმასაც ნიშნავს, რომ „ლაშქარი“ ის დიდი ძალაა, რომელსაც მეფის ტახტზე ასვლა ეკითხება. გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ, მამის მიერ ტახტზე აყვანილი თამარი ამ „ლაშქარმა“ ისევ აკურთხა მეფეთ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მსხვილმა თეოდალებმა წაზვასნით აღნიშნეს: მეფის ტახტზე ასვლა მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, ვისაც გვინდა იმას ავიყვანთ ტახტზეო<sup>1</sup>.

ივ. ჯავახიშვილი მართებულად შენიშნავს, რომ მეფის გვერდით, „ლაშქარის“ სახით მეფის „სწორი მეორე ძალა“ არის წარმოდგენილი<sup>2</sup>.

ჯვარისმტვირთველის ამ მიმართვის (მეფისა და ლაშქარისადმი) შემდეგ შედიოდნენ ეკლესიაში, სადაც მეფის კურთხევა უნდა მომხდარიყო: წინ მიჰქონდათ „ზარი მეფეთა და შემდგომად დროშა და შუბი“. ამას მიჰყვებოდნენ „მთავარდიაკონი და ჯვარისმტვრთველი, მეფე და ლაშქარი“<sup>3</sup>. რას ნიშნავს „ზარი მეფეთა“? თუ მსხველდობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პროცესია მეფის სასახლიდან ეკლესიაში მიემართებოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ზარი არის ძვირფასი კიდობანი, ანუ ძვირფასად მორთული გოდორი, რომლითაც მიჰქონდათ სამეფო რეგალიები და სხვა საგნები. ხოლო გვირგვინი, სკიპტრა, პორფირი და ბისონი სასახლიდან ეკლესიაში წინა ღანით მიტანილი იყო.

ჯვარისმტვირთველის შემდეგ მიდიოდა მანდატურთუხუცესი „სამანდატუროსა არგნისა მქონებელი“, შემდეგ კი მეფე და „ლაშქარი“<sup>4</sup>. როდესაც თამარ მეფემ ჭიაბერს მანდატურთუხუცესობა უბოძა, „მისცა არგანი ოქროსა კელთა მისთა“<sup>5</sup>. მაშასადამე, ოქროს არგანი იყო მანდატურთუხუცესის სამოხელეო ნიშანი. მანდატურთუხუცესი სასახლის მთავარი განმკარგულელებელი იყო.

1 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. 1, 1928. გვ. 57—63.

2 იქვე, გვ. 204—205.

3 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 50.

4 იქვე, გვ. 50—51.

5 ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 33.

მეფეს მარჯვნივ მიჰყვებოდა ხმაღმემორტყეპული ამირსპასალარი, რომელსაც ორივე ხელში სამეფო ხმალი ეჭირა. ამირსპასალარი სამხედრო უწყების უფროსი იყო და მას მეფის კურთხევის დასასრულს, მეფისათვის ხმლის შემორტყემა ევალებოდა<sup>1</sup>. მეფის მარჯვნივ, ამირსპასალარს ასლდა ამილახორი და მეაბჯრეთუხუცესი<sup>2</sup>. მარცხნივ მიდიოდნენ ჭყონდიდელი, ათაბაგი და „სხეანი მთავარი“<sup>3</sup>. „უზოთუხუცესსა, ჩუხჩერახსა, მეაბჯრეთუხუცესსა სამეფო ფარი და ლახტი ჰქონდეს და ქარქაში და მეფის უკანით მიდიოდნენ“<sup>4</sup>.

პროცესია ასეთი წესით მიდის იმ ეკლესიაში, სადაც მეფე უნდა ეკურთხოს. ეკლესიის კარებთან მას ხედებიან კათალიკოსი და ეპისკოპოსები.

კათალიკოსი მეფეს თავმოდრეკით ხმამალლა მიმართავს: „კურთხეულ არს მოსვლა თქუენი და დამტკიცება მეფეთ-მეფედ სამეფოსა ამას თქუენსა-ზედა, და განამტკიცენს ღმერთმან შიშსა და სარწმუნობასა მისსა ზედა, და დაგამორჩილნეს ყოველნი მტერნი და წინააღმდეგომნი სამეფოსა ამის თქუენისანი ქუეშე ფერჯთა თქუენთა“, კათალიკოსის ამ სიტყვაზე დამსწრენი „ამინ“-ით უპასუხებენ<sup>5</sup>.

ყურადღებას იქცევს გამოთქმა „მეფეთ-მეფე“. ეს ერთი მხრივ, მეფეზე აღმატებული ტიტულის მაჩვენებელია, ხოლო მეორე მხრივ, იმისა, რომ სამეფოში მრავალი მეფეა. საქართველოში ფაქტიურად ასე იყო, რაც საქართველოს ფეოდალური მონარქიის სისუსტის ერთ-ერთი მაჩვენებელია. კათალიკოსი მეფეს მიუთითებს სარწმუნოებისა და ღვთისადმი ერთგულებაზე, ეს საფუძველია იმისა, რომ მან სძლიოს მტერნი და მოწინააღმდეგენი, რომ სამეფოში ყველა მეფის „ფერხთა ქვეშე უნდა იყვნენ“, ე. ი. ყველანი მეფეს უნდა ემორჩილებოდნენ. ეკლესია, ამ შემთხვევაში, მეფის ერთგულებას იჩემებს, ცდილობს მის გაძლიერებას.

მეფე კათალიკოსს მდებლად დაუკრავდა თავს, რომელიც მარჯვენა ხელს დაუჭერდა, ხოლო მარცხენას (სიტყვა „მარცხენა ხელს“ ძველში არ არის) აფხაზეთის კათალიკოსი, ის თუ არ იყო, მაშინ იმხნელი ან მთავარეპისკოპოსი, და ამ სახით, მეფე „წარიყუანონ

1 ქართული სამართლის ძეგლები, 1965, გვ. 53.

2 იქვე, გვ. 51.

3 იქვე.

4 იქვე.

5 ქართული სამართლის ძეგლები, 11, 1966, გვ. 51.

და სამეფო ადგილს დააყენონ“ ეკლესიაში<sup>1</sup>. სამეფო დროშა და შუბი ეკლესიის გარეთ უნდა ეჭიროთ<sup>2</sup>.

აფხაზეთის კათალიკოსმა ან მთავარეპისკოპოსმა მეფე „დაძუროს“, ჯვარისმტვირთველი ამირსპასალარს გამოართმევს სამეფო ხმალს და საკურთხეველში დადებს. მღვდელთმოდღვარი საკურთხევილიდან ბისონს აიღებს, თავს მოიდრეკს და მეფეს მუხლებზე დაუფენს. ამის შემდეგ მეფეს კათალიკოსთან მიიყვანენ, იგი კათალიკოსს თავს მოუდრეკს და ეტყვის: „მაკურთხე მე/უ/ფეო“<sup>3</sup>. კათალიკოსი ჯვარს დასწერს და აკურთხებს. ამის შემდეგ, ის მღვდელთმოდღვარი, რომელმაც მეფე კათალიკოსთან მიიყვანა, წაუძღვება მეფეს თავის ადგილას.

სახარების წაკითხვის შემდეგ გამოდის აფხაზეთის კათალიკოსი, თუ ის არ არის, იშხნელი და მთავარეპისკოპოსი. ესენი მოჰკიდებენ ხელს მეფეს: ერთი მარჯვენა, მეორე მარცხენა მხარეს და მიიყვანენ საკურთხეველთან და სამჯერ ათაყვანებენ. კათალიკოსი მეფეს აკურთხებს და მიმართავს სიტყვით, რომ ღვთის მიერ „მეფედ ხარ განჩინებული“, დამსწრენი სამჯერ ეტყვიან „ამინს“. ამის შემდეგ კათალიკოსი აიღებს საკურთხევილიდან გვირგვინს, „დარქუამს“ თავზე მეფეს, შემდეგ იღებს პორფირს და „შთააცვამს მეფესა“<sup>4</sup>.

შემდეგ კათალიკოსი მეფეს ბისონს ჩააცმევს, ხელში (მარჯვენაში) მისცემენ სკიპტრას, მგალობელნი მეფის მისამართით მრავალჟამიერს შეასრულებენ<sup>5</sup>. მეფე ღვას წირვის დასრულებამდე. შემდეგ მღვდელთმოდღვარნი ეზიარებიან და აზიარებენ მეფესაც. ამირსპასალარი მეფეს ხმალს შემოართყვამს და ბოლოს მიდიან სასახლეში იმავე წესით, რა წესითაც ეკლესიაში მოვიდნენ. მეფის მარჯვენა ხელი კათალიკოსს უნდა ეჭიროს, მარცხენა აფხაზეთის კათალიკოსს ან ჭყონდიდელს, ან იშხნელს<sup>6</sup>. კათალიკოსმა და ჭყონდიდელმა „ტახტსა ზედა დასვან მეფე და წამოვიდნენ“<sup>7</sup>. ჯვარისმტვირთველი იღვა მეფის ტახტის მარჯვენა მხარეს და

1 ქართული სამართლის ძეგლები, 1965, გვ. 51.

2 იქვე.

3 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1966, გვ. 52.

4 იქვე, გვ. 53.

5 იქვე.

6 იქვე.

7 იქვე.

ხელში „ძელი ცხორებისა“ ეჭირა<sup>1</sup>. შემდგომ იწყებოდა „ლაშქართა თაყუანისცემა“ და „ძღუნის“ შეწირვა<sup>2</sup>.

მეფის პირველი მიმლოცველი დედოფალია. შემდეგ მიმლოცველები ასეთი რიგითაა მოცემული: კათალიკოსი, ჭყონდიდელი, ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი, შემდეგ მიდიან სხვა მოხელეები<sup>3</sup>. როდესაც მილოცვა დამთავრდება, ჯვარისმტვირთველი ტახტიდან ჩამოვა და შესამოსელს გაიხდის. სამი დღის განმავლობაში მეფე ტახტზე ზის გვირგვინითა და პორფირით<sup>4</sup>.

„წესი და განგება მეფის კურთხევისა“, „ხელმწიფის კარის გარიგებისაგან“ განსხვავებით, საკანონმდებლო შინაარსის ძეგლია.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოხსენიებულია აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსები, ხშირად კი ორი კათალიკოსი, იგულისხმება აფხაზეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსები<sup>5</sup>. „წესსა და განგებაში“ მოიხსენიება აფხაზეთის კათალიკოსი და კათალიკოსი, ე. ი. საქართველოს კათალიკოსი, რომელიც „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ან ქართლის კათალიკოსად იწოდება, ან, უბრალოდ, კათალიკოსად, რომელიც საქართველოს კათალიკოსად იგულისხმება. მაშასადამე, „წესისა და განგების“ მიხედვით, მეფის ტახტზე კურთხევას მხოლოდ კათალიკოსი აწარმოებს.

ამავე საკითხს ეხება აკად. ი. ჯავახიშვილი. იგი აღნიშნავს, რომ „წესისა და განგების“ მიხედვით, მეფეს გვირგვინს ქართლის კათალიკოს-პატრიარქი დაადგამს<sup>6</sup>. მეცნიერი განაგრძობს: „როგორც „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ჩანს, მეფის კურთხევის წესში მოხდენილი ცვლილება ქუთათელს თავის უფლებათა შელახვად მიუჩნევია და კათალიკოსისათვის მითვისებული უფლება გაუსაჩივრებია. ასეთი განსაჩივრების, ვგონებ XIV ს., ერთი კვალთაგანი „კარის გარიგებაშიც“ არის დაცული“, და მას მოჰყავს ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული ადგილი „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“, რომლის მიხედვით, ქუთათელი და აფხაზეთის კათალიკოსი ერთმანეთს ედავებოდნენ კურთხევის უფლების შეპახვებ.

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1966, გვ. 53.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 54.

5 ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 43, 44, 45, 47, 48.

6 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. 11,

1928, გვ. 202.

აკად. ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის: „ცხადია, ასეთი სარჩელი აქ აღნიშნულ ხანაზე გაცილებით უწინარესაც და ქუთათელ-ქართლის კათალიკოსს შორისაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაშინ ქუთათელს სარჩელი, როგორც ეტყობა, წაუგია, ანდა უშედეგოდ დარჩენილა“<sup>1</sup>. ივ. ჯავახიშვილის აზრი, იმის შესახებ, რომ ქართლის კათალიკოს-პატრიარქს მეფის კურთხევის უფლება მიუთვისებია, ეს ქუთათელს თავისი უფლების დარღვევად მიუჩნევია და გაუსაჩივრებია, ამ გასაჩივრების ერთგვარი კვალი, თითქოს მოცემულია „ხელმწიფის კარის გარიგებაში“, ჩვენ არაზუსტად მიგვაჩნია. ვინაიდან მეფე აფხაზეთა და ქართველთა ტახტზე აღიოდა ქუთაისში, რომელიც დავით აღმაშენებლამდე საქართველოს მეფის სატახტო ქალაქი იყო, ამიტომ გვირგვინს მას ქუთათელი უკურთხებდა. აფხაზეთის საკათალიკოსო კათედრა დაარსებული უნდა იყოს XII საუკუნის ბოლოსა თუ XIII საუკუნის დასაწყისში; აფხაზეთის კათალიკოსის ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ, როგორც ჩანს, აფხაზეთის კათალიკოსმა მოინდომა ქუთათელისათვის მეფის კურთხევის უფლება ჩამოერთმია და თვითონ მიეთვისებია, როგორც დასავლეთ საქართველოს უმაღლეს საეკლესიო იერარქს. როგორც ჩანს, ეს დავა ქუთათელის სასარგებლოდ გადაწყვეტილა, მაგრამ შემდეგში ეს უფლება კათალიკოს-პატრიარქს მიუთვისებია, მით უფრო, რომ როგორც საერო, ისე საეკლესიო უმაღლეს ხელისუფალთა რეზიდენცია აღმოსავლეთ საქართველოში იყო გადმოსული.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ეპისკოპოსთა შორის იშხნელი ფრიად საპატიოა. ეპისკოპოსები ასეა ჩამოთვლილი: იშხნელი, მაწყვერელი, ანჩელი, მტბევარი, გოლგოთელი<sup>2</sup>. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით იშხნელს ქუთათელის თანასწორი პატივი აქვს<sup>3</sup>.

აღსანიშნავია, რომ „წესისა და განგების“ მიხედვითაც იშხნელი აფხაზეთის კათალიკოსის შემდეგ მოიხსენიება და თუ აფხაზეთის კათალიკოსი არ არის, ცვლის კიდევ მას<sup>4</sup>. მაშასადამე, იშხნელსა და ქუთათელს თანასწორი პატივი აქვთ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“ და „წესი და განგება“

1 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. 11, ნ. 11, 1928, გვ. 202.

2 ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 44.

3 იქვე, გვ. 45.

4 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 51, 52.

დაახლოებით ერთ ეპოქაშია შექმნილი, როცა იშხნელი ეპისკოპოსებს შორის პირველთაგანი იყო. „წესი და განგება“ ერთადერთი ძეგლია, რომელშიც სამოხელეო შტატი ისევეა წარმოდგენილი, როგორც „ხელმწიფის კარის გარიგებაში“.

აღვნიშნეთ, რომ კურთხევის შემდეგ მეფეს მიესალმებიან, ჯერ დედოფალი, შემდეგ კათალიკოსი, შემდეგ ვეზირები: ჭყონდიდელი, ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი და სხვა მოხელენი და სახელოს არ მქონე დარბაისელნი<sup>1</sup>. საკითხი ეხება გაერთიანებული საქართველოს კარის დიდ მოხელეებს, ანუ ვეზირებს. ამ შემთხვევაში მხოლოდ ეს ორი ძეგლია („ხელმწიფის კარის გარიგება“ და „წესი და განგება“), რომელშიც ყველა ვეზირია მოხსენებული მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ათაბაგის შემდეგ ამირსპასალარია დასახელებული, ხოლო „წესსა და განგებაში“ მანდატურთუხუცესი. პატივი ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესისა, „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ერთნაირია, მაგრამ ამირსპასალარი ყოველთვის უწინ მოიხსენიება. შესაძლებელია, „წესსა და განგებაში“ უბრალო შეცდომასთან გვქონდეს საქმე ან იქნებ, ძეგლი მანდატურთუხუცესის პირველად მოხსენიებას მართებულად ცნობს. ყოველ შემთხვევაში, საყურადღებოა, რომ „წესი და განგება“, ისე როგორც „ხელმწიფის კარის გარიგება“ გაერთიანებულ საქართველოს სავაზიროს შემადგენლობას ერთნაირად წარმოგვიდგენს: მსახურთუხუცესი ვეზირებს შორის არის მოხსენიებული, ის კი, როგორც აღვნიშნეთ, ვეზირად რუსულან მეფის დროს გახდა.

ივ. ჯავახიშვილი წერს: „შესაძლებელია აღამიანს ეფიქრა, რომ მეფის „კურთხევის წესი“ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ნაწილი უნდა იყოს, მაგრამ ამ ორი ძეგლის შედარებითი შესწავლა შენდევ გარემობას არკვევს; მეფის მგზავრობის დროს „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ზარდაზნის უხუცესი და ამირჩუხჩი ჯვარისმტვირთველისა და მეფის შუა მიდიან, ხოლო „წესისა და განგების“ მიხედვით, მეფესა და ჯვარისმტვირთველს შორის არის მანდატურთუხუცესი „სამანდატუროსა არგნისა კელთ მქონებელი“<sup>2</sup>. ამიტომ „მეფის კურთხევის წესი“ არ არის „ხელმწიფის კარის გარიგების“ ნაწილი. დიდი მეცნიერის მიერ მო-

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 53.

2 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 70.

ყვანილი დასაბუთება განმარტებას საჭიროებს. „წესა და განგებაში“ მეფის მგზავრობა განსაკუთრებული შემთხვევისათვის არის გათვალისწინებული. მეფე და მისი თანმხლები საერო და საეკლესიო პირები ეკლესიაში მიდიან მეფის კურთხევის ცერემონიის შესასრულებლად. ეს პროცესია ფეხით მიემართება სასახლიდან ეკლესიაში. ხოლო „ხელმწიფის კარის გარიგებით“, მეფე ამხედრებულია, ცხენით მიემგზავრება, ეს მეფის ჩვეულებრივი მგზავრობაა სამეფოს რომელიმე ნაწილში, რაიმე საქმეზე და სხვ. ამ ორ განსხვავებულ შემთხვევაში მოგზაურობა შესაძლებელია განსხვავებული წესით ხდებოდა. როცა მეფე ამხედრებულია და უფრო შორს არის მისი მგზავრობა გამიზნული, მაშინ მას სხვაგვარი მომსახურება ესაჭიროება, ხოლო კურთხევის პროცესის დროს მეფეს სხვა შემადგენლობის ამაღლა ახლავს. ამგვარად, მეფის ამხედრებული მგზავრობა და სასახლიდან ეკლესიაში კურთხევისათვის მსვლელობა სავსებით სხვადასხვა შემთხვევაა და მათი სხვადასხვაგვარი აღწერილობა არ გამორიცხავს, რომ „წესი და განგება“ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ნაწილი იყოს. მაგრამ ამ ორ ძეგლში ვაზირების ჩამოთვლა ერთნაირი არ არის. ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის ადგილების შეცვლითი მოხსენიება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ „წესი და განგება“ არ არის „ხელმწიფის კარის გარიგების“ ნაწილი. არის სხვა განსხვავებაც. სავსებით მართებულად აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, „ხელმწიფის კარის გარიგების“ სრულ ტექსტს ჩვენამდე რომ მოედწია, მასში დაცული იქნებოდა მეფის კურთხევის წესიც<sup>1</sup>.

ივ. ჯავახიშვილი განიხილავს საქართველოში მეფეთა ტახტზე ასვლის ყველა შემთხვევას, რომელთა შესახებ ცნობებია დაცული<sup>2</sup>.

ადარნასეს მეფეთ დასმა აღნიშნული აქვს სუმბატ დავითის ძეს, მაგრამ რაიმე ცერემონიაზე იქ საუბარი არ არის: „ადარნასე დასუეს ქართველთა მეფედ“<sup>3</sup>. ძნელია იმის თქმა, თუ რატომ არაფერს ამბობს ისტორიკოსი მეფის ტახტზე ასვლის ცერემონიალის შესახებ. სავარაუდო სწორედ ის არის, რომ მეფის ტახტზე აყვანა გარკვეული წესით მოხდებოდა: საქართველოში კარგად იცნობდნენ ბიზანტიის, ირანისა და სხვა სახელმწიფოების ტახტზე აყვანის წესებს. განსაკუთრებით ამ შემთხვევაში სამაგალითო ბიზანტია იქ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. 1, 1928, გვ. 70.

<sup>2</sup> მისივე, წ. 11, ნ. 11, 1929, გვ. 192—193.

<sup>3</sup> სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბავრატონთა შესახებ, ვ. თაყაიშვილის რედ., 1949, გვ. 65.



ნებოდა. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მაშინდელ საქართველოში მეფობის ადგილობრივი ტრადიციებიც იქნებოდა შემონახული. ვახტანგ გორგასლის მეფობის შესახებ ცნობები, გადმოცემით, მთელი საშუალო საუკუნეების განმავლობაში იყო შეზონახული. ის გარემოება, რომ სუმბატს ადარნასე მეფის ტახტზე ასვლა აღწერილი არა აქვს, შემთხვევითი გარემოებით აიხსნება. როცა ლიპარიტმა ბაგრატ IV საბერძნეთში გააქცია, „მატიანე ქართლისას“ მიხედვით, ბაგრატის შვილი გიორგი II ლიპარატის ინიციატივით „მოიყვანეს საყდარსა რუისისასა და აკურთხეს მეფედ“. საყურადღებოა, რომ ისტორიკოსის სიტყვებით, მეფის ტახტზე ასვლა საჭიროებდა ეკლესიაში კურთხევას, ეს ამ შემთხვევაში რუისის ეკლესიაში შეუსრულებიათ.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გვამცნობს, რომ დავითმა თავისი შვილი დემეტრე დასვა ტახტზე და „დაადგა თავსა შუენიერსა გურგუნი ქვათაგან პატიოსანთა“, შეარტყა „წელთა ძლიერთა მახული“, ამასთანავე „შემოსა პორფილი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანსა“<sup>1</sup>. მაშასადამე, მეფედ კურთხევის დროს მეფეს თავზე გვირგვინს ადგამდნენ. ამიტომაც მეფე „გვირგვინოსნად“ იწოდებოდა. წელზე ხმლის შემორტყმა მის უმაღლეს მთავარსარდლობას ნიშნავდა.

გიორგი III-მ სიცოცხლეშივე აიყვანა თავისი ქალი თამარი ტახტზე; თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით, მეფემ თამარს „დაადგა გურგუნი ოქროსა თავსა მისსა“<sup>2</sup>. იგივე ისტორიკოსი უფრო დაწვრილებით აგვიწერს თამარის მეორედ ტახტზე ასვლას მამის გარდაცვალების შემდეგ. ისტორიკოსის სიტყვებით, რადგანაც „ლიხთ-იმერთაგან იყო წესი დადგმად გურგუნისა თავსა სამეფოსა“, ამიტომაც „აწ ეს მონაზონი ღირსი და მადლშემოსილი, მთავარეპისკოპოსი ქუთათელი ანტონ საღირის-ძე მიღებად გურგუნისა“. რაჭისა და „თაკურის“ ერისთავი კახაბერი, სვანთა ერისთავი ვარდანის-ძე, საღირის-ძე და ამანელის ძენი მოიწვიეს მეფისათვის ხმლის შემოსარტყმელად<sup>3</sup>; საყურადღებოა, რომ როგორც ქუთათელი, ისე ხმლის დამჭერი დიდებულები დასავლეთ საქართველოდან არიან. ეს არის მეფეთა კურთხევის ძველი წესი, როცა სამეფო ტახტზე დასავლეთ საქართველოში აღიორდნენ.

„წესსა და განგებაში“ კი ეს გადმონაშთი აღმოფხვრილია და

1 ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 363.

2 იქვე, II, 1959, გვ. 21.

3 იქვე, გვ. 26—27.

ერთიანი საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესაფერისად მეფისათვის თავზე გვირგვინის დადგმა კათალიკოსის ხელშია, ხოლო სამეფო ხმალი ამირსპასალარს აბარია.

### ძეგლი ერისთავთა (1348—1400 წწ.)

ძეგლი წარმოადგენს ქსნის ერისთავთა საგვარეულოს ისტორიას; ძეგლის ავტორი ხშირად ლეგენდარულ ხასიათს აძლევს თავის თხრობას, მაგრამ მისი ზოგიერთი ცნობა, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, ფრიად საყურადღებოა.

აღსანიშნავია, რომ ძეგლში ცენტრალური ხელისუფლება მეფის სახით არც არსებობს. XIV საუკუნეში ფეოდალური განკერძოება ისე შორს არის წასული, რომ ქსნის საერისთავოზე მოთხრობილა როგორც სავსებით დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულზე.

XIV საუკუნე ქსნის საერისთავოს ჩამოყალიბებისა და აყვავების საუკუნეა. ამ დროისათვის ქსნის ერისთავებს უკვე აქვთ თავიანთი რეზიდენცია, დარბაზი, ციხე, საგვარეულო მონასტერი — ლარგვისისა; ქსნის ერისთავს ყველა ის ნიშანი გააჩნია, რაც დიდებულ თავადს. „ამ დროისათვის ერისთავებს მხოლოდ თავიანთი გვარის წარსულისა და სიდიდის მაუწყებელი ძეგლი-და აკლდათ. ამგვარი ძეგლიც მალე შეიქმნა, რომელიც იდეოლოგიურ გამართლებას აძლევდა ყველაფერ იმას, რაც საქართველოს, კერძოდ, ქსნის საერისთავოს, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში უკვე ფაქტად ქცეულა“, ასეთი ძეგლის წარმოშობა XIV საუკუნის დასასრულისათვის იყო „სავსებით კანონზომიერი და ეპოქის შესაფერისი“<sup>1</sup>.

მსხვილი ფეოდალები, განკერძოებისათვის ბრძოლაში, ყოველნაირად ცდილობდნენ დაესაბუთებიათ თავიანთი გვარის უცხოური წარმოშობა, ზოგი მათგანი ამტკიცებდა, რომ მისი წინაპარი ჩინეთიდან ან ინდოეთიდანაა. მაგალითად, ბაგრატიონები ამტკიცებდნენ, რომ მათი წინაპარი ბიბლიური დავითის შთამომავალია. დიდებულ თავადთა ასეთი მტკიცების იდეოლოგიური საფუძველი იმაში მდგომარეობდა, რომ მათი გვარი თავს მეფის თანასწორად რაცხდა.

<sup>1</sup> შ. მესხია. ძეგლი ერისთავთა (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, გვ. 316).

ქსნის საერისთავოს შემადგენელი, თავისი ნაწარმოების „ძეგლი ერისთავთას“ სახით, სწორედ იმის დასაბუთებას ცდილობს, რომ ქსნის ერისთავი დამოუკიდებელია მეფის ხელისუფლებისაგან. ძეგლის ავტორის მიხედვით, ქსნის ერისთავს ერისთავობა ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ უბოძა, მაშასადამე, ერისთავობის ტიტული ქსნის ერისთავს ქართველი მეფისაგან არ მიუღია. ძეგლის მიხედვით, იუსტინიანემ გამოიკითხა ცხრაძმის — ხელველთა აშბავი, დაჰკითხა, თუ ვის ეკუთვნის ერისთავობა ან ვინ უნდათ მათ ერისთავად; დაიბარა თავისთან ფოსტომი, პირველი ქსნის ერისთავი და „მიუბოძნა შუდნი ესე კევნი, განსაგებელნი ეკლესიისანი და ყოველნი აზნაურნი მკვდრნი მას შინა და უწოდა ერისთავს ცხრაძმის კვეისა—და შემოსა სამოსლითა, მით, რომღ ემოსა მაშინ მეფესა, და შეაცუა ბეჭედი და საყური და სარტყელი თვისი, საჭურველი და ცხენი თორნოსანი, ღროშა და შუბი“<sup>1</sup>. მაშასადამე, ძეგლის მიხედვით, ერისთავის თანამდებობა დაუწესებია ბიზანტიის იმპერატორს, მასვე გადაუცია პირველი ერისთავისათვის საერისთავოს ნიშნები.

ქართული სასელმწიფო სამართლის მიხედვით, ერისთავს თავისი სახელოს ნიშნები ჰქონდა. საყურადღებოა, რომ I—II საუკუნეებში ერისთავებს ჰქონდათ ბეჭდები, საერისთაო ოქროს სარტყელი და სხვ<sup>2</sup>. ერისთავი სპეციალურ საერისთაო მოსასხამს ატარებდა. ძეგლის მიხედვით, როსტომ ბიბილურისათვის იუსტინიანეს თავისი ტანსაცმელი გადაუცია. მეფეები დიდი პატივისცემის ნიშნად, წყალობის სახით სახელოს ან მამულის ბოძებისას აგრეთვე უბოძებდნენ იმ ტანსაცმელს, რომელსაც თვითონ ატარებდნენ.

„ძეგლი ერისთავთას“ ავტორს მხედველობაში ჰყავს, როგორც ჩანს, იუსტინიანე I, დიდად წოდებული (483—565 წწ.), რომელიც ბიზანტიას 525 წ-დან 565 წ-მდე განაგებდა. იგი სახელგანთქმული და ცნობილი იყო, როგორც ბიზანტიაში, ისე საზღვარგარეთ. ამიტომაც შემადგენელი სწორედ მას ასახელებს. ამასთანავე ბიზანტია მაშინდელი მსოფლიოს კულტურის ცენტრს წარმოადგენდა. რომელი იუსტინიანე ჰყავდა მხედველობაში ქსნის საერისთავოს მებატონეს ამას არა აქვს გადამჭრელი მნიშვნელობა, მაგრამ შემადგენელი ქსნის საერისთავოს წარმოშობა VI საუკუნის ამბებთან აქვს დაკავშირებული და ეს გარემოება, შესაძლებელია, შემთხვევითი

1 შ. მესხია. ძეგლი ერისთავთა, გვ. 346.

2 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970, გვ. 771.

არ იყოს. საქმე ისაა, რომ VI საუკუნეში ირანმა ქართლში მეფობა მოსპო (523 წ.); წყაროს ენით რომ ვთქვათ, „ვეითარცა მეფობა დაესრულა ქართლსა შინა, სპარსნის გაძლიერდეს“<sup>1</sup>. ეს არის აზნაურების გაძლიერების, ერისთავების ბატონობის პერიოდი. ირანი ცდილობდა ადგილობრივი ძალების მიმხრობას. ჯუანშერის ცნობით, ირანელმა უფლისწულმა „უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა: აღუთქუა კეთილი დიდი, და დაუწერა საერისთაოთა მათთა მამულობა შეილითშვილამდე, და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა, და განდგეს ერისთავნი თუსთუსად სარკსა მისცემდეს ქასრე ამბარევსსა“<sup>2</sup>. ქართლი იბრძვის ირანის ბატონობისაგან გასათავისუფლებლად. VI საუკუნეში ქართლის აზნაურებმა „განაჩინეს ერისთავად გურამ“<sup>3</sup>. ქართლის ერისთავები ძლიერ აქტიურნი არიან. ირანის საწინააღმდეგოდ მათ კავშირი დაამყარეს ბიზანტიასთან: „წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყვნენ ერისთავნი იგი თუსთუსა საერისთაოსა შეუცვალებლად“<sup>4</sup>. მაშასადამე, ქართლის ერისთავები ირანსა და ბიზანტიას ერთნაირ მოთხოვნებიღებებს უყენებენ: იყვნენ თავისთვის სამკვიდრო მამულებით. ასეთივე პრეტენზია აქვს XIV საუკუნის ქართველ მსხვილ ფეოდალს, კერძოდ, ქსნის ერისთავს.

საჯარაოდ, რომ ქსნის საერისთაოს მემატიანემ, რომელიც სხვა ძირძველი მსხვილი ფეოდალების, მებატონეების მსგავსად ქსნის ერისთავის განდიდებას ცდილობს. ქსნის საერისთაოს დაარსება ბიზანტიის იმპერატორს მიაწერა და თავისი ლეგენდარული თხრობა VI საუკუნის ამბებს დაუკავშირა იმიტომ, რომ მისთვის ცნობილი იყო VI საუკუნის წყაროები, რომლებშიც მოთხრობილი იყო ერისთავების დიდი როლის შესახებ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ ქსნის საერისთავოს მემატიანე მწიგნობარი იყო და მისთვის ქართველი მემატიანეების შრომები ცნობილი იქნებოდა.

1 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, 1964, გვ. 24.

2 ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 217.

3 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, 1964, გვ. 95.

4 ქართლის ცხოვრება, I, 1951, გვ. 217.

5 შ. მესხია. ძველი ერისთავთა, გვ. 316—321.

„ძეგლი ერისთავთას“ ლეგენდარულ თხრობაში საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდის დანაშრევეები ჩანს, რასაკვირველია, მასში ძირითადად მოცემულია საქართველოს XIV—XV საუკუნეების ფეოდალური ურთიერთობის დახასიათება, მაგრამ ასევე ასახულია გვაროვნული წყობილების რღვევისა და კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის მომენტები<sup>1</sup>. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ცხრაძმისხვეელთა მონაწილეობა ერისთავის არჩევასა თუ დანიშვნაში. ძნელია იმის თქმა, თუ რას წარმოადგენს, ამ ძეგლის მიხედვით, მამასახლისობის ინსტიტუტი, გვაროვნულ წყობილებას უკავშირდება ის, თუ ფეოდალური საზოგადოების მოხელეობას. სოფლის მამასახლისი ფეოდალიზმის ისტორიის მთელ მანძილზე გვაროვნული წყობილებისათვის დამახასიათებელი ელემენტის შემცველი იყო; მაგრამ იყვნენ ქალაქის მამასახლისები, რომელთაც გვაროვნულ წყობილებასთან საერთო არაფერი ჰქონდათ, გარდა სახელისა, ხოლო „ევსტათი მცხეთელის“ (VI ს.) მამასახლისი, აგრეთვე პეტრიწონის მონასტრის ტიბიკონის მამასახლისი დიდი მოხელეა<sup>2</sup>. ამასთან დაკავშირებით, „ძეგლი ერისთავთას“ მამასახლისის სახელის საკითხი შესწავლას მოითხოვს.

ივ. ჯავახიშვილი თავის შრომაში აღნიშნავს, რომ ძეგლი ძირითადად მხოლოდ ქსნის საერისთაოს ეხება, ნაწილობრივ — არაგვისას. ავტორის აზრით, მეტად საყურადღებოა ძეგლის ის ადგილი, რომელიც XIV საუკუნის II ნახევარს ეხება, რამდენადაც ძეგლი ამ ხანებში უნდა იყოს შედგენილი. იგი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ძეგლის მიხედვით, გაშუღმებულები და სისხლისმღვრელი ბრძოლები წარმოებს მსხვილ საფეოდალოებს შორის, კერძოდ, ქსნისა და არაგვის ერისთავებს შორის<sup>3</sup>.

„ძეგლი ერისთავთას“, როგორც წყაროს, დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისა და სახელმწიფოებრივი წყობილების სხვადასხვა საკითხის შესასწავლად.

<sup>1</sup> ივ. სურგულაძე. „ძეგლი ერისთავთას“ და მისი მნიშვნელობა სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის (აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის „მოამბე“, XIII, 1942, გვ. 219—231.

<sup>2</sup> ივ. სურგულაძე. მამასახლისობის ინსტიტუტის შესახებ („მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სოციალური ინსტიტუტის სესია, 1972, № 4).

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძეგლი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916 გვ. 213—218.

ამ ძეგლს სხვადასხვა საკითხის გადასაწყვეტად თავიანთ შრომებში იყენებენ: ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი და სხვ.

ძეგლის ფრანგული თარგმანი პირველად მ. ბროსემ გამოსცა<sup>1</sup>, ქართული ტექსტი კი თ. ჟორდანიამ, მაგრამ მას ხელთ არ ჰქონდა დედანი<sup>2</sup>. დედანი გამოავლინა და მეცნიერულად დადგენილი ტექსტი ლექსიკონითა და საძიებლებით გამოსცა შ. მესხიამ<sup>3</sup>. ამ გამოცემის მიხედვით ძეგლი გამოსცა აგრეთვე ი. დოლიძემ.

## Y გიორგი V-ის ძეგლის დადგა

გიორგი V (1318—1346 წწ.), დიმიტრი თავდადებულის შვილი, ენერგიული და გამჭირახი მეფე იყო. მან სამართლიანად დაიმსახურა „ბრწყინვალის“ სახელი. გიორგი საგარეო და საშინაო ვითარებაში კარგად ერკვეოდა. მან ალლო აულო საერთო მდგომარეობას და შეძლო მონღოლების ყოვლისშემძლე ვეზირის — ჩობანის დაახლოებული პირი გამხდარიყო, „მივიდა რა ურდოსა მეფე გიორგი, განიხარა ჩოფან და შეიტკბო ვითარცა შვილი, და მისცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი, და შვილნი დავით მეფისანი, და მესხნი, შვილნი ბექასნი“<sup>4</sup>. (მიიღო რა მონღოლების მხარდაჭერა, გიორგი V-მ მტკიცედ მოჰკიდა ხელი ქვეყნის გაერთიანებას; მან პირველ ყოვლისა, ალაგმა ოსთა თარეში ქართლში, ბოლო მოუღო მთავართა თვითნებობას, მოიწვია ურჩი მთავრები კახეთში ცივის მთაზე და ამოაწყვეტინა ისინი<sup>5</sup>. გიორგი მეფემ დასავლეთ საქართველოს შემოერთება 1329 წელს შეძლო. როცა დასავლეთ საქართველოს მეფე მიქელი გარდაიცვალა, გიორგიმ მისი შვილი, პატარა ბაგრატი თბილისში წამოიყვანა და ამით ორმეფობა მოსპო. 1334 წელს მეფემ, როცა მესხეთის მთავარი, გიორგი V-ის ბიძა, გარდაიცვალა, მესხეთიც საქართველოს მეფეს დაუმორჩილა<sup>6</sup>.

<sup>1</sup> M. Brosset, *Additions et éclaircissements a I, N de la G*, 1851 Addition XXI s. 372—384.

<sup>2</sup> თ. ჟორდანიას ქრონიკები და სხვა მასალა..., II, 1897, გვ. 1—19.

<sup>3</sup> შ. მესხია. ძეგლი ერისთავთა, გვ. 305—374.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 325.

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ისტორია (XI—XV საუკუნეები), 1941, გვ. 197.

<sup>6</sup> იქვე.

ამის შემდეგ გიორგი V-მ ყურადღება მთიულეთზე გადაიტანა. მთიულეთში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წინააღმდეგ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი, გახშირებული იყო მკვლევლობა და სხვა დანაშაული. მეფე გიორგიმ პირადად შემოიარა მთიულეთი, ჩამოიყვანა იქედან წარმომადგენლები თბილისში, მოიწვია დარბაზი და მთიულეთს შეუდგინა სამართლის წიგნი — „ძეგლის დადება“, რაც 1334—1335 წლებში უნდა მომხდარიყო<sup>1</sup>.

მაშასადამე, „ძეგლის დადება“ შედგენილია მთიულეთისათვის, საქართველოს ჩამორჩენილი ერთ-ერთი კუთხისათვის. ამის მიზეზი, როგორც ძეგლის შესავალშია ნათქვამი, მთიულეთში დაწყებული არეულობა ყოფილა. „ძეგლის დადება“ ძირითადად სისხლის სამართლის ნორმებისაგან შედგება.

ძეგლი შედგება შესავლისა და 45 მუხლისაგან. მასში ჩამოთვლილია შემდეგი დანაშაული:

1) მკვლევლობა: ერისთავის (მუხ. 1), გამგებლის (მუხ. 2—5), ხევისბერის, მისი ნათესავის ან განაყოფის (მუხ. 6—10), ჰეროვანის, ციხისთავის, დედ-მამათა და ძმის (მუხ. 11—15—17);

2) სამხედრო ვალდებულებისათვის („სალაშქრო საქმე“) თავის არიდება (მუხ. 19—20);

3) ცოლის გაშვება და მოტაცება (მუხ. 21—25, 29);

4) ციხის დაქცევა (მუხ. 26);

5) თავდასხმა (მუხ. 28);

6) უარზანგობა (უპატიობა) (მუხ. 30);

7) დაჭრა და ასოთ მიღება (მუხ. 31—39);

8) ასაბიას მოკვლა ან დაჭრა (მუხ. 40);

9) ამიერთ და იმიერთ (ხევის) ერთმანეთთან სამტროდ მიდგომა (მუხ. 42);

10) მეკობრობა (მუხ. 43—44);

11) ვალი და პროცენტი (მუხ. 45);

12) გაყრა (მუხ. 18);

13) ბეითალმანი ქონება (მუხ. 27);

14) მოხუცი მამისა და შვილების ურთიერთობა (მუხ. 16);

როგორც ვხედავთ, სამოქალაქო სამართალს ეხება ოთხი მუხლი: 16, 18, 27 და 45. მე-16 მუხლი ეხება მოხუცი მამისა და შვილების ეკონომიურ ურთიერთობას. მე-18 მუხლი გაყრას, 28-ე ბეითალმან ქონებას და 45-ე ვალის საკითხს.

<sup>1</sup> ი. დ. ლ. ი. ძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, 1957, გვ. 15.

სისხლის სამართლის დანაშაულს შეიცავს მუხ.: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 17, სამხედრო ვალდებულების თავიდან აცილებას — მუხ. 19, 20; ცოლის გაშვება და მოტაცებას — მუხ. 21, 22, 23, 24, 25, 29; ციხის დაქცევას — 26; თავდასხმას — მუხ. 29; უბატიობას — მუხ. 31; დაჭრას — მუხ. 32, 33, 34, 35, 36, 37, 28, 38, 40; ასაბიის მოკვლას ან დაჭრას — მუხ. 41; ერთმანეთთან სამტროდ მიდგომას — მუხ. 43; მეკობრობას — მუხ. 43—44; სისხლის სამართლის შინაარსის არის 41 მუხლი.

ქვეყნის დადება პარტიკულარული დანიშნულების ქვეყანა, ის შედგენილია, როგორც ვთქვით, მხოლოდ მთიულეთისათვის, რომელიც განვითარების მხრივ დიდად ჩამორჩებოდა ბარს. ამის გამო, ქვეყნის დადებით, შურისძიება შეზღუდულია, მაგრამ საეკონომიკური აკრძალული არ არის.

ვისაც ცოლი მოსტაცეს, მას უფლება აქვს ერთი წლის განმავლობაში მომტაცებელს თვითნებურად უპასუხოს დაწვით, მოტაცებით ან დარბევით (მუხ. 22, 25, 29): ქვეყნის მიხედვით, თუ ვინმემ მოპირდაპირე სამჯერ გამოიძახა სასამართლოში და მისგან გამოცხადებაზე უარყოფითი პასუხი მიიღო, გამომწვევს შეუძლია თავს დაესხას მოპასუხეს (მუხ. 28). თუ ვინმეს რამე მოპარეს, დამკარგავს შეუძლია მოითხოვოს თავისი საქონელი უკან, ამის შესახებ დამკარგავი განმგებელთან და ხევისბერთან უნდა მივიდეს; მაგრამ, თუ მომპარავემა საქონელი არ დაუბრუნა, მაშინ დამკარგავს შეუძლია ძალა იხმაროს და მას თავზე „დამსხმელი“ არ ეწოდება, ე. ი.: ამის უფლება აქვს (მუხ. 54). მაშასადამე, შურისძიება და თვითგასწორება დაშვებულია, თუმცა ის შეზღუდულია, ერთი მხრივ დროით (ერთ წლამდე), მეორე მხრივ ხელისუფლებით, ე. ი. თავდამსხმელი ჯერ განმგებელთან ან ხევისბერთან უნდა მოიხმაროს. ამას გარდა, თვითგასწორებას პიროვნული ხასიათი აქვს. შურისძიება არ გადადის გვარზე, როგორც ეს გვაროვნული წყობილების დროს იყო.

სასჯელის სახეებში მოცემულია გაძევება (მუხ. 3, 9) და გაპარსვა (მუხ. 2). ცხადია, სასჯელის ორივე სახე ადათობრივი სამართლიდან მომდინარეობს და მათი ძირი ისევ გვაროვნული წყობილებაა. თემური წყობილებისათვის გაძევება უმაღლესი სასჯელი იყო.)

ქვეყნის დადების“ ძირითადი წყარო ადათობრივი სამართალია. ეს გასაგებიცაა: მთიულეთში მოქმედებდა ადათები და ძლიერი იყო გვაროვნული წყობილების საწყისები. კანონმდებელი იძუ-



ლებულია მხედველობაში მიიღოს სისხლის აღების ჩვეულება. იგი ცდილობს, სადაც კი შესაძლებელია, გაატაროს განვითარებული სამართლის საწყისები. გიორგი V-ის დროს და მის წინა პერიოდში იყო სამართლის წიგნები. ამის შესახებ „ძეგლის დადებაში“ თითქოს მითითებულიც არის, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, დაუჯერებელი იქნებოდა, რომ ისეთ სახელმწიფოში, როგორც გაერთიანებული ფეოდალური საქართველო იყო სამართლის წიგნები არ ყოფილიყო. ცნობილია, რომ საქართველოში არათუ სისხლის სამართლის კოდექსები, არამედ ცალკეული უწყებისათვის საგანგებო იურიდიული აქტებიც კი იქმნებოდა, მაგალითად, გიორგი III-ის სიგელის მიხედვით, საქართველოში ჩამოყალიბებულია სამპარავთმადიებლო დაწესებულება, რომელსაც თავისი შტატი და თავისი დებულებაც გააჩნია<sup>1</sup>. ქართული განვითარებული სამართლის საწყისების გავლენა ჩანს „ძეგლის დადებაშიც“. „ძეგლის მიხედვით, კვალიფიციურ მკვლევლობად ითვლება დედის, მამისა და ძმის მკვლელობა (მუხ. 15, 17). კანონმდებელს მშობლების მკვლელობა მეტად შემზარავ დანაშაულად მიაჩნია, რომელსაც ყოველგვარი სასჯელი ეკუთვნის. ამასთან დაკავშირებით, კანონმდებელი იხილავს თანამონაწილეობის საკითხს: თანამონაწილეები ერთნაირად ისჯებიან. შვილები მშობლების მკვლელობისათვის კვალიფიციური დანაშაულისათვის აგებენ პასუხს, მაგრამ შვილების თანამონაწილე გარეშე პირი, წერს კანონმდებელი, არ უნდა აგებდეს პასუხს კვალიფიციური დანაშაულისათვის, რამდენადაც მოკლული არ არის მისთვის მშობელი (მუხ. 15), ამიტომ თანამონაწილემ პასუხი უნდა აგოს ჩვეულებრივი მკვლელობისათვის<sup>2</sup>.

ძეგლი ქართულად გამოცემულია ს. კაკაბაძის მიერ, მოკლე შესავლით<sup>3</sup>. შემდეგ ის 1930 წელს დაიბეჭდა<sup>4</sup>. ძეგლი ორჯერ გა-

1 ივ. სურგულაძე. ქართული სამართლის ისტორიის მნიშვნელოვანი ძეგლი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყ. „მოამბე“, ტ. 1, 1960; Сургуладзе И., Важный памятник истории грузинского права (грамоты Георгия III-го, 1170 г.), „მაცნე“ ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სესია, № 2, 1972; მისივე, Un Document important de Li, Histoire du Droit Georgien Lacharte du roi George III (1170) „Bedi karteissa, XXXIII, 1975.

2 ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 69

3 ს. კაკაბაძე. ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ, 1913.

4 ს. მაკალათია. მთიულეთი, 1930 (მეორე თავი).

მოსცა ი. დოლიძემ<sup>1</sup>. ძეგლი რუსულ ენაზე გამოვიდა 1836 წელს. ამიერკავკასიაში რუსული მმართველობის საჭიროებისათვის<sup>2</sup> გამოცემული იყო ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული და ამაში შედიოდა გიორგი V-ის „ძეგლის დადებაც“. 1887 წელს მეორეთ გამოვიდა ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის რუსული თარგმანი, ცნობილი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის რედაქტორობით. მასში მოცემულია დ. ბაქრაძის ვრცელი კომენტარები<sup>3</sup>. ამ კრებულში მოცემულია გიორგი V-ის „ძეგლის დადებაც“. ძეგლი გადათარგმნილია ინგლისურად ოლივერ უორდროპის მიერ<sup>4</sup>. ფრანგულად კი ი. კარსტის მიერ<sup>5</sup>. ამ ძეგლის მიხედვით გამოკვლევა დაწერა ნ. ურბნელმა (ნ. ხიზანიშვილმა)<sup>6</sup>, ხოლო თავიანთ შრომებში ვრცლად განიხილეს ივ. ჯავახიშვილმა<sup>7</sup>, ივ. სურგულაძემ<sup>8</sup>, ი. დოლიძემ<sup>9</sup>. და სხვ.

### აღზუღას სამართლის წიგნი

„აღზუღას სამართლის წიგნი“ ქართული სამართლის ისტორიის რიგი ინსტიტუტების შესასწავლად ფრიად მნიშვნელოვანი ძეგლია. ძეგლის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ეუ-

<sup>1</sup> ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, 1957 (ვრცელი გამოკვლევით); ქართული სამართლის ძეგლები, I; ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, 1963, გვ. 401—421, 614—619.

<sup>2</sup> რ. ახვერდიანი, რ. ლომინაძე, ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის პუბლიკაციის ისტორიიდან, „ვანთიანი“, 1978, № 1 (ლიტერატურული აღმანახი).

<sup>3</sup> Сборник законов грузинского царя Вахтанга VI-го, изд. Френкеля, под ред. Д. Бакрадзе, 1887.

<sup>4</sup> Lawsof King George V, of Georgia, surnamend „he brillant“ bu Oliver Wardrop (ob. Journal of the Royae Astatic SoVety 1914, July 607—626).

<sup>5</sup> Joseph Karst Iode d' Agbbougha tome II, livre seconde 1939.

<sup>6</sup> ნ. ურბნელი ი. „ძეგლის დადება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი (მონოგრაფია), 1890.

<sup>7</sup> ივ. ჯავახიშვილი ი. ქართული სამართლის ისტორია, წ. I, 1928, გვ. 93—104.

<sup>8</sup> ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952 გვ. 67—70; Сургуладзе И., История государства и права Грузии, 1968, с. 65—66.

<sup>9</sup> ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, 1957.

თენის ერთ კანონმდებელს. ძეგლის დასაწყისი — შესავალი თვითონ აღბუღასია, პირველი 65 მუხლი — ბექასი, 65-დან 98-ე მუხლამდე — აღბუღასი, ხოლო 100-დან 103 მუხლის ჩათვლით და შეიძლება მეტიც ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის. მაშასადამე, ძეგლი რამდენიმე საკანონმდებლო აქტისაგან შედგება. ძირითადი, თავდაპირველი ნაწილი, როგორც ეს 1672 წლის ხელნაწერიდან ჩანს, არის პირველი 98 მუხლი, რომელიც ბექასა და აღბუღას ეკუთვნის; ამ 98 მუხლიდან 65 ბექასია, ხოლო 33 აღბუღასი, 98-დან დაწყებული მუხლები შემდეგ არის მიმატებული.)

დ. ჩუბინაშვილის გამოცემით, ძეგლი 175 მუხლისაგან შედგება და მას აღბუღას სამართლის წიგნი ჰქვია. ვახტანგის სამართლის წიგნის კრებულში ეს სამართლის წიგნი 176 მუხლისაგან შედგება და იქაც ძეგლი აღბუღას სახელწოდებას ატარებს. ი. დოლიძის გამოცემით, ეს სამართლის წიგნი 175 მუხლისაგან შედგება და მას ბექა-აღბუღას სამართალი ეწოდება. 1672 წლის ხელნაწერით, რომელიც უძველესია და 98-ე მუხლით მთავრდება, სამართლის წიგნს ეწოდება: „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველივე“.

(სამართლის წიგნის შესავალში აღბუღა წერს: შევეკრიბე საბჭო და პაპაჩემის, მანდატურთუხუცესის ბექას სამართლის წიგნი, ანუ „განაჩენი“ დავიდევნი წინ და „სრულობით და უკლებლად დავსწერეთ“, ე. ი. ბექას სამართალი უკლებლად გადმოვიწერე და დავამტკიცე სამოქმედოთო; ამასთანავე, იგი წერს, რომ ბექას სამართალს დავურთეთ ჩვენი სამართალიო: „და რაცა ჟამთა სიავითა სხვანი უწესონი საქმენი შემოსულიყვნენ, მათი სამართალიცა ზედ დავურთეთ“. რას ნიშნავს ზედა დავურთეთ? თვით ბექას სამართალს დაურთო? 66-ე მუხლის წინ, აღბუღა აცხადებს, რომ მან გამოიკვლია, შეისწავლა „სრულისა სამცხისა საქმე“, ცხენის ქურდობა გახშირებულიყო, აღბუღამ „საპატიო კაცნი“ მოიწვია და მათთან „ბჭობით“ დაადგინა, რომ ძველი „განაჩენით“ იხელმძღვანელოს და ახალიც დაუმატოს. აღბუღამ დაწერა 33 მუხლი. ძველი განაჩენის სახით, ამ შემთხვევაში, აღბუღას ბექას სამართლის წიგნი არ უნდა ჰქონდეს მხედველობაში, რადგანაც ბექას სამართლის წიგნში მეკობრეებზე არ არის საუბარი. როდესაც, პირველ შესავალში საუბარია „ზედ დართვაზე“, შესაძლებელია ეს დართვა ფაქტით ბექას სამართლის წიგნს შეეხებოდეს და აღბუღამ რომელიმე მუხლი დაუმატა კიდევ ან შეიძლება „ზედ დართვა“ ისე გავიგოთ, რომ ბექას კანონებს საკუთარი კანონებიც მიუმატა. „სრულობით

და უკლებლად“ ბექას სამართლის წიგნი რომ აღბუღას არ გადმო-  
უწერია, ამის შესახებ ის ქვემოთ წერს: ბექასდროინდელი ფულის  
ერთეული — ყაზანური (მონღოლური) გეოგრაფიულით—გიორგი  
V-ის სახელით მოჭრილი ფულის ერთეულით შევცვალეო. აკად.  
ივ. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ აღბუღა  
საზღაურის რაოდენობაშიც შეიტანდა ცვლილებას და საერთოდ კი  
„ბექას სამართლის წიგნი შენახულია აღბუღა ათაბაგის დროის  
საკანონმდებლო კრების რედაქციით“<sup>1</sup>.

შეიტანა თუ არა აღბუღამ სხვა რაიმე ცვლილება ბექას სა-  
მართალში არ ვიცით, არც ის ვიცით მთლიანად მოიტანა სამართ-  
ლის წიგნი, თუ შემოკლებით, ან როგორი რედაქცია გაუკეთა მას.  
გარდა იმისა, რასაც აღბუღა თვითონ გვაწვდის, სხვა ცნობები ამის  
შესახებ არ მოგვეპოვება. ბექას სამართლის წიგნს ვიცნობთ მხო-  
ლოდ აღბუღას შესავლით, მისი და მასთან მოწვეული „საპატიო  
კაცების“ საბჭოს მიერ რედაქტირებულსა და დამტკიცებულს.

აღსანიშნავია შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ აღბუღას გან-  
ცხადებით, მას არაფერი შეუცვლია ბექას კანონებში, ვნახეთ, რომ  
ფულის ერთეული სწორედ მან შეცვალა. მეორე, მან გაუკეთა ბე-  
ქას სამართლის წიგნს შესავალი. აღბათ, წიგნს საკუთარი შესავა-  
ლი ექნებოდა, ან განმარტება სათაურის სახით, რომელიც კანონ-  
მდებლის ვინაობას გვამცნობდა. ამას გარდა, აღბუღამ და მისმა  
საბჭომ საკმარისად არ ცნეს ბექას სამართალი და გააგრძელეს,  
ანუ საკუთარი კანონები დაუმატეს, მაშასადამე, სამართლის წიგნი  
ერთიანობაში მოიყვანეს, გამართეს, ე. ი. ერთი სიტყვით, ჩვენ  
გვაქვს ბექას სამართლის წიგნი მხოლოდ და მხოლოდ აღბუღას  
მიერ შისი შეხედულებებისამებრ გამართული (და ერთიანობაში მო-  
ყვანილი. მაშასადამე, იმის სახით, როგორც ჩვენ მას ვიცნობთ, ბე-  
ქას სამართალს საკანონმდებლო ძალა აღბუღამ მისცა და სანამ ბე-  
ქას სამართლის წიგნის ხელნაწერი ცალკე არ აღმოჩნდება, მანამ  
აღბუღას მიერ გამოცემული საკანონმდებლო აქტი აღბუღას სა-  
ხელს უნდა ატარებდეს.

საჭიროდ მიგვაჩნია, ძეგლის შესწავლისას, გამოვეყოთ მისი  
შემადგენელი ნაწილები. აღბუღას სამართლის წიგნის პირველი ნა-  
წილი 66-ე მუხლამდე ეკუთვნის ბექას, მეორე ნაწილი — 99 მუხ-  
ლამდე აღბუღას. გამოსარკვევია დანარჩენი ნაწილები.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის შედგენის თარიღი

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, ვე. 109.

დაადგინა ს. კაკაბაძემ<sup>1</sup>. ვახუშტის მიხედვით, მანდატურთუხუცესი ბექა ცნობილია 1285—1305 წლებში მოღვაწე მთავრად. ამის შემდეგ მანდატურთუხუცესის ტიტულს სამცხის მთავრები აღარ ატარებდნენ. მაშასადამე, ბექამ სამართალი სწორედ იმ ხანებში შეადგინა, ხოლო, ბექას შვილისშვილი აღბულა მოღვაწეობდა გიორგი V-ის შემდეგ (მან შემოიღო გიორგი V-ის მონეტა), ე. ი. XIV საუკუნის მეორე ნახევარში. ი. დოლიძე აზუსტებს აღბულას მიერ სამართლის წიგნის შედგენის თარიღს, ეს უნდა ყოფილიყო 1381—1386 წლებს შორის<sup>2</sup>. აქედან

(აღბულას სამართლის წიგნი, რომელშიც შედის ბექას სამართალიც (98-ე მუხლამდე), ადგილობრივი დანიშნულებისაა. იგი მხოლოდ სამცხე-საათაბაგოსათვის არის შედგენილი; ამ სამართლის წიგნით უმაღლესი ხელისუფალია არა მეფე, არამედ ათაბაგი, ხოლო ეკლესიის უმაღლესი იერარქია არა კათალიკოსი, არამედ მაწყვერელი.

აღბულას სამართლის წიგნში მოცემულია ნორმები სამართლის სხვადასხვა დარგიდან. აქ ვხვდებით უმთავრესად სისხლის სამართლის ნორმებს (შკვლელობა, დაჭრა, მეკობრეობა და სხვა და მათი საზღაური), ხოლო სამოქალაქო სამართლის ნორმებით სამართლის წიგნი ეხება საკუთრების უფლებას, ნასყიდობას, გირავნობას, სესხსა და სხვ. წიგნი ეხება აგრეთვე სამოსამართლო სამართლის საკითხებს (ბჭე, შუაკაცო, მტკიცების საშუალებანი და სხვ.). აღბულას სამართლის წიგნი ფეოდალური საზოგადოების ძეგლია და ის გაბატონებული ფეოდალური კლასის ინტერესებს იცავს.)

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტი, როგორც ვთქვით, აღბულას სამართლის წიგნში 98 მუხლის შემდეგაა მოთავსებული. 98-ე მუხლის შეზღვევით წერია: „სახელითა ღმრთისათა დაიწყების საღმრთოთა და გაჩენილი და გასაჩენელი. პირველი დავითიან ბაგრატ კურაპალატისა და აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბრძანებითა და მერე ებისკოპოსთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკუათა კაცთა წინაშე ერთბამად გაჩენილი განგებითა ღმრთისათა. ვინცა საბჭოდ სჯდებოდეთ და მართსა საჩივარსა მართლად მოიხსენებდეთ, თქუენთა გულთა შიგან ღმრთისა შიში უნდა დაიჭიროთ და არავის სთნიოთ, არა მამასა და დედასა, არა პატრონსა,

1 ს. კაკაბაძე. სჯულმდებელთა ბექასა და აღბულას ვინაობა, 1912.

2 ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის რედაქციითა და გამოკვეთვით, 1963, გვ. 619.

არა ძმათა მეყვსთა, არას ქრთამის ქადაგებისათვის, არა, არამედ მართალი უნდა გააჩინოთ“<sup>1</sup>.

მოყვანილი ადგილის მიხედვით, მეფეთ-მეფე ბაგრატ კურაპალატი იწვევს ეპისკოპოსებს, დიდებულებს, აზნაურებს, „ჭკვიან კაცებს“ და ადგენს კანონებს. ამასთანავე კანონმდებელი განმარტავს, თუ როგორი უნდა იყოს ბჭკ, მოსამართლე: იგი უნდა იყოს ღვთის მოშიში, მიუდგომელი, უქრთამო. ასეთი მოსამართლე, მე-100 მუხლის მიხედვით, შეიძლება იყოს მოძღვარი. მაშინდელი ენით რომ ვთქვათ სწავლული, მეფესთან დაახლოებული ან დიდი ვაჭარი, ან სოფლის მამასახლისი. ყველაფერი ეს (99-ე და მე-100 მუხლები) განსხვავებულია აღბუღას კანონებისაგან და ერთი კანონმდებლის ნახელავია, ერთიანი აზრის გაგრძელებაა. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხს პირველად ყურადღება აკად. ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია; მან შეისწავლა აღბუღას სამართლის წიგნი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღბუღას სამართლის შემდგომ დამატებული აქვს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტი, როგორც ამის შესახებ გვამცნობს ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი „მეფეთა-მეფის“ ბაგრატ კურაპალატის სიტყვები (99-ე მუხლის შესავალი)<sup>2</sup>. **1**

ივ. ჯავახიშვილის აზრით, შესავლის გარდა მე-100, 101-ე, 102-ე და 103-ე მუხლებიც „უეჭველია ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნიდან არის აღბუღას კანონებში შეტანილი“<sup>3</sup>.

შესავლის შემდეგი ადგილი მოსამართლის მიუყვარძობლობას ეხება. თუ ამ ადგილს ცალკე მუხლად ჩავთვლით, როგორც ეს ამ ძეგლის გამოცემებშია მოცემული<sup>4</sup>, მაშინ ი. ჯავახიშვილის ვარაუდით, ოფხი მუხლი უეჭველად ბაგრატ კურაპალატისაა. შეიძლება სხვა მუხლებიც მისი იყოს, მაგრამ ავტორის აზრით, ეს შესწავლას მოითხოვს. ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი სვამს კითხვას, თუ რომელ ბაგრატ კურაპალატზეა ძეგლში ლაპარაკი. ავტორი ასახელებს ყველა ბაგრატს, რომლებიც საქართველოში მეფობდნენ: ბაგრატ

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის რედ., 1963, გვ. 464.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი ი. ქართული სამართლის ისტორია, წ. I, 1928, გვ. 82—93.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 85.

<sup>4</sup> Сборник законов грузинского царя Вахтанга VI-го, под ред. Д. Бакрадзе, 1887, с. 117 — 118, стр. 100, 101, 102, 103; ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის რედ., 1963, გვ. 464—465.

აშოტის ძე — სამცხე-საათაბაგოს მეფე, ბაგრატ II, ბაგრატ III, ბაგრატ IV და ბაგრატ V.

ი. ჯავახიშვილის აზრით, ბაგრატ I-ის, ე. ი. აშოტის ძის (IX საუკუნე) სასარგებლოდ მიუთითებს შემდეგი გარემოება:

1) ბაგრატ კურაპალატის წიგნის იმ მუხლების შესავალში, რომელიც აღბუღას სამართლის წიგნშია მოხვედრილი, საუბარია ბაგრატ კურაპალატზე, როგორც „აღმაშენებელზე“, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც დახასიათებულია ბაგრატ I, როგორც ეკლესიათა მაშენებელი<sup>1</sup>.

2) გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით, ბაგრატ I-ს განუწყესებია „გლახაკთა ნაწილი“, მასვე ამავე ნაწარმოებით, ღვაწლად ეთვლება „ყოვლისა ერისა სამართლით განკითხვა“. ასეთ თვისებათა მქონე მეფეს შეეფერება სამართლის წიგნის შედგენაც და სავარაუდოა, სწორედ სამართლის წიგნის შედგენა ჰქონდეს „მხედველობაში გიორგი მერჩულს, როცა „ყოვლისა ერისა სამართლით განკითხვაზე აქვს“ საუბარი<sup>2</sup>.

3) ი. ჯავახიშვილი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით, IX საუკუნის სამცხე-საათაბაგოში სამღვდლოებას „გასაოცარი უპირატესობა“ აქვს: ბერი ბაგრატს უთვლის, რომ მას „არა ჰნებავს მოსვლა“ მასთან, და როცა გამოცხადდა მასთან გრიგოლის მოწვევით, ბერი ეუბნება: „შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფე ხარ“, მე შენ კი არ გემორჩილები, არამედ ღმერთსო; ამავე ძეგლის მიხედვით, გურამ მამფალი, ქვეყნის მთავარი, გრიგოლ ხანძთელის განმარტებით, არ უნდა ერეოდეს ეკლესიის საქმეებში<sup>3</sup>.

ი. ჯავახიშვილი ყურადღებას აქცევს იმას, რომ ბაგრატ კურაპალატისად ცნობილი აღბუღას სამართლის წიგნის 102-ე მუხლის მიხედვით, „მეორე მეფე ეპისკოპოსი არს“. ეპისკოპოსის, ე. ი. სამღვდლოების ასეთი განდიდება, სწორედ შეესაბამება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აღწერილ ვითარებას, და, მაშასადამე, აღბუღას სამართლის წიგნში ხსენებული ბაგრატ კურაპალატი, ბაგრატ I უნდა იყოს<sup>4</sup>. მაგრამ ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბაგრატ I-ს ეს კანონები არ შეიძლება მიეწეროს, ვინაიდან მას მეფეთ-მეფის წოდება არ ჰქონდა<sup>5</sup>. მისი აზრით, XIV საუკუნეში მე-

1 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 85.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 87.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 88.

ფედ იყო ბაგრატ V დიდი, მაგრამ მას კურაპალატის წოდება არ ჰქონდა და ამიტომ ის არ შეიძლება აღბუღას სამართლის წიგნში შემონახული ბაგრატ კურაპალატის კანონების ავტორი ყოფილიყო<sup>1</sup>. XI საუკუნეში ცხოვრობდა ბაგრატ II, რომელიც აგრეთვე არ შეიძლება ამ კანონების ავტორი ყოფილიყო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ „რეგვენად“ იწოდებოდა და კიდევ იმიტომ, რომ კურაპალატობის პატივი არ ჰქონდა<sup>2</sup>.

ბაგრატ III-ისა და ბაგრატ IV-ის შესახებ ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა ასეთია: ბაგრატ IV-ის დროს, მემატიანეს სიტყვებით, „ქუეყანასა დაწყნარება არა აქენდა, ეკლესიანი და გლახაკნი, აზნაურნი ვერ იკითხვებოდესო“; როდესაც გიორგი მთაწმინდელი საქართველოში ჩამოსულა, მან თურმე „აღლესა მახული მხილებისა“ ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ. გიორგი მთაწმინდელს არ მოსწონდა „სამეუფო, სამართალი“ და მოითხოვდა რომ მართებულად „უსჯიდნენ ობოლსა და ქერივს“, „რათა არა მისდრეკდეს სასწორსა სამართლისასა, დიდი გინა მცირისო“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, საისტორიო წყაროების მოწმობით, ბაგრატ IV-ის დროს „სამართალი განსაკუთრებით დაცემული და შელახული ყოფილა და არც საფიქრებელია, რომ ასეთ მეფეს სამართლის წიგნის შედგენით თავი შეეწუხებინა“<sup>3</sup>.

რაც შეეხება ბაგრატ III-ს, ივ. ჯავახიშვილის აზრით, წყაროებში ის მოხსენიებულია განსაკუთრებული პატივისცემით, რადგან ყოფილა ეკლესიათა მაშენებელი, გლახაკთა გამკითხავი და „სამართლისა მართლად მომქმედი“; მათასადამე, ბაგრატ III-ის მართლმსაჯულება ძლიერ შექებულია, ამიტომ, დაასკვნის ავტორი, „უეჭველია იმ მეფეს სამართლის საქმისათვის სხვებზე მომეტებით უზრუნვია და გაუყეთებია კიდევ“. აღბუღას სამართლის წიგნის მე-100 მუხლის შესავალში ნათქვამია, რომ ბაგრატი „აღმაშენებელი“ იყო, მემატიანე ბაგრატ III-საც „მშენებელს“ უწოდებს.

ყველა ამის გამო, ი. ჯავახიშვილის აზრით, ხსენებული კანონების ავტორი არის ბაგრატ III<sup>4</sup>.

პროფ. სარგის კაკაბაძის აზრით, ხსენებული კანონები შედგე-

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 83.

2 იქვე, გვ. 84.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 84—85.



ნილი უნდა იყო XIV და XV საუკუნეში<sup>1</sup>. მაგრამ, ივ. ჯავახიშვილის მართებული მოსაზრებით, ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა არ მიიღო კურაპალატობის ტიტული და ამის შემდეგ საქართველოს მეფეები ასეთ ტიტულს აღარც ატარებდნენ, ამგვარად ბაგრატი V არ შეიძლება იყოს ყოფილიყო კურაპალატი.

ჩვენ შევეხეთ საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი ბაგრატი უნდა ივარაუდებოდეს აღბუღას სამართლის წიგნისათვის დამატებული პირველი ოთხი მუხლის ავტორად. ი. ჯავახიშვილის მოსაზრებაზე დაყრდნობით, აღვნიშნეთ, რომ ამ კანონების ავტორია ან ბაგრატი III, ან ბაგრატი IV.

ამ კანონების შესავალი, რომელშიც საუბარია მეფის მიერ ეპისკოპოსების, დიდებულების, აზნაურების და „ჭკუანთა კაცთა“ შესახებ, მსგავსია ოპიზართა სიგელისა, რომელიც ბაგრატი IV-ს ეკუთვნის. (99-ე მუხლის მიხედვით, მეფის მიერ მოწვეული პირები შეადგენენ საბჭოს, რომელიც აღგენს კანონს.) ოპიზართა სიგელით, მეფის მიერ მოწვეული პირები შეადგენენ დაახლოებით ასეთივე შემადგენლობის საბჭოს, რომელიც არჩევს სასამართლო საქმეს<sup>2</sup>.

ის წიგნი, რომელშიც ეს მოსაზრება გვაქვს გამოთქმული, 1952 წელს გამოვიდა. იმავე წელს მოხდა ამ წიგნის განჩილვა და, როდესაც ბაგრატი კურაპალატის ავტორობის საკითხი წამოიჭრა, ბაგრატი IV-ის ავტორობის სასარგებლოდ დავუმატეთ ის, რომ ბაგრატი IV-ის დროს ქვეყანას დაწყნარება არ ჰქონდა და ეს იყო მიზეზი კანონმდებლობის შექმნისა.

ზემოთ მოვიყვანეთ დიდი მეცნიერის აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებანი ამ საკითხის შესახებ. ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი ბაგრატი III-ის სასარგებლოდ ის იყო, რომ ბაგრატი IV-ის დროს ქვეყანაში არეულობა იყო, რომ გიორგი მთაწმინდელი სწორედ ამაზე მიუთითებდა და სხვა.

ჩვენი მოსაზრება კი სწორედ ამის საწინააღმდეგოა. გვეჩვენება, რომ სწორედ ქვეყნის დაუწყნარებლობა, არეულობა და აჯანყებანი შეიძლება კანონის შედგენის მიზეზი იყოს.

გიორგი ბრწყინვალე „ძეგლის დაღებაში“ აღნიშნავს, რომ მთიულეთში გამრავლდა დანაშაული, არეულობა, მკვლელობანი, თავდასხმები და სხვა. ამიტომ მან სპეციალურად იმოგზაურა მთი-

1 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. სჯულმდებელი ბაგრატი კურაპალატი, 1912; იმავე საკითხს ეხება ავტორი სხვა შრომაში, იხ. საისტორიო „მოამბე“, II, 1924.

2 ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 73.

ულეთში, ადგილზე შეისწავლა მდგომარეობა და სამართლის წიგნი შეუდგინა.

„აღბულას სამართლის წიგნშიც“ აღნიშნულია, რომ „უწესონი საქმენი შემოსულიყენენ“, მკვლელობანი, დაჭრა, თავდასხმა, ღალატი და სხვა და ამიტომაც, საგანგებო ზომების სახით, აღბულამ შეადგინა სამართლის წიგნი.

„კათალიკოსთა სამართლის წიგნის“ შესავალში აღნიშნულია, რომ „დიდი სიყმილი მოვიდა ცოდვათა ჩუენთაგან, მრავალი უწყსობა და უჯგურო საქმე შემოვიდა: კაცის კვლა, კაცის სყიდვა, ეკლესიის კრეხვა და უხვედრობა“. ასეთი არეულობა და დანაშაულის გამრავლება შეიქმნა მიზეზი ეკლესიის მესვეურთა შეკრებისა და საგანგებო ღონისძიების სახით კანონების მიღებისა; ეს არის XVI საუკუნე, როდესაც პოლიტიკურად დანაწილებული საქართველო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა: დანაშაული გამრავლდა, განსაკუთრებით საშიში შეიქმნა ადამიანთ ვაჭრობა. ამგვარად, კანონის შედგენის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ქვეყანაში შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობა — დანაშაულის ზრდა, რაც იწვევს მთავრობის მიერ, განსაკუთრებული გარემოების გამო, კანონის გამოცემას. ეს შედარებით ჩვეულებრივი ამბავია. ამიტომაც ივ. ჯავახიშვილის დასაბუთება, რომ ბაგრატ III-ის დროს სიწყინარე იყო, მეფის ხელისუფლება კი შედარებით მტკიცე, ხოლო ბაგრატ IV-ის დროს საწინააღმდეგო მდგომარეობა იყო, ეს მართალია, მაგრამ იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ სწორედ ბაგრატ IV შეეძლო ამ კანონების შედგენა. რასაკვირველია, ეს საბუთი გადამწყვეტი ხასიათის არ არის, შეიძლება კანონები მტკიცე ხელისუფლების დროსაც დაიწეროს და იწერება კიდევ, მაგრამ თუ ამ საბუთიანობას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ, ზემოთ მოყვანილი სამართლის წიგნების (აღბულას, კათალიკოსის სამართალი) სათანადო ადგილები სწორედ ბაგრატ IV-ის სასარგებლოდ უფრო უჩვენებენ. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ „ოპიზართა სიგელი“ ერთგვარ მსგავსებას ამჟღავნებს ბაგრატ კურაპალატის სახელით ცნობილ სამართლის წიგნის ნაწყვეტის შესავალთან.

ი. დოლიძე დაწვრილებით განიხილავს ბაგრატ კურაპალატის დროის საკითხს. იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ 99-ე მუხლიდან 160-ე მუხლამდე ბაგრატ IV-ს ეკუთვნის, ხოლო 161-ე მუხლიდან კანონიკურ სამართალს განეკუთვნებაო, 171—175 მუხლებს ავტორი „დანართს“ უწოდებს<sup>1</sup>. მისივე აზრით, 171—175 მუხლები

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 465—473.

33-ე, 64-ე, 72-ე და 81-ე მუხლების განმეორებას წარმოადგენს<sup>1</sup>. იგი ბაგრატ IV-ის ავტორად იმიტომ თელის რომ მის დროს ქვეყანა დაუწყყნარებელი იყო, კანონსაც ამისათვის შეადგენდაო, ამას გარდა, ბაგრატ IV-ის დროს სამღვდლოება დიდი უფლებებით სარგებლობდა და ეს გარეშობა ასახულია კიდევ სამართლის წიგნის მუხლებში<sup>2</sup>. ი. დოლიძის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ოპიზართა სიგელისა და ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტის ერთ-ერთი მუხლის (99-ე) მსგავსებას<sup>3</sup>. უკანასკნელად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საისტორიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე, ამავე საკითხის განხილვისას ი. დოლიძემ ის მოსაზრება განავითარა, რომ სამართლის წიგნის ეს ფრაგმენტი უსათუოდ X საუკუნისაა და შესაძლებელია, ბაგრატ III-საც შეეღვინაო; მაგრამ ი. დოლიძის გამოკვლევა მით უფრო საყურადღებოა, რომ ის შეეცადა შეესწავლა ეახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში მოთავსებული აღბუღას სამართლის წიგნის სახელით ცნობილი ძველი მთლიანად. ივ. ჯავახიშვილი ბაგრატ კურაპალატისად თვლიდა ოთხ მუხლს — 99-დან 102-მდე. ი. დოლიძის აზრით, ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის 99-დან 160-მდე მუხლები. ავტორი წერს, რომ ივ. ჯავახიშვილი ბაგრატ კურაპალატს ოთხი მუხლის ავტორად მიიჩნევს იმ მოსაზრებით, რომ ამ ოთხ მუხლში არის მოხსენიებული მეფე და ეპისკოპოსი. მაშინ როდესაც მეფე და ეპისკოპოსი იხსენიებიან სხვა მუხლებშიც: მე-100 მუხლში მოხსენიებულია ეპისკოპოსი, ხოლო 152-ე მუხლში მეფე<sup>4</sup>. სამღვდლოების პრივილეგიური მდგომარეობა, რომელზედაც საუბარია 99-დან 160-ე მუხლებში, წერს ი. დოლიძე, იმაზე მიუთითებს, რომ ეს მუხლები ერთ კანონმდებელს ეკუთვნის. ამ დაკვირვებას ავტორი სხვა საყურადღებო დასაბუთებასაც უმატებს. მისი დაკვირვებით, ორ მუხლში — 104-ესა და 151-ეში გვხვდება ტერმინი „სასჯელი“. ეს ტერმინი ორთავე მუხლში ნიშნავს „სამართალს“, „ბჭობას“, ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ტერმინს ძველ ქართულ სამართალში, ხოლო გვიანდელ საკანონმდებლო ძეგლებში ასეთი შინაარსი ამ ტერმინს აღარ ჰქონია<sup>5</sup>.

1 ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953, გვ. 76.

2 იქვე, გვ. 56—57.

3 იქვე, გვ. 57.

4 იქვე, გვ. 49—50.

5 იქვე, გვ. 50.

ამასთანავე, ი. დოლიძე ყურადღებას აქცევს ტერმინებს „შეკაზმა“, „შეხვეწა“, რომლებიც გვხვდება, როგორც 107-ე, ისე შემდეგ მუხლებშიც (108, 149), აგრეთვე ტერმინს „საპირო“ (მუხ. 112, 159, 160); ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ 98-ე მუხლის მომდევნო კანონები ერთ კანონმდებელს ეკუთვნის. ტერმინები „შეხვეწა“ და „საპირო“ მომდევნო პერიოდის საკანონმდებლო ძეგლებში არც გვხვდება. ავტორი მიუთითებს სხვა სიტყვებზეც, რომლებიც 99-ე და 150-ე მუხლებში იხმარება, რაც ამტკიცებს, რომ ძეგლი ერთი კანონმდებლის ნახელავია<sup>1</sup>.

საყურადღებოა ი. დოლიძის მიერ მოყვანილი 1460 წლის საბუთი, რომელშიც „ბჭედ“, ანუ მოსამართლედ, ისე როგორც ბაგრატი კურაპალატის სახელით ცნობილ სამართლის წიგნის ფრაგმენტში (აღბუღას სამართლის წიგნის მე-100 მუხლი), დასახელებული არიან: ეპისკოპოსნი, დარბაზის კარის ვეზირნი, ქალაქის ვაჭარნი და „ქუეყანისა მამასახლისნი“<sup>2</sup>. მოსამართლეები აქ დაყოფილია საზოგადოების ფენების, კლასების მიხედვით: ფეოდალების მოსამართლეა დარბაზის ვეზირი, მეფესთან დაახლოებული პირი, ვაჭრებსა და გლეხობას ცალ-ცალკე მოსამართლეები ჰყავთ. ფრიად საყურადღებოა ასეთი დამთხვევა. ეს ძეგლი (ჟურნალების სასისხლო სიგელი) სამეცნიერო ლიტერატურაში ყალბად არის მიჩნეული<sup>3</sup>. ამის მიუხედავად, ამ საბუთით სარგებლობა შეიძლება. ის გარემოება, რომ ბაგრატის სამართლის წიგნის ფრაგმენტთან ამ ძეგლის ერთი ნაწილი მსგავსებას ამჟღავნებს იმას ნიშნავს, რომ ჟურნალთა საბუთის შემდგენელი იცნობდა ბაგრატი კურაპალატისად მიჩნეულ სამართლის წიგნს ან მის ფრაგმენტს. ძეგლის შემდგენელი ცდილობდა, თუ ძეგლი ნატყუარი იყო, მის მიერ შედგენილი ძეგლი აღჭურვილი ყოფილიყო ისეთი ნიშნებით, რომლებიც მას შართებულად წარმოადგენდა. ამიტომაც ამოულია ბაგრატის წიგნიდან სათანადო მუხლი. აღსანიშნავია, რომ ის ადგილი, რომელიც ძეგლშია ჩართული, უადგილოდაც გამოიყურება. შართლაც: ჟურნალი არის ფეოდალური კლასის წარმომადგენელი, მისი მოსამართლე იქნებოდა კარის ვეზირი ან დიდებული, მაშ რაღა საჭირო იყო ამ ძეგლში ქალაქის ვაჭრის მოსამართლეზე ან სოფლის მამასახლისზე საუბარი? ეს სხვათა შორის; მაგრამ მთავარი ის

1 ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953, გვ. 53.

2 ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 627.

3 ივ. ჯავახიშვილი ი. ქართული სიგელთა მცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა, 1926, გვ. 157—188.

არის, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტად მიჩნეული სამართლის ნორმა მოსამართლეების შესახებ, საკმაოდ გავრცელებული, მრავალთათვის ცნობილი ნორმა ყოფილა; თუკი უფრულთა სასისხლო სიგელის შემდგენელს ის თავის ძეგლში მოუტანია, იქნებ, დროის მიხედვით, ეს ძეგლები დაახლოებით ერთ ხანაშია შედგენილი. ეს და ამასთან დაკავშირებით მრავალი საკითხი შესასწავლია<sup>1</sup>. ამასთანავე, ი. დოლიძეს მოჰყავს სიმონ მეფის 1593 წლის განჩინება, რომლის ნაწილები იშვიათ მსგავსებას ამჟღავნებს ვახტანგის სამართლის წიგნის კრებულში შესულ აღბუღას სამართლის წიგნის შემდეგ მუხლებთან: 105, 124, 125, 127, 129, 130, 132, 133, 134, 136, 138, 141 და 197<sup>2</sup>.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ, როგორც ი. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, 102-ე მუხლის შემდეგი მუხლები სხვადასხვა დროს შედგენილი კანონიკური სამართლის ძეგლებია ან შეიძლება ერთი კანონმდებლის მიერ იყო შედგენილი, მაგრამ შესაძლებელია, მისი ავტორი ბაგრატ კურაპალატი არ იყოს. ამასთანავე, ისიც არის დასაშვები, რომ ნაწილი საერო შინაარსის ნორმებია, ხოლო ნაწილი კანონიკური სამართლის. ყველაფერი ეს შესასწავლია.

აღბუღას სამართლის წიგნის გავრცელების საკითხს, რომელიც ვახტანგის სამართლის კრებულშია მოცემული, შეეხო ზ. რატიანი.

ივ. ჯავახიშვილს თავისი ნაშრომის ერთ-ერთი პარაგრაფის სათაური ასე აქვს გაკეთებული: „ვახტანგ VI-ის კოდიკოში ბექა აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოში შეცდომით დართული კანონების შესახებ“<sup>3</sup>. მაშასადამე, ი. ჯავახიშვილის აზრით, ეს კანონები შეცდომით არის მიწერილი აღბუღას კანონებთან. ი. დოლიძე იმეორებს ი. ჯავახიშვილის მიერ მოყვანილ მოსაზრებას და თავის მხრივ უმატებს იმას, რომ ეს შეცდომა „უნდა მიეწეროს ვახტანგ მეფის საკოდიფიკაციო კომისიას, რომელმაც შეკრიბა იმ დროისათვის შემონახული საკანონმდებლო ძეგლები“<sup>4</sup>. ზ. რატიანის აზრით, ვახტანგის საკანონმდებლო კომისია ავტორიტეტული იყო და მის მუშაობას ნდობით უნდა მოვეკიდოთ<sup>5</sup>.

მართლაც, ვახტანგის კომისია გარკვეული გეგმით მუშაობდა,

1 ქართული სამართლის ძეგლები, 1963, გვ. 627.

2 იქვე, გვ. 627—628.

3 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 112.

4 ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, 1953, გვ. 42.

5 ზ. რატიანი. საქართველოს სოციალური წყობა XIII—XIV საუკუნეებში, 1970, გვ. 28—29.

გარკვეული მიზნები ჰქონდა დასახული და თავის მოქმედებაში საქმის ღრმა ცოდნასაც ამჟღავნებდა. ამიტომ საყურადღებოა იმის ცოდნა, თუ რით ხელმძღვანელობდა ეს კომისია, როდესაც მთელი ეს დანართი მუხლები აღბუღას კანონმდებლობაში შექპონდა; ამით ის ამ დანართ მუხლებს სამცხე-საათაბაგოს კანონმდებლობას უკავშირებდა. შესაძლებელია, კომისია ცდებოდა, მაგრამ მისი გადაწყვეტილება ჩვენს ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ეს საკითხი სერიოზული და ყოველმხრივ შესასწავლია.

ზემოთ აღნიშნულ საკითხს შეეხო ა. კიკვიძე<sup>1</sup>. მან მოიყვანა ივ. ჯავახიშვილისა და ი. დოლიძის გამოთქმული მოსაზრებანი, მაგალითად, ეკლესიის მსახურთა დიდი უფლებების შესახებ, რაც ამ კანონებშია მოცემული, კურაპალატობა და სხვა. ა. კიკვიძის აზრით, ხსენებული კანონების ავტორი უნდა იყოს ბაგრატი I, აშოტის ძე. ბაგრატი აშოტის ძისადმი ამ კანონების მიწერა პირველად ივ. ჯავახიშვილმა წამოაყენა და მანვე უარყო ასეთი შესაძლებლობა. ა. კიკვიძე, ამის დასადასტურებელ ერთ-ერთ ძლიერ საბუთად მიიჩნევს შემდეგს: 102-ე მუხლის მიხედვით, მეორე მეფე ეპისკოპოსია. იგი წერს: „ჩვენთვის აქ საინტერესო ის არის, რომ ეპისკოპოსი მეორე მეფედ არის მიჩნეული და კათალიკოსის ხსენებაც არ არის. ეს გარემოება ცხადად მოწმობს, რომ სამართლის დამდები გაერთიანებული საქართველოს მეფე არ არის და სამართალი ქვეყნის ერთ ნაწილს ეხება“<sup>2</sup>, ამიტომ ამ კანონების ავტორი არის ბაგრატი აშოტის ძეო. ამის გამო შევნიშნავთ, რომ მესხეთის ეკლესიის იერარქი სავსებით გარკვეული პირი იყო, ეს იყო მაწყვერელი, რომლის შესახებ თვითონ ა. კიკვიძე წერს: როდესაც „გურამ მამფალის თავმჯდომარეობით ქართლის კათალიკოსის დადგენის საქმე ირჩეოდა, მთელი კრება აწყურის ეპისკოპოსს — მაწყვერელს უცდიდა, თუ რას იტყოდა ის, მაშასადამე, მაწყვერელი მაშინ კურაპალატისა თუ მამფალის, ამ მეფეთა შემდეგ პირველი პირი იყო“<sup>3</sup>. მართლაც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით, მაწყვერელი ასეა დახასიათებული. ისმის კითხვა, თუ რატომ არ არის დასახელებული მაწყვერელი ეპისკოპოსის ნაცვლად? მაშასადამე, კათალიკოსის არ მოხსენიება საბუთად არ გამოდგება

1 ა. კიკვიძე. ვის ეკუთვნის ბაგრატი კურაპალატის სამართლის სახელით ცნობილი სამართალი? (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XVI—XVII), 1972, გვ. 228—244.

2 იქვე, გვ. 234.

3 იქვე, გვ. 237.

და სავსებით მართებულია ივ. ჯავახიშვილი, როცა წერს, რომ „ეპისკოპოსის“ მოხსენიება ძეგლში სწორედ იმის დამადასტურებელია, რომ ხსენებული მუხლები საქართველოს გაერთიანებული პერიოდის მეფეთა-მეფის ნახელავია<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით საკმარისი მასალა არ არის იმისათვის, რომ საბოლოოდ გადაჭრილად ჩაითვალოს საკითხი. იმის შესახებ, თუ 99-ე, მე-100, 101-ე, 102-ე მუხლები რომელ ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ოთხი მუხლი X საუკუნისაა, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, და ორი ბაგრატიონიდან ჩვენ უფრო სავარაუდოდ ბაგრატ IV მიგვაჩნია. რაც შეეხება მომდევნო მუხლებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მუხლები ბაგრატ კურაპალატს არ ეკუთვნის, შედგენილია უფრო გვიან და შესაძლებელია სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირის მიერ.

#### ქსნის ერისთავის 1470 წლის სიგელი ლარგვისის მონასტრისადმი ბოძებული

სიგელი საკმაოდ მოზრდილი დოკუმენტია. იგი შეიცავს ჩვეულებრივი ფორმატით დაბეჭდილი წიგნის 7 გვერდს<sup>2</sup>. ძეგლი გამოცემულია ექ. თაყაიშვილის მიერ. „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით, ქსნის საერისთაოს დაარსება, ქვენიცნელთათვის ერისთავობის ბოძება ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანესთან არის დაკავშირებული. 1470 წლის სიგელის მიხედვითაც, ქსნის ერისთავთა საგვარეულო მონასტრის დაარსება და მისი ქსნის ერისთავისადმი ბოძება იუსტინიანეს სახელს უკავშირდება.

ლარგვისის მონასტერი ქსნის ერისთავთა საძვალეა, ამიტომ მონასტრის წინამძღვარს ერისთავი ნიშნავს; შალვა ერისთავმა, ძეგლის მიხედვით, განააზღვა მონასტერი, მოახატვინა ის და უბოძა სამი სოფელი.

ძეგლში განსაზღვრულია მონასტრის შემოსავალი, მისი მეურნეობა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ძეგლის მიხედვით, ერისთავი მონასტერს უბოძებს მამულებს, ანიჭებს იმუნიტეტს; შალვა ერისთავი მონასტრისადმი შეწირული ქონების შესახებ აღ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, 1928, გვ. 56.

<sup>2</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III, ე. თაყაიშვილის რედ., 1910, გვ. 535—561.

ნიშნავს, რომ „შეუვალია ერისთვისა და მისი მოხელეებისათვის“.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ შეუვალობას, ანუ იმუნიტეტს განსაზღვრავს არა ცენტრალური ხელისუფლება მეფის სახით, არამედ ერისთავთერისთავი; ის, ამ შემთხვევაში, არ ცნობს მეფის ხელისუფლებას. მსხვილი ფეოდალის განკერძოება სრულად არის მოცემული.

სიგელში მოცემულია დანაშაულისა და სასჯელის სხვადასხვა სახე. ამ საკითხებს აქ აღარ შეეხებით, რადგანაც ისინი განხილული გვაქვს შრომაში: „ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან“ (1963, გვ. 30—45).

#### სვიმონ მეფის 1590 წლის განაწესება მეკობართ- მძებნელის შესახებ (1590 წ.)

ცნობილია, რომ XII საუკუნეში და შეიძლება უფრო ადრეც, საქართველოში არსებობდა მპარავთმძებნელთა დაწესებულება, რომლის დანიშნულება იყო ქურდობის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. მპარავთმძებნელობის ინსტიტუტი დამოწმებულია გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში.

სვიმონ მეფის 1590 წლის სიგელში კი საუბარია მეკობართ-მძებნელზე; მეკობართმძებნელი მეკობრეებს და ქურდებს სდევნიდა და მათ საქმეებს არჩევდა. უფრო გვიან მეკობართმძებნელის სახელს ფუნქციებს ასრულებს ხევისთავი<sup>1</sup>.

სვიმონ მეფის 1590 წლის სიგელში მოცემული ინსტიტუტები დაწვრილებით გვაქვს შესწავლილი შრომაში: „ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან“ (1963, გვ. 45—56). ძეგლი გამოცემულია ექ. თაყაიშვილისა<sup>2</sup> და ი. დოლიძის მიერ<sup>3</sup>.

#### სასამართლოს განაწესი დიდი მოურავისა და ჯავახიშვილის სამხის ბაგო (1920 წ.)

ძეგლი ფრიად საყურადღებო მასალას შეიცავს ქართული სასამართლო პროცესის ისტორიიდან. აღსანიშნავია, რომ თუ სასა-

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის რედ., 1970, გვ. 597, 603, 619, 697, 698, 711.

<sup>2</sup> საქართველოს სიძველენი, II, გვ. 23—24.

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 204—205.



მართლო ფეოდალების საქმეს არჩევს, მაშინ ის შემრიგებლის როლში გამოდის, ხოლო თუ სასამართლოში ყმების საქმე ირჩევა ან ერთი მხარე ყმაა და მეორე ბატონი, მაშინ ფეოდალური სასამართლო დათრგუნვის ორგანოა გაბატონებული კლასის ხელში.

ძველში გვხვდება ტერმინები: განჩინება (სიტყვიდან „გავაჩინეთ“), განაჩენი და გადაწყვეტილება. „განჩინებას“ ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და საკანონმდებლო აქტს ეწოდებოდა; ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა „განაჩენსაც“, მაგრამ ამავე ტერმინებით გადმოიცემოდა სასამართლო გადაწყვეტილებაც.

განჩინება, ოთხთავის მიხედვით, ნიშნავდა დადგენას, მისჯას<sup>1</sup>.

ილია აბულაძის ლექსიკონის მიხედვით, განჩინება ნიშნავს: მიცემას, შეწირვას, გამორჩევას, გამოჩინებას, განსაზღვრებას, განწესებას, დადგენას, დამტკიცებას, გადაწყვეტას<sup>2</sup>.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონით განჩინება „სამართლის დასკვნას“ ნიშნავს; დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონით კი განბჭობა, განჩინება არის „დასკვნა სამართლისა ან გასაჩენი“.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონით განაჩენი არის „წიგნი განსაგებელი“, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონით კი „წერილით გასამართლებული საქმე“, ე. ი. განაჩენი, სასამართლოს გადაწყვეტილება, განაჩენის ოქმი. განაჩენი ოთხთავსა და ... აბულაძის ლექსიკონში არ გვხვდება. რაც შეეხება „განჩინებას“, როგორც ოთხთავის, ისე ი. აბულაძის, სულხან-საბა ორბელიანისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონების მიხედვით, ეს ტერმინი ფართო მნიშვნელობისაა, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებასაც ნიშნავს.

ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით, „გარდაწყვეტა“ ფიზიკურად მოკვეთას, მოჭრას ნიშნავს. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონით კი „საქმის გაცალკევებას“, ხოლო იმედის გარდაწყვეტა გულის გატეხვას ნიშნავს. დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ენის ლექსიკონით, „გარდაწყვეტას“ დასკვნის მნიშვნელობა აქვს.

„განაჩენი“ ძველ ქართულში სასამართლოს მიერ გამოტანილ დასკვნას ეწოდებოდა. საერთოდ, „განჩინებული“ „დანიშნული“

1 ი. იმნაიშვილი. ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი.

2 ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973.

მნიშვნელობით იხმარებოდა, ამასთანავე, „განაჩენი“ ზოგადად „დადგენილებასაც ნიშნავდა“<sup>1</sup>.

ზემოთ მოყვანილი მონაცემებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გადმოცემულიყო ტერმინებით — „განაჩენი“ და „განჩინება“. გვიანფოდალურ პერიოდშიც ასე იყო, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებისათვის უფრო იხმარებოდა ტერმინი „განაჩენი“. რაც შეეხება ტერმინ „გადაწყვეტილებას“, ეს ტერმინი, როგორც ვნახეთ, გვხვდება მოურავისა და ჯავახიშვილის სასამართლო პროცესის ამსახველ განაჩენში<sup>2</sup>.

ძველ ქართულში, როგორც ვთქვით, „გარდაწყვეტა“ ფიზიკურად მოჭრას, მოწყვეტას ნიშნავდა, აქედან სავსებით კანონზომიერია, რომ ამ სიტყვას, „დასკვნის“ მნიშვნელობაც მისცემოდა და სასამართლოს „განაჩენიც“ ამავე სიტყვით გადმოცემულიყო. თბილისართა სიგელში შეფე წერს: „გარდაესწყვიტე, მათ შორის საზიდი და სარჩელი“<sup>3</sup>. თვით ძეგლი თავის თავს „განაჩენს“ უწოდებს და ჩვენც მას ეს სახელი შევეუარჩუნეთ.

ამჟამად „განაჩენი“ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილ სასამართლოს დასკვნას ეწოდება, ხოლო სამოქალაქო სამართლის საქმეებზე გამოტანილ დასკვნას გადაწყვეტილება ჰქვია.

ძეგლის შესავალში მოხსენიებულია სასამართლოს შემადგენლობა, შემდეგ იწყება პროცესის აღწერა. სასამართლო ისმენს ჯერ მაძიებელს, ანუ დაზარალებულს, შემდეგ მოპასუხეს, ანუ ბრალდებულს. სამოქალაქო სამართლის სარჩელსა და სისხლის სამართლის ბრალდების საქმეს სასამართლო ერთად ისმენს.

სასამართლო კოლეგიალურია: იგი შედგება მდივანბეგის, ორი წევრისა და მდივნისაგან. მდივანბეგი უფროსი მოსამართლეა, დანარჩენი ორი წევრი — მსაჯულები, მეოთხე მდივანია. გამოდის, რომ სასამართლოს ოთხი წევრი ჰყავს, მაგრამ მეოთხეს — მდივანს პროცესის დროს ოქმის შედგენა ევალება. ამავე დროს ოთხივეს ძეგლში „ბრჭე და მოსამართლე“ ეწოდება.

ძეგლში მოცემულია პროცესის სხვადასხვა სტადიები, მხარეების უფლება-მოვალეობანი, მტკიცებულობის საშუალებანი და

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, II, 1929, გვ. 499.

<sup>2</sup> ივ. სურგულაძე. ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 62—63.

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 9.

სხვა. ეს საკითხები დაწვრილებით გვაქვს შესწავლილი სხვა შრომაში და აქ აღარ გავიმეორებთ<sup>1</sup>. ძეგლი გამოცემულია ქ. თაყაი-შვილისა<sup>2</sup> და ი. დოლიძის მიერ<sup>3</sup>.

### სასამართლოს განაჩენი მანუჩარ და პაპუნა ციციშვილების საქმეზე (1640 წ.)

ძეგლში ციციშვილების სამოსამართლო საქმეა გარჩეული. საქმე, თავისი შინაარსით, მსხვილ ფეოდალებს ეხება; ამასთანავე, განხილულია სისხლის სამართლის მსხვილი საქმეები. სასამართლოს თავმჯდომარეა მეფე როსტომი, წევრები: კათალიკოსი ქრისტეფორე, მდივანბეგები („ბჭენი და მოსამართლენი“), მდივანი თუმანიშვილი ბირთველი და სალაროს მუშრიბი ფირალი<sup>4</sup>.

როდესაც საქართველოდან შაჰ აბას I გაბრუნებულა და თან წაუყვანია ქართველთა მეფე ლუარსაბი, მაშინ „ქართუელნი უპატრონოდ დარჩნენ“ და ფეოდალთა შორის ბრძოლა გაჩაღებულა, ციციშვილებიც ერთმანეთს დარევიან<sup>5</sup>. სასამართლო არჩევს სახლთუხუცეს მანუჩარ ციციშვილისა და მისი განაყოფის პაპუნა ციციშვილის საქმეს. სასამართლო წერს: ციციშვილებს შორის „რომელიც ჩასარონინებელი იყო ერთმანეთს შეუფარდეთ და ჩავარონინეთ და რომელსაც ფიცი და სამართალი დაედებოდა, იმას მისი სამართალი და საქმე გაუჩინეთ“<sup>6</sup>.

ამის შემდეგ იწყება თვით პროცესი.

1) პაპუნამ და ხოხონამ იჩივლეს: სამწევრისში ბაადურ ციციშვილმა ბებია ჩემის სახლს ცეცხლი შეუწთო, ბებია გარეთ გამოათრიეს და შეურაცყოფა მიაყენესო. მანუჩარმა, ბაადურმა და ყაიამ ამაზე „აშორო“ თქვეს, ე. ი. ბრალდება უარყვეს<sup>7</sup>.

სასამართლომ ფიცი დაადგინა: მანუჩარ ციციშვილმა უნდა

---

1 ივ. სურგულაძე. ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 56—98.

2 საქართველოს სიძველენი, 11, გვ. 51—61.

3 ქართული სამართლის ძეგლები, IV, 1972, გვ. 55—64.

4 ქართული სამართლის ძეგლები, IV, 1965, გვ. 76—77.

5 იქვე, გვ. 77.

6 იქვე.

7 „აშოროს შესახებ იხ. ჩვენი შრომა: „ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან“, 1972, გვ. 77.

შექმედის ერთი შეუსახელებელის და მისი სწორის კაცითა, რომ ასეთი დანაშაული მას არ ჩაუდენია, თუ ვერ შექმედია, მაშინ უნდა გადაუხადოს ორასი მარჩილი<sup>1</sup>.

2) სახლთუხუცესი მანუჩარი, ბადური და ყაია ციციშვილები ჩიოდნენ: ქაიხოსრო ლაშქრით თავს დაგვესხაო და გაქცევით თავს ვუშველეთო.

პაპუნამ აშორო თქვა. სასამართლომ პაპუნას ორი შეუსახელებელი მოწმით, მისის სწორით, სამი აზნაურიშვილით და 6 მსახურით ფიცი დაავალა. თუ ვერ დაიფიცოს მაშინ 500 მარჩილი და ან სამი კომლი გლეხი მისცეს<sup>2</sup>.

3) პაპუნამ იჩივლა: ნიჩბისს სამი ძმანი ვიყავით, ჩვენთან იყო დედა, ბადური თავს დაგვესხა და ძლივს გადავრჩითო.

მანუჩარმა აშორო თქვა. სასამართლომ ფიცი დაადვა ორი მისი სწორი შეუსახელებელი კაცით, სამი აზნაურითა და ექვსი მსახურით. თუ ვერ დაიფიცა მაშინ 500 მარჩილი და სამი კომლი გლეხი უნდა მისცეს<sup>3</sup>.

4) სახლთუხუცესმა იჩივლა: გარდახვეწილნი ვიყავით, ორი „მოღალატე კაცი შემოგვიყენეს“ მოსაკლავადო, შევიტყვეთ, ერთი მოღალატე დავიჭირეთ, შეორე გავგექცა.

პაპუნამ და ხოხონამ ამაზე აშორო თქვა.

სასამართლომ ფიცი დაადვა პაპუნას და ხოხონას ორი შეუსახელებელი სწორი კაცით, სამი აზნაურიშვილით და ექვსი მსახურით. თუ ვერ დაიფიცოს უნდა გადაუხადოს 500 მარჩილი ან სამი კომლი გლეხი<sup>4</sup>.

5) პაპუნამ და ხოხონამ იჩივეს: ბადური ლაშქრით თავს დაგვესხაო, ნაზარა დიფანაშვილი ჯამუშად მოგვიგზავნა, ჯამუში დავიჭირეთ, თორემ ამოგვეწყვეტდაო.

მანუჩარ, ბადურ და ყაიამ აშორო თქვეს.

სასამართლომ მანუჩარს დაავალა ფიცი ორი მისი სწორი შეუსახელებელი კაცით, სამი აზნაურიშვილით, 6 მსახურით. თუ ვერ დაიფიცა, მაშინ უნდა გადაუხადოს 500 მარჩილი ან კიდევ სამი კომლი გლეხი<sup>5</sup>.

6) სახლთუხუცესმა იჩივლა: „მაცნე კაცი“ მოგვივიდა, რომ

1 ქართული სამართლის ძეგლები, IV, 1965, გვ. 77.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 78.

5 ქართული სამართლის ძეგლები, IV, 1972, გვ. 79.

თავს გესხმიანო, გავიქეცით, მაგრამ ჩვენი „ნასადგომარი“ ააოხრეს, საქონელი წაიღესო.

პაპუნამ აშორო სთქვა. სასამართლომ პაპუნას დაავალა ფიცი ორი მისის შეუსახელებლის სწორის კაცითა, სამი აზნაურიშვილით და 6 მსახურით, თუ ვერ დაიფიცოს მაშინ მოსარჩელეს გადაუხადოს 500 მარჩილი ან 3 კომლი გლეხი<sup>1</sup>.

7) პაპუნამ და ხოხონამ იჩივლეს: წავკისში ლაშქარი თავს დაგვასხეს, ძლივს გავასწარიითო. სახლთუხუცესმა აშორო თქვა, სასამართლომ ფიცი დაავალა მისი სწორი კაცით, სამი აზნაურიშვილით და ექვსი მსახურით, თუ ვერ დაიფიცებს მაშინ გადაიხდის 500 მარჩილს ან სამ კომლ გლეხს მოსარჩლის სასარგებლოდ<sup>2</sup>.

8) სახლთუხუცესმა იჩივლა: პაპუნამ მის ყმას კოკოლაშვილს თოფით ჩვენი მოღალატურად მოკვლა დაავალა. კოკოლაშვილმა გაამყდენა და სიკვდილს გადავრჩითო. სასამართლომ ფიცი დაავალა პაპუნას მისი სწორის შეუსახელებელის კაცით, სამი აზნაურიშვილით და 6 მსახურით, თუ ვერ დაიფიცა, მაშინ უნდა გადაუხადოს (სახლთუხუცესს) ხუთასი მარჩილი ან სამი კომლი გლეხი<sup>3</sup>.

9) პაპუნა და ხოხონა ჩიოდნენ: ხოხონა და მისი ბებია სამწევრისში იყვნენ, თავს დაესხნენ, ბებია გამოათრიეს, ხოლო ხოხონა თორნეში დაიძალა და ამით გადაარჩა. სასამართლომ მანუჩარს ფიცი დაავალა შეუსახელებელი მისი სწორი კაცით, 3 აზნაურიშვილითა და 6 მსახურით, თუ ვერ დაიფიცოს, უნდა გადაუხადოს მოსარჩელეს 500 მარჩილი ან 3 კომლი გლეხი<sup>4</sup>.

10) მანუჩარი, ბაადურის და ყაია ჩიოდნენ: პაპუნას ლალატის გამო ჩვენს რძალს „ვაჟუნდ მუცელი გაუცუდდაო“, ე. ი. მოეშალაო. სასამართლომ პაპუნას ფიცი დაავალა ორის მისის სწორის შესახელებელის კაცითა, ორის შეუსახელებელითა, ხუთი აზნაურიშვილითა და თორმეტი მსახურით. თუ ვერ დაიფიცოს მაშინ ათასი მარჩილი თეთრი ან ექვსი კომლი გლეხი მისცეს<sup>5</sup>.

11) პაპუნამ და ხოხონამ იჩივლეს: სასიკვდილოდ უკან დაგვედევნენ, სპარსეთში გავვაქციეს, გზაში ძმა მოგვიკვდაო.

სახლთუხუცესმა მანუჩარმა, ბაადურმა და ყაიამ აშორო თქვეს.

1 ქართული სამართლის ძეგლები, IV, 1972, გვ. 79.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 79—80.

4 იქვე, გვ. 80.

5 იქვე.

სასამართლომ მანუჩარს ფიცი დაავალა ორი სწორი შესახებუ-  
ლი და ორი შეუსახებელი კაცებით, 5 აზნაურიშვილით, 12 მსა-  
ხურით. თუ ვერ დაიფიცოს მაშინ გადაუხადოს მომჩივანს ათასი  
მარჩილი ან 6 კომლი გლეხი<sup>1</sup>.

12) მანუჩარი, ბაადური და ყაია ჩიოდნენ:

კათალიკოს ზაქარიას შუამავლობით ჩვენ შევირგდით, „შე-  
ვიფიცენით სუეტის ცხოველზედა და საფიცარიც მივეციეთ ერთმა-  
ნეთსა, ამის შემდეგ, მესამე დღეს, სახლში დაგვაპატიეუს, გვიღალა-  
ტეს, ბაადურ სასიკვდილოდ გაიმეტეს და შემთხვევით სიკვდილს  
გადარჩაო.

პაპუნამ უპასუხა, რომ მართალი გულით დაგვაპატიეთ მამა-  
ჩემმა, მაგრამ ბაადურის მოყვარის ენით უშლლი ჩამოვარდაო.

სასამართლო ამის შესახებ წერს: „აწე თუით ჩუენ კელმწი-  
ფემან, ქართლისა კაათალიკოზმან და ერთობილთა ბჭეთა და მოსა-  
მართლეთა ამისი საქმე მართლა და კარგა რიგად ვიწურილიეთ და  
გამოვიკითხეთ; და რადგან ქაიხოსროს შინ ეწვია და დაეპატიეთა,  
ამ საქმეზედ სხუა აღარა გაეწყობოდა რა და ლალატიც ქაიხოსროს  
შევაცნივეთ და ამ ლალატის პასუხიც უნდა პაპუნამ სახლთუხუცესს  
გასცეს“<sup>2</sup>.

აქ ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: პაპუნას მამას  
ქაიხოსროს ბაადური სახლში მოუპატიეებია და სასიკვდილოდ  
უცემიათ. სასამართლოს ეს საქმე დაწვრილებით შეუსწავლია და  
მისულა იმ დასკვნამდე, რომ ადგილი აქვს ლალატს. ამ ლალატისა-  
თვის პასუხი უნდა აგოს ქაიხოსროს შვილმა პაპუნამ. მაგრამ ამ  
დანაშაულის სანქცია ამ შემთხვევაში სასამართლოს არ აქვს გა-  
თვალისწინებული, რადგანაც შემდეგ შოდის ბრალდებულის სა-  
ჩივარი, და სასამართლო ერთობლივად განსაზღვრავს საზღაურს.

13) პაპუნამ და ხოხონამ იჩივეს: წინანდელს „სიკვდილს და  
ავს არ დაგვაჯერესო“, მოგვიხდნენ და მძინარენი დაგვხოცესო.

ამაზე სახლთუხუცესმა, ბაადურმა და ყაიამ აშორო ვერა  
თქვეს. როდესაც სახლში დაპატიეებულთ გვიღალატეს, ამის სა-  
მაგიეროდ „ჩენი სიკუდილი და ამოწყვეტა ვეღარ დავითმევეით  
და ჩუენი სიკუდილი და წაქდენა მოვიკითხეთო და კიდევაც  
დავკოცეთო“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, IV, ი. დოლიძის რედ., 1972, გვ. 80—81.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 81.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 81—82.

სასამართლომ დაადგინა: პირველად, პაპუნას მამამ ქაიხოსრომ ჩაიდინა ლალატი, სახლში მიიპატიჟა სტუმრად ბაადურის და სასიკვდილოდ გაიმეტა. ამის საპასუხოდ, ქაიხოსროს თავს დაესხნენ და მოკლეს ქაიხოსრო და მერაბი.

ჩვენ არ ვიცით, მერაბი რა არის ქაიხოსროსი, შეიძლება შევილიც იყოს, ყოველ შემთხვევაში მისი სახლის კაცია. სასამართლოს განაჩენით, ქაიხოსროს მკვლელობა და ბაადურის ლალატი ერთმანეთს შეეფარდა და გათანაბრდა: ქაიხოსრომ „ფიცი გატეხა“, ამიტომ მოკლეს, ხოლო „მერაბის სისხლი სახლისუხუცესს დაედო, მისი თორმეტის თუმნის სამარხითა“, ე. ი. სისხლის ფასის გარდა, მანუჩარმა სამარხიც უნდა გადაიხადოს<sup>1</sup>.

ამ შემთხვევაში, სასამართლომ პაპუნასა და მანუჩარის საჩივრების განხილვის შემდეგ, გამოიტანა განაჩენი ლალატი სიკვდილისა და სამაგიერო მკვლელობის გათანაბრების შესახებ. როგორც ვხედავთ, თვითგასწორება დაშვებულია.

14) სახლთუხუცესმა მანუჩარ, ბაადურ და ყაიამ იჩივლეს.

ბაადურს რომ უღალატეს, ჩვენ ნიჩბისში ვიყავითო, თავს დაგვესხნენ, ოჯახი აგვიწიოკეს, გვდიეს, ფეხშიშველი ქალები გარბოდნენ „მათი თრევა და სირცხვილი“ ჩვენი შერცხვენა იყო. პაპუნამ და ხოხონამ აშორო თქვა.

სასამართლომ დაადგინა: წარსდგეს პაპუნა ნახევრის მათის სისხლის მოფიცრითა, „ექუსის მათის სწორის შესახელებელის კაცითა და ექუსის შეუსახელებელითა“, ნაზნაურიშვილითა და თორმეტი მსახურით და დაიფიცოს, თუ დაიფიცოს მაშინ მერაბის მთელი სისხლი, 12 თუმანი სამარხი მანუჩარმა, ბაადურმა და ყაიამ პაპუნას და ხოხონას დაუურვოს. თუ ვერ დაიფიცა, მაშინ მანუჩარმა, ბაადურმა, ყაიამ ნახევარი სისხლი გადაიხადონ, ხოლო ნახევარი სახლთუხუცესისა და ყაიას „ჯალაბების საუპატიუროდ ჩაიაროს“<sup>2</sup>.

15) სასამართლოს განუხილავს, აგრეთვე, ციციშვილების სისხლის ფასი. ძველად, ციციშვილის სისხლის ფასი 300 კომლი გლეხი ყოფილა, მაგრამ ციციშვილების გაყრის შემდეგ, მათი მამული დაპატარავებულიყო და ამის შესაბამისად სისხლის ფასიც შემცირებულა. ამჟამად ციციშვილის სისხლის ფასად 80 კომლი გლეხი გაეაჩინეთ, ხოლო სამარხად 12 თუმანიო, წერია განაჩენში<sup>3</sup>.

1 ქართული სამართლის ძეგლები, IV, 1972, გვ. 82.

2 იქვე, გვ. 82—83.

3 იქვე.

16) ლალატის გამო რაც მანუჩარს ზარალი მოსვლოდეს, ამაზე მანუჩარის სამმა აზნაურიშვილმა და ხუთმა მსახურმა პაპუნას შეპფიცოს და პაპუნამაც ეს ზარალი გადაუხადოს<sup>1</sup>.

17) რაც ზარალი პაპუნას მოსვლოდეს, ამის შესახებ დაიფიცოს პაპუნას სამმა აზნაურიშვილმა და ხუთმა მსახურმა, რომ სწორედ ამდენი ზარალიაო და ის სახლთუხუცესმა პაპუნას გადაუხადოს<sup>2</sup>.

18) თუ კიდევ რაიმე სამამულო დავა იყოს მათ შორის ამისათვის გამოვეყოფთ ორს საპატიო კარის კაცს და იმათ გადასწყვიტონ მათი საქმე<sup>3</sup>.

თუ რომელიმე მხარე ამ „განაჩენს“ დაარღვევს, მეფის სასარგებლოდ სოფელი უნდა დადვას<sup>4</sup>.

ასეთია ხსენებული ძეგლის შინაარსი.

საყურადღებოა, რომ მტკიცებების ძირითადი საშუალება ფიცია. თუკი საკითხი აშკარა არ არის, მაშინ სასამართლო ფიცს ნიშნავს.

ძეგლში გვხვდება შესახელებული და შეუსახელებელი კაცი ბოფიცრის სახით. ამავე დროს შესახელებული და შეუსახელებელი მოფიცარი უნდა იყოს თანასწორი იმისა, ვისთანაც ერთად იფიცებს. ამ შემთხვევაში მოფიცარი არ არის იმ ფაქტის მოწმე, რომლის გამორკვევას სასამართლო ცდილობს. მოფიცარი მხოლოდ იმას იფიცებს, რასაც მოპასუხე, ის მოპასუხეს ემოწმება<sup>5</sup>.

ძეგლში გვხვდება, „ნახევრის მათის სისხლის მოფიცარი“<sup>6</sup>. შეიძლება, ამ შემთხვევაში, ნახევარი სისხლის მოფიცარი იმას ეწოდება, ვინც მოფიცრად გამოდის ან კიდევ ვისი სისხლიც ნახევარი ფასის ღირებულებისაა იმასთან შედარებით, ვისი მოფიცარიც არის.

ძეგლი მრავალმხრივ საყურადღებო მასალას შეიცავს საქართველოს ისტორიისა და განსაკუთრებით ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესასწავლად. ძეგლი გამოცემულია ი. დოლიძის მიერ<sup>7</sup>.

1 ქართული სამართლის ძეგლები, IV, 1972, გვ. 83.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე.

5 დაწერილებით ამის შესახებ იხ. ჩვენი ნაშრომი: „ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან“, 1963, გვ. 78—81.

6 ქართული სამართლის ძეგლები, IV, 1972, გვ. 82.

7 იქვე, გვ. 76—83.



გიორგი XI-ის წყალობის წიგნი ბეგთაბეგ შანშიან  
მარტიროზიშვილისადმი (1685 წ.)

ძეგლის შინაარსი ასეთია: გიორგი XI მოგვითხრობს, რომ სამეფო კარის მდივანი მარტიროზისშვილი ახლდა გიორგის მამას მეფე ვახტანგს, როცა უკანასკნელი შაჰის გამოძახებით ირანს გაემგზავრა. ვახტანგი გზაში გარდაიცვალა 1675 წელს<sup>1</sup>. მამის სიკვდილის შემდეგ შაჰის კარზე გაიძახეს გიორგი. ცოტა ხნის შემდეგ, 1676 წელს, გიორგი XI ქართლში მეფედ დაბრუნდა<sup>2</sup>. ირანიდან საქართველოში მომავალ მეფეს გზაში მოახსენეს მარტიროზისშვილის მეფისადმი არაერთგულეობა, მისი „უჯგეროდ მსახურება“<sup>3</sup>. ჩემი ჩვეულება არ იყო, დამსმენლისათვის დამეჯერებია, მაგრამ „ფარული შურითა მრავალგზის“ გაიმეორეს შენი ბრალდება და ამ გარემოებამ „მცირეთ განაწყრომეს გული ჩვენი თქვენზედა, და თქვენი მკვიდრი და ნასყიდი სოფელი ნაბახტევი წაგართვით“<sup>4</sup>, მაგრამ „ვითარც არ იყვის გულსა ჩუენსა შინა განზრახვა უსამართლოებისა, თქუენ მოგიბოძეთ წიგნი საიმედოსი, რათა გაგვეკითხვე მართლა და წამოგვეყენნეს დამასმენელნი თქვენი, და თუცა მართალნი გამოსულიყუენნით, აღარც თქვენი მამული მოგვეშალა და სხვა წყალობაც გვექნეს“<sup>5</sup>. მშვიდობით დავბრუნდით, დავიჭირეთ ტახტი და სამეფო, „განვალეთ სამართლად კარი დარბაზისა და განვიკითხეთ“<sup>6</sup>. თქვენც ქედმოხრილი წამოდეგით ჩემს წინაშე, მოგვახსენე თქვენი ჩვენდამი ერთგულება, უბრალოება და ხატზე დაიფიცეთ ამის შესახებ<sup>7</sup>. შენმა სიტყვებმა ჩვენ დავგაჯერა ჩვენდამი ერთგულებასა და თქვენს სიმართლესში.

მეფე განაგრძობს: წამოდგა თქვენი დამასმენელი რევაზ ამირეჯიბი, გაიმეორა თქვენს მიმართ ბრალდება და თავისი სიტყვის დასადასტურებლად ხმალში გამოგიწვია. შენ ახსენე ღმერთი და მიიღე ხმალში გამოწვევა. რევაზმა უკან დაიხია: „ამასაცა შინა განგამართლა ღმერთმან“<sup>8</sup>. ამის შემდეგ შევიწყალეთ და გიბოძეთ

1 ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1973, გვ. 450.

2 იქვე, გვ. 457.

3 ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დროიძის რედ., 1965, გვ. 228.

4 იქვე.

5 იქვე.

6 იქვე.

7 იქვე.

8 იქვე.

„მკვიდრი და ნასყიდი სოფელი ნაბახტევი“, ყველაფრით: წყლით, ბარით, მთით, ვენახით, წისკვილით, სათიბით, უთიბით, სასახლით, ჭურ-მარნით და სხვ.<sup>1</sup> თუ თავს გაიმართლებდით, შეგპირდით თქვენ, წერს მეფე, სხვა წყალობასაც, და აი, ვასრულებ სიტყვას და გიწყალობებ დედოფლის მურდრობას<sup>2</sup>.

ძეგლი საყურადღებო მასალას იძლევა სახელმწიფოებრივი წყობილების და სამართლის სხვადასხვა საკითხის შესასწავლად.

1. პირველყოვლისა, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ დასმენა საერთოდ აუგ, დასაძრახის საქმედ ითვლებოდა. მეფე წერს: არ „იყო ჩვეულება ჩვენი, რომე სიტყვანი დამასმენელთა წარმომდგარიყო წინაშე ჩვენსა“<sup>3</sup>, ე. ი. დამსმენლის მოსმენის ჩვეულება არ მქონდა, ალბათ, იმიტომ რომ დასმენა საერთოდ დასაძრახისიაო, მაგრამ რადგანაც „მრავალგზის“, ე. ი. დაყენებით გაიმეორეს ეს დასმენა, მაშინ მოვისმინე ისო. დასმენამ „მცირეთ განაწყრომეს გული ჩვენი თქვენზედა“<sup>4</sup>, „მცირედ“, ალბათ, იმიტომ არის ნათქვამი, რომ საკითხი დასმენას შეეხება და დასმენით საქმის დაწყება მეფეს საეჭვოდ მიაჩნია.

2. დასმენილი ბრალდებით მეფე მაინც „მცირედ“ განაწყენებული დარჩა და დასმენილ მარტეროზისშვილს მამული ჩამოართვა. ეს სასჯელი მეფემ განუწესა მას სასამართლოს გარეშე, თანაც დასჯილს შეპირდა სათანადოდ განარჩევს საქმეს, წაუყენებს ბრალდებას დამსმენელს და თუ დასმენილი გამართლდება, მამულსაც დაუბრუნებს და სხვა რამესაც უწყალობებს.

აქედან ჩანს, რომ მეფეს შეუძლია სასჯელის დადება პირობით, საკითხის საბოლოოდ გამორკვევამდე. მაგრამ აქ ყურადღებას იქცევს შემდეგი: მეფემ დასმენა მოისმინა ირანიდან საქართველოში მომავალმა: „გზა შინა მოგვეხსენა თქვენი უჯეროდ მსახურება ჩვენზედა“, წერს მეფე; მაშასადამე, მეფესთან ყოფილა დამსმენელი და, ალბათ, მარტიროზისშვილიც. მეფე ამის წინ ამბობს, რომ შენ მამაჩემს ახლდი ირანში. ეს იყო 1675 წელს. გიორგის მამა ვახტანგი ამავე წელს ირანში გამგზავრებული გზაში გარდაიცვალა, ხოლო გიორგი ირანში ჩავიდა 1676 წელს, ის უკვე ქართლში მოდის მეფედ. მაშასადამე, მარტიროზისშვილი და აბი-

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 228.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 229.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 228.

<sup>4</sup> იქვე.

რეჟიმი მეფეს გზაში ახლდნენ. როგორც ჩანს, მეფე „მცირედ“ კი არა, ძლიერ გადავრებულა, რომ მაშინვე სასჯელი დაუდვია.

საინტერესოა, რომ მეფემ კარგად იცის, საქმის საბოლოო გარჩევამდე სასჯელის დადება ქართული სამართლით არ შეიძლება. მეფესაც არა აქვს „განზრახვა უსამართლოებისა“ და ამიტომ აძლევს „პირობის წიგნს“ მარტიროზისშვილს, რომ საქმეს დაწვრილებით „განიკითხავს“ როგორც მოსამართლე, და მაშინ თუ ბრალდებული მართალი გამოდგება, მეფე მას მამულს დაუბრუნებს და სხვა წყალობასაც მისცემს<sup>1</sup>. ერთადერთი მიზეზი მეფის მიერ წინასწარ სასჯელის დადებისა იმაში მდგომარეობს, რომ მას გზაში არ შეუძლია საქმის სათანადოდ განხილვა.

3. გიორგი XI ავიდა ტახტზე და შეუდგა ქვეყნის მართვას. მეფის მიერ ქვეყნის მართვის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად, ძველის მიხედვით, სამართლის მიცემა, მოსამართლეობაა: „განეაღეთ სამართლად კარი დარბაზისა ჩვენისა და განგიკითხეთ“<sup>2</sup>, ე. ი. გავარჩიეთ სასამართლო საქმე.

4. ქართული სამართლის მიხედვით, როგორც ძველიდან ჩანს, თუ დასმენით საქმე ირჩეოდა, პირველად სიტყვა ეძლეოდა ბრალდებულს, რომელიც ბრალდებას ან მიიღებდა, ან არა. მარტიროზისშვილმა ფიცის ქვეშ უარყო ბრალდება და დაასაბუთა თავისი უარყოფა.

როგორც ძველიდან ჩანს, ამის შემდეგ სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს და თავისი „დასკვნა“ დაასაბუთოს დამსმენელმა, ამის შესაბამისად, მარტიროზისშვილის დამსმენელი ამირეჯიბი წარდგა თავისი ბრალდებით მეფის წინაშე<sup>3</sup>.

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით (მუხ. 7), ხმალი მტკიცების ერთ-ერთი საშუალება იყო, რომელი მხარეც ხმალში გამოწვევას არ მიიღებდა ის გამტყუნებული იყო. თუ ორივე მხარე ხმლით ერთმანეთს შეეჯიბრებოდა, გამტყუნებულად ის ითვლებოდა, რომელიც ხმალში დამარცხდებოდა. ფარსადან გორგიჯანიძეს აღწერილი აქვს კიდევ ხმალში გაწვევა: ბარათაშვილმა თუმანიშვილს უფლისწულის მკვლელობა დააბრალა, დაინიშნა ხმლით ორთა ბრძოლა თბილისში მეტეხის ახლოს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დღევანდელი ბარათაშვილის ხიდსა და მეტეხის ხიდს შო-

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 228.

2 იქვე.

3 იქვე.

რის. ამხედრებული მხარეები ხმლებით შეებრძოლნენ ერთმანეთს. თუმანიშვილმა სძლია ბარათაშვილს. სამართლით დამარცხებული უნდა გადასცემოდა გამარჯვებულს, მაგრამ დედოფალმა მარიამმა, როსტომის მეუღლემ აპატია ბარათაშვილს და მოპირდაპირის ხელში გადაცემას გადაარჩინა. ბრძოლის წინ მხარეები ორმოცი ღლის განმავლობაში დადიოდნენ სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებში და ღმერთს გამარჯვებას შესთხოვდნენ<sup>1</sup>.

ძეგლის მიხედვით, ხმალში გაწვევა აღარ მოხდა, რადგანაც ბრალმდებელმა ამირეჯიბმა ამაზე უარი განაცხადა. როდესაც მარტიროზისშვილს მიუღია ხმალში გაწვევა, ამისათვის იგი სათანადოდ მომზადებულია, აღჭურვილია, შემჯდარა ცხენზე და დაუძახია: დროა ომის დაწყებისო. ამის დამნაშავეს რევაზ ამირეჯიბს უარყვია ხმალი, ე. ი. მოუხსნია ბრალდება<sup>2</sup>.

ძეგლის მიხედვით, ხმალში გაწვევამდე, მეფე მარტიროზის-შვილის პასუხმა დააჯერა მის სიმართლეში<sup>3</sup>, მაგრამ ჩვეულებითი სამართლის შესაბამისად (მაშინ ვახტანგის სამართლის წიგნი არ იყო შედგენილი) დაინიშნა ხმალი; მიუხედავად იმისა, რომ მეფე უკვე დაჯერებულია, მან მაინც ჩვეულებით სამართალს მისდია. „ამასაცა“, წერს მეფე, ე. ი. ხმალში გაწვევას მარტიროზისშვილისათვის გასამართლებელი მნიშვნელობა აქვსო<sup>4</sup>.

5. მეფემ თავისი სიტყვა შეასრულა და გამართლებულ მხარეს მამულიც დაუბრუნა და სახელოც უბოძა<sup>5</sup>. ძეგლის მიხედვით, დედოფალს ჰყავს ბეჭდის შემნახველი — მოურდარი, ანუ მორდალი, რომელიც დედოფლის საბუთების გაცემის „ხელის ჩამრთველი“, ბეჭდის დამსმელი იყო<sup>6</sup>.

საყურადღებოა, რომ მეფეს შეეძლო როგორც მამულის, ასევე სახელოს სამემკვიდრეოდ გაცემაც. მორდრობის ბოძებასთან დაკავშირებით, მეფე წერს: „შეგიწყალეთ და გიბოძეთ დედოფლის მორდრობა და ქელისჩამრთმევენელობა, ყოვლის კაცის უცილებლად, თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და თავდადებით ნამსახურთა ყმათა, შანშეან მარტიროზისშვილს, კარისა ჩვენისა მდივანს ბევთაბეგს

1 ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის რედ., 1851, გვ. 535—536.

2 ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 228.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 229.

6 იქვე.

და შვილსა თქვენთა ავთანდილს და ბეჟანს და მომავალსა თქვენსა“<sup>1</sup>.

6. როგორც ძეგლიდან ჩანს, მეფის სასამართლოს წინაშე ბრალდებული თავის სიტყვას „ქედღადრეკილი“ იწყებდა.

ძეგლი გამოცემულია ექ. თაყაიშვილის მიერ<sup>2</sup>. ამ გამოცემის მიხედვით, ტექსტი გამოსცა ი. დოლიძემ<sup>3</sup>.

### ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული

(ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ვახტანგის სამართლის წიგნი, ებრაული სამართალი, ბერძნული სამართალი, სომხური სამართალი, კათალიკოსთა სამართალი, გიორგი V-ის ძეგლის დადება და აღბუღას სამართალი.)

გიორგი V-ის ძეგლის დადება და აღბუღას სამართალი უკვე განვიხილეთ. კათალიკოსთა სამართალს განვიხილავთ საეკლესიო სამართლის ძეგლებთან ერთად.

#### ა) ვახტანგის სამართლის წიგნი (1704—1709 წწ.)

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის მთავარი და ძირითადი ნაწილი ვახტანგის სამართლის წიგნია, რომლის სათაურია: „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“.

(ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული და მასში შესული საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნი შედგენილ იქნა ვახტანგის ჯანიშნობის დროს, ე. ი. მაშინ, როდესაც ვახტანგი გიორგი XI-ის მაგივრად ქართლს გამგებლობდა. გიორგი მეფე, სამართლის წიგნის შესავალში მოხსენიებულია როგორც ქართლის მეფე და ირანის მთავარსარდალი; მაშასადამე, გიორგი XI ჯერ კიდევ ცოცხალია, ის მოკლეს 1709 წელს. ვახტანგი კი ქართლს განაგებდა 1704 წლიდან, ე. ი. (1704—1709 წლებშია შედგენილი ვახტანგის სამართლის წიგნი და წიგნთა კრებულიც.)

[ვახტანგის სამართლის წიგნის ძირითადი წყარო ქართული

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 228

2 საქართველოს სიძველენი, II, ექ. თაყაიშვილის რედ., 1909, გვ. 103.

3 ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 227—229.

ჩვეულებითი სამართალია. საყურადღებოა, რომ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შესული სამართლის წიგნები გამოყენებულია საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის წყაროდ<sup>1</sup> ამ მხრივ ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიას დიდი სამუშაოები ჩატარებია.

ვახტანგის სამართლის წიგნისათვის წყაროდ გამოყენებულია: გიორგი V-ის ძეგლის დადება, აღბუღას სამართალი, კათალიკოსის სამართალი, ბერძნული, ებრაული და სომხური სამართალი. ვახტანგის სამართლის წიგნის შემდგენელი დასახელებული სამართლის წიგნებიდან იღებს ამა თუ იმ ინსტიტუტს, და აძლევს მას ამა თუ იმ შინაარსს, ფორმას, რომელიც კანონმდებელს თავისი დროისა და ვითარების შესაბამისად მიაჩნია; მაშასადამე, როდესაც ვაძბობთ, რომ ესა თუ ის სამართლის წიგნი ვახტანგის სამართლის წიგნის შემდგენელს წყაროდ აქვს გამოყენებული, ეს არ ნიშნავს, რომ მან სიტყვასიტყვით გადმოიღო რომელიმე მუხლი; ვახტანგის სამართლის წიგნის შემდგენელი, ძეგლის დადებისა და აღბუღას სამართლის წიგნების გამოყენებისას, ხშირად საქართველოში მიღებული ჩვეულებითი სამართლის ნორმებს იყენებდა.

(ვახტანგის სამართლის წიგნი ერთიანი სისტემით არ არის დაწერილი. 204-ე მუხლის შემდეგ ვხვდებით კანონმდებლის ბოლოსიტყვაობას, ამის შემდეგ მოდის 205-ე მუხლი; მაშასადამე, პირველი ვარიანტი ვახტანგის სამართლის წიგნისა 204-ე მუხლით) მთავრდებოდა და დანარჩენი მუხლები შემდეგ არის მიმატებული.

საყურადღებოა, ამ მხრივ ბოლოსიტყვაობის შემდეგი ადგილი: თუ „მოიძაგოთ და ინებოთ შეცვლა სამართალთა სხეებრ რათმე, ამას ნუ ჰყოფთ, ნურცა გარყვნით წერილთა ჩვენთა, რომელი აკვეწიროს, არამედ რომელმან უმჯობესი სიბრძნით თვისით ჰპოოს, იგი ჩართვით თვისვე თქმულად, სად ენებოს მუნ დაწიროს და იგიც ეგოს“<sup>1</sup>.

(ჰქონდა თუ არა მოსამართლეს ან სხვა ვინმეს მეფის სამართლის წიგნში დამატებათა შეტანის უფლება, ეს საკითხი ამჟამად საინტერესო არ არის, რამდენადაც, ვახტანგის სამართლის წიგნის 205-დან 265-მდე, თუ 267-მდე მუხლები შედგენილია თვით ვახტანგ VI-ის დროს<sup>2</sup> და შემდეგში ჩამატებებს უკვე ადგილი აღარ ჰქონია.)

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები. I, ი. დოლიძის რედ., 1973, გვ. 533.

<sup>2</sup> ვახტანგის სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის რედ., 1953, გვ. 20; ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის რედ., 1963, გვ. 663.

205-ე მუხლამდე ვახტანგის სამართლის წიგნი გარკვეულ სისტემაზეა აგებული, საკითხები დალაგებულია გარკვეული პრინციპით, მსგავსი ინსტიტუტები ერთმანეთს მოსდევს. 205-ე მუხლიდან კი კანონების დალაგებას შემთხვევითი ხასიათი აქვს, ადგილი აქვს განმეორებებსა და სხვა.

ამასთან დაკავშირებით ისმის საკითხი ვახტანგის სამართლის წიგნისა და ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის სავალდებულო ძალის შესახებ. პირველ ყოვლისა, შევჩერდეთ საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნზე.

(შესავალში ვახტანგი მოგვითხრობს, რომ მან სამართლის წიგნი შეადგინა კათალიკოსის, მთავარეპისკოპოსის, მიტროპოლიტ-წინამძღვრისა და დიდებულთა: მუხრანის ბატონის, არაგვის ერისთავის, ქსნის ერისთავის, ორბელიანის, ამილახორის, მდივანბეგის ერასტისა და „სხვათა ყოველთა დარბაზის ერთა“ მონაწილეობით!) გარდა ამისა, კანონმდებელი გადმოგვცემს, რომ სამართლის წიგნი შეადგინა „კითხვით ჭკუათამყოფელთა და მოხუცებულთა კაცთათა, ამგვარად გავაჩინეთ და დავწერეთ, რომელსა მიეწვდით და ანუ გონება ჩვენნი სამართლითა მიუღწენ“<sup>2</sup>.)

კანონმდებელი მიუთითებს, რომ მოსამართლეებმა ნახონ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის წიგნები, მერე საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნი, და „რომელიც ენების მოსამართლესა, მით იქმოდეს სამართალსა“<sup>3</sup>. ამასთანავე, კანონმდებელი განმარტავს, რომ სამართლის წიგნი მე ასე „არ დამიწერია და არც ვიჩემებ, რომე არა აკლდეს რა, ბევრი ასეთი საჩივრები არის და მოვა, რომე ზოგი ვერ მოვიგონეთ და არც მიწვდების კაცის გონება. ვინც მიხუდეს რასმე და მოიგონოს, ჩაურთოს და ჩასწეროს, კარგსა და მართებულს იქს“<sup>4</sup>. მაშასადამე, კანონმდებელი გვიხსენის, რომ მოსამართლეს შეუძლია ნახოს სამართლის წიგნის კრებულში შესული წიგნები, შეუდაროს საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნს და რომელიც უნდა ის გამოიყენოს, (მაგრამ) იქვე განმარტავს, რომ ყველა შემთხვევისათვის, ყველა კაზუსისათვის, ალბათ, ამომწურავად პასუხის გაცემა არც საკუთრივ ვახტანგის სა-

1 ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 478; სამართალი ვახტანგ შეექმნისა. ი. დოლიძის რედ., 1981, გვ. 175.

2 ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის რედ., 1963, გვ. 479.

3 იქვე.

4 იქვე.

მართლის წიგნით და არც ამ კრებულში შემავალი სხვა წიგნებით მაინც არ შეიძლება. კანონმდებელმა კარგად იცის, რომ კაზუსები ამოუწურავია, ე. ი. ყველა კაზუსის გათვალისწინება შეუძლებელია და ამიტომ ვინც მიხვდეს, თვითონ შეადგინოს შესაფერისი მუხლი, ამით ის კარგს საქმეს გააკეთებს) (კანონმდებელმა პრაქტიკული ცხოვრებიდან კარგად იცის, რომ ცხოვრებისეული კაზუსები მრავალფეროვანია, ყველა მათი გათვალისწინება შეუძლებელია, ამიტომ უშვებს იგი ჩამატებების შესაძლებლობას, ამასთანავე, ჩვეულებითი სამართალი იყო ვახტანგის სამართლის წიგნის ძირითადი წყარო, იმიტომ მოიწვია კანონმდებელმა „ჭკვიანი“ და „მოხუცებული“ კაცები. კანონმდებელს სურს რაც შეიძლება ფართოდ გაზოიყენოს ჩვეულებითი სამართალი, რადგანაც ასეთ შემთხვევაში კაზუსები შედარებით უფრო ფართოდ იქნებოდა გათვალისწინებული.) ამ საკითხს კანონმდებელი 204-ე მუხლის შემდგომ ჩართულ განმარტებაშიც უბრუნდება. იგი მიმართავს საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს (გარდა მშრომელისა): შუთალიკოსს, ეპისკოპოსებს, მიტროპოლიტებს, წანამძღვრებსა მღვდელთ, საეროთა წარმომადგენლებს: მომავალ მეფეებს, ახლებს, დეღ და მომავალ უფლისწულთ, დიდებულთ, თავადებს, აკმლირებსა და „ყოველთა მყოფთ“ ქართლის სამეფოში, რომ სმხურილის წიგნები მათთვის შეადგინა დიდი მონღომებისა და უცკახნის შედეგად<sup>1</sup>. კანონმდებელი ამბობს, რომ „მრავლით გამოძიების შედეგად, ე. ი. საკითხის მრავალმხრივ შესწავლით, საეკლესიო და უკულია, პირებთან შეთანხმებით, გამოვიმუშავეთ საკუთრივ ჩვენი საკითხის წიგნი, აგრეთვე სხვა სამეფო წიგნებიც „მოვიძიეთ“ და მოვათარგმნიეთ, ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და თარგმანებზე მუშაობაო<sup>2</sup>.

(კანონმდებელი ებრაული, ბერძნული და სომხური სამართლის წიგნების შესახებ) რომლებიც გადმოათარგმნია და შეიტანა სამართლის წიგნთა კრებულში, (ამბობს:) „ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს და არა მიჰგავს სხვათა ქუეყანისა რიგთა და ქცეულებათა“, ამიტომ (უცხო ქვეყნების სამართლის წიგნები, რომლებიც წყნარად კრებულში „უფრო ჩვენი უკმარ არს“. მასასადამე, კანონმდებლის აზრით, საქართველოს წეს-ჩვეულება

1 ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის რედ., 1963, გვ. 532.

2 იქვე.

3 იქვე.



თავისებურია, ის განსხვავებულია სხვა ქვეყნების წეს-ჩვეულები-საგან, საქართველოს საზოგადოებრივი წყობილება სხვაა.) „სხვა არს დიდებული და თავადი, სხვა არს სისხლი“ და სხვა<sup>1</sup>. ამ განსხვავებულობის გამო, წერს კანონმდებელი, უცხო ქვეყნის სამართლის წიგნები „უფრო უკმარს არს“; (ე. ი. ნაკლებად გამოსადეგია, ვიდრე საკუთრივ ჩემ მიერ შედგენილი სამართლის წიგნით.)

კანონმდებელი მიმართავს „ბრძენსა და გულისხმიერს მსაჯულსა და მოსამართლეს“, რომელიც უქრთამოდ და მიუკერძოებლად არჩევს სასამართლო საქმეებს: შეიძლება მსაჯულმა შეიძულოს ჩემი წიგნი, ე. ი. არ მიიჩნიოს მისი გამოყენება შესაძლებლად და მოინდომოს ამ წიგნის შეცვლა, ამას ნუ გააკეთებს, ჩემს ზიგნს ნუ შეცვლის, ხოლო რომელმაც ჩემი წიგნის ამა თუ იმ ეკსლზე „უმჯობესი სიბრძნით თვისით ჰპოოს, იგი ჩართვით გაისვე თქმულად, სად ეძებოს მუნ დაწეროს და იგიც ეგოს“<sup>2</sup> (ე. ი. შეა მოსამართლემ ნახოს, რომ ჩემი სამართლის წიგნი არ მოიხმათა, ა იმ საქმის გადასაწყვეტად, რომელსაც ის არჩევს, მაშინ ახანუ წორმა შეადგინოს და ჩაურთოს ჩემს სამართლის წიგნს, მაგსე, რომ ჩემი სამართლის წიგნი უცვლელად დატოვოს).

ტანგისც შეეხება ეროვნული სამართლის წიგნებს — გიორგი V-ის ვახტანგს, ალბუღასა და კათალიკოსის სამართლის წიგნებს — სა, მის შედარებით, ვახტანგის სამართლის წიგნს ის უპირატესობა მარტარომ პირველები დროის მიხედვით წინა პერიოდებს განევიჩენებიან; მაშინ როდესაც ვახტანგის სამართლის წიგნი იმ შოვისათვის არის სამოქმედოდ განკუთვნილი, რომელ დროსაც ნებ შეადგინეს, ხოლო ძველი დროის კანონები, როგორც წესი, კაალ დროს არ შეესაბამება და სწორედ ამიტომაც ადგენენ დრო და დრო სამართლის წიგნებს<sup>3</sup>. როგორც ვხედავთ, კანონმდებელი კრებულის სხვადასხვა ადგილას ერთსა და იმავეს ამტკიცებს, რომ სამოქმედოდ ვახტანგის სამართლის წიგნია უფრო შესაფერისიო.

როდესაც ჩვენ საუბარი გვაქვს ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის სავალდებულო ძალის საკითხის შესახებ, აღვნიშნავთ, რომ ვახტანგის სამართლის წიგნს სხვა სამართლის წიგნებთან შედარებით უპირატესობა ჰქონდა. რაში გამოიხატებოდა ეს უპირა-

1 ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის რედ., 1963, გვ. 532.

2 ი ქვე, გვ. 532—533.

3 ი ქვე, გვ. 101.

ტესობა? იმ შემთხვევაში, თუ განსახილველი კაზუსის შესახებ საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნში მოიპოვებოდა სათანადო პასუხი, მაშინ მოიხმარებოდა მხოლოდ ვახტანგის სამართლის წიგნი. სხვაგვარად ვახტანგის სამართლის წიგნის უპირატესობა კრებულის სხვა წიგნებთან შედარებით, არ შეიძლება აიხსნას. მაშასადამე, მთლიანად აღებულ კრებულს სამოქმედო ძალა აქვს, მაგრამ საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნს გარდა, სხვა სამართლის წიგნებს, რომლებიც კრებულშია, სუბსიდიარული, დამატებითი მნიშვნელობა აქვს და (მოსამართლე ამ სამართლის წიგნებს მაშინ მიმართავს, როცა სათანადო ნორმას ვახტანგის სამართლის წიგნში ვერ იპოვის.)

პროფ. ი. დოლიძე არ იზიარებს ჩვენს მოსაზრებას ამ საკითხის შესახებ და საბუთად მოჰყავს ის, რომ ხსენებული სამართლის წიგნებიდან და აგრეთვე უცხოეთის სამართლის წიგნებიდან (ებრაული, ბერძნული და სომხური) მრავალი რამ შეტანილია ვახტანგის სამართლის წიგნში<sup>1</sup>.

მიგვაჩნია, რომ ის რაც ვახტანგის სამართლის წიგნშია შესული, აღბუღას სამართლიდან იქნება ის, თუ სხვა სამართლის წიგნიდან, საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის განუყოფელი ნაწილია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მოსეს, ბერძნული, სომხური და ძველი ქართული სამართლის წიგნები იმ სახით, როგორც ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულშია შესული. ამ წიგნების შესახებ უნდა ვთქვათ, რომ მათი მოქმედების ძალა შეზღუდულია, პირობითია და ეს პირობითობა, დამატებითი ხასიათი თვით კანონმდებლის მიერ არის ხაზგასმული.

პროფ. ი. დოლიძის აზრით, ვახტანგის სამართლის წიგნისა და სამართლის წიგნთა კრებულის შესახებ ჩვენი მოსაზრებანი წინააღმდეგობას შეიცავენ<sup>2</sup>, ამ საკითხშიც ... დოლიძის მოსაზრება მცდარია, მოვიყვანოთ დასაბუთება.

(ვწერდით, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის მოქმედების ძალა დამოკიდებული იყო მეფის ხელისუფლების, ცენტრალური ხელისუფლების ძლიერება-სისუსტეზე<sup>3</sup>. თვითონ კანონმდებელი გამოთქვამს სურვილს, რომ მისი კანონები ზედმიწევნით სრულდებოდეს.) იგი წერს, რომ სამართლის წიგნთა კრებული „მღივანბეგი-

1 ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის რედ., 1963, გვ. 653—655.

2 იქვე, გვ. 640.

3 ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 86.

საგან დაბეჭდილი, სალაროში ებარებოდეს“ და სასამართლო პროცესის დროს „ამ წიგნს გამოიტანდნენ და მდივანბეგი გახსნიდეს. მდივანს წინ ედევას და კითხულობდეს“, ხოლო განაჩენ-გადაწყვეტილებების გამოტანის დროს „ამ წიგნის რომლისაც სამართლიდამ დაიწეროს, განაჩენშიაც ასე ჩასწერდენ“ კანონთა კრებულის რომელი სამართლის, რომელი „თავიდან ეს სამართალი გავაჩინეთო“ (მუხ. 205)<sup>1</sup>, მაგრამ არა ჩანს, რომ პრაქტიკაში ეს ასე ხორციელდებოდა, სასამართლო პროცესის შემცველ ძეგლებში გვხვდება მითითება ვახტანგის სამართალზე ან ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის რომელიმე წიგნზე, მაგრამ ზოგადად და არა იმ ფორმით, როგორც ამის შესახებ კანონმდებელი 205-ე მუხლში აღნიშნავს. ბევრ შემთხვევაში ვახტანგის სამართლის წიგნზე ან კრებულის რომელიმე მუხლზე კი არა, საერთოდ კრებულზე, ან საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნზე მითითებაც არ არის. თვითონ ვახტანგ VI თავის გადაწყვეტილებებში, როდესაც ის სასამართლო საქმეს არჩევს, არ მიუთითებს მის მიერ შედგენილ სამართლის წიგნზე<sup>2</sup>.

(ის გარემოება, რომ მეფის ხელისუფლება სუსტი იყო, მეფის მიერ გამოცემულ კანონებს სავალდებულო ძალას აცლიდა, ასუსტებდა მის მოქმედებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი ძირითადად კომპოზიციის სისტემაზეა აგებული. მასში სამართლის საჯარო საწყისზე აგებული სასჯელის სახეები ნაკლებადაა მოცემული) ამასთანავე, ვახტანგის სამართლის წიგნში ზოგჯერ აღწერილია დანაშაულის შემადგენლობა სანქციის გარეშე<sup>3</sup>.

ვახტანგის სამართლის წიგნში, როგორც აღვნიშნეთ, თავად წერს კანონმდებელი მსაჯულის მისამართით, რომ თუ ჩემს მიერ შედგენილ სამართალს მოიძულებთ, უარყოფთ, არ მოიხმართ მას, მოისურვებთ მის შეცვლას, რომელსაც „უმჯობესად“ მიიჩნევთ, ჩაუტეთ, ჩაუმატეთ, სადაც გნებავთ იქ „დაწერეთ“, ოღონდ ჩემს დაწერილს ნუ ამოაგდებთ<sup>4</sup>. ამიტომ ვწერდით, რომ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის სავალდებულო ძალა პირობითია.

ვახტანგი, რომელმაც კანონები შეადგინა, ქართლის მეფე იყო, ამიტომ მის კანონებს სავალდებულო ძალა, მეფის ხელისუფ-

1 ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 85.

2 იქვე. გვ. 86.

3 იქვე.

4 ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1963, გვ. 532—533.

ლების მიხედვით, მხოლოდ ქართლში ჰქონდა. ამავე დროს ვახტანგის სამართლის წიგნსა და ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულს იყენებდნენ, ე. ი. ეს კანონები მოქმედებაში იყო, საქართველოს სხვადასხვა სამეფო სამთავროებში: კახეთში, იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში.

ქართლისათვის რომ ეს კანონები სავალდებულო ხასიათს ატარებდა, ამის თავდები ის უნდა ყოფილიყო, რომ კანონმდებელი ქართლის მეფე იყო, მაგრამ იმერეთსა ან გურიაზე ვახტანგის იურისდიქცია არ ვრცელდებოდა და თუ მაინც ვახტანგის სამართლის წიგნი მთელ საქართველოში მოქმედებდა, ამის მიზეზი ის იყო, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი ქართულ ჩვეულებათა საფუძველზე იყო შედგენილი. ამავე დროს, საქართველოს სხვა კუთხეების მეფეებსა და მთავრებს არ მიუციათ ვახტანგის სამართლისათვის სავალდებულო ძალა, ეს არაფრით არ მტკიცდება. ამ კუთხეებში ვახტანგის სამართლის მოქმედებას კიდევ უფრო პირობითი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ქართლში.

(აღვნიშნეთ, რომ საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნი შედგენილია, როგორც კანონმდებელი წერს, ძველი ჩვეულებების შესწავლის საფუძველზე) ვახტანგის სამართლის წიგნის ზოგიერთი ნაწილი, სამართლის განვითარების თვალსაზრისით, ჩამორჩენილობის დაღს ატარებს. კერძოდ, ეს შეეხება ორდაღს როგორც სამართლოს მტკიცების საშუალებას. (სამართლის წიგნის მეექვსე მუხლში საუბარია „საქართველოს რიგსა და სამართალზე“, ასეთად სამართლის წიგნი ასახელებს ექვს საშუალებას: 1) ფიცს, 2) შანთს, 3) მღულარეს, 4) ხმალს, 5) მოწმესა და 6) ცოდვის მოკიდებას.) მოწმე ყველა განვითარებული ქვეყნის სასამართლო პროცესის დამახასიათებელი ელემენტია, ხოლო დანარჩენი საშუალება დამახასიათებელია სამართლის განვითარების დაბალი საფეხურისათვის.

(საყურადღებოა, რომ ღვთის მსჯავრი, ანუ ორდაღები, როგორც მტკიცების საშუალება, წყაროების მიხედვით არა ჩანს, რომ გაერთიანების პერიოდის საქართველოში გამოიყენებოდა. ფიცს, როგორც მტკიცების საშუალებას, დიდი ხნის ისტორია აქვს და მას XIX და XX საუკუნეების სასამართლოში ხშირად მიმართავდნენ. ხმალში გაწვევაც ხშირი იყო სხვადასხვა ხალხის ჩვეულებების მიხედვით. მკვიანფეოდალურ საქართველოში მას ადგილი ჰქონდა და ერთი ასეთი შემთხვევა, ქართლის მეფე როსტომის დროს,

დაწერილებით აქვს აღწერილი ფარსადან გორგიჯანიძეს<sup>1</sup>. გაერთიანების ხანის საქართველოში სასამართლო პროცესის დროს ხშირად გამოცდას მიმართავდნენ თუ არა, ძნელი სათქმელია, რადგანაც ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ შანთითა და მდულარით გამოცდა არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც, ჯერ ერთი, რომ ამის შესახებ არავითარი ცნობა წყაროებში არ შემონახულა, და მეორეც, ამ პერიოდის სამართლის განვითარების მაღალი დონე იმაზე მიუთითებს, რომ ამ სახის გამოცდას ადგილი არ უნდა ჰქონოდა. შანთითა და მდულარით გამოცდა ორდალებს შორის ყველაზე უფრო შემზარავია და განვითარების შედარებით უფრო დაბალ საფეხურს შეეფერება. მტკიცების ამ საშუალებას გვიანფორმალურ პერიოდში უმთავრესად გლეხების მიმართ იყენებდნენ, ხოლო გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა მიმართ მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს (მაგალითად, მეფის ღალატი, მკრეხელობა და სხვ.).

ორდალების საკითხს, ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, მრავალი მკვლევარი შეეხო.

(ივ. ჯავახიშვილის აზრით, IX—X—XIV საუკუნეებში ორდალების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, თუმცა სასამართლო წარმოებაში ორდალებს მრავალი ხალხი მიმართავდა; ამასთანავე, XVII—XVIII საუკუნეების საქართველოში „ღვთის მსჯავრი“, როგორც სასამართლოში მტკიცების საშუალება, დამოწმებულია; ი. ჯავახიშვილის აზრით, თუ მხედველობაში მივიღებთ გაერთიანების ხანაში „სამართლის განვითარების მაღალ დონეს“ საქართველოში, აგრეთვე იმას, რომ ამ პერიოდის ძეგლებში „ღვთის მსჯავრის“ არსებობა დამოწმებული არ არის, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ორდალები ქართულ მაშინდელ სასამართლოს წარმოებას არც ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, განაგრძობს ი. ჯავახიშვილი, „შანთი, მდულარე და ხმალი ღვთის მსჯავრის სახით თუნდაც რომ არსებულიყო სასამართლოს წარმოების საშუალებად მეტად იშვიათად უნდა ყოფილიყო“<sup>2</sup>.

(გამოითქვა მოსაზრება, რომ საქართველოში ორდალები სპარ-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის რედ., 1851, გვ. 535—536.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. 11, 1929, გვ. 496.

სეთიდან შემოსული უნდა იყოსო) ასეთ მოსაზრებათა ავტორები არიან: დ. ბაქრაძე<sup>1</sup>, მ. კოვალევსკი<sup>2</sup>, ი. კარსტი<sup>3</sup>;

(აღ. ვაჩეიშვილის აზრით, ორდალები, ადათობრივი ნორმების სახით, შემონახული იყო „ხალხურ სასამართლო წარმოებაში“), ამასთანავე, ორდალების „შორეულ ისტორიულ წყაროს“ შესაძლებელია ირანი წარმოადგენდეს: „საპროცესო მტკიცების ეს საშუალებანი ჩვენ იურიდიულ ცხოვრებაში შემოვიდა ირანის გავლენის გზით. შესაძლოა, რომ აქედან არის შემოღებული აღნიშნული საპროცესო წესები, ვინაიდან ირანული წარმოების წესებთან მათ ბევრი რამ საერთო აქვთ და როგორც ცნობილია, ირანი ჩვენ ყოფა-ცხოვრებაზე, ზნე-ჩვეულებაზე განსაზღვრულ მოქმედებას ახდენდა“<sup>4</sup>.

ი. დოლიძის აზრით, „ორდალების წარმოშობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აიხსნას უცხო სამართლის გავლენით. ისინი ხალხის სოციალურ ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული ინსტიტუტია და მის შეხედულებას გამოხატავს მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში“<sup>5</sup>. ასეთი კატეგორიული განცხადება, მართებული არ არის; მაგალითად, თუ ქართული სამართლის შანთით ან მდულარით გამოცდა, ისეთ თავისებურებას შეიცავს, რომელიც სხვა რომელიმე ქვეყანას არა აქვს — ეს უნდა დასაბუთდეს. არ ვამტკიცებთ, რომ ორდალები უსათუოდ სპარსეთიდან შემოვიდა, მაგრამ სპარსეთს ამ მხრივ გავლენა რომ ჰქონოდა საქართველოზე, ამაში საკვირველი არაფერია.

ი. დოლიძე იმოწმებს ვახუშტის, რომ ძველად საქართველოში ორდალები არსებობდა<sup>6</sup>. მართალია, ამას ვახუშტი წერს, ამას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ ვახუშტის ირაკლის ძე ბაგრატიონი ვახუშტის ცნობებს იმეორებს თუ ადასტურებს<sup>7</sup>, მაგრამ ეს მდგომარეო-

<sup>1</sup> Сборник законов грузинского царя Вахтанга VI-го, под ред. Д. Баградзе, 1887, с. 6.

<sup>2</sup> К о в а л е в с к и й М. Закон и обычай на Кавказе, т. I, 1890, 1935, с. 109 — 111.

<sup>3</sup> Karst, Giorgie du roi Yakhtanuj VI, ტ. I<sup>2</sup>, 1935, გვ. 109-111

<sup>4</sup> აღ. ვაჩეიშვილი ი. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, II, 1948, გვ. 132-133.

<sup>5</sup> ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, I, 1953, გვ. 279.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 267.

<sup>7</sup> ვახუშტის ირაკლის ძე ბაგრატიონი, ისტორიებრი აღწერა... თხზულის საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახუშტის მიერ, გამოცემა სარგის კაკაბაძისა, თბ., 1914, გვ. 3-6; მისივე; Обзорение истории грузинского народа, 1814, с. 7-14.

ბას არ ცვლის. საქმე ისაა, რომ გაერთიანების პერიოდის ძველებში არ არის ცნობები საქართველოში ორდალების არსებობის შესახებ. ამასთანავე, ორდალები სამართლებრივი განვითარების ჩამორჩენილობის ამსახველია და ამდენად გაერთიანების პერიოდში, როდესაც სამართლებრივი კულტურა განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა, ორდალების გამოყენებას არც უნდა ჰქონოდა ადგილი. შესაძლებელია ორდალები საქართველოში გაერთიანების წინა პერიოდში, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდში და შემდეგაც იყო, ხოლო გაერთიანების ხანაში ეს გადმონაშთური ინსტიტუტები შეიზღუდა ან კიდევ მოისპო, ხოლო შემდეგ, მონღოლების ხანგრძლივი ბატონობისა და სხვა დამპყრობთა — სპარსელებისა და ოსმალების ბატონობის ხანაში, ამ ინსტიტუტების მოქმედება კვლავ გამოცოცხლდა.

ი. დოლიძე ცდილობს დაარღვიოს მკვლევართა დებულება იმის შესახებ, რომ საქართველომ გაერთიანების ხანაში არ იცოდა ორდალები. ამისათვის მას მოჰყავს ბექა-აღბუღას სამართლის წიგნიდან 49-ე და 90-ე მუხლები<sup>1</sup>. 49-ე მუხლში საუბარია ძმების გაყოფის შესახებ, ხოლო 90-ე მუხლი მოსამართლის მიერ ქრთამის აღების დანაშაულს ეხება. ის ადგილები, რომელიც ი. დოლიძეს სხენებული მუხლებიდან მოჰყავს, ბუნდოვანია, განსაკუთრებით კი 90-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ „ბჭესა სიავსა კელნი დაესხნენ“; აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ ამ შემთხვევაში კანონმდებელს მდულრით გამოცდა აქვს მხედველობაში, არ უნდა იყოს მართებული.

(ორდალების შესახებ ჩვენი მოსაზრება ასეთია: 1) შესაძლებელია ორდალები იცოდნენ ძველ საქართველოში; 2) გაერთიანების ხანაში, როგორც მართებულად აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, ორდალების არსებობის დამამტკიცებელი საბუთები არ არის, ხოლო ამ პერიოდის სამართლის განვითარების მაღალი დონე ორდალების გამოყენების საწინააღმდეგოდ უჩვენებს.

ვახტანგის სამართლის წიგნში ორდალები, რასაკვირველია, ჩვეულებითი სამართლიდან უნდა იყოს აღებული, მაგრამ თვით ვახტანგის ეპოქაში და შემდეგაც ორდალების გამოყენება, როგორც მტკიცების საშუალება, განსაკუთრებულ შემთხვევებში იყო მიღებული იშვიათად გამოიყენებოდა ორდალებიდან ყველაზე უფრო მკაცრი და ჩამორჩენილი საშუალება, როგორც იყო შანთი და

<sup>1</sup> ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, I, 1953, კვ. 272, 268.

მდულარე. ფიცით, როგორც ვთქვით, ხშირად გამოიყენებოდა, მაგრამ შერჩეულ შემთხვევებში. შანთი გამოიყენებოდა მხოლოდ მძიმე დანაშაულის დროს: მეფის ღალატი, მკრეხელობა და სხვა (ვახტანგის სამართლის წიგნი, მუხ. 9). ფიცით, კანონმდებლის განმარტებით, იმ მხარეს ედებოდა, რომლის უფლებრივი რეჟიმი ირღვეოდა ან კიდევ ვის წინააღმდეგაც ბრალდება იყო წამოყენებული მაგალითად, თუ ვინმე ვისმეს ქურდობას დასწამებდა, შეწამებული ფიცით იმართლებდა თავს, თუ ვინმეს მიწა-ადგილს შეედავებოდნენ, ფიცით იმისი იყო, ვინც მიწას ფლობდა. კანონმდებელი აფრთხილებს მოსამართლეს, რომ „ფიცის მოკდენას ეკრძალოს და სხვარიგად მოჩივრის გარიგებას ეცადოს“ (მუხ. 10).

ყველა შემთხვევაში ორღალეები სამართლის ჩამორჩენილობის მაჩვენებელია, განურჩევლად იმისა სხვა ქვეყნის გავლენით არის მიღებული იგი, თუ წინა პერიოდის ჩვეულებითი სამართლის გადმონაშთებს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი სხვა მხრივ არ ავლენს ჩამორჩენილობის ნიშნებს. ავიღოთ, მაგალითად, ბრალის პრობლემა. ბრალის საკითხი კანონმდებელს, თავისი ეპოქის მიხედვით, მაღალ საფეხურზე აქვს განხილული. ვახტანგის სამართლის წიგნის 92-ე მუხლში ნახმარია ტერმინი „უბრალო“. ამ მუხლის მიხედვით, როცა პირი მეორე პირს ჩაუსაფრდება მოსაკლავად, ეს მეორე პირი კი „უბრალოა“, ე. ი. უდანაშაულოა და „უბრალო“ მოკლავს ჩასაფრებულს, ამ მუხლის მიხედვით, ის პასუხს არ აგებს. 62-ე, 65-ე, 72-ე, 210-ე და 227-ე მუხლებშიც „უბრალო“ უდანაშაულოს, მართალს ნიშნავს. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, ბრალის საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა ტერმინ „ფათერაკის“ შინაარსი. 193-ე მუხლში წერია: „დამწვარი კაცი თუ ამას ამბობდეს, რომე „განზრახ მიყოო და ფათერაკს აბრალებსო“, იმისი ჯერი უნდა იყოს, რომ ფეთერაკი მოსვლოდეს, და არც თავისი ნებით ექნას, ასრე საფათერაკო მისცეს“. („ფათერაკს აბრალებს“ აქ ნიშნავს — შემთხვევას აბრალებს. ფათერაკი თავისთავად შემთხვევაა, რომელიც გამორიცხავს ბრალს, და თუ მაინც, ფათერაკთან დაკავშირებით, აქ ბრალზეა საუბარი, ეს იმიტომ, რომ ბრალი აქ გაგებულა როგორც მიზეზი. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ მუხლში შემთხვევითი (ფათერაკი) მოქმედება დაპირისპირებულია განზრახ ჩადენილ მოქმედებასთან („განზრახ მიყოო და ფათერაკს აბრალებსო“). (მაშასადამე, ის ვინც განზრახ დანაშაულს ჩადის, ცდილობს ეს „ფათერაკს“



გადააბრალოს, რადგანაც განზრახ ჩადენილი დანაშაულის პასუხის-მგებლობა უფრო მძიმეა, ფათერაკი კი ან სრულიად არ იწვევს სასჯელს (პასუხისმგებლობას), ან კიდევ ნაკლებს იწვევს.

საინტერესოა, თუ როგორ ესმის კანონმდებელს „ფათერაკი“. ძეგლის რუსულად მთარგმნელს „ფათერაკი“ გალათარგმნილი აქვს ასე: „неумышленно“. დავუშვათ, რომ „ფათერაკი“ გაუფრთხილებლობას ნიშნავს, მაშინ „შემთხვევა“ რომელი სიტყვით გადმოიციემა? 193-ე მომდევნო მუხლში საუბარია ისეთ შემთხვევაზე, როცა „ხუმრობასა და თამაშობაში კაცმა კაცს“ შესაძლებელია „აწყინოს რამე ან მოსტეხოს რამე ან დაჭრას“, ან მოკლას, ასეთ შემთხვევაში „დაჭრილს საექიმო უნდა მისცეს და, თუ მოკვდეს, სამარხი უნდა მისცეს“; მაგრამ თუ დაზარალებული „ეუბნებოდეს: „განზრახ შენის ნებით მიყაო“, მაგისი ჯერი არის. თუ თავი იმართლა, რომ მისი ნება არ ყოფილიყოს და ისრე მოსვლოდეს, როგორც დაგვიწერია, დაჭრილსა და ავადმყოფს საექიმო მისცენ და მკვდარს სამარხი უნდა მისცენ“ (მუხ. 194). აქაც, „განზრახვა“ საგანგებოდ ხაზგასმულია იმ მხრივ, რომ განზრახ მოქმედება უფრო მძიმე პასუხისმგებლობას იწვევს. ამასთანავე, განზრახვა, და ეს ფრიად მნიშვნელოვანია, დაკავშირებულია ნებასთან („განზრახ შენის ნებით მიყაო“). მაშასადამე, განზრახვა, ნებისგანაა დამოკიდებული. რასაკვირველია, განზრახვა ნების გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ კანონმდებელს მაინც საჭიროდ უცვნია ნებაც ეხსენებია, რომ ამით განზრახვის გარეშე მოქმედება, ე. ი. უნებური მოქმედება კიდევ უფრო დაეპირისპირებია ნებისაგან დამოკიდებულ მოქმედებისაგან.

(194-ე მუხლთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ კანონმდებელს ძირითადად მხედველობაში აქვს ისეთი დანაშაული, რომელიც განზრახ ჩადენილი არ არის. ასეთია: ხუმრობა-თამაშის დროს კაცის დაჭრა ან მოკვლა. თამაშის დროს შეიძლება აღამიანმა აღამიანი მოკლას გაუფრთხილებლობით და შემთხვევით. კანონმდებელი თუ 193-ე მუხლში ხმარობს სიტყვა „ფათერაკს“) 194-ე მუხლში აღარ ხმარობს. ამ ტერმინს, რადგანაც ორივე მუხლში დანაშაულთა მსგავსი შემადგენლობაა აღწერილი. ორივე შემთხვევაში განზრახვას უპირისპირდება ნების გარეშე ჩადენილი მოქმედება, ხოლო ერთ შემთხვევაში ნახსენებია „ფათერაკი“, მეორეში კი არა. ეს გარემოება შეიძლება იმის მაჩვენებლად მივიღოთ, რომ კანონმდებელი არ ანსხვავებს ერთმანეთისაგან გაუფრთხილებლობასა და „ფათერაკს“, ანუ შემთხვევას.

ვანტანგის სამართლის წიგნში კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ისეთ დანაშაულს, რომელიც განზრახვით არის ჩადენილი, საგანგებოდ ჩერდება პასუხისმგებლობის საფუძველზე (და განასხვავებს მოქმედებას) რომელიც ადამიანის სურვილის, ნების მიხედვით არის ჩადენილი, (ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც ადამიანის ნებაზე არ იყო დამოკიდებული; მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში კანონმდებელი კარგად უნდა არჩევდეს, როგორც გაუფრთხილებლობას, ისე შემთხვევას; ყოველ შემთხვევაში, ცალცალკე ტერმინები გაუფრთხილებლობისა და შემთხვევისათვის მას არა აქვს, თუმცა კი ამ მიმართებით საკითხის გადაწყვეტა, როგორც ჩანს, დღის წესრიგში დგას.

(ფათერაკის შესახებ უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს კანონმდებელი 92-ე მუხლში:)) „თუ ფათერაკად კაცს კაცი შემოაკვდეს ან შემოჭრას ან დაშავდეს, რისაც ფათერაკით რომ იმ კაცს არ ნდომოდეს, ცხენით თუ იარაღით, ასე რომ ან ცხენმან თავი წაართვას და შეეძგეროს, ან გავარდნაში შეიძგერნენ, ან ნადირს თუ თოფი ან ისარი შესტყორცოს და კაცს მოხვდეს, ან თამაშობაში აწყინოს რამე ბევრი ფათერაკი სხვა არის, ამისი ასე არის: ცხენისაგან მოვლების სიკვდილი თუ იარაღისაგან, ის ცხენი, ის მკვლელი და ის იარაღი მიეცემის, და იქნების, მკვდარს სამარხი და დაჭრილს სააქიმო გაუჩნდეს. თუ ნადირს შესტყორცოს და კაცს მოხვდეს, ან ფრინველს შესტყორცოს და კაცს მოხვდეს, ან ყაბახს ესროლოს და ისარით კაცს დაეცეს, ამგვარს ყველას ფათერაკი ქვიან. ყაბახის მსროლელს კაცს ისარზე პირი არ უნდა ესხას, სისხლი ამიტომ მიეცემის; ამაებს ნთლად არა საფათერაკო სისხლი უნდა მიეცეს“. ეს საკმაოდ გრძელი მუხლი სრულად მოვიყვანეთ, რადგანაც ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. (ამ მუხლში სამოთვლილი შემთხვევები შეიძლება მიეკუთვნოს როგორც გაუფრთხილებლობას, ისე შემთხვევას; მაგალითად, ადამიანმა ნადირს თოფი ესროლა და კაცს მოხვდა; ეს ფაქტი იმის მიხედვით, თუ რა პირობებში მოხდა, შეიძლება გაუფრთხილებლობაც იყოს და შემთხვევაც. მაშასადამე, კანონმდებელი, შემთხვევასა და გაუფრთხილებლობას არ განასხვავებს) ორივე ტერმინს „ფათერაკით“ გადმოგვცემს. ახსნა-განმარტებას თხოულობს ციტირებული მუხლის უკანასკნელი ნაწილი. საუბარია იმ შემთხვევაზე, როცა ყაბახს ისარს ესვრიან და კაცს მოხვდება. ამ შემთხვევაში მსროლელი, ციტირებული მუხლის თანახმად, იმ იარაღს, რომლითაც ისროდა, გადასცემს დაზარალებულს, უკანას-

კნელი მიიღებს მსროლელისაგან აგრეთვე სამარხს ან საექიმოს. კანონმდებელი განმარტავს: „ყაბახის მსროლელ კაცს ისარზე პირი არ უნდა ესხას, სისხლი იმიტომ მიეცემისო“; მაშასადამე, მსროლელი მხოლოდ იმ შემთხვევაში აგებს პასუხს, თუ ისარს პირი აქვს; თუ ისარზე პირი არ არის გაკეთებული, ასეთი მსროლელი პასუხს არ აგებს, რადგანაც უპირო ისარი არ არის საშიში, მაგრამ თუ ყაბახის მსროლელის ისარს პირი ექნება გაკეთებული, მაშინ საქმე გვაქვს არა შემთხვევასთან, არამედ გაუფრთხილებლობასთან ჩანს, რომ ისეთ ტიპურ შემთხვევას, როგორც მოცემული მაგალითია, კანონმდებელი ფათერაკს უწოდებს. მისთვის ფათერაკი ფართო ცნებაა და ის როგორც გაუფრთხილებლობას, ისე შემთხვევას შეიცავს (Casus).

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ციტირებული მუხლის უკანასკნელი წინადადება: „ამაებს მთლად არა საფათერაკო სისხლი უნდა მიეცეს“. რას ნიშნავს „მთლად არა საფათერაკო“? შეიძლება კანონმდებლის აზრი ასე გავიგოთ: მუხლში ჩამოთვლილი მაგალითები მას ფათერაკად მიაჩნია, მაგრამ ისეთად, რომლისთვისაც მეტი პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული, ვიდრე სხვა (ჩვეულებრივი) ფათერაკის დროს.

(191-ე მუხლში საუბარია „უნებურად და ფათერაკად“ ცეცხლის გაჩენის შესახებ. უნებური და ფათერაკი განცალკევებულია ერთმანეთისაგან, თუმცა ორივე შემთხვევაში ერთგვარი სანქცია არის გათვალისწინებული.) ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, ის ვინც ჰირუტყვს „საძოვარზე ან წყალზე“ წაიყვანს და მოუკედება ან დაუშავდება, პასუხს აგებს, ხოლო თუ საქონლის სიკვდილი ან დაშავება „ფათერაკის საქმით მოუკდა“, მაშინ საზღაურის ნახევარი უნდა დაიკლოს საქონლის პატრონძაო (მუხ. 230). ამ შემთხვევაში „ფათერაკი“ მხოლოდ სანაქევროდ ათავისუფლებს ზიანის მიმყენებელს.

(კანონმდებელი მკვლევლობის შემცვევაში არჩევს:

- 1) მოწამვლით მკვლევლობას (ყელაზე მძიმე ფორმა),
- 2) შეუღლით მკვლევლობას,
- 3) „მტრობით სიკვდილს“ და
- 4) „ფათერაკით სიკვდილს“ (მუხ. 252).

„ფათერაკით სიკვდილი“ მკვლევლობის ყველა ფორმაზე მსუბუქი უნდა იყოს, მაგრამ კანონმდებელი არ აღწერს მოქმედების შემადგენლობას კონკრეტულად და ამიტომ საფიქრებელია, რომ

კანონმდებელი, ისე როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც გაუფრთხილებლობასა და შემთხვევას ერთად გულისხმობს.)

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ შემთხვევის (Causus) მნიშვნელობა ცნობილი იყო გაერთიანების ხანის საქართველოში და შემდეგაც.

საინტერესოა ამ ცნების შინაარსი ვახტანგის წინა ხანებში და ვახტანგის ეპოქის სხვა წყაროებში.

ექვთიმე შთაწმიდელი სიტყვა შემთხვევის (Causus-ის) მნიშვნელობით ხმარობს ტერმინს „იშობრივს“<sup>1</sup>. სულხან-საბა ორბელიანი ამ სიტყვას განმარტავს შემდეგნაირად: „იშობრივ-ფათერაკსაგით (ფათერაკად)“.

ლ. მუსხელიშვილი, აბუსერიძე ტბელის მიხედვით, ასე განმარტავს სიტყვა „ფათერაკს“: „ფათერაკი (სპარს. ფათერა) ხიფათი, უბედური შემთხვევა“<sup>2</sup>. როგორც ჩანს, სპარსული წარმოშობის „ფათერაკი“ საქართველოში შედარებით გვიან შემოდის ხმარებაში და მანამდე მას ცვლის სიტყვა „იშობრივ“. როცა საუბარია „იშობრივი“ სიტყვით დახასიათებულ მოქმედებაზე იურიდიული კვალიფიკაციის მიხედვით, ის აზრს განსხვავდება გაუფრთხილებლობისაგან.

აკად. ივ. ჯავახიშვილი სიტყვა „იშობრივს“ გადმოგვეცემს სიტყვით „უეცრად“<sup>3</sup>.

„ამირანდარეჯანიანში“ ხშირად გვხვდება „ფათერაკი“. „ამირან დარეჯანის ძემ ჰკითხა მხედარს: რატომ სტირიო? — პატრონისათვისო, უპასუხა; კვლავ შეეკითხა: — პატრონი მოკვდაო? პასუხი: „არა, ფათერაკი წაეკიდაო“<sup>4</sup>. პატრონი ბადრი იამანის ძე იყო, ხოლო ფათერაკი, რომელიც მას მოუხდა ის იყო, რომ მძინარე ბაყბაყ დევმა მოიტაცა<sup>5</sup>.

მაშასადამე, ფათერაკი ამ შემთხვევაში უბედურებას, ხიფათს ნიშნავს. ამირან დარეჯანის ძემ მეფეებთან ომის შესახებ თქვა: „ღმერთმან იცის, მე ნებითა ჩემითა არ ვებრძვი კელმწიფეთა მით,

1 წესი და ვანება..., გვ. 58.

2 აბუსერიძე ტბელი, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, 1941 (იხ. თანდართული ლექსიკონი).

3 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, 1929, გვ. 250.

4 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, 1949, გვ. 7.

5 იქვე, გვ. 14.

რომელ არამცა ფათერაკი წამეკიდოს და მოკუდეს რომელიმე კელთა ჩემთაგან. არა კარგი არის აზნაურთაგან კელმწიფეთა სიკუდილი“<sup>1</sup>. მასასადამე, ამირან დარეჯანის ძე გაურბის მეფეებთან შებმას, რომ უბედურება არ შეემთხვეს და მეფე არ შემოაკედეს.

წითლოსანი ჭაბუკის ძმას ამირან დარეჯანის ძემ უთხრა: „ძმამან შენმან სიამპარტაენითა მოიკლა თავი თუისი და ფათერაკად მოკუდა და აწ კულა შენ მეწყალვი, რომელ შენცა მოკუდები კელითა ჩემითა“<sup>2</sup>, ე. ი. შენ ძმას ამპარტაენობით უბედურება შეემთხვაო.

„მზემან ჭაბუკმან ეგრე არქუა: რასა ებრძუი, უბალო ვინმე და მუხთალი ვინმე კაცი არისო. თუ შეები კაცურად და კარგად შეეებიო, რომელ არა გეფათერაკოსო“<sup>3</sup>, ე. ი. უბედურება, ხიფათი არ შეგემთხვესო.

ამგვარივე შინაარსი აქვს სიტყვა „ფათერაკს“. „ვისრამიან-შიც“: „რაზომიცა მიჯნურობასა შიგან ფათერაკი დაემართოს, ეგრეცა ყუელასა თავის ნებითა მას გამოირჩევს“<sup>4</sup>. ამ შემთხვევაში ფათერაკი უბედურ შემთხვევას ნიშნავს. „აწ იხარებენ უშმანი და ქაჯნი, იციან თუ რაზომი ფათერაკი იქმნების ამას სისხლსა სანაცვლოდ, თუ რაზომი კელმწიფე და დიდებული მოკუდების“<sup>5</sup>. აქ ფათერაკი უბედურებას ნიშნავს.

რამინმა ძიძას უთხრა: „გულისა ნებისა უკანადგომითა ბრალი ღრა გიქმნია და ავისა სახელისაგან უპატიობისა ფათერაკიცა ღია გარდაგი კლი“<sup>6</sup>.

„უწყვი, რამეთუ არა ვარ შესარაცხავი ღმრთივ მონიჭებულისა კეთილისაჲ. გარნა ამათ წმიდათა ღმრთისათა მეოხებამან მეცა მომანიჭოს სრულქმნაჲ ჩემგან სამუშაკოდ კადრებულისა ხინათა ეკლესიისაჲ, რომლისა მუშაკობასა შინა მრავალნი სასწაულნი აღესრულნეს, მრავალთა კაცთა ფათერაკთაგან კსნისანი“<sup>7</sup>.

მოყვანილ ტექსტში ფათერაკი უბედურ შემთხვევას ნიშნავს.

<sup>1</sup> ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, II, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, 1949, გვ. 41.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 58.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 89.

<sup>4</sup> ვისრამიანი, 1938, გვ. 55.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 154.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 197.

<sup>7</sup> აბუსერიძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატრიანე, 1233.

სულხან-საბა ორბელიანი თავის „ქართულ ლექსიკონში“ „ფათერაკის“ ასეთ განმარტებას იძლევა: „ფათერაკი მოულოდებლად და უნებლიეთ იქმნას რამ ანაზღად“. ამ განმარტებაში ყურადღებას იქცევს ორი ცნება: ნება და მოულოდნელობა; „ფათერაკი“ სულხანის აზრით, გამორიცხავს ნებელობას. ნების გამორიცხვით სულხან-საბამ ფათერაკი გაუფრთხილებლობას და შემთხვევას დაუკავშირა, ხოლო სიტყვები — „მოულოდებულად“, „ანაზღად“, უფრო შემთხვევას. ყოველ შემთხვევაში, ვახტანგის სამართლის წიგნის თვალსაზრისი სრულიად შეესაბამება სულხან-საბა ორბელიანის თვალსაზრისს.

სულხანის „სიბრძნე-სიცრუისაშიც“ გვხვდება ტერმინი „ფათერაკი“; ყაღმა თქვა: „მე ამ ქოსას აქ ველარ დაუდგები, ფათერაკს კიდევ გაბაბამსო“<sup>1</sup>, ე. ი. უბედურებას, ჭირს შემყრისო. ყაზან შაჰის მეუღლეს „ფათერაკი მოუხდა“, ე. ი. უბედურება, არასასიამოვნო შემთხვევა მოუვიდა<sup>2</sup>.

მაშასადამე, „ფათერაკი“ ძველ ტექსტებში უბედურებას ნიშნავს, ხოლო სულხანის მიხედვით, ის უბედურებაც არის და შემთხვევა-გაუფრთხილებლობაც.

ვახტანგის სამართლის წიგნში „ფათერაკი“ შემთხვევა-გაუფრთხილებლობას ნიშნავს.

(მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ ობიექტური შერაცხვის საფეხური გადალახა, დანაშაულისათვის სასჯელის მიყენების საფუძვლად თანდათანობით ბრალი აღიარა. დამთავრებული მოძღვრება გაუფრთხილებლობაზე არც რომსა და არც ფეოდალურ სამართალს არ მოუცია. დამთავრებული მოძღვრება გაუფრთხილებლობის შესახებ) მას ხარისხებად ყოფს და ამასთანავე, შემთხვევისაგან გამოყოფს. ასეთი სახის მოძღვრება გაუფრთხილებლობის შესახებ ქერობაში განმანათლებელთა იდეების გავლენით წარმოიშვა XVII—XVIII საუკუნეებში, ხოლო საბოლოოდ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა. (ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, მოცემულია განზრახვისა და აგრეთვე, არაგანზრახვითი მოქმედების დიფერენცირება) სამართლის წიგნმა იცის როგორც გაუფრთხილებლობის ცნება, ისე შემთხვევაც, მაგრამ გაუფრთხილებლობასა და შემთხვევას შორის მტკიცე დემარკაციული ხაზი არ გაუვლია;

1 სულხან-საბა ორბელიანი. სიბრძნე-სიცრუისა, ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1938, გვ. 47.

2 იქვე, გვ. 157.

ბრალის ცნების ის დიფერენცირება, რომელიც ვახტანგის სამართლის წიგნშია მოცემული, სამართლის განვითარების მაღალ დონეს ავლენს.

ზემოთ საუბარი გვექონდა ვახტანგის სამართლის წიგნის ორი საკითხის ორდალებისა და ბრალის შესახებ. პირველი საკითხის განხილვით შევეცადეთ დაგვესაბუთებია, რომ (ორდალებით ვახტანგის სამართლის წიგნი ჩამორჩენილობას ასახავს, ხოლო ბრალის საკითხით სამართლის მაღალ განვითარებას.)

(ძლიერი და მაღალი განვითარების მქონე საქართველო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაბალი კულტურის მქონე მონღოლების ბატონობის ქვეშ მოექცა) მონღოლთა თარეშმა ქვეყანა გააპარტახა. საქართველოში კულტურული განვითარება შეფერხდა. სამართალში, ზნე-ჩვეულებაში ჩამორჩენილობა დამკვიდრდა. ივ. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ კულტურულად საქართველო დაქვეითდა, ეს ჩანს XIV საუკუნის სამართლის ძეგლებიდან. XI საუკუნეში ე. მთაწმინდელს, აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, ბრალის ფორმები მკაფიოდ დიფერენცირებული ჰქონდა, ხოლო გიორგი V-ის ძეგლის დადებასა და აღბუღას სამართლის წიგნში ამ საკითხში ქართული სამართლის მიერ ნაბიჯის უკან გადადგმა შეინიშნება, ხოლო ჟამთააღმწერელს მონღოლთა ველური წესი „დანაშაულზე წასწრებულის გამოუძიებლივ და გაუსამართლებლივ იქვე მოკვლა, უკვე მოსწონდო და საქებურადაც კი მიაჩნდა“<sup>1</sup>.

(მწარმოებელი კლასი ვეღარ უძლებდა გარეშე და შინაურ მოძალადეებს, ვეღარ აუდიოდა ფეოდალურ გადასახადებსა და მონღოლთა სასარგებლო ხარკს.) სათავადოების სისტემის ჩამოყალიბებამ კიდევ უფრო შეაფერხა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის შესაძლებლობა. (ბარში ჩამოწოლილმა მთის მცხოვრებლებმა ჩამოიტანეს ჩამორჩენილი ზნე-ჩვეულება)

ზემოთ ვთქვით, რომ გაერთიანების ხანაში ორდალებს იმიტომაც არ უნდა ჰქონოდა ადგილი, რომ ქართული სამართლის განვითარების დონე მაღალი იყო; ამას უნდა დავუმატოთ შემდეგი: ქართულმა სამართალმა X საუკუნეში შეიმუშავა საკუთრების უფლებების ცნების ამსახველი ტერმინი, რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ შემუშავდა<sup>2</sup>.)

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III, 1966, გვ. 256—257.

<sup>2</sup> ივ. სურგულაძე. საკუთრების უფლების ინტიტიუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, თსუ შრომები, XXXI, 1949.

ამას გარდა, გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოცემულია ფრიად მნიშვნელოვანი პროგრესული შინაარსის იდეები აბსოლუტური მონარქიის შესახებ<sup>1</sup>; ამავე ძეგლში დადასტურებულია ის გარემოება, რომ გაერთიანების ხანის სახელმწიფოში მეცნიერებს უაღრესად პატივს სცემდნენ<sup>2</sup>.

მნიშვნელოვანია ის, რომ გაერთიანების ხანაში, „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, სახელმწიფო მმართველობა დარგებად არის დაყოფილი, მმართველობის სისტემა გარკვეულ საუწყებო პრინციპზეა აგებული, სასახლის მმართველობის სამართლის კერძო საწყისები გამოყოფილია მმართველობის საჯარო სისტემისაგან. გაერთიანების ხანაში ჩამოყალიბებულია ცალკეული დანაშაულისათვის მპარათმდევნელთა ცალკე უწყება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფოს მმართველობის საჯარო საწყისები ძირითადი საფუძველია ცენტრალური და ადგილობრივი მოხელეების მოქმედებისათვის<sup>3</sup>.

ორდაღების საპირისპიროდ, გაერთიანების ხანაში, თამარ მეფემ მოსპო დამასახიჩრებელი სასჯელები, როგორც იყო ასოთმოკვეთა, თვალების დათხრა; ამასთანავე, სიკვდილით სასჯელი იმდენად შეამცირა, რომ თამარის ისტორიკოსის ცნობით, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გამოიყენებოდა ეს სასჯელი ავაზაკობის მძიმე ფორმის დროს. შეიძლება ვთქვათ, რომ თამარმა სიკვდილით სასჯელი როგორც წესი, მოსპო. ასეთი ჰუმანიზმი ძლიერი და მაღალი კულტურის სახელმწიფოსათვის არის დამახასიათებელი და ამდენად, შეუსაბამო იქნებოდა ასეთ სახელმწიფოში ორდაღების არსებობა.

(როგორც ვთქვით, ვახტანგის სამართლის წიგნში გაერთიანების პერიოდის სამართლის განვითარების მაღალი დონის საწყისებიც არის მოცემული და ჩამორჩენილობის მაუწყებელი ინსტიტუ-

---

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, I. კელმწიფის კარის გარიგება, 2. დასტურლამალი; ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, ვაშოკლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, 1970, გვ. 19—20.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე, გვ. 30—31.

<sup>3</sup> ივ. სურგულაძე. ქართული სამართლის ისტორიის მნიშვნელოვანი ძეგლი, საქ. საზ. მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განუ. „მოამბე“, ტ. I, 1970. მისივე. Важный памятник истории грузинского права, грамота Георгия III-го (1970 „მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის და სამართლის სერია, № 2, 1972.



ტებიც. გარდა ორდალებისა, ჩამორჩენილობის მაუწყებელია ის გარემოებაც, რომ ვახტანგის სამართლით, მოწმე სათანადოდ არ არის დაფასებული) მოწმე, წერს კანონმდებელი, ბერძნებს, ფრანგებსა და რუსებს სწამთ, ხოლო „ქართლში უფრო არ განუწყვებიათ“, ე. ი. (საქართველოში, როგორც მტკიცების საშუალებას, მოწმეს იმდენად არა აქვს მნიშვნელობა, როგორც სხვა ქვეყნებშიო (მუხ. 13).)

(სამართლის წიგნმა იცის აგრეთვე მოფიცარი (შეგდებული და შეუგდებული მოფიცარი)) (მუხ. 10)<sup>1</sup>.

ვახტანგის სამართლის წიგნით, დანაშაულის მიმართ ძირითად რეაქციად კომპოზიციაა გათვალისწინებული, რაც სასჯელს კერძო სამართლებრივ ხასიათს აძლევს.

(ვახტანგის სამართლის წიგნში შემორჩენილია კოლექტიური პასუხისმგებლობის საწყისები. თუ ცრუ მთხრობელს „გადახდა არ შეეძლოს“, აგრეთვე, თუ „ქურდი ვალს ვერ აუვიდეს“, ე. ი. ვერ გადაიხადოს შეიღმაგი, მაშინ მთხრობელი და ქურდი ცოლშვილით უნდა გადაეცეს დაზარალებულს (მუხ. 39, 15); მაგრამ ამ ჩამორჩენილობის მაუწყებელ ნიშნებთან ერთად, ვახტანგის სამართლის წიგნმა ბრალის საკითხის გარდა იცის სხვა საკითხებიც, სხვა ინსტიტუტებიც, რომლებიც სამართლის პროგრესული და განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელი არიან. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი კატეგორიულად კრძალავს თვითნებობას, თვითგასწორებას (მუხ. 173). ყოველი პირი რაიმე პრეტენზიის შემთხვევაში ვალდებულია ხელისუფალთ მიმართოს. არავის არა აქვს უფლება ხელისუფლების გარეშე გადასახადები შემოიღოს (მუხ. 214).

აღსანიშნავია, რომ ვახტანგის სამართლის წიგნში სამოქალაქო სამართალი განვითარების მაღალი დონით არის ასახული) უკეთ რომ ვთქვათ, გაერთიანების ხანის განვითარების მაღალი დონე შენარჩუნებულია, (მაგალითად, ნასყიდობის საფუძველზე წარმოშობილი საკუთრების უფლების სიმტკიცე (მუხ. 160). წყაროების მიხედვით დასტურდება, რომ თვით საკუთრების უფლების დიფერენცირება საქართველოში ღრმად იყო წასული. საბუთებიდან ვლინდება საკუთრების მრავალი სახე: მამული, დედული, მონაგები, ნაშთითევი, ნასყიდი, სამემკვიდრეო, ნაჩუქარი, ნაწყალობები და სხვ.)

<sup>1</sup> ივ. სურგულაძე. ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, ვვ. 79—82.

(ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი (მუხ. 16) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ხელშეკრულების დადების დროს მხარეების ფორმალურ ნება-სურვილს, თუ მხარეები დადებენ ნასყიდობის ხელშეკრულებას, მისი მოშლა არავის შეუძლია)

როგორც ვხედავთ, მიუხედავად ზიგზაგებისა (ქვეყნის ეკონომიკური დაცემა, პოლიტიკური დაქუცმაცება და სამართლის დარღვი რეგრესული შინაარსის სამართლის ნორმების შემონახვა), ვახტანგის სამართლის წიგნი ასახავს გაერთიანების პერიოდის განვითარების მაღალი დონის სამართლის საწყისებს და განაგრძობს ამ პერიოდის მიერ სამართლის განვითარებისაკენ აღებულ გეზს.

### ბ) მოსეს სამართალი

(ებრაული, ანუ მოსეს სამართალი) რომელიც შეტანილია ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში, (შეიცავს ბიბლიიდან ამოკრებილ მუხლებს, სახელდობრ, ის არის დაბადების ის ნაწილი, რომელსაც „მეორე სჯულის კანონი“ ეწოდება.

„მეორე სჯულის კანონი“ ბიბლიის პირველი ხუთი წიგნის ერთ-ერთი წიგნია (მეხუთე). მის შედგენას მიაწერენ ლეგენდარულ წინასწარმეტყველ მოსეს, სინამდვილეში კი შედგენილი უნდა იყოს (ძვ. წ. VII ს.) ებრაელების მეფე იოსიას დროს, როცა სახელმწიფოს მმართველობის ცენტრალიზაციისათვის შესაბამისი რეფორმები ჩატარდა.

„მეორე სჯულის წიგნში“ მოცემულია რელიგიური კანონმდებლობა, მოთხრობილია ებრაელების ხეტიალი უდაბნოში, მოსეს სიკვდილი და მისი დასაფლავება.

„მეორე სჯულის კანონი“ ქრისტიანულ ქვეყნებში მოქმედ სამართლის წიგნად ითვლებოდა) და ამიტომაც ის ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიის მიერ სამართლის წიგნთა კრებულშია შეტანილი<sup>1</sup>.

### გ) ბერძნული სამართალი

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილია ბერძნული სამართალი. (დიდი ხანია მეცნიერების ყურადღებას იქცევს

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 105—125; 572—577; Сборник законов Грузинского царя Вахтанга VI-го, Издание А. С. Френкеля, под редакцией Д. Бахрадзе; 1887, с. 145 — 157.

ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის წყაროს საკითხი.) ამ საკითხის შესახებ მოსაზრება გამოთქვას მ. ბროსემ, ბ. როზენკამბმა, დ. ჩუბინაშვილმა და ენგელმანმა. ვლ. სოკოლსკიმ დაწვრილებით განიხილა ეს მოსაზრებანი, ღრმად შეისწავლა საკითხი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ (ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილი ბერძნული სამართალი წარმოადგენს მათე ვლასტარის სინტაგმის შემოკლებულ რედაქციას, რომელიც შიგადაშიგ შევესებულია არმენოპულოს სამართლის წიგნიდან და სხვა წყაროებიდან; ამასთანავე, ვლ. სოკოლსკის აზრით, ქართულის შესატყვისად, ბერძნულის ასეთივე რედაქცია უნდა არსებულიყო, რადგანაც მასალა ბერძნული ანბანის მიხედვითაა დალაგებული (ქართულად მთარგმნელს თავისი ინიციატივით გაუჭირდებოდა ბერძნულ-რომაული სამართლის წყაროების ასეთი კრებულის შედგენა). ამასთანავე, ვლ. სოკოლსკი აღნიშნავს, რომ ბერძნულად ქართულის მსგავსი რედაქციები ხშირად დგებოდა და დიდი გავრცელებაც ჰქონდა აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში<sup>1</sup>.

მეცნიერ მუშაკმა თ. ბრეგაძემ მართლაც აღმოაჩინა ქართული ტექსტის შესატყვისი ბერძნული ხელნაწერი და ქართულ-ბერძნული ტექსტი სათანადო გამოკვლევით გამოსცა კიდევ<sup>2</sup>. თ. ბრეგაძის გამოკვლევაში დასაბუთებულია, რომ ქართული ტექსტი წარმოადგენს ბერძნული ტექსტის გამოკრებილ თარგმანს. შესაძლებელია, ეს თარგმანი უფრო ვრცელი იყო, ხოლო შემდეგში დახვეწეს. „თარგმანი თავისუფალ ხასიათს ატარებს, შინაარსი დაცულია იშვიათი გამონაკლისის გარდა, რაც ქართული ხასიათით არის გამოწვეული“<sup>3</sup>.

ბერძნულ ხელნაწერში, რომლიდანაც ქართული თარგმანია გაკეთებული, მრავალი ქართული მინაწერი გვხვდება, რაც იმის მაუწყებელია, რომ სწორედ ეს ხელნაწერი ჰქონდათ ხელთ ქართუ-

<sup>1</sup> Соколовский Вл., Греко-римское право в Уложении Грузинского царя Вахтанга VI-го (Журнал «Министерство народного правосудия», 1897 г., сентябрь, с. 58 — 59).

<sup>2</sup> ბერძნული სამართალი, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულიდან, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ. ბრეგაძემ, 1964.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 072.

ლად მთარგმნელებს. ქართული თარგმანი შესრულებულია კეიპ-რიანე სამთავნელის მიერ<sup>1</sup>.

(ბერძნული ხელნაწერი, როგორც ანდერძიდან ჩანს, გადაწერილი ყოფილა 1670 წელს ვალაცში მოლდავეთ-ვლახეთის მპყრობელის იოანე დუკას ვოევოდას დროს. ხელნაწერი ვლახური ყოფილა;) ვლახეთი კი XVIII საუკუნის დასაწყისში საქრისტიანო აღმოსავლეთის ცენტრად გადაიქცა; იგი აღმოსავლეთს წიგნებით ამარაგებდა. ქართველები კარგად იცნობდნენ ვლახეთს და XVII—XVIII საუკუნეებში კულტურული კავშირი ქქონდათ დამყარებული ამ ქვეყანასთან<sup>2</sup>.

ვლასტარის სინტაგმა პირველად გადაითარგმნა სერბიულ ენაზე, შემდეგ, სტეფანე დუშანის სურვილის მიხედვით, ამ სინტაგმიდან ამოკრებილი ადგილები შევიდა მის 1349 წლის „კანონებში“. როგორც ვთქვით, ბერძნული ტექსტი შეიცავს მათე ვლასტარის სინტაგმას, რომელიც ადგილ-ადგილ შევსებულია კონსტანტინე არმენოპულოს წიგნებიდან ამოღებული ადგილებით.

(სასულიერო პირი მათე ვლასტარი XIV საუკუნეში ცხოვრობდა. ის ცნობილი იყო როგორც აღმოსავლეთის ეკლესიის კანონიკური სამართლის დიდი მცოდნე;) შეადგინა ანბანური წესით დალაგებული სინტაგმა, რომელიც საეკლესიო კრებათა დადგენილებებსა და საერო შინაარსის კანონებს შეიცავს. კონსტანტინე არმენოპულო, გამოჩენილი იურისტი, ცხოვრობდა ბიზანტიაში (XIV ს.). მან შეადგინა კანონების სახელმძღვანელო, ანუ „ექუსი წიგნი“. ეს წიგნი წარმოადგენდა IX საუკუნის ბიზანტიური საკანონმდებლო ძეგლის პროხირონის შემოკლებით ვადამუშავებას.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში მოთავსებული ბერძნული სამართლის ქართული თარგმანის ბერძნული ხელნაწერი, რომელიც დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ბერძნულ ხელნაწერთა ფონდში (Gr 10), შედგენილია ვლახეთში და წარმოადგენს მათე ვლასტარის სინტაგმას კონსტანტინე არმენოპულოს „ექუსი წიგნიდან“ ჩამატებებით გავერცობილს.

აღსანიშნავია, რომ ვლ. სოკოლსკის სავსებით მართებული შენიშვნით, (ბერძნულ-რომაული სამართლის კრებული, რომელიც

<sup>1</sup> ბერძნული სამართალი, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულიდან, ტექსტი გამოსცა, გამოკლევა, ლექსიკონი და ტერმინთა სპიქივული დაურთო თ. ბრეგაძემ, 1964, გვ. 075—087.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე, გვ. 087.

დგებოდა კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, იურიდიული აზროვნების დაბალ დონეს ამჟღავნებს) შემდგენლებს სათანადოდ არ ესმით ბერძნულ-რომაული სამართლის საწყისები, რომლებიც მათ შემოკლებული სახით შეაქვეთ კრებულებში; ამასინჯებენ ბერძნულ-რომაული სამართლის პირვანდელ ტექსტს, უმართებულოდ ამოკლებენ ან ავრცელებენ მას<sup>1</sup>.

ბერძნული სამართლის ქართული თარგმანი სათანადო გამოკვლევით გამოქვეყნებული აქვს ი. დოლიძეს, რომელმაც განისცა ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული<sup>2</sup>.

### დ) სომხური სამართალი

აღვნიშნეთ, რომ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის შესავალში ვახტანგ VI ჩამოთვლის იმ სამართლის წიგნებს, რომლებიც კრებულში აქვს შეტანილი. ბერძნული და სომხური სამართლის შესახებ შესავალში ნათქვამია, რომ ისინი გადმოათარგმნინა ქართულ ენაზე; სომხური სამართლის შესახებ მეფე წერს, რომ სომხური სამართალი „ეჩმიადინიდან“ ჩამოატანინა<sup>3</sup>.

(ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის სომხური სამართალი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი ორი ნაწილისაგან შედგება: 1) სირიულ-რომაული სამართლისა და 2) მხითარ გოშის სამართლისაგან.

3. (სოკოლსკის გამოკვლევით, როგორც აღვნიშნეთ, სირიულ-რომაული სამართალი შედგენილია ბიზანტიაში V ს-ის დამლევის; ცნობილია მისი სამი რედაქცია: სირიული, არაბული და სომხური<sup>4</sup>). მისივე აზრით, ბერძნულ-რომაული სამართალი მოცემულია ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის როგორც ბერძნულ სამართალში, ასევე სომხურშიც, სახელდობრ, ქართული ტექსტის პირ-

<sup>1</sup> Соколовский Вл., Греко-римское право в Уложении царя Вахтанга VI-го (Журнал «Министерство народного просвещения», 1897, сентябрь, с. 84).

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, 1963, გვ. 129—221; 578—592.

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის რედაქციით, 1963, გვ. 100.

<sup>4</sup> Соколовский Вл., Греко-Римское право в Уложении Грузинского царя Вахтанга VI-го (Журнал «Министерство народного просвещения», 1897, сентябрь, с. 59).

ველი ნაწილის პირველი 150 მუხლი ბერძნულ-რომაული სამართლიდან მომდინარეობს, რომელიც V ს-ში იქნა შედგენილი<sup>1</sup>.

რასაკვირველია, დროთა განმავლობაში ბერძნულ-რომაული სამართლის სირიული, არაბული და სომხური რედაქციები ცვლილებებს განიცდიდაჲ

პროფ. მელიქსეთბეგმა გამოსცა ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის სომხური სამართალი; წინასიტყვაობაში ის აღნიშნავს, რომ სომხური სამართლის პირველი ნაწილი თარგმანია XII საუკუნის სომხური ვერსიისა, რომელიც შედგენილი იყო ნერსეს ლამბრონელის (1158—1198 წწ.) მიერ<sup>2</sup>. ნერსესი იყო სომხური ეკლესიის მსახური, ბერძნული და სომხური ერთიანობისათვის მებრძოლი.

ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიას ეჩმიაძინიდან თბილისში ჩამოუვიდა სომხური ხელნაწერი, რომელშიც ეს ორი განსხვავებული სამართლის წიგნები — სირიულ-რომაული სამართალი და მხითარ გოშის სამართალი ერთ კრებულად იყო გაერთიანებული<sup>3</sup> ორივე სომხეთში მოქმედი სამართალი იყო. ეს ძეგლები ქართულადაც ერთ კრებულშია მოთავსებული სამართლის წიგნის სახით.<sup>4</sup>

სომხური სამართლის ქართული რედაქცია მრავალი ცვლილებით, დამახინჯებული ადგილებით არის წარმოდგენილი. ამ დამახინჯებათა ნაწილი ქართველ მთარგმნელს მიეწერება, ნაწილი სომხური ხელნაწერის გადამწერს, რომელსაც, ალბათ, ნათლად ვერ გაუგია ბერძნულ-რომაული სამართლის ძველი სომხური რედაქციის ამა თუ იმ ადგილის შინაარსი<sup>5</sup>.

ვ. სოკოლსკი ვარაუდობდა, რომ ბერძნულ-რომაული სამართალი ძველი დროიდანვე მოქმედებდა როგორც საქართველოში, ისე სომხეთში<sup>6</sup>.

სირიულ-რომაული სამართლის კრებული, აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში, რომლებიც ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყვნენ, გავრცელებული იყო და მოქმედ სამართლის წიგნს წარმოადგენდა; მოსალოდნელია, რომ სირიულ-რომაული სამართლის

<sup>1</sup> Соколовский Вл., Греко-римское право в Уложении Грузинского царя Вахтанга VI-го.

<sup>2</sup> სამართალი სომხური, პროფ. ლ. მელიქსეთბეგის რედ., 1925, გვ. 8—9.

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები, I, თ. დოლიძის რედ., 1963, გვ. 594.

<sup>4</sup> Соколовский Вл., Греко-Римское право в Уложении Грузинского царя Вахтанга VI-го (Журнал «Министерства народного просвещения» 1897, сентябрь, с. 92 — 93).

წიგნი ქართულად ვახტანგ მეფემდე იყო გადმოთარგმნილი და დაიკარგა<sup>1)</sup>

ვ. სოკოლსკის მოსაზრებას, რომ ბერძნულ-რომაული სამართლის წიგნი ძველ სომხეთში მოქმედებდაო, სომხური სამართლის ყველა მკვლევარი არ იზიარებს. ზოგი სომეხი მკვლევარის აზრით, მხითარ გოშამდე (XII საუკუნემდე) არ იყო არც უცხოური და არც ეროვნული სამართლის წიგნები. ზოგიერთი კი ამტკიცებს, რომ X—XV საუკუნეებში და შეიძლება უფრო ადრეც, სომხეთში მოქმედებდა სირიულ-რომაული სამართლის წიგნი. სომეხ მკვლევართა გარკვეული ჯგუფი, და მათ შორის, ლ. მელიქსეთბეგი, იმ აზრისაა, რომ სირიულ-რომაული სამართლის კრებული თარგმნილია სომხურად XII საუკუნის ბოლოს კილიკიის სომეხი ეპისკოპოსის ნერსეს ლამბრონელის მიერ<sup>2)</sup>

(სომხური სამართლის მეორე ნაწილი მხითარ გოშის სამართლის წიგნს წარმოადგენს. მხითარ გოში განჯაშია დაბადებული; ის იყო გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევარი, ღვთისმეტყველი, მოძღვარი და მონაზონი.) სწავლის დასრულებისა და სრულყოფის მიზნით გაემგზავრა კილიკიაში, რომელიც მაშინ სომხური განათლებისა და კულტურის ცენტრს წარმოადგენდა. კილიკიიდან მხითარ გოში ისევ განჯაში ბრუნდება. (საშობლოში დაბრუნების შემდეგ აარსებს მონასტერს და იქ ეწევა საქმიანობას.) მხითარ გოში სომხურ მწერლობაშიც მოღვაწეობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შედგენილი სომხური იგავ-არაკების კრებული. სამართლის წიგნს მხითარ გოში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ადგენდა. (როგორც თვითონ შესავალში აღნიშნავს სამართლის წიგნის წერა დაუწყია თამარის მამის, გიორგი III-ის გარდაცვალების წელს, ე. ი. 1184 წელს. შესაძლებელია, ამ წლიდან თავისი სიცოცხლის ბოლომდე (1213 წელი)) ადგენდა სამართლის ამ წიგნს. მხითარ გოში წერს, რომ სამართლის წიგნის დამთავრება ჩემს ძალას აღემატებაო.

ეს მიუთითებს იმაზე, რომ ის დიდხანს მუშაობდა მასზე.

(სომხური სამართალი შედგენილია კაზუსების სახით, გარკვეული სისტემის მიხედვით. შესავალს გარდა მასში მოცემულია საეკლესიო და საერო შინაარსის კანონები. აღსანიშნავია ის ვარემოება, რომ მხითარ გოში, როგორც სჯულის მოძღვარი, სწირად

1 ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის რედ., 1963, გვ. 595.

2 იქვე.

არჩევდა მორწმუნეთა თხოვნით სასამართლოს ამა თუ იმ საქმეს. სამართლის წიგნის შედგენისას ის ხელმძღვანელობდა საღმრთო წიგნებით: მოსეს კანონით, რომელიც კილიკიაში მოქმედი იყო. მხითარ გოშმა სომხური სამართლის შედგენისათვის გამოიყენა აგრეთვე თეოდოსისა და იუსტინიანეს კანონები. აღმოსავლეთ რომის იმპერიის კანონების გარდა, მის სამართლის წიგნში შევიდა სასამართლოს პრაქტიკა, სომხეთის ნაციონალური ჩვეულებანი.<sup>1</sup>

შემდეგში სომხური სამართლის წიგნი პოლონეთში სიგიზმუნდ I-ის მიერ მიღებულ იქნა სამოქმედოდ სომეხთა კოლონიისათვის ლეოვში, კამენეცში და სხვა ქალაქებში. ის მოქმედებდა აგრეთვე ნახიჩევანში 1868 წლამდე.

სომხური სამართალი ქართულად გადმოთარგმნილია თავისუფლად, ზოგიერთი ადგილი გამოტოვებულია, ზოგი კიდეც დამახინჯებულად არის გადმოცემული.

## სამკლესიო შინაარსის სამართლის ძეგლები

### მცირე სჯულისკანონი

მცირე სჯულისკანონი ოთხი ნაწილისაგან შედგება:

1. მეექვსე მსოფლიო კრების (ტრულის 692 წ. კრება) კანონები.
2. კანონი შეცოდებულთანი იოანე მმარხველისა.
3. კანონი დღითი-დღეთა ცდთომათანი.
4. ძეგლის წერა სარწმუნოებისად<sup>1</sup>.

პირველი ნაწილი, ანუ „წესი და განგებაჲ და რჯულის კანონი მეექუსისა კრებისად“ ცალკე შრომად ითვლებოდა. ის ცალკე გამოსცა ალ. ხახანაშვილმა<sup>2</sup>. ასევეა ის მიჩნეული ივ. ჯავახიშვილისა და კეკელიძის მიერ<sup>3</sup>.

<sup>1</sup> მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ელვაუჯა ვიუნაშვილმა, 1972, გვ. 3—4.

<sup>2</sup> Х а х а н о в А., Правила VI Вселенного собора, Древности восточные, т. II, вып. 3, 1903.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 30—38; კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 187—188.



მეორე ნაწილია: „კანონნი შეცოდებულთანი“, აღწერილი, ანუ განწესებული იოვანე მმარხველის მიერ.

მეორე ნაწილიც ცალკე გამოსცეს ალ. ხახანაშვილმა და ზაოზერსკიმ<sup>1</sup>. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ნაწილიც ცალკე შრომად ითვლებოდა<sup>2</sup>.

მესამე ნაწილის სახელწოდებაა: „კანონნი დღითი-დღეთა ცდომათანი, ვითარცა წმიდამან მამამან ჩუენმა ბასილიმ განაწესნა“.

მეოთხე ნაწილი — „ძეგლის წერაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კოსტანტინეპოლეს შეკრებულთა, წმიდათ ხატთა თაყუანისცემისათჳს“.

მესამე ნაწილს (კანონნი დღითი-დღეთა ცდომათანი) მეორის (კანონნი შეცოდებულთანი იოანე მმარხველისა) ნაწილად თვლიდნენ<sup>3</sup>.

მეოთხე ნაწილი მიაჩნდათ VII მსოფლიო კრების კანონებად<sup>4</sup>. [სინამდვილეში ეს ოთხი ნაწილი წარმოადგენს ერთ კრებულს, რომელიც ბერძნულიდან ქართულად თარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმა, რომელსაც „მცირე რჩულისკანონს“ უწოდებს და მიაჩნია ერთ შრომად: „მაიძულეს ღმრთისმოყუარეთა და სულიერთა ძმათა აღწერად მცირედი ესე რჩულისკანონი“<sup>5</sup>. ასეთი შედგენილობის ქართულის ზუსტი შესატყვისით კრებული ბერძნულ ენაზე არ არსებობს. ექვთიმეს ის სხვადასხვა წყაროდან აქვს ამოკრებილი მთარგმნელს ძეგლი არა მარტო თავისებურად დაულაგებია, არამედ თავისუფალი თარგმანი გაუკეთებია, მრავალი თავისი მოსაზრებაც ჩაუმატებია; ქართული ტექსტი, ბერძნულთან შედარე-

<sup>1</sup> Заозерский Н., Хаканов А., Номоканон Иоанна Постника в его редакциях грузинской, греческой и славянской с предисловием издателей. Изд. общ. истории и древн. рос. при Моск. Унверситете, 1902.

<sup>2</sup> ივ. ჯაკეაზიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 34—38; კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1951, გვ. 187—188.

<sup>3</sup> Заозерский Н., Хаканов А., Номоканон Иоанна Постника в его редакциях грузинской, греческой и славянской с предисловием издателей. Изд. общ. истории древн. рос. при Московском Университете, 1902.

<sup>4</sup> Описание рукописей Тбилисского церковного музея, Карталино-Катхетинского духовенства, составленное Ф. Д. Жордания, книга 1, 1903, № 96, с. 114—115; Р. Орбели, Грузинские рукописи института Востоковедения АН СССР, I, М.-Л., 1956.

<sup>5</sup> მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ს. გუენაშვილმა, 1972, გვ. 3.

ბით, კანონის ახსნა-განმარტებასა და დასაბუთება-მსჯელობას შეიცავს<sup>1</sup>.

ექვთიმეს, როგორც აღნიშნეთ, კრებული სხვადასხვა წყაროდან ამოუკრებიან, ამდენად მას არა აქვს ერთიანი საკანონმდებლო აქტის მნიშვნელობა. „ეფთუმეს მიერ გადმოქართულებული მეექვსე მსოფლიო კრების კანონები ამ კრების ძეგლის წერას კი არ წარმოადგენს, არამედ მერმინდელს, „შემოკრებულ“ ნაწარმოებს, რომელიც ამასთანავე განმარტებებით ყოფილა შემკული. ასეთ ნაშრომს „დაბეჭდული“ ძეგლის თვისება, რასაკვირველია, არ შეიძლება ჰქონოდა და ამიტომ ექვთიმე მთაწმინდელს შეეძლო უფრო თავისუფლად მოქცეულიყო და სადაც საჭიროდ დაინახავდა, ცვლილებები შეეტანა“, თავისი განმარტებები მიეცა; ასეთი მუშაობა ექვთიმესათვის საერთოდ დამახასიათებელი იყო და მას აღნიშნავდა კიდევ ეფრემ მცირე<sup>2</sup>.

[ექვთიმე ტექსტს ბრმად არ მისდევს, ამოკლებს ან ავრცელებს, უმატებს ქართული სინამდვილის შესაბამისად, ამას კ. კეკელიძეც აღნიშნავს<sup>3</sup>]

[ძეგლში მოცემულია სამართლის მრავალი დარგის შესასწავლი მასალა. მასში სისხლის სამართლის მრავალი ინსტიტუტი წარმოდგენილი; საუბარია სხვადასხვა სახის დანაშაულზე, სასჯელზე, ბრალის დადების დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ ვარგებებებზე და სხვ. ამ საკითხებზე ექვთიმე მთაწმიდელი თავის ახსნა-განმარტებას იძლევა.]

ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ქვეყნებში მსოფლიო კრებების დადგენილებებს, საეკლესიო შინაარსის კრებულებს მოქმედი კანონის ძალა ჰქონდა და ამიტომაც ბერძნულიდან ქრისტიანული ქვეყნების სხვადასხვა ენაზე ითარგმნებოდა. ექვთიმე მთაწმიდელმა იმიტომ თარგმნა ეს შრომა, რომ მას საქართველოში გასცნობოდნენ. ამასთანავე, ექვთიმე მასში ქართული სინამდვილის შესაბამის განმარტებებსაც იძლევა. სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენებოდა საქართველოს სამართლო პრაქტიკაში მცირე სჯულისკანონი. მიუხედავად ამისა, ეს ძეგლი, მასში ხმარებული იურიდიული ტერმინების მი-

<sup>1</sup> იე. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 32.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 34.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 168—169.

ხედვით, ძვირფასი წყაროა ამ ეპოქის ქართულ-იურიდიული ინსტიტუტების შინაარსის დასადგენად.

ეს შრომა ექვთიმეს შესრულებული აქვს მამის სიკვდილის შემდეგ<sup>1</sup> (მისი მამა იოანე გარდაიცვალა 1005 წელს)<sup>2</sup>. ექვთიმე გარდაიცვალა 1028 წელს<sup>3</sup> (დაბადებულია დაახლოებით 955 წელს)<sup>4</sup>. მამასადამე, ექვთიმეს (თარგმანი შესრულებულია 1005—1028 წლებში.)

ძველი გამოსაცემად მოამზადა ე. გიუნაშვილმა<sup>5</sup>. გამოცემას დართული აქვს ე. გიუნაშვილის გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები (მის მიერვე შედგენილი).

### პატრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი (1083 წ.)

• XI საუკუნის მოღვაწემ, ბიზანტიის სახელმწიფოს დიდმა მოხელემ, დასავლეთის დემესტიკოსმა, „სევასტოსის“ პატივის მქონემ, ქართველმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ, ბულგარეთის ტერიტორიაზე დააარსა პეტრიწონის მონასტერი ქალაქ. ფილიპოპოლის (პლოვდივი) მახლობლად, როდობის მთის კალთებზე, ახლანდელ სოფ. ბაჩკოვოსთან. გრიგოლი იყო ტაოელი ერისთავთერისთავის ბაკურიანის შვილი. გრიგოლმა მონასტერს შეუდგინა წესდება, ანუ ტიპიკონი, რომელიც საქართველოს ისტორიისათვის საყურადღებო წყაროს წარმოადგენს.

გრიგოლ ბაკურიანის ძე ერთგულად ემსახურებოდა ბიზანტიას, მაგრამ ის მაინც ქართველ პატრიოტად რჩებოდა. „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემით, გრიგოლ ბაკურიანის ძე ბანაში შეხვდა გიორგი II-ს, „გაიხარეს ერთად ყოფნით“ და გრიგოლმა მეფე გიორგის მისცა „ქარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა“<sup>6</sup>.

ამ გამოჩენილმა პიროვნებამ პეტრიწონის მონასტერი ქართველთათვის დააარსა და წესდებაში განსაზღვრა კიდევ, იქ ბერძნები მოწესებდნენ არ დაეშვათ; მხოლოდ ერთი ბერძენი შეიძლება ბოდა ყოფილიყო, რომ მას ბერძნულად ეწარმოებია მიწერ-მოწერა ბიზანტიის სხვადასხვა დაწესებულებასთან.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 18.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 164.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> მცირე სჯულისკანონი, 1972.

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება, I, ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 318.

კრიგოლს ტიპიკონი შეუდგენია ორ ენაზე: ქართულსა და ბერძნულზე.

ტიპიკონის წესდების ბერძნული ტექსტის ახალბერძნული თარგმანი, რომელიც შესრულებულია 1782 წელს, გამოაქვეყნა გიორგი მუსეოსმა 1888 წელს.

1904 წელს ბერძნული ტექსტი ძველი ნუსხიდან XVIII საუკუნეში გადაწერილი გამოსცა მეცნიერმა ლუი მას პტიმ<sup>1</sup>.

ტიპიკონის ქართული ტექსტი, ძველი დედნიდან გადმოწერილი, 1954 წელს ლათინურად თარგმნა და გამოსცა მ. თარხნიშვილმა<sup>2</sup>.

საქართველოში ცნობილი გახდა, რომ ხიოსში ინახება ტიპიკონის ქართული და ბერძნული ტექსტის ძველი ხელნაწერები. აკაკი შანიძის ცდის შედეგად მიღებულ იქნა ამ ხელნაწერების მიკროფილმები. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა 1963 წელს<sup>3</sup>, ხოლო ქართული ხელნაწერი, გამოკვლევით, ლექსიკონითა და რუსული თარგმანით, 1971 წელს ა. შანიძემ<sup>4</sup>.

ტიპიკონის ქართული ტექსტის გამოცემაში ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ძველი შედგენილია 1083 წელს, ხოლო ხიოსის ქართული ხელნაწერი დედნიდან გადაწერილი უნდა იყოს მე-13 საუკუნეში<sup>5</sup>.

მიხეილ თარხნიშვილის გამოცემის მიხედვით, ტიპიკონი გამოქვეყნებული აქვს ი. დოლიძეს<sup>6</sup>.

მონასტრის განწესება-განგებას, ანუ ტიპიკონს საქართველოში მონასტრებისათვის უძველესი დროიდანვე ადგენდნენ. ქართველებს მონასტრები კქონდათ როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. თითოეულ მონასტერს თავისი მმართველობის განაწესი, ანუ ტიპიკონი გააჩნდა. გარდა პეტრიწონის მონასტრის ტი-

1 გეორგიკა, V, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1963, გვ. 92.

2 იქვე, გვ. 93.

3 იქვე, გვ. 83—301.

4 აკ. შანიძე. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, 1971. ბერძნული და ქართული ხელნაწერების აღმოჩენისა და გამოცემის ისტორია. იხ: აკაკი შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, 1971, გვ. 9—59, 244—278; გეორგიკა, V, 1963, გვ. 83—96.

5 იქვე, 1971, გვ. 34, 44.

6 ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 35—105, 1138—1145.

ბიკონისა, ჩვენამდე მოაღწია ვაჰანის ქვაბთა განგებამ და ზოგიერთი მონასტრის განწესების ნაწილმა<sup>1</sup>.

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი საყურადღებო მასალას შეიცავს ქართული სამართლის ისტორიისათვის.

მონასტერი, რომლის ტიპიკონსაც ვიხილავთ, ბიზანტიაში იყო (ბულგარეთი მაშინ ბიზანტიაში შედიოდა), ქართული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის უცხო გარემოში; მაგრამ ქართულ ტიპიკონში მოცემული ტერმინები, თავისი შინაარსით ქართულ სინამდვილეს ასახავენ.

განვიხილოთ ტიპიკონი საზოგადოებრივი წყობილების, სახელმწიფოებრივი წყობილებსა და სამართლის ინსტიტუტების მიხედვით.

ძეგლში აზნაური და აზნაურობა თავისუფალს და თავისუფლებას ნიშნავს<sup>2</sup>. ამავე დროს, აზნაური უკვე დიდი ხანია რაც გაბატონებული კლასის წარმომადგენელს ნიშნავდა.

„უფალი“ ძეგლით ნიშნავს პატრონს, ბატონს: „... მე ვიქენ უფალ კელმწიფე ამის სოფლისა და ციხისა“<sup>3</sup>.

ამასთანავე, უფალი ზოგჯერ არ აღნიშნავს ადამიანის სოციალურ მდგომარეობას. მაგალითად, ძღვენის მომტანს ჰქვია ძღვნის უფალი, ანუ პატრონი<sup>4</sup>. მწარმოებელი კლასის წარმომადგენელს გლეხი ეწოდება; ძეგლის მიხედვით, გლეხი ყმა არის; მას სწირავენ მონასტერს, ისე როგორც ნიეთს, მიწას, ვენახს, ბოსტანს და სხვ.<sup>5</sup> გლეხი მონასტერს ეკუთვნის, მას არა აქვს თავისუფლება და ამდენად შეიძლება მასზე „უსამართლო დებულების“ დადება<sup>6</sup>. გლეხის ასეთი სამართლებრივი რეჟიმი ძეგლის მიხედვით, ბიზანტიაშია, მაგრამ საქართველოშიც გლეხის მდგომარეობა ასეთივე იყო.

ჯუანშერი ხმარობს ტერმინს — გლეხი. ისტორიკოსის გადმოცემით, გლეხები ვახტანგ გორგასალის დროს მებეგრენი ყოფილან<sup>7</sup>.

1 აკ. შ ა ნ ი ძ ე. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, 1971, გვ. 19—20.

2 ი ქ ვ ე, გვ. 74, 99, 102, 110.

3 ი ქ ვ ე, გვ. 72, 100.

4 ი ქ ვ ე, გვ. 86.

5 ი ქ ვ ე, გვ. 73, 113, 117.

6 ი ქ ვ ე, გვ. 69, 114.

7 ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 187.

დავითისა და თამარის ისტორიკოსების შრომებში გლეხი სა-  
ზოგადოების დაბალი ფენის წარმომადგენელია, მისი გასხვიება,  
შეწირვა დასაშვებია. თუ მანამდე, „წერილი ერი“ თავისუფლებას  
თანდათან კარგავდა, შემდეგ მან მთლიანად დაკარგა იგი; ამასთანა-  
ნავე, „გლეხი“ ყმობის პროცესის გაფართოებასა და განვითარებას-  
თან ერთად, მწარმოებელი კლასის წარმომადგენლის ზოგადი სა-  
ხელო შეიქმნა. მწარმოებელი კლასის სრული ყმობის პროცესი  
XII—XIII საუკუნეში უკვე დასრულებულია.

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონით, გლეხი ყმა არის. მონას-  
ტრის სოფლები ბერძნებით ან ბულგარელებით იყო დასახლებუ-  
ლი, მაგრამ ქართულ ტიპიკონში ყმის გამოსახატავად ტერმინი  
გლეხია ნახმარი, „გლეხი“ კი ყმა იყო საქართველოში.

„ხელი“ მნიშვნელოვანი ტერმინია ქართული სამართლის მი-  
ხედვით, ამასთანავე, მას მრავალი მნიშვნელობა აქვს: 1) „ხელი“  
ნიშნავს ფიზიკურ ხელს, 2) გადარეულს, შეშლილს, 3) უფლებას.  
ჩვენთვის უკანასკნელის მნიშვნელობით არის „ხელი“ საყურად-  
ღებო<sup>1</sup>.

„ხელიდან“ არის ნაწარმოები ხელისუფალი, ხელმწიფე, სა-  
ხელო, ხელწერილი, ხელდასხმა, ხელისუფლება, მოხელე და სხვ.  
პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის მიხედვითაც, „ხელს“ სხვა-  
დასხვა მნიშვნელობა აქვს: 1) ფიზიკური ხელი — კელაპყრობილი<sup>2</sup>.  
2) „ხელი“ ნიშნავს აგრეთვე „ვისით“ — ჩემი ხელით გაკეთებული,  
მსახურის ხელით საზრდოს დანაწილება<sup>3</sup> და სხვ. 3) „ხელი“ ნი-  
შნავს უფლებას, გამგებლობას: საბუთები იყოს „კელსა ქუეშე მა-  
მასახლისისა“<sup>4</sup>. 4) „კელმწიფე“ ძეგლის მიხედვით მეფეს ნიშნავს  
და აგრეთვე სოფლებისა და ციხის დიდ მფლობელს<sup>5</sup>; 5) „ხელმწი-  
ფება“ — სრულ უფლებას. არავის არ უნდა ჰქონდეს „კელმწიფე-  
ბაჲ არცა განიჭებად, არცა განსყიდად“ საყდრის მონაგებისა<sup>6</sup>,  
„კელმწიფება სრულითა და შეუძრავითა უფლებითა“<sup>7</sup>, ადამიანს.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ. 1955, გვ. 187, 341, 361, 364.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, 1928, გვ. 108—109.

<sup>3</sup> აკ. შანიძე. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, 1971, გვ. 112.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 125.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 72, 74.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 65.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 69.

უნდა ჰქონდეს „კელმწიფებამ თავისი თვისისა უფლებად“<sup>1</sup>, მოძღვარს არ უნდა ჰქონდეს „კელმწიფებამ თავით თვისით განგებად რაჲსამე“, ე. ი. მას არ უნდა ჰქონდეს უფლება თვითნებურად, წესდების გარეშე რაიმეს გაკეთების<sup>2</sup>. 6) ხელისუფალი ეწოდებოდა მონასტრის მოხელეებს<sup>3</sup>. მონასტრის ხელისუფალია: წინამძღვარი<sup>4</sup>, იკონომოსი, აბარმადი<sup>5</sup>, მამასახლისი და სხვ. იკონომოსი და აბარმადი სამეურნეო შინაარსის მოხელეებია.

7) „ხელდება“ ძეგლის მიხედვით, ნიშნავს მიღებას, დაჭერას, დაკავებას: თუ არ იცოდეს, არც შეეძლოს საეკლესიო თანამდებობის შესრულება, ისეთ პირს ეკრძალება „კელთდებად ესე ვითარისა ამ ადგილისა“<sup>6</sup>.

8) „ხელყოს“ ნიშნავს მიითვისოს<sup>7</sup>, შეეცადოს კიდევ მეტი მიღებას<sup>8</sup>.

9) „ხელადი“ — მოსამსახურეს<sup>9</sup>.

10) „ხელითწერილი“<sup>10</sup> ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონით ხელნაწერს, ნუსხას, თამასუქს ნიშნავს. 11) „ხელოვანი“, ე. ი. დახელოვნებული ან კიდევ გაიძვერა<sup>11</sup>, 12) „ხელთ საქმე“<sup>12</sup> ი. აბულაძის ლექსიკონით არის „ხელთ საქმარი“, „ხელობა“, ყველა ეს ტერმინი „ხელთან“ არის დაკავშირებული. „ხელი“ ქვაზე გამოხატული მამულების სასაზღვრო მიჯნას აღნიშნავდა. ეს, რასაკვირველია, იმის მომასწავებელი იყო, რომ „ხელი“ უფლებაა; იმ შემთხვევაში კი, როცა ის მამულთა შორის მიჯნად იხმარებოდა, გამოხატავდა საკუთრების უფლებას მიწის ნაკვეთზე. დახატული ხელი უფლების მაჩვენებელ მატერიალურ ნიშანს წარმოადგენდა. „ხელის ამართვა“, „ხელის ჩართვა“ იურიდიული მნიშვნელობის ტერმინებია და დაკავშირებულია

1 აკ. შანიძე. ქართველია მონასტერი პულგარეთში და მისი ტიპიკონი. 1971, გვ. 76.

2 იქვე, გვ. 78—79.

3 იქვე, გვ. 102.

4 იქვე, გვ. 64.

5 იქვე.

6 იქვე, გვ. 109—110, გვ. 78.

7 იქვე, გვ. 99.

8 იქვე, გვ. 77.

9 იქვე, გვ. 81.

10 იქვე, გვ. 125, 109.

11 იქვე, გვ. 109.

12 იქვე, გვ. 93, 112.

„ხელთან“ როგორც უფლების გამომხატველ სიტყვასთან<sup>1</sup>; ასევეა „სახელო“ და „მოხელეც“<sup>2</sup>.

„სახელმწიფო“ და „სამეფო“ ძეგლში ერთნაირი მნიშვნელობით არის ნახმარი<sup>3</sup>, ხოლო „სამთავრო“ ნაწარმოებია „მთავრისაგან“ და ნიშნავს სახელმწიფოს გარკვეულ ნაწილს, რომლის გამგებელია მთავარი<sup>4</sup>.

მთავარი შეიძლება დამოუკიდებელი სამთავროს გამგებელი, ხელისუფალი, სუვერენი იყოს. ალბათ „მთავრიდან“ არის ნაწარმოები „მთავრობა“. მთავრობა, პირველ ყოვლისა, საერთოდ, გამგებლობას ნიშნავს; მაგალითად, ძეგლში საუბარია მონასტრის გამგებლობაზე („მთავრობაზე“)<sup>5</sup>, გრიგოლ ბაკურიანის ძის დემესტიკოსობასა და მთავრობაზე<sup>6</sup>. „მთავრობას“ ახლა ზოგადი მნიშვნელობა აქვს და გამოხატავს სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფლებას; ქართული ძველი წყაროების მიხედვით, მთავრობა პროვინციის გამგებლობასაც ნიშნავდა და საერთოდ, გამგებლობას.

სამეგრელოსა და გურიის მთავრები ზოგჯერ იმერეთის მეფეს არ ემორჩილებოდნენ, დამოუკიდებელ სამთავროს განაგებდნენ (XVII—XVIII საუკუნეები).

საერთოდ, ფეოდალიზმის დროს მსხვილ ფეოდალებს (ასეთები იყვნენ მთავრები) ყოველთვის კქონდათ სეპარატიზმისაკენ მიდრეკილება და ზოგჯერ კიდევ აღწევდნენ დამოუკიდებლობას. ამის გამო, „მთავრიდან“ წარმოშობილი „მთავრობა“ რომ უმაღლესი ხელისუფლების ცნებადაც გადაიქცა, ეს კანონზომიერი მოვლენაა.

ძეგლში თავადი არ გამოხატავს სოციალური შინაარსის სიტყვას, ის „თვითონს“ ნიშნავს<sup>7</sup>, და ამასთან, მას მეორე მნიშვნელობაც აქვს — „გამგებლობის“, „მმართველობის“. ძეგლში წერია: მონასტერში იყოს ერთი ბერძენი მწერალი, რომელიც საჭიროებისამებრ „თავადსა თანა მიივლინებოდეს“<sup>8</sup>. ამ შემთხვევაში თავადი

1 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, 1966, გვ. 195—190.

2 ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 156—169.

3 აკ. შანიძე. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, 1971, გვ. 102.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 78, 118.

6 იქვე, გვ. 123.

7 იქვე, გვ. 112.

8 იქვე, გვ. 109.



უფროსს, მმართველს, გამგებელს ნიშნავს (ალბათ, იმ პროვინციის გამგებელს, სადაც მონასტერი იყო).

ძველში მოხსენიებულია ერისთავთერისთავი. ეს თანამდებობა საქართველოში ეკავა გრიგოლის, მონასტრის დამაარსებლის მამას — ბაკურიანს<sup>1</sup>. თვითონ გრიგოლს ბიზანტიაში ეჭირა სასახლის კარის დიდი ტიტული — სევასტოსისა, თანამდებობით ყოფილა „დიდი დემესტიკოსი“, მისი ძმა აბაზი კი — მაგისტროსი<sup>2</sup>.

მეფის ტიტულად ძველში ნახმარია სიტყვა „თვითმპყრობელი“<sup>3</sup>. ამ შემთხვევაში ტიპიკონის ავტორს მხედველობაში ჰყავს ბიზანტიის მეფეები. „თვითმპყრობელში“ ძველი გამონახტავს თავის მფლობელს, ე. ი. თავისუფალს<sup>4</sup>. „სეფე“ ნიშნავს საბატონოს, ბატონისას<sup>5</sup>.

ძველის მიხედვით, მამასახლისი მონასტრის წინამძღვარი<sup>6</sup>, მამასახლისი ერქვა აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენელს<sup>7</sup>. მოურავი გვხვდება სულისათვის მზრუნველის გაგებით<sup>8</sup>, სულისათვის მზრუნველს ეწოდება აგრეთვე სულის „მოურნე“<sup>9</sup>. საყურადღებოა, რომ მოურავი ურვისაგან არის ნაწარმოები; შემდეგში მოურავი მოხელეა, ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენელი, მაგრამ ტიპიკონის მიხედვით, ასეთი თანამდებობა არ ჩანს, ამ შემთხვევაში სახელწოდებაში მოცემულია მოქმედების აღწერა: სულის მოურავი, ანუ სულის მოჭირანსულე, სულისათვის მზრუნველი.

ძველში გვხვდება ტერმინი სიკრიტონი: „სამეფო წიგნები, რომელნი კატასტროს — ქმნილ არიან სიკრიტონთა შინა“<sup>10</sup>. „პატაკი ვოტინატისაჲ, რომელი გარდაიწერა სიკრიტონსა შინა“<sup>11</sup>. სიკრიტონი (საბუთების შესანახი ადგილია, სამეფო სალარო, სამეფო დავთარხანა<sup>12</sup>. ძველში საუბარია სამეფო წიგნებზე, რომლებიც აღწერილი და რეგისტრირებულია, აღნუსხულია სიკრიტონში, ე. ი.

1 აკ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, 1971, გვ. 61, 107.

2 იქვე, გვ. 61.

3 იქვე, გვ. 72—73.

4 იქვე, გვ. 74.

5 იქვე, გვ. 73.

6 იქვე, გვ. 75.

7 იქვე, გვ. 74.

8 იქვე, გვ. 99, 127.

9 იქვე, გვ. 78.

10 იქვე, გვ. 123.

11 იქვე, გვ. 124.

12 იქვე, გვ. 206—207 (ლექსიკონი, იხ. „სიკრიტონი“).

ამ წიგნების შესანახ დაწესებულებაში. აკაკი შანიძე ამ უწყებას დაეთარხანას, ანუ სამდივნოს უწოდებს<sup>1</sup>, ს. ყაუხჩიშვილი — სამდივნოს<sup>2</sup>, ივ. ჯავახიშვილი — სავაზიროს<sup>3</sup> ეს ტერმინი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც დაკავშირებულია „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტერმინ „სიკისტრონთან“<sup>4</sup>. ძველში გვხვდება მსახურთუხუცესი, რომელიც რუსუდან დედოფლის დროიდან ვაზირი იყო; მის გამგებლობაში შედიოდა სასახლის მეურნეობა, მეფის სამსახურის ხელმძღვანელობა, აგრეთვე ებარა სალარო, სადაც ინახებოდა ძვირფასეულობა, მეფის სასახლის საწოლი და მისი სათავსოები; მსახურთუხუცესი ხელმძღვანელობდა მეფის სამსახურს მაშინაც, როცა მეფე მოგზაურობდა<sup>5</sup>. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მე-15 მუხლის მიხედვით, მეფე მოგზაურობაში, ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადადის. წინ მიჰყავთ, თუ მცდის მოკაზმული „სიკისტროსანი ჯორი“, მიაქვს დიდი ჩანთა, ძვირფასად მორთული, რომელშიაც არის ნოხი, ბალიში და სხვ., „ამა სიკისტრონსა ჯორისასა“ მისდევს შვიდასი შუბოსანი მეფის მცველი, „სალაროსა წინათ იარების სიკისტრონი“ და უკან მიჰყვება სხვა ჯორები, რომლებთაც მიაქვთ ბარგი, ნივთები. „ბარგის უხუცესი წინ მიუძღვების და სიკისტრონი და მესაწოლენი წინ იარებიან“<sup>6</sup>.

შესაძლებელია, მეფეს ამ მოგზაურობის დროს თან გადაჰქონდა თავისი სამდივნო, მოძრავი დაეთარხანა. ცნობილია, რომ მეფე ადგილზე არჩევდა საქმეებს. ამავე ძეგლის მიხედვით, როცა „მეფე ცხენსა ზედა ზის“, ამილახორი წარუდგენდა მას მთხოვნელებს და ძღვენსაც ის მიიღებდა<sup>7</sup>. ალბათ, მეფეს მოძრავი სალარო, სამდივნო თან ახლდა მოგზაურობისას. ვფიქრობთ, პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის „სიკრიტონი“ „ქელმწიფის კარის გარიგების“ „სიკისტრონია“, ალბათ, სახელწოდება დამახინჯდა დროთა განმავლობაში (ტიპიკონი XI საუკუნის ძეგლია, ხოლო ხელმწიფის კარის გარიგება XIV საუკუნეს ეკუთვნის). სავარაუდოა, რომ ორი

1 აკ. შანიძე. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, 1971, გვ. 206—207 (ლექსიკონი, იხ. „სიკრიტონი“).

2 ვეორგია, V, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1963, გვ. 294.

3 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სიველთმცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა, 1928, გვ. 153.

4 ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის რედ., 1970, გვ. 37.

5 იქვე, გვ. 29—30.

6 იქვე, გვ. 37.

7 იქვე, გვ. 40.

სხვადასხვა ძეგლის ეს ორი ტერმინი ერთნაირი შინაარსისაა! გაუგებარია, თუ რატომ იყო საჭირო იმ ჯორის განსაკუთრებით მორთვა-მოკაზმვა, რომელსაც სამდივნო-სალარო მიჰქონდა.

ძეგლში გვხვდება აგარა<sup>2</sup> და აგარაკი<sup>3</sup>. სოფელთან ერთად ორივე სახანავ-სათესი ადგილი უნდა იყოს<sup>4</sup>.

ძეგლში დასახელებულია ანდერძი, რომელიც ეკუთვნის გრიგოლის ძმას აბაზს, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მისი ქონება მონასტერს შეეწიროს, ხოლო თვითონ იქვე იმ მონასტერში დაიმარხოს (რომელსაც გრიგოლი ააშენებს)<sup>5</sup>; ამავე აბაზს ძმისთვის ანდერძით დაუტოვებია ძვირფასი ნივთები, სამკაულები და სხვ.<sup>6</sup>

ძეგლში გვხვდება სიტყვა „განჩინება“, „განჩინებული“ — განწესების, განჩინებულის ან დაწესებულის ნაცვლად<sup>7</sup>; შემდეგ განჩინება სასამართლოს გადაწყვეტილებასაც ნიშნავდა.

გრიგოლი გადმოგვცემს, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ დედამ „ყოველი მონაგები და საკმარი მამისა ჩუენისა“ დებს მზითვად გაატანა და „ჩუენ დაგუტეენა ყოელისაგან მამულისა და დედულისაგანცა საკმრისა<sup>8</sup>, „მინაგები და საკმარი“ მოძრავ ქონებას უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ტექსტის მომდევნო ადგილას „მონაგებში“ „მამულიცა“ და „დედულიც“ შედის, ე. ი. მთელი ქონება, რაც კი გრიგოლის მამას დაუტოვებია (ეს ქონება დედას ქალიშვილებისათვის მზითვად მიუცია).

მამული, როგორც წესი, მემკვიდრეობით ვაჟზე გადადიოდა, მაგრამ აქ მამულის მესაკუთრედ ქალი გამოდის. ეს ამბავი საქართველოში ხდება.

ძეგლში გვხვდება გამოთქმა: „სასარჩლო საქმე“<sup>9</sup>, „სასარჩლო საქმე“ სადაო, საცილობელს ნიშნავს. ტერმინი „სარჩელი“ სხვა

1 ივ. სურგულაძე. „ხელმწიფის კარის გარიგების“ ერთი ტერმინის გამო, „მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1971, № 2.

2 ავ. შანიძე. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში. 1971, გვ. 70—72.

3 იქვე, გვ. 100; ივ. სურგულაძე. საკუთრების უფლება ფეოდალურ საქართველოში (ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, სსრ მეცნიერებათა აკადემია, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი, 1973).

4 ავ. შანიძე. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, 1971, გვ. 148, (იხ. ლექსიკონი).

5 იქვე, გვ. 71 (ლექსიკონი).

6 იქვე, გვ. 72.

7 იქვე, გვ. 128, 115.

8 იქვე, გვ. 101.

9 იქვე, გვ. 65, 127.

წყაროებშიც გვხვდება, როგორც ტიპიკონის პერიოდის, ისე წინა ხანებისაც. „სასამართლო წიგნები, რომელნი სოფიაშიდას ნამარხვეად არიან“, „სასამართლოთა ნაწერთა, რომელნი ნამარხვეი სხენან სოფიაშიდას“<sup>1</sup>; აქ ყურადღებას იქცევს „სასამართლო ნაწერი“ და „სასამართლო წიგნები“. ამ შემთხვევაში „ნაწერი“ და „წიგნები“ ერთი და იგივეა, ლაპარაკია საბუთებზე, რომელიც სოფიაში ინახება და ეს საბუთები სასამართლოსია, ე. ი. სამართლებრივი შინაარსისაა და მონასტრის ქონებრივ უფლებებს შეეხება. სასამართლო იმ დაწესებულებას ეწოდება, სადაც საცილობელ საქმეებს არჩევენ. ამ შემთხვევაში სასამართლო, რამდენადაც ის საბუთების, ანუ წერილების და წიგნების ერთგვარ განმარტებას იძლევა, ამდენად ზოგადად უნდა იქნეს გაგებული, როგორც საერთოდ სამართლებრივი შინაარსის საბუთები.

ქველში ხშირად გვხვდება ტერმინი „სამართალი“ და ამ ტერმინით აღინიშნება სიმართლე, სამართლიანი, სწორი<sup>2</sup>. სამართალი ობიექტური გაგებით სიმართლიდან მომდინარეობს. სამართლიანობის საწინააღმდეგო ცნების გამოსახატავად ქველში იხმარება „უსამართლობა“<sup>3</sup>.

კანონს ქველ ქართულში სჯული ეწოდებოდა; ტიპიკონში გვხვდება ტერმინი „სჯულის-დება“, ე. ი. სჯულდება<sup>4</sup>, რომლითაც აღინიშნება განგება, წესდება, თვით ტიპიკონი. სამეფო ხელისუფლების მიერ შედგენილ კანონებს სჯულდება ერქვა.

ქველში გვხვდება ტერმინი „უფლება“, სამართალი სუბიექტური გაგებით. გრიგოლი წერს, მონასტრის „უფლებისა და თვითმფლობელობისათვის“<sup>5</sup>, იგულისხმება მონასტრის სამართლებრივი რეჟიმი, მისი უფლებები, თავისუფლება. გრიგოლი მონასტრის სწირავს თავის მონაგებს და მამულს, რომელიც მას გააჩნია „კელმწიფებით სრულითა და შეუძრავითა უფლებითა“<sup>6</sup>. აქ მოცემულია შეუზღუდველი საკუთრების უფლების დახასიათება, რომ მესაკუთრეს აქვს „სრული ხელმწიფობა“, ყოველმხრივ შეუზღუდველი და ხელშეუხებელი უფლება.

საკუთრების უფლების ის რეჟიმი, რომელიც აქ მოცემულია,

1 აკ. შანიძე. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, 1971, ვვ. 124—125 ლექსიკონი.

2 იქვე, ვვ. 67, 70, 72, 77, 94.

3 იქვე, ვვ. 126.

4 იქვე, ვვ. 117, 126.

5 იქვე, ვვ. 123.

6 იქვე, ვვ. 69.

ფეოდალიზმისათვის არც არის დამახასიათებელი, რადგანაც ფეოდალური საკუთრება საერთოდ შეზღუდულია, მაგრამ ზოგჯერ ის შესაძლებელ სისრულეს აღწევს და სწორედ საკუთრების უფლების შესაძლებელი სისრულე არის აქ მოცემული.

ძეგლის მიხედვით, ქართულ სამართალში ცნობილია სამართალი — ობიექტური გაგებით და უფლება — სუბიექტური გაგებით.

ტიპიკონი, თითქოს განმარტავს კიდევ სამართალს სუბიექტური გაგებით, ე. ი. უფლებას: უფლება არის ხელმწიფება, ანუ სრული ბატონობა საკუთრების შეუზღუდველობის თვალსაზრისით; უფლება ნიშნავს იმას, რომ ადამიანი „უფლოს სხესა საკმართა ვითარცა თვსთა“ და ისე გასცემდეს საკუთრებას, როგორც სურდეს<sup>1</sup>.

ძეგლში ნახსენებია განკითხვის დღე, როცა ადამიანს იმ ქვეყნად, თავისი მოქმედების მიხედვით, მიეცემა ღვთის სამსჯავროს მიერ სასჯელი: განკითხვის დღეს „სამართალთა მათ სასჯელთა“ საქმეთა გამო მიესჯება<sup>2</sup>. პირველ ყოვლისა, დანაშაულისათვის შესაფერისი, შესატყვისი სასჯელი უნდა ძიესაჯოს. მეორედ, „სამართალი“ აქ სასამართლოს უნდა ნიშნავდეს. ამ შემთხვევაში ღვთის სასამართლო განიხილავს თიფოეული ადამიანის საქმიანობას და სათანადოდ მიუსჯის კიდევ. (სასჯელიდან არის ნაწარმოები დასჯა<sup>3</sup>.)

ძეგლში გვხვდება ტერმინები „ბრალი“ და „უბრალი“ — დანაშაულისა უდანაშაულობის მნიშვნელობით, მაგრამ ამ შინაარსთან ერთად ეს ტერმინები გამოხატავს დამნაშავეის სუბიექტურ მდგომარეობასაც: „ჯერ არს რაჟთა ყოველთა დღეთა აღუვარებდენ ძმანი წინამძღვარსა გულის სიტყუათა და საქმეთა და ყოველსავე ბრალსა, რაჟცა შეჰმთხეოდის მათ“<sup>4</sup>. ბერები წინამძღვარს აღსარებას ეუბნებოდნენ თავიანთი ცოდვების შესახებ. „გულის სიტყუათა და საქმეთა“, ე. ი. აღსარება უნდა შეეხებოდეს არა მხოლოდ მოქმედებას, არამედ იმ განზრახვებსაც, რომელიც აღსარების მიმცემს ჰქონდა.

ბრალი ძირითადად კი, როგორც აღვნიშნეთ, დანაშაულს ნიშნავს<sup>5</sup>.

საინტერესოა ტერმინი „უღები“, რომელიც ძეგლშია ნახმარი: ტიპიკონი აფრთხილებს უღებსა, ე. ი. დაუღევარს, გაუფრთხილეს

1 აკ. შ ა ნ ი ძ ე. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, 1971, გვ. 76.

2 ი ქ ვ ე, გვ. 76.

3 ი ქ ვ ე, გვ. 111, 117.

4 ი ქ ვ ე, გვ. 63.

5 ი ქ ვ ე, გვ. 117, 118, 122, 123.

ბელსა და მცონარეს, ე. ი. ზარმაცს, რომ ის დაუდევრობით და მცონარეობით სჯულს არღვევს, ანუ კანონის „გარდამავალი“ არის!.

„უდებობა“ დანაშაულობასთან დაკავშირებით ნიშნავს, რომ გაუფრთხილებლობა ბრალის ერთ-ერთი ფორმაა<sup>2</sup>.

„მობარვა“ ნიშნავს, უმთავრესად, დამნაშავის ფარულ მოქმედებასაც<sup>3</sup>.

„მპარავი“ და თავისი ბატონის ორგული სასტიკად უნდა დაისაჯონ<sup>4</sup>.

ასევე მძიმე დანაშაულად ითვლება „ვერცხლისმოყვარეობა“<sup>5</sup>. ვერაგობა, „ზაკუელობა“, რაც ტიპიკონის მიხედვით, სასჯელს იმსახურებს<sup>6</sup>.

ძეგლში ნახმარია მრავალი სხვა ტერმინიც, რომელთა შესწავლა აუცილებელია ქართული სამართლის ისტორიის მკვლევართათვის.

ამგვარად, ტიპიკონი ძვირფას მასალას შეიცავს ქართული სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტის შესახებ.

#### დიდი სჯულისკანონი (XI—XII საუკუნეების მიჯნა)

ძეგლი არსენ იყალთოელის მიერ არის წათარგმნი. ნომოკანონი ბერძნულად ნიშნავს კანონს და წესს; ნომოკანონები ეწოდება მართლმადიდებლურ საეკლესიო სამართლის კრებულებს, რომლებიც შეიცავენ ეკლესიის შინაგანაწესს, აგრეთვე ყოფა-ცხოვრებისა და საოჯახო სამართლის ნორმების დებულებებს.

ნომოკანონი საეკლესიო შინაარსის კოდექსია, რომელშიც შედის: „მოციქულებისა და მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა კანონები, ეკლესიის ცნობილ მოძღვართა კანონიკური ეპისტოლენი და განმარტებანი, აგრეთვე სამოქალაქო კანონმდებლობა ეკლესიის საქმეთა გამო. ამ კოდექსს ბერძნულად ეწოდება ნომოკანონი, ხოლო ქართულად სჯულისკანონი“<sup>7</sup>

1 ავ. შ ა ნ ი ძ ე. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, 1971, გვ. 91.

2 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია, წ. 11, ნ. 11, 1929, გვ. 265.

3 ავ. შ ა ნ ი ძ ე. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, 1971, გვ. 95, 106, 117.

4 ი ქ ვ ე. გვ. 106.

5 ი ქ ვ ე.

6 ი ქ ვ ე. გვ. 76, 92.

7 კ. კ ა ე ლ ი ძ ე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 531.

ქართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის ძირითადი კანონიკური კოდექსი საბოლოოდ ჩამოყალიბდა IX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში XI4-ტიტულოვანი ნომოკანონის ე. წ. 883 წლის რედაქციის სახით. მან კონსტანტინოპოლის 920 წლის საეკლესიო კრებაზე ზოგადქრისტიანული სახელმძღვანელოს ხასიათი მიიღო<sup>1</sup>. კანონიკური კოდექსის წყაროები ოთხ ჯგუფად იყოფა: 1. „მოციქულთა“-ს სახელით ცნობილია 85 საეკლესიო კანონი, რომელიც საეკლესიო კანონმდებლობის პირველ წერილობით ძეგლად ითვლება.

2. მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონები.

3. ადგილობრივი საეკლესიო კანონები.

4. ავტორიტეტულ საეკლესიო მოღვაწეთა ეპისტოლარული კანონმდებლობა<sup>2</sup>.

კანონიკურ კოდექსში შესული ზემოთ დასახელებული კონკრეტული წყაროების კოდიფიკაცია თანდათანობით მიმდინარეობდა III საუკუნიდან IX საუკუნემდე. ამ დროის განმავლობაში, ეპოქის საჭიროების მიხედვით, იცვლებოდა კანონიკური კრებულის შინაარსობრივი შემადგენლობა<sup>3</sup>.

ნომოკანონს ქრისტიანულ სახელმწიფოებში მოქმედი სამართლის მნიშვნელობა ჰქონდა. ძეგლი ქართულად გადმოთარგმნილია არსენ იყალთოელის მიერ XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის პირველ წლებში<sup>4</sup>. დავას იწვევდა, იყო თუ არა თარგმნილი ეს ძეგლი არსენ იყალთოელამდე<sup>5</sup> კ. კეკელიძე ამტკიცებდა. ძეგლი არსენ იყალთოელამდე ქართულად არავის უთარგმნია<sup>6</sup> ამჟამად ეს საკითხი დამტკიცებულად ითვლება, რომ არსენ იყალთოელი არის ძეგლის ქართულად პირველი მთარგმნელი. მცირე სჯულისკანონისა და დიდი სჯულისკანონის გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით (ზმ ორი ძეგლის შედარებიდან ირკვევა, რომ ბრა-

1 დიდი სჯულისკანონი, ე. გაბიაშვილის რედ., 1975, გვ. 5.

2 იქვე, გვ. 5-7.

3 იქვე, გვ. 7.

4 იქვე, გვ. 20, 21.

5 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 19-20; კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 531-544. Вл. Бенешевич. Грузинский великий номоканон по спискам Тифлисского музея, «Христианский Восток», т. II, с. 349-374.

6 დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 18-19.

ლის შესახებ მცირე სჯულისა და დიდი სჯულისკანონი ერთნაირი წყაროებით სარგებლობდნენ, ამასთან, ბრალთან დაკავშირებული საკითხები ორივე ძეგლში ერთნაირად არის მოცემული. ამის მიხედვით, ირკვევა ექვთიმე მთაწმიდელის მთარგმნელობით მოღვაწეობასთან დაკავშირებული საკითხები. დიდი სჯულისკანონი განსაკუთრებით მდიდარია სამართლებრივი შინაარსის ტერმინებით] იმ მდიდარი მასალიდან, რომელსაც დიდი სჯულისკანონი შეიცავს ამჟამად შეგვხვებით მხოლოდ „ბრალთან“ დაკავშირებულ ტერმინებს.

დიდი სჯულისკანონის ქართული გამოცემის რედაქტორის ე. გაბიძაშვილის გამოკვლევით, დიდი სჯულისკანონის ზოგიერთ ხელნაწერში გვხვდება რომაული სამართლიდან ვრცელი ამონაწერები, რომლებიც თარგმნის შემდეგ უფრო მოგვიანებით შეასრულა არსენ ივალთოელმა. არსენის თარგმანში საერო სამართლის ეს ნაწილი შემოკლებული სახით არის, ხოლო შემდეგ, ბერძნული ტექსტის მიხედვით, ეს ადგილი უთარგმნიათ და არსენის თარგმანიც შეუვსიათ<sup>1</sup>. დიდი სჯულისკანონის ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ადგილი „კანონებრივი განწესებანის“ სახელწოდებით არის ცნობილი. [კანონებრივი განწესებანი“, „ბრალთან“ დაკავშირებით, საყურადღებოა იმით, რომ საუბარია ბრალზე, განზრახვასა და შემთხვევაზე, ე. ი. განზრახ ჩადენილსა და შემთხვევით მომხდარ დანაშაულზე და მითითებულია „კორპუს იურის ცივილის“ დიგესტებზე<sup>2</sup>] შემთხვევის საილუსტრაციოდ მოყვანილია ასეთი. მაგალითი: ნადირობის დროს ნადირის „განმტყვებელი“, ე. ი. ნადირის მომგერიებელი კლავს ადამიანს<sup>3</sup>. „შემთხვევის“ მაგიერ ძეგლში ნახმარია ტერმინი დამთხვევა. [აქვეა აღნიშნული „წინაწარწურთილების“ შესახებ, ე. ი. წინასწარ მოფიქრებულ დანაშაულზე<sup>4</sup>. „წინაწარწურთილება“ განზრახვას ნიშნავს. ამ შემთხვევაში ძეგლი არ ხმარობს ტერმინს განზრახვას, სხვა ადგილას კი არის ნახმარი განზრახვა-ბჭობა, მოფიქრების მნიშვნელობითუ.]

დიდი სჯულისკანონში „ბრალთან“ დაკავშირებით ხშირად გვხვდება ასეთი ადგილები: თუ ეპისკოპოსი „ბრალისა რამსათმამეუგან კითხულ იქნეს“ და მისი სამთავროს ეპისკოპოსნი ამ ეპის-

1 დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 50—53.

2 იქვე, გვ. 175.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 167.



კობოსის ბრალიანობის შესახებ ერთი აზრის არ იყვნენ, მაშინ მიტროპოლიტმა მოიწვიოს მახლობელი სამთავროს ეპისკოპოსნი „რომელთა ბჭობითა საცილობელი იგი“ საკითხი გადაწყდესო<sup>1</sup>. „ბრალი“ აქ დანაშაულს ნიშნავს.

ასეთივე მნიშვნელობით გვხვდება „ბრალი“ ძეგლის სხვა ადგილასაც<sup>2</sup>: „ეკლესიისაგან ბრალეულ და განკანონებულ და განგდებულ მისგან“ უზიარებელნი არიანო, ვკითხულობთ ძეგლში<sup>3</sup>. აქ ბრალეული დადანაშაულებას ნიშნავს, ე. ი. ბრალი დანაშაულია, ხოლო ბრალეული ბრალდებული, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, ხოლო განკანონება-საეკლესიო სასჯელია, ეპიტემია.

ძეგლის ამავე მუხლში „ბრალი“ გვხვდება ასეთ კონტექსტში: „ბრალი განიძარცოს“, ე. ი. დანაშაულისაგან თავი იმართლოს, დაამტკიცოს, რომ ის უბრალოა: „შესმენილნი ბრალთა“, „ემხილენ ბრალეულობანი“, „უკეთუ სამთავროჲსა მის ეპისკოპოსთა ვერ შეუძლონ განმართებაჲ ეპისკოპოსისა ზედა დასხმულთა მათ ბრალობათა“<sup>4</sup>. მოყვანილი მაგალითებიდან [ბრალი, ბრალთა, ბრალეულობა დანაშაულს ნიშნავს, ამასთანავე, იგივე სიტყვები დამნაშავის შინაგან მიმართებასაც ასახავს. „ბრალთათვისისა მტანჯველობა“<sup>5</sup> არის მტანჯველობითი სასჯელი დანაშაულისათვის, ხოლო „ბრალიანობა“<sup>6</sup> — ბრალდება, დანაშაულის დაბრალება, „ბრალის ქვეშე ქმნილი“<sup>7</sup> — ბრალდებული, „ეკლესიისაგან ბრალეული“<sup>8</sup> — ეკლესიის მიერ დამნაშავეთ მიჩნეული ყველა შემთხვევაში ბრალი დანაშაულის შინაარსით არის გადმოცემული, ამასთანავე დამნაშავის სუბიექტურ მდგომარეობასაც გვიჩვენებს.

(დიდი სჯულისკანონის მიხედვით, „გულისთქმა“ ნიშნავს სურვილს, წადილს, ნდობას:) „უკეთუ ვინმემ ინებოს გულისთქმად დედაკაცისად და საწოლსა უკვე მისსა დაწვეს, ხოლო არა სრულ-ყოს საქმით გულისთქმად თსი, საცნაურ არს, ვითარმედ მადლისა მიერ გამოცხნილი არს“<sup>9</sup>. [„გულისთქმა“ ამჟამად ჩვენთვის იმიტომ არის საინტერესო, რომ ამ სიტყვითაც გამოითქმებოდა ნება-სურვილი,

1 დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 250.

2 იქვე, გვ. 167.

3 იქვე, გვ. 262.

4 იქვე, გვ. 263.

5 იქვე, გვ. 176.

6 იქვე, გვ. 167.

7 იქვე, გვ. 166.

8 იქვე, გვ. 262.

9 იქვე, გვ. 241.

განზრახვა. ძეგლში მხედველობაშია გულისტქმით, ე. ი. განზრახვით დანაშაულის ჩადენა, რომელიც დანაშაულის ჩადენის განმზრახველმა ბოლომდე არ მიიყვანა.]

ძეგლში გვხვდება მარხვის დარღვევის დანაშაული, რომელსაც ბრალდებული ჩაიდენს „გულისსიტყუსადათ“<sup>1</sup>. „გულისტყვა“ ნიშნავს მოსაზრებას, მოფიქრებას. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მოფიქრებით, ანუ განზრახვით დანაშაულთან.

„გულსავეს“ და „გულსავესება“<sup>2</sup> ნიშნავს დარწმუნებულს და დარწმუნებას. ამ სიტყვებსაც კავშირი აქვს ნებასა და განზრახვასთან, ხოლო „გულყოველობა“<sup>3</sup> — გულწრფელობას, გულითადობას.

[დიგესტების მიხედვით, ძეგლში საუბარია სრულწლოვან ჭაბუკზე, რომელიც „თუთუფალია“ და არავის „ქელმწიფების ქუეშე“ არ იმყოფება<sup>4</sup>. „ბრალთან“ დაკავშირებით აქ საყურადღებოა ის, რომ ასეთი პირი ასაკით სრულწლოვანია, თავის მოქმედებაში თავისუფალი და სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებელია დანაშაულებრივ საქმეზე.]

ძეგლის მიხედვით, „თვითხელმწიფობა“<sup>5</sup> ნიშნავს თავისი მოქმედების სრულ გამგებლობას, ასეთივე მნიშვნელობა აქვს „თავისუფალ თვითმფლობელობას“<sup>6</sup>.

ძეგლში „დამთხვევით“<sup>7</sup> „შემთხვევითს“ უნდა ნიშნავდეს. ტექსტის მიხედვით, ეს სიტყვა დაკავშირებული არ არის შემთხვევით დანაშაულთან, მაგრამ თვით სიტყვის შინაარსი იმაზე მიუთითებს, რომ ასეთი ტერმინი არსებობდა და ჯაჭიროების შემთხვევაში იხმარებოდა „ბრალთან“ დაკავშირებითაც.

„უღებება“, ისე როგორც სხვა ძეგლებში, დიდი სჯულისკანონშიც ნიშნავს ზიზარმაცეს, უსაქმურობას.) თუ ეპისკოპოსი, წერია დიდი სჯულისკანონში „უღებებითა თუსითა“ არ გამოცხადდა შეკრებაზე, ამის შესახებ გაფრთხილება უნდა მიეცეს<sup>8</sup>. („უღებება“ თავისი შინაარსით დაკავშირებულია გაუფრთხილებლობასთან, გაუფრთხილებელ დანაშაულთან.

1 დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 245.

2 იქვე, გვ. 470, 388.

3 იქვე, გვ. 456.

4 იქვე, გვ. 142.

5 იქვე, გვ. 304.

6 იქვე.

7 იქვე, გვ. 160.

8 იქვე, გვ. 279.

[ქველში იხმარება ტერმინი განკითხვა, რაც გასამართლებას, მსჯავრის დადებას ნიშნავს.]

[დიდი სჯულისკანონში გეხედება განწესებული, განჩინება, ბჭე, საბჭო, ბჭობა, განბჭობა, მბჭობელობა, სჯული, მსაჯული, სამსჯავრო, სამართალი, სასჯელი, დასჯა და სხვ.]

[ტერმინების მხრივ მცირე სჯულისკანონსა და დიდი სჯულისკანონს შორის განსხვავებაც არის, რადგან ყველა იურიდიული ტერმინი დაზუსტებული არ არის.] (რასაკვირველია, დიდი სჯულისკანონი დიდი მოცულობის წიგნია და ამიტომ ტერმინებიც მეტი იქნება. ჩვენ შევეცადეთ მხოლოდ „ბრალთან“ დაკავშირებული ტერმინი მოგვეყვანა.) [ქველს დართული აქვს იურიდიული ტერმინების ლექსიკონი, სადაც 500-მდე სიტყვაა მოცემული, რაც ქართული იურიდიული აზროვნების მაღალ დონეზე მეტყველებს.]

დიდი სჯულისკანონი გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ.-დოლაქიძემ, გ. ნინუამ. გამოცემის რედაქტორია ე. გაბიძაშვილი, მანვე დაწერა ქველისადმი მიძღვნილი გამოკვლევა და წინასიტყვაობა. ქველისადმი დართული ლექსიკონი შეადგინა გ. ნინუამ, იურიდიული ტერმინების ლექსიკონი ეკუთვნის მ. დოლაქიძეს.

[ქველს დართული აქვს ყველა სახის საძიებელი.

### რუის-ურბნისის 110<sup>წ</sup> წლის საეკლესიო კრების ქველისწერა

[ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი ქართული საეკლესიო კრებების დადგენილებებს, რომელთაც მოქმედი კანონის მნიშვნელობა ჰქონდათ. ასეთ, ქველებს ეკუთვნის რუის-ურბნისის ქველისწერა.]

[რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოწვეული იყო დავით აღმაშენებლის ინიციატივით;] ეს კარგად ჩანს ქველის სათაურიდანაც: „ქველისწერა წმიდისა და ღრმთივ შეკრებულისა კრებისად, რომელი შემოკრბა ბრძანებითა და კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცვულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისასა, პირთათუს რომელნი ქუემო მოკსენებულ არიან“<sup>2</sup>.

1 დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 250.

2 ქართული სამართლის ქველები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 106.

სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერებისათვის ბრძოლის პროცესში დავითი ცდილობდა ეკლესიის დამორჩილებას. იგი შეებრძოლა მსხვილ ფეოდალებს და მათ შორის ეკლესიასაც. თვით ძეგლში არის აღნიშნული, რომ რუის-ურბნისის კრების მიზანი იყო, განეხილა „საეკლესიოთა და სამღვდელთა“ საქმეები და არა სარწმუნოებრივ-ალმსარებლობითი, დოგმატიკური საკითხები<sup>1</sup>.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის გადმოცემით, ეკლესიას დაეუფლნენ „ქუბა ავაზაკნი“, რომლებმაც „მამულობით“, ე. ი. გვარიშვილობითა და ქონებით დაიპყრეს „საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა“<sup>2</sup>. „მამულობით“ ეპისკოპოსის თანამდებობათა მომხვეჭლებმა მათდამი დაქვემდებარებული ეკლესიის მსახურნიც „მათნივე მსგავსნი“ დაადგინეს<sup>3</sup>. „მამულობით“ საეკლესიო თანამდებობათა დამპყრობნი „ღირსებით“ ამ თანამდებობების შეუფერებელნი იყვნენ<sup>4</sup>.

„მამულობით“ ეკლესიის თანამდებობათა დამპყრობნი ფეოდალების ოჯახებიდან იყვნენ, რომლებიც მეფის ხელისუფლებას ებრძოდნენ. ამიტომაც, მემატიანეს გადმოცემით, დავით აღმაშენებელმა მოიწვია რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომლის მიზანს შეადგენდა დემოკრატიული რეფორმების გატარებით ეკლესია მეფის ხელისუფლებისათვის დაემორჩილებია, აგრეთვე „მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწყსოთ დაეპყრნენ საყდრები“, გადაეყენებია და ამ ღონისძიების შედეგად მეფის ხელისუფლება გაეძლიერებინა<sup>5</sup>.

ნ. ურბნელის მიხედვით, სამეფოს გაძლიერება დავით აღმაშენებელს გამიზნული ჰქონდა მსხვილი ფეოდალების დასუსტების გზით: „კრების სახელითა და შემწეობით მეფეს სწადდა გაეძლიერებინა სამეფო ტახტის მნიშვნელობა, ფეოდალების ძალა მოესპო, მთავარნი და ერისთავნი დაემორჩილებინა, დაესუსტებინა“<sup>6</sup>. ავტორის შეხედულებით, დავითს სურდა სახელმწიფო ეკლესიაზე

1 ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 114; ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 40.

2 ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 327.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 326.

6 ნ. ურბნელი. ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა, ძეგლის წერა, გაზ. „ივერია“, 1888, № 38.

მალა დაეყენებინა, ე. ი. ეკლესია სახელმწიფოსათვის დაემორჩილებინა!

6. ურბნელი სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ მეფის ჩანაფიქრის მიხედვით, ძეგლისწერა „სასულიერო წოდების უმაღლეს წარმომადგენლებს ებრძვის“, მათ წინააღმდეგ არის მიმართული. ეს არის მთავარი<sup>2</sup>. რასაკვირველია, ძეგლისწერა, სხვადასხვა სახის დანაშაულს ითვალისწინებს; მაგალითად, მექრთამეობას (სამღვდელთა საქმიანობის უმეცარიანობის დანიშვნას ამ თანამდებობაზე ქრთამით), ანგარებას, ოჯახში სხვადასხვა სახის უწყესრიგობას და სხვ. მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარია მეფის ხელისუფლების გაძლიერება.

ივ. ჯავახიშვილი ძეგლისწერას ყოფს 4 ნაწილად: 1. შესავალი, 2. დადგენილებანი, 3. დავითის შესხმა, 4. გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა მრავალჯამიერი (ცოცხლების) და საუკუნო ხსენება (მიცვალებულების)<sup>3</sup>.

7. კ. კეკელიძის აზრით, ძეგლი სამი ნაწილისაგან შედგება: 1. შესავალი, 2. კანონები, ე. ი. დადგენილებანი და 3. სინოდიკონი<sup>4</sup>. შესავალს მოსდევს დადგენილებები, ანუ კანონები, შემდეგ წინადადება: „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“. ეს ერთგვარი სათაურია და მის ქვეშ მოცემულია დავით აღმაშენებლისადმი მიმართული შესხმა, ქება-დიდება. შესხმა ვრცელია, ხასიათდება შედარებებით, რომელთა მიზანია მეფის განდიდება: „ჰაეროვანი ხარ, ვითარცა სამყაროა ჩილულისა, სოფლისა შორის, საჩინო ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის... ძლიერი, ვითარცა ღომი მკეცთა შორის... მტკიცე, ვითარცა ანდამატი... ბრძენ, ვითარცა სოლომონ“ და სხვ. დავითის შესხმა მოცულობით დაბეჭდილი წიგნის ორ გვერდზე ცოტა ნაკლებია, ხოლო ძეგლისადმი დართული სხვა პირთა მოსახსენებელი — ერთ გვერდსა და სტრიქონს შეიცავს. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ არსენ მონაზონი, შესაძლებე-

1 ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი. ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა, ძეგლის წერა, გაზ. „ივერია“, 1888, № 46.

2 მისივე, გაზ. „ივერია“, 1888, № 75.

3 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 42—43.

4 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1951, გვ. 542. „სინოდიკონი“ ბიზანტიაში ეწოდებოდა განსაკუთრებულ საეკლესიო სამსახურს, რომელიც შემოღებული იყო 843 წელს მართლმადიდებლური ეკლესიის მწვალებლებზე გამარჯვების ნიშნად, როცა აღდგა ხატის თაყვანისმცემლობა. ამ წირვის დროს სამარცხვინო ხსოვნას უძღვნებდნენ მართლმადიდებლობისათვის მებრძოლთ (როგორც ცოცხლებს, ისე გარდაცვლილთ), ხოლო ერეტიკოსებს — წყევლაკრულვას.

ლია, საეკლესიო კრების მდივნობის მოვალეობას ასრულებდა; მაშინ ძეგლის შემდგენელი არსენია, ე. ი. მას ეკუთვნის არა მარტო დავითის შესხმა, არამედ ამ შესხმის წინა და მომდევნო ნაწილიც<sup>1</sup>.

ამგვარად, ძეგლში მოხსენიებული არსენი, რომელიც არის დავითის შესხმისა და, საერთოდ, ძეგლის ავტორი, არსენ იყალთოელია<sup>2</sup>.

დავითის შესხმაში წერია, რომ ეს შესხმა „ძღუნად მოგართუნა შენ მწყობრმან შენთა“, ე. ი. საეკლესიო კრებამ<sup>3</sup>.

როგორც ჩანს, საეკლესიო კრებას დაუდგენია, რომ დავითს საგანგებო შესხმა მიართვას და ეს საქმე არსენისათვის დაუვალებია. დავითის შესხმა ძეგლისწერის სხვა ნაწილებისაგან გამოირჩევა ხატოვანი შედარებებით, რაც ცხადყოფს ავტორის ფართო ერუდიციასა და მის სამწერლო ნიჭს. არსენმა ამ ნაწილის ავტორად თავი დაასახელა იმიტომაც, რომ, როგორც ჩანს, ეს ნაწილი საეკლესიო კრების მიერ სჯა-ბაასის საგნად არ გამხდარა, შესწორება არ შეუტანიათ, მაშინ როდესაც სჯულდების სხვა ნაწილი გაცხოველებულ კამათს გამოიწვევდა. რასაკვირველია, ასეთი კამათი და მსჯელობა განსაკუთრებით ძეგლის დადგენილებათა ნაწილს შეეხებოდა. შესაძლებელია რაიმე შესწორება ძეგლის ბოლო ნაწილშია შეტანილი. ყოველ შემთხვევაში, დავითის შესხმა, მხატვრული ნაწარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს და გამოირჩევა როგორც ცალკე ნაწარმოები. ამასთანავე, ძეგლის ის ნაწილი, რომელიც დავითის შესხმას შეიცავს, შინაარსობრივად არ განსხვავდება მომდევნო ნაწილისაგან; მისაღებად მიგვაჩნია კ. კეკელიძის შეხედულება, რომელიც ძეგლისწერას სამ ნაწილად ყოფს, ე. ი. დავითის შესხმისა და სხვა ზოლვაწეთა შესხმას ერთ ნაწილად თვლის.

შესავალში მოთხრობილია ადამიანის წარმოშობის ისტორია; ღმერთის მიერ ადამიანის გაჩენა, ადამიანის ცხოვრება სამოთხეში, ღმერთისაგან ადამიანისათვის „თვითმფლობელობის“, ე. ი. თავისუფლების მინიჭება, რაც ადამიანმა ვერ გამოიყენა თავის საკეთილდღეოდ. ის გააძევეს სამოთხიდან. შემდეგ ამას მოსდევს კავ-

1 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 42.

2 ენ. გაბიძაშვილი. რუის-ურბნისის „ძეგლისწერის“ ავტორის ვინაობისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, სამეცნიერო სესია, XIV, ეძღვნება საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს, თბილისი, 1972, გვ. 7—10.

3 ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 125.

ნის მიერ ძმის მოკვლა და ამის გამო ღმერთის მიერ ქვეყნის დაწვევა. ადამიანთა ცოდვამ გამოიწვია წარღვნა. გოდლის შენებითა და ენათა შერევით დაისაჯა ადამიანი. შემდეგ „სოდომელთა სიბილწემ“ ღვთის რისხვა გამოიწვია. ღმერთმა მისცა ადამიანს მოსეს სჯული. ამის შემდეგაც ადგილი აქვს კერბთაყვანისმცემლობას. ვერაფერმა უშველა ცოდვილ ქვეყანას: „... სჯულნიცა უქმ იყვნეს. ბუნებითსა ვიტყვ და დაწერილსა...“<sup>1</sup>. ქვეყნის სახსნელად მოვიდა ქრისტე და ეწამა ადამიანისათვის<sup>2</sup>. ქრისტემ აღდგომისა და ამაღლების შემდეგ მოავლინა 12 თავისი მოციქული, რომ ადამიანს მოაშოროს „ბნელი უღრმთობისაჲ“ და ასწავლოს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ანდრია მოციქულმა „... ყოველსა ქუეყანასა საქართველომასასა“ უქადაგა ჭეშმარიტი ღვთისადმი მსახურება. მაგრამ ჟამთაშვლელობაში მრავალმა ქართველმა „დაივიწყა ქადაგება“ ანდრიასი. მირიანის მეფობის დროს საქართველოს განმანათლებლად მოევლინა ნინო კაპადოკიელი<sup>3</sup>. ნინომ გააქრისტიანა საქართველო<sup>4</sup>. ამის შემდეგ საქართველოში უკვე მოქმედებდა მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებანი და წმიდა მამათა განწესებანი. ძეგლის შესავალში ჩამოთვლილია მსოფლიო საეკლესიო კრებები და „მამათა მიერ განწესებულნი... კანონნი“<sup>5</sup>.

ღმერთის დამახასიათებელია „სიბრძნე და ძალი“. ადამიანის სახით მან შექმნა არსება, რომელიც დააჯილდოვა სიბრძნით, მაგრამ ამასთანავე, ადამიანს ახასიათებდა „თვითმფლობელობა“, ღვთის მიერ მოცემულ სიბრძნეს სძლია ეშვაკის ცდუნებამ. ამ ცდუნების არსი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანი ეძიებდა ახალს, ისწრაფოდა შეეცნო ის, რისი ცოდნაც ღვთის მიერ ეკრძალებოდა.

ძეგლისწერის მიხედვით, თავისუფლება ეხება სახელმწიფოსაც, თუ სახელმწიფო სუვერენულია და სხვაზე დამოკიდებული არ არის. ასეთი სახელმწიფო არის „მქონებელი დაუმონებელისა თავისუფლებისაჲ“<sup>6</sup>.

ძეგლისწერა სამართლის ფილოსოფიის საკითხებსაც აყენებს. მაგალითად, ძეგლისწერის მიხედვით, არსებობს ბუნებითი სამარ-

1 ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 107—108.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 109.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 110—112.

6 იქვე, გვ. 122.

თალი, ე. ი. თანდაყოლილი, იგი უპირისპირდება პოზიტიურ სამართალს. ბუნებითი სამართალი ცნობილი იყო საბერძნეთში, რომში, სადაც მისი თეორიით მონობას გამართლებას აძლევდნენ. ფეოდალიზმის დროს კი ბუნებით სამართალს სარწმუნოებრივი ხასიათი მიეცა და ლეთაებრივ სამართალს უწოდებდნენ, რომლითაც ბატონყმობის არსებობას ამართლებდნენ.

17 XVII—XVIII საუკუნეებში ბურჟუაზია ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებდა ბუნებით სამართალს. მკვამლ იმპერიალიზმის აპოლოგეტები ბუნებითი სამართლით ასაბუთებდნენ კაპიტალიზმის, საკუთრების, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მარადისობას. ძეგლისწერის მიხედვით, არსებობს ბუნებითი და დაწერილი სჯული, ე. ი. კანონი, სამართალი<sup>1</sup>. „დაწერილი სჯული“ არის პოზიტიური, მოქმედი, ბუნებითი სამართალი კი მისი საპირისპიროა, რომელიც ბუნებიდან ან ღვთისაგან მომდინარეობს და მას, თავის მხრივ, უნდა ემყარებოდეს პოზიტიური სამართალი.<sup>2</sup>

ძეგლისწერის მიხედვით, „ყოველი ქვეყანა საქართველოვსა“<sup>3</sup> ნიშნავს ერთიან საქართველოს, საქართველოს ყველა ნაწილს ერთად აღებულს. შესავალში აღნიშნულია: შესავალი იმიტომ დაწერეთ („ამისთვის მოვიხსენენით“) რომ „განკმარტოთ“ ჩვენი დადგენილებანი<sup>3</sup>, ე. ი. ის ზოგადი დებულებანი, რომელიც შესავალშია, ძეგლისწერის საფუძველია.

საეკლესიო კრების მიერ მიღებული კანონები ეხება ეკლესიის მსახურთ, მათ დანაშაულს, რომელიც შეიძლება ჩაიდინოს როგორც ეკლესიის მსახურმა, ისე ერისკაცმაც.

1) პირველ ყოვლისა, ძეგლისწერა თანამდებობიდან გადაყენებულად აცხადებს უღირს მღვდელმთავარს; უღირსად ითვლება ის მღვდელმთავარი, მღვდელი და, საერთოდ, ეკლესიის მსახური, რომელსაც, ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, სულისათვის ხორცი არ დაუთრგუნავს. ამასთანავე, ასაკიც საეკლესიო პირს შესაფერისი უნდა ჰქონდეს (ამის შესახებ ქვემოთ აღვნიშნავთ)<sup>4</sup>.

2) ეპისკოპოსი უნდა იყოს არანაკლებ 35 წლის, მღვდელი — ოცდაათის, დიაკონი — ოცდახუთის, ხოლო „წიგნის მკითხვე-

1 ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 108, 113.

2 იქვე, გვ. 109.

3 იქვე, გვ. 112; იე. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 43.

4 ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 114—115.



ლი“ — რვა წლის. ხელდასხმა უნდა ხდებოდეს ჯერ უმცროს თანამდებობაზე, შემდეგ თანდათანობით უფროსზე<sup>1</sup>.

3) ხელდასხმა და ეკლესიის კურთხევა უნდა ჩატარდეს გიორგი მთაწმიდელის განწესების მიხედვით<sup>2</sup>.

4) ძეგლისწერა კრძალავს ხელდასხმას, ე. ი. სამღვდელთა თანამდებობაზე დანიშვნას ქრთამით, საფასით, ან ძღვენით; ძეგლში ჩამოთვლილია ეკლესიის მსახურნი უფროს-უმცროსობის მიხედვით: ქრთამი, ძღვენი და საფასე აკრძალულია კათალიკოსმა მიიღოს ეპისკოპოსისაგან და ეპისკოპოსზე დაბალი რანგის მსახურისაგან, ხოლო ეპისკოპოსმა ეკლესიის მსახურთაგან და სხვ.<sup>3</sup>

აღსანიშნავია, რომ ქრთამს ფეოდალურ საქართველოში ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა: 1) თანამდებობის პირს ის ეძლეოდა, როგორც გასამრჯელო, 2) ქრთამი ნიშნავდა დანაშაულს. ძეგლისწერა კი კრძალავს ქრთამს, მას დანაშაულად აცხადებს, მაგრამ გარკვეულ ვითარებაში, ე. ი. საეკლესიო თანამდებობათა დანიშვნის დროს. აქედან არ ჩანს ქრთამის ზოგადი შინაარსი.

5) საეკლესიო ქონება, საეკლესიო ჭურჭელი, ნაყიდი ან შემოწირული, მხოლოდ თავისი დანიშნულებისამებრ უნდა იხმარებოდეს.

ძეგლისწერას დასახელებული აქვს უკიდურესი გარემოება,

1 ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 115—116.

2 იქვე, გვ. 116.

3 იქვე, გვ. 116. დასავლეთ ევროპის ფეოდალურ ქვეყნებში გავრცელებული იყო საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა; საეკლესიო თანამდებობებს ყიდდნენ მეფეები და მსხვილი ფეოდალები, რომელიც მათთვის გამდიდრებისა და ხელისუფლების გაძლიერების საშუალება იყო.

X—XI საუკუნეებში კათოლიკურ სამღვდლოებაში მიმდინარეობდა ე. წ. კლიუნის მოძრაობა (კლიუნი არის საფრანგეთში, ბურგუნდიაში ბენედიქტების მონასტერი, 910 წელს დაარსებული აკვიტანის ჰერცოგის მიერ; კლიუნის მონასტერი XI საუკუნის ნახევარში სათავეში ჩაუდგა მონასტერთა ძლიერ გავრთიანებას; კლიუნის მონასტერი იყო ცენტრი კლიუნის მოძრაობისა). ეს მოძრაობა მიზნად ისახავდა კათოლიკური ეკლესიის გაძლიერებას. რის შედეგადაც გატარდა კლიუნის რეფორმა, რომლის ერთ-ერთი ღონისძიება იყო საეკლესიო თანამდებობის ყიდვა-გაყიდვის მოსპობა (საეკლესიო თანამდებობათა და საეკლესიო ხარისხის ყიდვა-გაყიდვას „სიმონია“ ეწოდებოდა; „სიმონია“ წარმოშობილია ლევენდარული მოგვი — სიმონისაგან, რომელმაც სახარების გადმოცემით, სთხოვა მოციქულებს მიჰყიდონ მას სასწაულების მოხდენის უნარი) კათოლიკურმა ეკლესიამ „სიმონია“ აუკრძალა საერო ფეოდალებს, მაგრამ თვითონ ეკლესია, პაპები ფართოდ იყენებენ მას. Всемирная история, т. III, 1957, С 273—274); БСЕ, СИЭ; ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, 1929, გვ. 21, 227.

როცა ტყვის გამოსხნისათვის საჭირო იყო სახსარი. ამ შემთხვევაშიც კი ეკლესიის სამღვდლო ჭურჭელს ხელი არავინ უნდა ახლოს<sup>1</sup>.

6) ქორწინება, მონათვლა, მონაზნად განწესება ხდებოდა ეკლესიის მიერ განსაზღვრული წესით და ამ წესის დარღვევა აკრძალული იყო. გვირგვინის კურთხევა მხოლოდ ეკლესიაში უნდა შესრულებულიყო. ძეგლისწერაში ნახსენებია პირველი და მეორე ქორწინება. როგორც ჩანს, მესამე და მეოთხე ქორწინებას ის არ ცნობდა<sup>2</sup>.

7) დაქორწინებისათვის საჭირო იყო განსაზღვრული ასაკ<sup>3</sup>: ქალი უნდა ყოფილიყო არანაკლები 12 წლის.

როგორც ჩანს, მაშინ მიღებული ყოფილა „ჩუღთა ქალყრმათა“ გვირგვინის კურთხევა, რასაც კრძალავს ძეგლისწერა<sup>4</sup>.

8) კათალიკოსსა და ეპისკოპოსთაგან უნდა შეირჩნენ ეკლესიის ისეთი მსახურნი, რომლებიც გათვითცნობიერებულნი არიან საქრისტიანო წესებში; ამასთანავე, მღვდელი იქნება, დიაკონი ოუ, საერთოდ, ეკლესიის მსახური, უანგაროდ უნდა ემსახურებოდეს ეკლესიის საქმეს; არც ერთმა მათგანმა „არა რაჲ... განსაჯი ქრთამისათეს, არცა რაჲ განყიდოს ვეცხლად, ვითარცა“ იუდამ უფალი<sup>5</sup>. ვერცხლით გაყიდვა აქ უნდა ნიშნავდეს ღალატს, სარწმუნოების საწინააღმდეგო დანაშაულს.

9) ძეგლის მიხედვით, მოძღვართა სიმრავლე მონასტერში „... მრავლისა შფოთისა და განხეთქილების მიზეზსა შემოიღებს“, ამიტომ მოძღვართა რიცხვი უნდა განისაზღვროს: დიდ მონასტერში დასამკვებია ორი მოძღვარი, ხოლო პატარაში — ერთიც საკმარისია<sup>6</sup>.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოხსენიებულია მოძღვართ-მოძღვარი, რომელსაც მეფის შემდეგ პირველი ადგილი ეკავა. ის უნდა ყოფილიყო გელათის აკადემიის რექტორი<sup>6</sup>. მოძღვართმოძღვარი ნიშნავს მასწავლებელთა-მასწავლებელს. მოძღვართმოძღვარი სწავლული იყო, მას მოწაფეები ჰყავდა — მოძღვრების სა-

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 116—117.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 117; ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. 11, გ. 11, 1929, გვ. 369—371.

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 117, 118; ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. 11, გ. 11, 1929, გვ. 366.

<sup>4</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 118.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის რედ., 1970, გვ. 31.

ხით და საკუთარი სკოლა ჰქონდა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით<sup>1</sup>. მოძღვართმოდღვარი, პირველ ყოვლისა, მოძღვრების უფროსია. საქართველოში, როგორც ჩანს, მრავალი მოძღვარი ყოფილა. ამ გარემოებას სახელმწიფო და ეკლესია შეუწუხებია, რადგანაც, ისინი თურმე, შფოთსა და განხეთქილებას თესავდნენ, ე. ი. ისეთ იდეებს ქადაგებდნენ, რაც ეკლესიისათვის მიუღებელი იყო, ამიტომაც საეკლესიო კრებას საჭიროდ უცნია მათ წინააღმდეგ ზომების მიღება და მოძღვართა რიცხვი მონასტერში შეუმცირებიათ.

10) ძეგლისწერა კრძალავს მონასტერში ერისკაცთა მიერ „სამოქალაქო“ და „სოფლის“ საქმიანობას — ვაჭრობას. განმარტავს, რომ მონასტერი არის სამლოცველო დაწესებულება და იქ ერისკაცების შეკრება, საერო ხასიათის საქმისათვის, დაუშვებელია<sup>2</sup>.

ძეგლისწერა მონასტრის საპირისპიროდ ახსენებს „ადგილთა ქუაბ-ავაზაკთა“. გამოქვაბულები, სადაც შესაძლებელია თავს აფარებდნენ ავაზაკები, ყაჩაღები. თავისთავად ტერმინი „ქუაბ-ავაზაკთა“ საყურადღებო და დამახასიათებელია ძეგლისწერის ეპოქისათვის იმ მხრივ, რომ მიუთითებს ყაჩაღობის გავრცელებაზე; ამ შემთხვევაში მონასტრისადმი „ქუაბ-ავაზაკთა ადგილი“ დაპირისპირებულია შედარების გასაძლიერებლად (მსჯელობის უფრო თვალსაჩინოებისათვის).

11) ძეგლისწერაში განმარტებულია, თუ სად, როგორ, ვის მიერ უნდა სრულდებოდეს ცოცხალთა და მიცვალებულთა ლოცვა და „ჟამისწირვა“<sup>3</sup>.

12) ძეგლისწერის მიხედვით, სომეხნი სარწმუნოებით მწვალებელნი არიან და თუ სომეხი მართლმადიდებულობას აღიარებს, მართლმადიდებელმა ეკლესიამ ისეთი წესით უნდა მიიღოს, როგორი წესითაც ლებულობს წარმართს<sup>4</sup>.

13) ძეგლისწერა კრძალავს მართლმადიდებლისა და წარმართის შეუღლებას<sup>5</sup>.

14) კრძალავს აგრეთვე ე. წ. წარმომადგენლობით ქორწი-

1 ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის რედ., 1970, გვ. 31; ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. 11, ნ. 11, 1929, გვ. 55—56.

2 ქართული სამართლის ძეგლები, 111, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 119.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 119—120.

5 იქვე, გვ. 120; ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. 11, ნ. 11, 1929, გვ. 368.

ნებას<sup>1</sup>. წარმომადგენლობითი ქორწინებისას თუ შესაუღლებელნი სხვადასხვა ადგილას არიან და მათი ერთად შეყრა არ ხერხდება, მაშინ გვირგვინის კურთხევის დროს საქმროს მაგიერ მისი წარმომადგენელი უნდა იყოს.

15) ეხება ისეთ დანაშაულს, როგორც არის სოდომური დანაშაული, ე. ი. არაბუნებრივი სქესობრივი კავშირი, მამათმავლობა. ვრცლად განიხილავს აგრეთვე ამ დანაშაულს და თელის, როგორც ბუნების საწინააღმდეგოს. ასახელებს ცოდვებს: ადამიანთა შორის მტრობას, შურს, სიძულვილს, კაცისკვლას, მრუშობას, ცრუ-ფიცს და მათ შორის ყველაზე დიდ ცოდვად მიაჩნია კერპთმსახურება<sup>2</sup>.

ძეგლისწერის მიხედვით, სოდომური ცოდვაც განსხვავებულია ჩამოთვლილი ცოდვებისაგან. ყოველგვარი ნივთი, საგანი ღმერთმა გააჩინა და მათ გარკვეული დანიშნულება მისცა ადამიანის სასარგებლოდ, ხოლო სოდომური ცოდვა „წინაუკუმო ბუნებისა შესცვალებენ ბუნებითა ძალსა თვისსა“; სოდომური ცოდვა ღვთისა და ბუნების საწინააღმდეგო მოვლენაა. ამ ცოდვამ დაღუპა მრავალი სახელმწიფო, მრავალ ხალხს დაუკარგა მან თავისუფლება<sup>3</sup>. ძეგლისწერის ამ ნაწილში, სხვათა შორის, აღნიშნულია: სოდომურმა ცოდვამ „მკეცის ბუნებათა ვიეთმე კაცთა ავაზაკურითა ზედა-მოსლვითა“ სპარსეთი დასცაო<sup>4</sup>. „ავაზაკურად ზედა-მოსლვა“ ნიშნავს ადამიანზე თავდასხმას, რომლის მიმართ გამოყენებულია „მკეცის ბუნება“. მხეცის ბუნებას შეუპყრია ადამიანი, სრულიად დაუმორჩილებია ის, ბუნების საწინააღმდეგო ცოდვის, ანუ დანაშაულის ჩასადენად.

ძეგლისწერაში ასეთი დაპირისპირებებია მოცემული: მდიდარი და გლახაკი, მეფე და მთავარი, აზნაური და მდაბიო, მღვდელი და უმღვდელი, მოწესე და ერისკაცი<sup>5</sup>. მოცემულია აგრეთვე ადამიანის ასაკი: ბერი, ე. ი. მოხუცებული, შუა-კაცი და ჭაბუკი<sup>6</sup>.

ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის მოსაზრებით, ძეგლის-

---

1 ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 120—121; ივ. ჯავახიშვილი. წ. 11, ნ. 11, 1929, გვ. 369—370.

2 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 121.

3 იქვე, გვ. 121—123.

4 იქვე, გვ. 122—123.

5 იქვე, გვ. 123.

6 იქვე.

წერა 15 მუხლისაგან შედგება<sup>1</sup> მისი უკანასკნელი გამომცემელი ი. დოლიძე კი მას 16 მუხლად ყოფს<sup>2</sup>. ი. დოლიძის მიერ გამოყოფილი მე-16 მუხლი, ჩვენი აზრით, წინა მუხლის უშუალო გაგრძელებაა, ამიტომ ამ ნაწილის მე-16 მუხლად გამოყოფა უმართებულოა.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოწვეულ იქნა 1103 წელს ქართლში, ორი საეპისკოპოსოს მახლობლად<sup>3</sup>. კრების თავმჯდომარე ყოფილა კათალიკოსი იოანე. თვალსაჩინო მონაწილეობა მიუღლიათ ძეგლისწერის შემუშავებაში საქართველოს მაშინდელ მწიგნობართუხუცესს გიორგი მონაზონსა და არსენ მონაზონს, ანუ იყალთოელს<sup>4</sup>.

ძეგლისწერა ორჯერ არის გამოცემული<sup>5</sup>.

### ვაჰანის ქვაბთა განგება (1204—1234 წწ.)

ვაჰანის ქვაბთა განგება სამჯერ არის გამოცემული: პირველი გამოცემა ეკუთვნის თ. ყორღანიას<sup>6</sup>, ხოლო მეორე (კრიტიკულად დადგენილი ტექსტი ლექსიკონითა და საძიებლით) — ლ. მუსხელიშვილს<sup>7</sup>. გამომცემელი ძეგლის თარიღად 1204—1234 წლებს ასახელებს<sup>8</sup>. ეს ძეგლის მეორე გამოცემაა. იგი მესამედ გამოსცა ი. დოლიძემ<sup>9</sup>. გამომცემელი წერს, რომ „ტიპიკონის ტექსტი იბეჭდება ლ. მუსხელიშვილის გამოცემის მიხედვით“<sup>10</sup>. „განგება“ ნიშნავს „წესს“; „წესი“ შეიძლება ყოფილიყო სამონასტრო-საეკლეს-

1 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 44—45; კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951 გვ. 542.

2 ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 123—124.

3 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 41.

4 იქვე, გვ. 42—43.

5 თ. ყორღანია. ქრონიკები, II, გვ. 51—72; ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 106—127.

6 თ. ყორღანია. ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, 1896, გვ. 30—50.

7 ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.), ლ. მუსხელიშვილის გამოცემა, 1939.

8 იქვე, გვ. 16.

9 ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 135—153.

10 იქვე, გვ. 1147.

სიო წესდება, დებულება, ჩვეულება, სახელმწიფო და სამოქალაქო წესი: „ჯდომისა და დგომისა“, „დარბაზობის წესი“ და სხვ.<sup>1</sup> სამონასტრო „წესი“, ანუ ტიპიკონი „განგებათაც“ იწოდებოდა<sup>2</sup>. „განგება“, საერთოდ, გამართვას, მოწყობას, მოწესრიგებას ნიშნავდა; სახელმწიფო საქმეებს მეფე „განაგებდა“<sup>3</sup>. თუმცა მნიშვნელობით „განგება“ „წესს“ მიაგავს, მაგრამ განსხვავდება იმით, რომ „წესი“ განსაკუთრებით საზოგადოებრივი ცხოვრებისა და დაწესებულების მართვა-გამგეობის დებულებასა და რიგს ერქვა, „განგება“ კი, ამას გარდა, თვით მართვისა და მოწესრიგების მოქმედებასაც აღნიშნავდა<sup>4</sup>.

ვაჰანის ქვაბთა განგება ვაჰანის მონასტრის განაწესს, ტიპიკონს, ქვაბთა მართვა-გამგეობის წესს წარმოადგენს, რომელიც ამ მონასტრისათვის შეადგინეს მისმა დამაარსებელმა მხარგრძელებმა. ამ ეკლესია-მონასტრის მსახურთ განგების წესის მიხედვით იქვე უნდა ეცხოვრათ. ძეგლი საყურადღებო მასალას შეიცავს საქართველოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ჩვენ კი მას განვიხილავთ ქართული სამართლის ისტორიის მიხედვით.

განგებაში, ანუ ტიპიკონში განსაზღვრულია მღვდელთა და დიაკვანთა რაოდენობა, აგრეთვე დახასიათებულია მონასტრის მოძღვარი, რომელსაც განსაკუთრებული დადებითი თვისებები უნდა ჰქონდეს, რომ ყველასათვის მოსაწონი და საყვარელი იყოს<sup>5</sup>; ის არის „სულიერი მწყემსი“.

ძეგლი ეხება მონასტრის „სულიერი მწყემსისა და ჯელისუფალთა“ საკითხს<sup>6</sup>. „ხელისუფალი“ — „ხელის“, ე. ი. უფლების მქონებელია, საქმეების განმგებელი, ხოლო მას ჰყავს დაქვემდებარებული მოხელეები აღმასრულებელი ფუნქციებით, ე. წ. „საქმის მოქმედნი“<sup>7</sup>.

ვაჰანის ქვაბთა განგებაში, მონასტრის წინამძღვართან ერთად, დასახელებულია „ხელისუფალნი“. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ

1 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 14—16.

2 იქვე, გვ. 16—17.

3 იქვე, გვ. 17.

4 იქვე.

5 ვაჰანის ქვაბთა განგება, VII, ლ. მუსხელიშვილის გამოცემა, 1939, გვ. 63—66.

6 იქვე, გვ. 63.

7 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, V, 1, 1928, გვ. 110.

11. ივ. სურგულაძე

წინამძღვართან ერთად, მონასტრის მაღალი მოხელეები ითვლებოდნენ „ხელისუფლებად“.

მონასტრის მოხელეების შემდეგ დასახელებულია „მსახურნი“, რომლებიც, ძეგლის მიხედვით, „ყოველისთვე ტრაპეზისა და სამზარეულოჲსა და სახაბაზოჲსა სამსახურსა აღასრულებდნენ“<sup>1</sup>. ვინ არიან ეს „მსახურნი“? ამ მსახურთა მოვალეობაა: პურის გამოცხობა, საჭმლის მომზადება და სხვ. ასეთი პირები შესაძლებელია ერისკაცებიც იყვნენ, რომლებიც მონასტერს საფასურით, დაქირავებით ემსახურებოდნენ, ან კიდევ მონასტრის ბერები ყოფილიყვნენ. „მსახურთა“ რიცხვი განსაზღვრულია ათით.

ჭამის დროს ტიპიკონი კრძალავს ლაპარაკსაც კი, რომ მყუდროება სუფევდეს<sup>2</sup>. მყუდროების დამრღვევი, როგორც „აღმაშფოთებელი საზოგადოჲსა“ უნდა განიღვენოს მონასტრიდან, ვითარცა გახრწნილი<sup>3</sup>.

გემოთმოყვარება, ე. ი. მსუნაგობა, ღორმუცელობა ბოროტების ერთი სახეა<sup>4</sup>.

ყველაზე უფრო მყუდროებას არღვევს „მეშფოთე“ და მრულე ადამიანი, რომელთაც უნდა ვებრძოლოთ<sup>5</sup>.

მონასტრის ბერებს ეკრძალებათ გინება და შეურაცხყოფის მიყენება ვინმესთვის, ასეთი „მეშფოთე“ მონასტრიდან უნდა განიღვენოს, არავინ უნდა დაეხმაროს „მეშფოთესა და მომთვრალეს“, „მეშფოთის“ ასაბია ისევე უნდა დაისაჯოს, როგორც „მეშფოთე“, რადგანაც ასაბიაც „თავეკედი და დაუწყნარებელია“<sup>6</sup>. ძეგლის მიხედვით, „მეშფოთესა და მაგინებელსა და მომთვრალესა არა აქუს ადგილი და საყოფელი მონასტერსა ამასა შინა“<sup>7</sup>. ძეგლში ვკითხულობთ: „არა რა აღსძრავს და აღაშფოთებს და განამწარებს მყუდროებასაო ერთსულთა ძმათასა, ვითარ მეშფოთე კაცი და ღულარჭნილი“<sup>8</sup>. მონასტრის ძმობის მყუდროებას არაფერი ისე არ დაარღვევს, არ შელახავს, როგორც მეშფოთე და მრულე ადამიანი, ამიტომ მონასტრის ტიპიკონი საგანგებოდ ჩერდება ასეთ ადამიანებზე და მოითხოვს მათ განდევნას მონასტრიდან.

1 ეპანის ქებათა განგება, 1939. გვ. 64.

2 იქვე, გვ. 67.

3 იქვე, გვ. 68.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 72.

6 იქვე, გვ. 73.

7 იქვე.

8 იქვე, გვ. 72.

მონასტრის ბერებს ეკრძალებათ სერობის შემდეგ მეორე ძმის სენაკში შესვლა, შეყრილობა, ღვინის სმა, რადგანაც ღვინით დათრობა არის სიბილწე, მთვრალი სასუფეველში ვერ შევაო<sup>1</sup>.

ძეგლი დიდ ყურადღებას აქცევს ღვინის სმას, ლოთობას და ამასთან დაკავშირებულ „დამპალ სიტყვებსა“ და „უქმსიტყვაობას“. აშკარა ლოთობას<sup>2</sup>, წესრიგის დარღვევა მოსდევსო.

ჩვენ მოვიყვანეთ ისეთი ტერმინები, რომლებიც საყურადღებოა დანაშაულის გარკვეული სახისათვის: მყუდროების დარღვევა, საზოგადო აღშფოთება, განხეთქილება, გინება, შეურაცხყოფა, შფოთი („მეშფოთე“), „დაუწყნარებელობა“, „მომთვრალობა“, „ლაღვა“ (ჩხუბი), „ღულარჭნილობა“ და სხვ. აქ აღწერილი თვისებები ძლიერ უახლოვდება დანაშაულის იმ სახეს, რომელსაც დღეს ხულიგნობა ჰქვია. ტერმინი ხულიგანი XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, მაგრამ თვითონ ხულიგური მოქმედება იმ დროს უნდა ეკუთვნოდეს, როდესაც კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო ჩამოყალიბდა. ეს უნდა იყოს დანაშაულის უძველესი სახე. ხულიგური მოქმედება უმთავრესად სიმთვრალესთან არის დაკავშირებული. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი დახასიათება სწორედ ისეთ მოქმედებას გულისხმობს, როდესაც საზოგადოებრივი წესრიგი ირღვევა და თავისი მოქმედებით დამნაშავე უპატივცემულობას ავლენს ადამიანისადმი. არც ერთ ქართულ ისტორიულ წყაროში, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, აღწერილი დანაშაული იმდენად არ ემსგავსება ხულიგნობას, როგორც ეს არის ვაჰანის ქვაბთა განგებაში.

ძეგლში ნახმარი ტერმინი „ასაბია“ ნიშნავს დახმარებას; „ასაბია“ ჰქვია თანამონაწილეს. ძეგლის მიხედვით, „ასაბია“, ე. ი. თანამონაწილე, ისევე ისჯება, როგორც მთავარი დამნაშავე<sup>3</sup>.

განგება, ანუ ტიპიკონი კრძალავს მონასტრის შიგნით ვაჭრობას, ღვინის ყიდვა-გაყიდვასა და, საერთოდ, ყიდვა-გაყიდვას, აგრეთვე მეევანშეობას, რადგანაც ვაჭრობა და მეევანშეობა ბოროტების საფუძველია. გლახაკის ხარჯზე არავინ არ უნდა გამდიდრდეს, სახმარი ნივთის სარგებლით გაცემა ბოროტებაა, მეევანშეობასა და ვაჭრობას მონასტრის შიგნით არ უნდა ჰქონდეს ადგილი, რადგანაც მონასტერი ადგილი არ არის „ქუაბ ავაზაკთა“<sup>4</sup>.

1 ვაჰანის ქვაბთა განგება, 1939, გვ. 82.

2 იქვე, გვ. 82—83; ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. 11, 1920, გვ. 339.

3 ვაჰანის ქვაბთა განგება, 1939, გვ. 73.

4 იქვე, გვ. 78.



ქვეყნის მიხედვით, მეძავი, ე. ი. როსკიპი, შემრუშე — ცოლქმრული ღალატის ჩამდენი, კერბთმსახური, „მამათმავალი“, ჩუკენი — ონანისტი, ლოთი, მტაცებელი — ე. ი. მძარცველი, „მაგინებელი“, ანუ შეურაცხმყოფელი სიტყვების მკადრებელი გაძევებულ უნდა იქნენ მონასტრიდან<sup>1</sup>; მაგრამ მათი ბრალდება უნდა დამტკიცდეს; ამისათვის „გამოძიებითა მრავლითა განიხილოდენ ესე-ვითარნი შესმენანი“<sup>2</sup>. ამასთანავე, „შესმენა“ შესაძლებელია „შურმტერობით“ იყოს გამოწვეული, ე. ი. ცილისწამებით, ცილისმწამებელი უნდა განიდევნოს მონასტრიდან<sup>3</sup>.

ქველში მ-ჯერ გვხვდება ტერმინი „ბრალი“: 1) ორივეს „იყოს ბრალი“, ე. ი. ორივეს მიუძღოდეს დანაშაული<sup>4</sup>; 2) ჩამოთვლილია „ბრალი“, ანუ დანაშაული<sup>5</sup>, 3) „ბრალი ურჩებისა“, ე. ი. ბრძანების შეუსრულებლობა<sup>6</sup>.

ქვეყნის მიხედვით, მოძღვარს ევალება „ფრიალითა კრძალულობით“, ე. ი. ძლიერ მოკრძალებით ეპყრობოდეს ამ განწესებას და პირუთვნელად ამხილებდეს განწესების „გარდამავალთ“, წესის დამრღვევთ<sup>7</sup>. სჯულისკანონის ააწინააღმდეგო მოქმედებას „გარდამავლობითი მოქმედება“ ეწოდებოდა<sup>8</sup>.

ქვეყნის მიხედვით, ქრთამი არის თანამდებობის პირის მიერ უკანონოდ მიღებული სასყიდელი ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც თანამდებობის პირმა თავისი მოვალეობით უფასოდ უნდა შეასრულოს: მოძღვარმა, „იკონომოსმა“ და დეკანოზმა, „ძმად დაწესებისათვის“ არ უნდა აიღოს ქრთამი; ქვეყნის მიხედვით, ეს იქნება „გადარეულებითა ვერცხლისმოყუარებისაჲთა აღებად ქრთამისა“<sup>9</sup>.

ამასთანავე, ქრთამის აღება შეიძლება „ფარულად გინა ცხადად“<sup>10</sup>. ქრთამს თანამდებობის პირი ფარულად იღებდა. მაგრამ ქრთამს რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა: ის კანონით ნებადართულ საზღაურს, საფარესაც ნიშნავდა („ვეფხისტყაოსანი“); შეიძლება

1 ვაჰანის ქვაბთა განგება, 1939, გვ. 78.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 78—79.

4 იქვე, გვ. 73.

5 იქვე, გვ. 79.

6 იქვე, გვ. 80, ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, 11, 1, 1929, გვ. 340—341.

7 ვაჰანის ქვაბთა განგება, 1939, გვ. 79.

8 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. 11, ნ. 11, 1929, გვ. 253.

9 ვაჰანის ქვაბთა განგება, 1939, გვ. 79.

10 იქვე.

ამითაც აიხსნებოდეს, რომ ამჟამად ჩვენთვის საკვლევ ძეგლში აშკარად ქრთამის აღებაზეა ლაპარაკი.

ძეგლში აღნიშნულია, რომ ქრთამის ამღები მხილებული უნდა იყოსო<sup>1</sup>. ე. ი. ბრალდებულს უნდა დაუმტკიცდეს დანაშაული და მხოლოდ შაშინ შეიძლება მისი დასჯა. ამ დანაშაულის მხილების დროს დამნაშავეს უნდა ჩამორთმეოდა თანამდებობა<sup>2</sup>.

ძეგლში ქრთამი სხვა ადგილასაც არის ნახნარი: „ქრთამისა აღებითა“ ხდება „გარდაქცევაჲ ჭემშარიტებისაჲ“, ე. ი. ქრთამის აღება ამრუდებს სიმართლეს და იგი გათანაბრებულია პატრონის ორგულობასა და ეკლესია-მონასტრის ქონების მითვისებასთან<sup>3</sup>; როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში კვალიფიციურ დანაშაულთან გვაქვს საქმე.

ძეგლში დიდებული და აზნაური, ერთმანეთისადმი<sup>4</sup> დაპირისპირებული, ორივე გაბატონებული კლასის, მემამულეთა წარმომადგენელია; მაგრამ დიდებული უფრო მაღალი წრისაა, ვიდრე აზნაური, დიდებული დასახელებულია მეფის შემდეგ<sup>5</sup>, აზნაური ვებისკოპოსთან არის მოხსენიებული, როგორც საპატიო პირი<sup>6</sup>.

მხარგრძელის აზნაურები იყოფოდა: 1) ნამსახურად და საპატიოდ, 2) დიდად ნამსახურად და საპატიოდ<sup>7</sup>.

აზნაურები დიფერენცირებულია და ეს დიფერენცირება, ალბათ, მამულსა და სამსახურზე იყო დამოკიდებული. ძეგლში მოხსენიებულია აგრეთვე სამეფო აზნაურები<sup>8</sup>.

ასეთი ტიპიკონი თავისი მონასტრისათვის არავის დაუდგო, წერს განგების დამწესებელი<sup>9</sup>; განგების შემდგენელს აქ მხედველობაში აქვს, ალბათ, ტიპიკონით გათვალისწინებული ეკლესია-მონასტრის მსახურთათვის დაწესებული მდიდრული შესანახი, საზრდო, ტანსაცმელი და სხვ. თვითონ მხარგრძელი აზნაურია, მასვე ჰყავს ვასალი აზნაურები. ამავე დროს მხარგრძელი დიდებუ-

1 ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 79; ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, 1929, გვ. 336.

2 ვაჰანის ქვაბთა განგება, 1939, გვ. 77; ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, 1929, გვ. 336.

3 ვაჰანის ქვაბთა განგება, 1939, გვ. 76.

4 ი ქ ე ე, გვ. 90.

5 ი ქ ე ე, გვ. 96.

6 ი ქ ე ე, გვ. 69.

7 ი ქ ე ე, გვ. 85.

8 ი ქ ე ე, გვ. 86.

9 ი ქ ე ე.

ლია (აზნაურობიდან გამოყოფილ მაღალი წრის წარმომადგენელს დიდებული ერქვა). თუმცა ძეგლში ეს არ წერია.

ტერმინი „უღებება“, „უღებყოფა“, რომელიც ძეგლში გვხვდება, ნიშნავს თანამდებობის პირის მიერ დაუღევრად, უგულოდ თავისი მოვალეობის შესრულებას<sup>1</sup>.

ვაჰანის ქვაბთა განგება მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია, რადგან მოცემულია მასალა ქართული სამართლის ისტორიის მრავალი ინსტიტუტის შესახებ; ეს ინსტიტუტები განეკუთვნებიან სახელმწიფოს, სისხლისა და სამოქალაქო სამართალს.

### სამთავისის სამწყსოს საკანონოს წიგნი (1453 წ.)

ძეგლის შესავალში წერია, რომ სანთავისის სამწყსოში „მრავალი უწესო საქმე ქნილიყო“. ამის შესახებ სამთავნელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა მოახსენა ქსნის ერისთავს შალვას, რომლის „ბრძანებით“ შეიკრიბა „ცხრაზმისკვევისა სამისავე კვევის კრებულნი და მამასახლისნი“. მათ მიიღეს დადგენილება „უწესოების“ აღმოსაფხვრელად. ძეგლში ჩამოთვლილია ამ „უწესოების“ სხვადასხვა სახე და გათვალისწინებულია სათანადო სანქციაც<sup>2</sup>; სანქციათა შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავემ უნდა გადაიხადოს სამთავნელის სასარგებლოდ, დანაშაულის მიხედვით, ამა თუ იმ რაოდენობის ძროხა ან ხარი. გარდა ჯარიმისა, ძეგლში გვხვდება სასჯელის ისეთი სახეები, როგორცაა ექსორია და ჩაქოლვა.

ძეგლის მიხედვით, მეფის ხელისუფლება თითქოს არც არსებობს. სამთავნელი მიმართავს არა მეფეს, არამედ ქსნის ერისთავს და უკანასკნელის ბრძანებით იწვევს კრებას. XV საუკუნეში ფეოდალური სეპარატიზმი საქართველოში ისე შორს არის წასული, რომ ქსნის ერისთავი თავის საერისთავოში დამოუკიდებლად ჭრის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა სამთავნელის საეპისკოპოსოში სამთავნელის სასარგებლო ჯარიმების დაწესების საკითხი.

ამ დროს საქართველოში მეფობდა გიორგი VIII ალექსან-

<sup>1</sup> ვაჰანის ქვაბთა განგება, 1939, გვ. 78, 91; ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, 6. II, 1929, გვ. 254, 265.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 206—208.

დრეს ძე. მის დროს ინტენსიურად მიმდინარეობდა საქართველოს პოლიტიკურად დანაწილების პროცესი<sup>1</sup>.

სამთავნელის სასარგებლო ჯარიმას აწესებს „სამისავე კევის კრებულნი და მამასახლისნი“<sup>2</sup>. ხევის „კრებულის“ სახით, შესაძლებელია, საეკლესიო მსახურნი იგულისხმებოდეს, მამასახლისები აქ ხევის ან სოფლის მამასახლისები უნდა იყვნენ. ის გარემოება, რომ „კრებულის“ საპირისპიროდ მამასახლისებია მოხსენიებული, გვაფიქრებინებს, რომ აქ ეკლესიისა და ერისკაცების წარმომადგენლების შეხვედრასთან გვაქვს საქმე. თუ „კრებული“ საეროსა და საეკლესიო პირების საერთო კრებას ნიშნავდა, მაშინ მამასახლისი ცალკე აღარ იქნებოდა გამოყოფილი. ამ შემთხვევაში „კრებული“ ცხრაზმისხევის სოფლების სამღვდელთაგან უნდა გულისხმობდეს, საინტერესოა, რატომ უნდა განეხილათ აღნიშნულ წარმომადგენლებს სამთავნელის სამწყსოს „უწყსობის“, ე. ი. დანაშაულისა და სასჯელის საკითხები? შესაძლებელია, „ძეგლი ერისთავთას“ მსგავსად („ძეგლი — ერისთავთაში“ სწორედ ცხრაზმისხეველებზეა საუბარი), ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ძეგლიც თემური წყობილების გადმონაშთებს ასახავდეს. სავარაუდოა, რომ სამთავნელს დაკარგული ჰქონდა ის ლიბო, რომელიც ცხრაზმისხეველთა დანაშაულთა შესახებ განწესებას შეიცავდა ან ცხრაზმისხევეში საერთოდ არ იყო ასეთი განწესება და სამთავნელს სურდა მისი შეზღუდვა. ამიტომ საჭირო გახდა სამღვდელთაგან და ერისკაცთა წარმომადგენლების შეკრება, რათა მათ შეესწავლათ ვითარება, აღედგინათ დანაშაულისა და სასჯელის შესახებ დებულებები და, თუ საკანონო ახალშემოსალები გახდებოდა, გაეკეთებიათ სხვა სოფლების მსგავსად. ძეგლის ბოლოს, მეფე შაჰნავაზის ბრძანების წინ, ძეგლის შემდგენელს, სამთავისის დრამისა და შემოსავლის ძველი გუჯრიდან, როგორც ჩანს, გადმოუტანია ერთი აბზაცი. ამას თითქოს გადმოტანილი წინადადების შინაარსი ამტკიცებს, რომელიც ამჟამად ჩვენთვის საკვლევია ძეგლის უშუალო გაგრძელებაა. ეს კი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ამ გაგრძელებაში არის წინადადება: „ესე ძეგლითგან დამტკიცებული არის“<sup>3</sup>, ე. ი. საკანონო ძველად ყოფილა, „ძველითგან“ მომდინარეობს და ახლა ჩვენ აღვადგინეთ.

ძეგლში „უწყსობის“ შესახებ სხვადასხვა დანაშაული და ამ

1 ივ. ჯაქიაშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. IV, 1928, გვ. 46—96.

2 ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 206.

3 იქვე, გვ. 209.

დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელია ჩამოთვლილი:

1) ძეგლი, პირველ ყოვლისა, ეხება „უწესოდ მიტაცებულთა“ და ნათესავეთა ჯვარისდაწერასა და გვირგვინის კურთხევას, ე. ი. „ხუცესის“ მიერ დაქორწინებას; ასეთი ქორწინება აკრძალულია და სამთავნელს შეუძლია „დააფრეცინოს“, ე. ი. გადასახადი შეაწეროს დამნაშავეს, სასჯელი დაადვას თავისი შეხედულებისამებრ, რაშიც მას ვერავინ შეედავება. ძეგლში წერია: „და შუა ვერცა პატრონი შემოუვიდეს, და ვერცა ქვეყანა“<sup>1</sup>. პატრონი აქ ქსნის ერისთავი უნდა იგულისხმებოდეს, მაგრამ რას ნიშნავს „ქვეყანა“? ამ კონტექსტში „ქვეყანა“ უნდა ნიშნავდეს ცხრაზმისხვევლებს. მაშასადამე, ძეგლის მიხედვით, ცხრაზმისხვევის მცხოვრებნი ერთ-ერთი მხარეა, სამართლის სუბიექტი, რომელსაც შეუძლია შეედავოს სამთავნელს, უარყოს ან დაადასტუროს მისი პრეტენზიები; ცხრაზმისხვევი აქ დაპირისპირებულია პატრონთან და უკანასკნელის მსგავსად, მასაც უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სამართლის წარმოებაში. აქაც ჩვენ უნდა დავინახოთ თემი, რომელსაც გარკვეული უფლებები აქვს თემის მართვა-გამგეობის საქმეებში.

2) ძეგლის მიხედვით, აზნაურისშვილმა სამთავნელს საწირავი უნდა „მიართვას: ცხენი, იარაღი, წასახურავი და ნიშანი“, მსახურმა ცხენი და იარაღი, მსახურზე „დაბალმა“ (ი. დოლიძის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტში „დაბალის“ მაგიერ წერია: „და ბალმა“) „ერთი ჯარი მიართვას“<sup>2</sup>.

3) ხუცესის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მისმა ოჯახმა შეძლოს საწირავად სამთავნელს იმდენივე მიართვას, რამდენიც მსახურს აქვს შეწერილი, ხოლო თუ ეს არ შეუძლია, მაშინ ხარი მიართვას<sup>3</sup>.

4) კაცის მკვლელობა სამთავნელს ხუთი ხარი მიართვას, ხოლო მკვდრის პატრონს — ერთი<sup>4</sup>.

5) ცოლის გაშვებისათვის გამშვებს ხუთი ძროხა საურავად მართებს<sup>5</sup>.

6) კუდიანობისა და მკითხაობისათვის, ე. ი. გრძნეულობის, ჯადოსნობის, მისნობისა და მარჩიელობისათვის გათვალისწინ-

1 ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 206.

2 იქვე, გვ. 207.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე.

ბულია „ცხვირით გახეიბრება“, ე. ი. ცხვირის მოჭრა, ხოლო თუ დამნაშავემ დანაშაული მოინანია, მაშინ საურავად სამთავნელს ორი ძროხა უნდა მიერთვას<sup>1</sup>

7) უკეთუ კუდიანობისათვის ვინმემ დადალოს კუდიანობაზე შეწამებული, დამდაღემა ოთხი, ხოლო დადაღულმა სამთავნელს ერთი ძროხა მიართვას<sup>2</sup>. კუდიანობისათვის, როგორც ვნახეთ, ცხვირის მოჭრაა გათვალისწინებული. აქ კი ლაპარაკია თვითგასამართლებაზე: კუდიანობაში შეწამებულს შემწამებელი თვითონვე დადაღედა. როგორც ჩანს, ასეთი თვითგასამართლება გავრცელებული იყო, ამიტომაც საჭიროდ უცვნიათ მისი აკრძალვა.

8) ქორწინების გარეშე ქალის დაორსულებისათვის დამნაშავე სამთავნელს ოთხ ძროხას მიართმევდა, ხოლო ბავშვი, რომელსაც ბუში ეწოდებოდა, როგორც ქორწინების გარეშე შობილი, ეკლესიას ეკუთვნოდა<sup>3</sup>.

9) თუ ვინმე უზიარებლად მოკვდა და უზიარებლობა ხუცესის მიზეზით იყო გამოწვეული, ხუცესმა სამთავნელს უნდა გადაუხადოს ერთი ძროხა, ხოლო თუ ხუცესს ბრალი არ მიუძღვის, მაშინ მკვდრის პატრონმა სამთავნელს ერთი ძროხა უნდა მისცეს<sup>4</sup>.

10) თუ მღვდლის მიზეზით მოუნათლავად მოკვდეს ვინმე, მოუნათლაობისათვის მღვდელმა სამთავნელს ერთი ძროხა უნდა მიართვას<sup>5</sup>.

11) ვინც მღვდლისა და ანდერძის გარეშე მიცვალებულს დასაფლავებს, მკვდრის პატრონმა სამთავნელს 2 ძროხა უნდა მიართვას<sup>6</sup>.

12) „უკეთუ ვინმე სუნტოკინოზმანთა დაეცეს, ანუ მეყუსთა თანა, ჩაიქოლოს; და უკეთუ შეინანოს, ოთხი ძროხა მიართვას“<sup>7</sup>. დანაშაულის არსი გაურკვეველია, რადგანაც „სუნტოკინოზმანთა“ შინაარსი არ ვიცით, თუმცა ეს სიტყვა ამავე ძეგლში ორჯერ გვხვდება. „მეყვისი“ ნათესავს ნიშნავს; შესაძლებელია, აქ სქესობრივი დანაშაული იგულისხმებოდეს ახლო ნათესავთან და მონა-

---

1 ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 207.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე.

6 იქვე.

7 იქვე.

თლულთან. დანაშაული მეტად მძიმეა, რადგან მისთვის „ჩაქოლვა“ გათვალისწინებული.

13) უქმრო დედაკაცის მოტაცებისათვის ორი ძროხა იყო გათვალისწინებული<sup>1</sup>.

14) ქმრიანი დედაკაცის მოტაცებისათვის — ოთხი ძროხა<sup>2</sup>.

15) თუ მოტაცებულ ქალს მღვდელმა ჯვარი დასწერა, მღვდლობიდან განიკვეთოს, თუ შეინანა, 3 ძროხა გადაიხადოს<sup>3</sup>.

16) თუ მღვდელი ან მთავარდიაკონი „ღირს იქმნა“ მეორე ქორწინებისა, მღვდელმა ორი, ხოლო დიაკონმა ერთი ძროხა უნდა გადაიხადოს<sup>4</sup>.

17) თუ სამღვდლო პირმა მოიპაროს რაიმე ან მახვილი იხადოს, თანამდებობიდან განიკვეთოს, ხოლო თუ შეინანოს, სამი ძროხა გადაიხადოს<sup>5</sup>.

18) შეჩვენებულს მღვდელმა თუ „ხუცობა“ გაუწია, ე. ი. წირვა-ლოცვა შეუსრულა, ის უნდა განიკვეთოს, მონანიების შემთხვევაში 3 ძროხას იხდის<sup>6</sup>.

19) მღვდელმა სომეხს სარწმუნოებრივად არ უნდა მოემსახუროს, წინააღმდეგ შემთხვევაში სამთავნელს 2 ძროხა უნდა მიართვას<sup>7</sup>.

20) თუ ქართველმა სომეხს ქალი მისცა ან სომეხი ქალი შეირთო, „საკანონო სამი ძროხა მიართვას“ სამთავნელს<sup>8</sup>.

21) თუ მღვდელმა ორსულ ქალს ჯვარი დასწერა, სამი ძროხა გადაიხადოს; ხოლო თუ არ იცოდა მისი ორსულობა და ისე დასწერა ჯვარი, მაშინ ერთი ძროხა გადახდეს, ხოლო ჯვარდაწერილმა ქმარმა — 3 ძროხა<sup>9</sup>.

22) ჯვარდაუწერლად კაცმა ცოლი თუ დააორსულა, სამი ძროხა მიართვას (სამთავნელს)<sup>10</sup>.

23) მარხვის გამტეხს ორი ძროხა უნდა გადახდეს<sup>11</sup>.

1 ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 207.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 208.

5 იქვე.

6 იქვე.

7 იქვე.

8 იქვე.

9 იქვე.

10 იქვე.

11 იქვე.

24) ვინმემ თუ მარხვის დროს „ხსნილურად“ ქორწილი გადაიხადა, სამთავნელს სამი ძროხა მიართვას<sup>1</sup>.

25) უკეთუ მღვდელმა ავადმყოფს საზიარებელი სხვისი ხელით გაუგზავნა, მღვდლობიდან განიკვეთოს, მონანიების შემთხვევაში 3 ძროხა გადახდეს<sup>2</sup>.

26) თუ მღვდელმა ეკლესიის გარეშე უემბაზოდ მონათლა ვინმე, განიკვეთოს, ხოლო მონანიების შემთხვევაში სამი ძროხა გადაიხადოს<sup>3</sup>.

27) თუ მღვდელმან უცოდინარობით მარხვა აჭამა ვინმეს, ორი ძროხა გადაიხადოს<sup>4</sup>.

ძეგლის გამომცემლის ი. დოლიძის აზრით, „სამთავისის საკანონო“ და სამთავისის „დრამისა და შესავლის წიგნი“ ერთ ხელნაწერში ერთად არის მოცემული და ერთმანეთშია არეული. სინამდვილეში ეს ხელნაწერი, რედაქტორ-გამომცემლის მიხედვით, 4 ნაწილს შეიცავს: 1) დრამისა და შესავლის წიგნს, 2) საკანონოს, 3) შაჰნავაზის ბრძანებას და 4) გრიგოლ სამთავნელის სააღაპე წიგნს<sup>5</sup>. ნაწილები ერთმანეთში არეულია და რედაქტორ-გამომცემელმა შინაარსის მიხედვით დაალაგა, ხელნაწერის ადგილები გადაანაცვლა და სხე.

რედაქტორ-გამომცემელმა „დრამისა და შესავლის წიგნიდან“, როგორც აღვნიშნეთ, გადმოიტანა ერთი აბზაცი და მოათავსა აშუამად ჩვენი საკვლევი ძეგლის ბოლოს, შაჰნავაზის ბრძანების წინ<sup>6</sup>. ამ გადმოტანილი ნაწილის ერთი წინადადება ასეთია: „სოფლებსა ამას ვინცა აზნაურმან, ანუ გლეხმან კაცი მოკლას, მესამედი სისხლი ღმრთაებას უნდა მიართვას, მიცვალებულის მოსახსენებლად“. ამას მოსდევს შემდეგი წინადადება: „და ამას გარდა რაოდენი სოფლები სწერია ქსანზედა, ამათ სოფელთა შინა ვინცა აზნაურმან, ანუ გლეხმან კაცი მოკლას, მესამედი სისხლი ღმრთაებას მიართვას მოკლულის მიცვალებულის მოსახსენებლად. ესე ასე მსახურონ ყოველთა“<sup>7</sup>.

როგორც ვხედავთ, მკვლევლობისათვის დაწესებულია სისხლის

1 ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 208.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 1150—1152.

6 იქვე.

7 იქვე, გვ. 202, 209.



ფასი. გარდა ამ ფასისა, სამთავნელის სასარგებლოდ მკვლელი იხდის საკანონო-სისხლის შესამედს. ამ შემთხვევაში რასაც მკვლელი გადაიხდის (მას გადახდება სისხლის სრული ფასი), იმის გარდა, მან საკანონოც უნდა გადაიხადოს, ე. ი. სისხლის ფასის შესამედი არ უნდა შედიოდეს სისხლის ფასის ერთეულში. ეს იმას ნიშნავს, რომ მკვლელობისა და საერთოდ სისხლის სამართლის ზოგიერთი საქმე, საერო ხელისუფლების გარდა, ეკლესიასაც ექვემდებარება. ძეგლის ეს ნაწილი საინტერესოა, მაგრამ ეჭვს იწვევს ამ ადგილის საკვლევი ძეგლის ნაწილად მიჩნევა. მართლაც, როგორც აღვნიშნეთ (მე-4 პუნქტი), ძეგლში მკვლელობაზე ნათქვამია: კაცის მკვლელმა სამთავნელის სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს 5 ხარი, ხოლო მკვდრის პატრონის სასარგებლოდ — ერთი<sup>1</sup>. იგივე ძეგლი რატომ ეხება კვლავ მკვლელობას? ამასთანავე, თვით ძეგლში ნახსენებია მკვლელობისათვის 5 ხარის გადახდა, ხოლო დამატებაში — სისხლის ფასი; სისხლის ფასი კი ძეგლის არც ერთ პუნქტში ნახსენები არ არის. დამატებაში გვხვდება აგრეთვე ქსნის სოფლები საერთოდ, მაშინ, როდესაც ძეგლი მიძღვნილია მხოლოდ ცხრაზმის-კვეის სოფლებისადმი. ეს კი ერთი და იგივე არ არის. ამის გამო, ვერ დავეთანხმებით რედაქტორს, დამატების ამ ადგილზე მოთავსების შესახებ. ჩვენი აზრით, ამ დამატების ადგილი სხვაგან უნდა მოინახოს.

ძეგლი ფრიად საყურადღებო მასალას შეიცავს ქართული სისხლის სამართლის ისტორიის შესწავლისათვის. მასში სასჯელის სახეები ისე ფართოდ არ არის წარმოდგენილი, როგორც დანაშაულის. დანაშაულის სახეებიდან ძეგლი იცნობს: მკვლელობას, ქალის მოტაცებას, კუდიანობასა და მისნობას, კუდიანის დადაღვას, სიძვას, ნათესავთან ქორწინებას, პარვას, ანუ ქურდობას; მახვილის ამოღებას და სხვა სარწმუნოების წარმომადგენელთან ქართველის დაქორწინებას. ჩამოთვლილი დანაშაულის სახეები საერთო ხასიათისაა და შეეხება როგორც ეკლესიის მსახურს, ისე ერისკაცს. აგრეთვე არის ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენა მხოლოდ ეკლესიის მსახურს შეუძლია და ამდენად მას არა აქვს ზოგადი მნიშვნელობა; ასეთია: მღვდლის მიზეზით უზიარებლად კაცის სიკვდილი, ზოუნათლავად ბავშვის სიკვდილი, უკანონოდ ჯვარის დაწერა და სხვ. ჩამოთვლილია, წირვისათვის რა უნდა მისცენ ეკლესიის მსა-

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 1150—1152.

ხურს, ეკლესიის მსახურთა გარეშე (უწირავად და უანდერძოდ) ვინმეს დასაფლავება და სსე.

ძეგლში მოცემულია სასჯელის შემდეგი სახეები: ჩაქოლვა, ცხვირის მოჭრა, ე. ი. გახეიბრება და ჯარიმა.

ძეგლი ასახელებს საეკლესიო მოხელეებს: კათალიკოსს, ეპისკოპოსს, ქორეპისკოპოსს, მოძღვარს, მღვდელს, მთავარდიაკონს, სახარების დიაკონსა და კერძო დიაკონს<sup>1</sup>.

კათალიკოსი ეკლესიის მეთაური იყო, ეპისკოპოსს საინისკოპოსოს მრევლი ებარა. რაც შეეხება ქორეპისკოპოსს, საინტერესია იმ მხრივ, რომ აღრეფეოდალურ საქართველოში ქორეპისკოპოსი კახეთის სუვერენის სახით გვევლინება. ის მოხსენიებულია ეპისკოპოსის შემდეგ. ქორეპისკოპოსი ეპისკოპოსის მოადგილე უნდა იყოს.

მღვდელი, ანუ ხუცესი, მთავარდიაკონი და დიაკონი ძეგლში ზოდღერის შემდეგ არიან დასახელებულნი როგორც ეკლესიის დაბალი რანგის მსახურები. ძეგლში მოხსენიებულია აგრეთვე სახარების დიაკონი და კერძო დიაკონი. სახარების დიაკონი, ალბათ, მღვდელმსახურების დროს სახარებას კითხულობდა, ხოლო კერძო დიაკონის ფუნქციები ცნობილი არ არის.

როგორც ვხედავთ, ძეგლი მრავალმხრივ არის საყურადღებო. ის ცილდება ეკლესიის ფარგლებს და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად. მისი მოქმედება შემოიფარგლებოდა ქსნის საერისთაოთი; მართალია, ძეგლში მეფე დასახელებული არ არის, მაგრამ ამ ძეგლს თავის დროს მოქმედი კანონის მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მას იცავდა ერისთავი, რომელიც ამ კუთხის გამგებელი იყო.

ძეგლი პარტიკულარული ხასიათის არის, მაგრამ ასახავს მისი ეპოქის საქართველოს ვითარებას და ამ მხრივ, ის საშუალებას იძლევა შევისწავლოთ ქართული სამართლის ისტორია.

ძეგლი რამდენჯერმეა გამოცემული<sup>2</sup>.

1 ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 224, 228, 229.

2 თ. უორდანი ა. ქრონიკები, II, გვ. 272—277; ს. კაკაბაძე. საისტორიო კრებული, IV, 1929, გვ. 8, 15; ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 206, 209.

„მცნებაჲ სასჯულოჲ“ შემოკლებული სახელწოდებაა. ძეგლს სათაურად წამძღვარებული აქვს: „მცნებაჲ ეს სასჯულოჲ, ურწმუნოთა მომაქცეველი და მორწმუნეთა განმამტკიცებელი და განმამკნობელი, ყოველთა ქრისტიანეთათვის მოვლენილი ზეცისა ქალაქისა იერუსალიმისაგან და ცათა მობაძვისა ანტიოქიისა“<sup>1</sup>.

„მცნებაჲ სასჯულოჲ“ მიცემულია ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქის მიხაილის მიერ აფხაზეთის საკათალიკოსოსათვის, აფხაზეთის კათალიკოსად იოკიმეს დადგინების გამო (ასე აცხადებს ძეგლი თავისი თავის შესახებ); ანტიოქიის პატრიარქი მიხაილი გვაუწყებს, როცა ის მოვიდა საქართველოში (უფრო ზუსტად, დასავლეთ საქართველოში), მაშინ მეფედ ყოფილა ბაგრატი. მეფეს, დადიანს, გურიელს და სხვა დიდებულებს, ალბათ, ეკლესიის მესვეურებთან ერთად გამოურკვევიათ „ძუელით ვიდრე ახლამდე“, თუ როგორ ხდებოდა აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსის ხელდასხმა, რას ამბობენ ამის შესახებ „დავთრები, იადგრები“. როგორც ძეგლიდან ჩანს, ამ საკითხის თაობაზე იმ დასკვნამდე მისულან, რომ „ძუელით ვიდრე ახლამდე“ ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსის ხელდასხმა უნდა მოახდინოს პატრიარქმა, სწორედ ამიტომ ანტიოქიიდან საქართველოში ჩამოვიდა ანტიოქიის პატრიარქი მიხაილი, რომელსაც აფხაზეთის კათალიკოსად უნდა ეკურთხებია ცაიშელ-ბედიელი მთავარეპისკოპოსი იოაკიმე<sup>2</sup>.

ამ პერიოდში საქართველოს ერთიანობას საფუძველი ერყვოდა. დაქუცმაცების მომხრე მეფე-მთავრები სარგებლობდნენ უცხოქვეყნულ მღვდელმთავართა სტუმრობით (ასეთ სტუმრობას კი „ჩვენი ქვეყანა ჩვეული იყო“)<sup>3</sup>, რათა საქართველოს დანაწილება განეხორციელებიათ, ხოლო იერუსალიმელი ანტიოქელი პატრიარქები „ფულების დატყუების“ მიზნით, ცდილობდნენ „საქართველო თავისი მუდმივი შემოსავლის წყაროდ“ გაეხადათ. ამისათვის მოდიოდნენ საქართველოში და სიამოვნებითაც ეხმარებოდნენ ქართველ მეფე-მთავრებს დანაწილებისათვის ბრძოლაში<sup>4</sup>.

ქართულ წყაროებში პატრიარქი მიხაილი ეხებოდა ისეთ საკითხებს, რომლებიც ქართული ეკლესიის ანტიოქიის პატრიარქ-

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 221.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 222, 223.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 1115.

<sup>4</sup> იქვე.

თავან დამოკიდებულებას ადასტურებდნენ. მიხაილი „შეშლილ“ წესად აცხადებდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას; იგი „საქართველოს ეკლესიაზე ბატონობას“ ოცნებობდა<sup>1</sup>.

„მცნებად სასჯულოდ“ მიხედვით, საქართველოს ეკლესია დანაწილებულია და ამასთანავე, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მეთაური ანტიოქიის პატრიარქზეა დამოკიდებული, რამდენადაც აფხაზეთის კათალიკოსის ხელდასხმა ანტიოქიის პატრიარქის კომპეტენციაში შედიოდა. ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია საქართველოს პოლიტიკური დაშლით. იოაკიმე ბედიელ-ცაიშელი 1470—1474 წლებში აფხაზეთის კათალიკოსი გახდა<sup>2</sup>. ამასთან დაკავშირებით, ანტიოქიის პატრიარქს აფხაზეთის საკათალიკოსოს სამწყსოსადმი მიუმართავს „ქარტა-წერილით“<sup>3</sup>. სხვა ადგილას ამ მიმართვას ის „ქარტას“ უწოდებს<sup>4</sup>. ძეგლში აფხაზეთის საწყსო საზღვრები ასეა წარმოდგენილი: „ჭოროხსა აქათ, ოგეთსა აქათ, ზღუჲა პონტოს აქათ, სადაც დიდისა ბიჭუინთისა საზღვარი შიაწევს“<sup>5</sup>, ეს არის „ლიხთ ამერი, ოდიში, გურია, აფხაზეთი“<sup>6</sup>.

ძეგლი ეხება აგრეთვე ქართლის კათალიკოსს. ანტიოქიის პატრიარქი ძველთაგანვე პრეტენზიას აცხადებდა ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოების ანტიოქიის საყდართან დამოკიდებულებაზე, ეს გარემოება ძეგლშია ასახული<sup>7</sup>.

ძეგლში პატრიარქი მიხაილის წერილი წარმოადგენს აფხაზეთის კათალიკოსის კურთხევას, მისი საწყსოსადმი მიმართვას. კ. კეკელიძე ამ მიმართვის შესახებ წერს: „უეჭველია, პატრიარქი მიხაილი ამ „მცნებას“ ბერძნულ ენაზედ დაწერდა, მაგრამ, ვინაიდან ის, ალბათ, ქართულად გამოქვეყნდა, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, ქართველებისადმი უშუალოდ მიმართული, მას ჩვენ ვთვლით ქართულ საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლად“<sup>8</sup>; ძეგლში წერია კიდევ: „ესე ქარტა-წერილი თქუენთჳს (ქართველებისათვის, ი. ს.) აღწერე“<sup>9</sup>. „მცნებად სასჯულოდ“ რომ „ქართულ საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლად“ უნდა ჩაეთვალოთ, არაეი-

1 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 1115.

2 პ. კარბელაშვილი. საქართველოს ეკლესიის იერარქია, 1900, გვ. 205.

3 ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 223.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 223.

6 იქვე, გვ. 222.

7 კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 590.

8 იქვე, გვ. 539.

9 ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 223.

თარ ეჭვს არ იწვევს; ამასთან ძეგლი, როგორც ქართველებისადმი მიმართვა-წერილი, ქართულად იქნებოდა გამოქვეყნებული, რადგან შინაარსით ქართულ სინამდვილეს ასახავს. კ. კეკელიძის მოსაზრება, „უეჭველია“ ამ წერილს მიხაილი „ბერძნულ ენაზედ დაწერდა“, მართებულად არ მიგვაჩნია. ჯერ ერთი, წერილში მოთხრობილია, რომ ქართველი მეფე და დიდებულები შეიკრიბნენ, ალბათ, ქართული ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთად და განიხილეს ქართველი კათალიკოსის კურთხევის საკითხი; მონახეს საბუთები, შეისწავლეს ეს საქმე და დაამტკიცეს, რომ აფხაზეთისა და ქართლის ეპისკოპოსი ანტიოქიის პატრიარქს უნდა ეკურთხებია, ჟამთავეითარებაში „სოფლისა სივერაგეთაგან იყუნეს მრავალნი წესნი შეშლით და გარდაქცევით“ მოღწეულნი, ე. ი. ანტიოქიის პატრიარქის მიერ საქართველოში კათალიკოსების კურთხევის წესი ყოველთვის არ სრულდებოდა. მიმართვაში წერია: „ენახეთ და შევემთხვენ მადლსა, ვითარცა მეუფისა“ და ვაკურთხეთ აფხაზეთის კათალიკოსად ცაიშელ-ბედიელი მთავარეპისკოპოსი იოკიმე<sup>1</sup>. დავთართა და იადგართა შესწავლაში მონაწილეობა მიუღია მიხაილს. ეს საბუთები, რასაკვირველია, ქართულად იყო დაწერილი. მიხაილს ექნებოდა თავისი დოკუმენტები ბერძნულ ენაზე, რომელსაც ქართველთა კრებულს გააცნობდა. ყველა ამის შესახებ მიხაილი წერს: „ენახეთ“, ე. ი. ამ განხილვაში სხვასთან ერთად თვითონაც არის მონაწილე. ბერძნულ საბუთებს გადაუთარგმნიდნენ ქართველებს, ხოლო პატრიარქს ქართულ საბუთებს ბერძნულად.

როგორც აღვნიშნეთ, ძეგლის შინაარსი ქართულ სინამდვილეს ნიშანდობლივად ასახავს. ეს შეეხება სოციალურ წყობილებას, ამ წყობილების ამსახველ ტერმინებს, გეოგრაფიულ სახელებს, დანაშაულთა ზოგიერთ სახეს და სხვ. ამასთანავე, წერილი იმდენად დიბეჯითებით უტრიალებს აფხაზთა კათალიკოსის ხელისუფლებას, მის ყოველმხრივ განმტკიცებას, ისე დაჟინებით იხილავს ამასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომ ძალაუნებურად გვაფიქრებინებს მისი შემდგენლის ქართველობას და კათალიკოსის მომხრეობას. ძეგლის შემდგენელი, როგორც ჩანს, ქართველი სამღვდლოების წარმომადგენელია — საეკლესიო იერარქი, რომელიც კათალიკოსის კურთხევასთან დაკავშირებით მოწვეული კრების მდივნის ერთგვარი მოვალეობის შემსრულებელია.

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, 1951, გვ. 222.

წერილში აღნიშნულია, აფხაზეთის საკათალიკოსოს სამწყსო „ქრისტეანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს“, და ამიტომ ახალი კათალიკოსი „მარჯუნა იერუსალიმისა“ ვაკურთხეთ, რომ გამოასწოროს ეს საქმე; „აწ გამოენახენით ძუელნი შრომანი, წერია მიმართვაში, წმიდათა ნიკელთა მამათაგანი და, ვითარცა სათნოდ არს სჯული ღმრთისა, ეგრეთ მორჩილ ექმენით“ ახალ კათალიკოსს იოკაემესო<sup>1</sup>. პატრიარქის ამ მიმართვაში ყურადღებას იქცევს ძველი შრომების გამონახვა. „ძველი შრომანი ნიკელთა მამათაგანი“ შეიძლება სწორედ პატრიარქ მიხაილის მიერ იყო მონახული და მითითებული. ამ მხრივ, როგორც ვხედავთ, პატრიარქს წერილის შედგენაში თავისი წვლილი შეუტანია. გარდა ამისა, ძეგლის ყოველი ადგილი პატრიარქთან მსჯელობის საგანი იქნებოდა. შესაძლებელია, პატრიარქმა საერთო მიმართულება მისცა წერილის აღნაგობას, ასეთი მიმართვების ნიმუშები მას ექნებოდა; წერილის ის ნაწილი, რომელიც ლოცვა-კურთხევასა და წყევლა-კრულვას შეეხება, ალბათ მიხაილის მითითებით ჩაურთეს. წერილს მთლიანად ბერძნულად გადაუთარგმნიდნენ და ქართულ ტექსტთან ერთად მიხაილი წაიღებდა. სავარაუდოა, რომ წერილი იმთავითვე ორივე ენაზე ერთდროულად იწერებოდა.

წერილი ძირითადად იქეთ არის შიმართული, რომ შთაუწერგოს სამწყსოს კათალიკოს იოაკინესადმი პატივისცემა, მორჩილება; ეხება აგრეთვე ქართველი კათალიკოსის ფუნქციებს. პირველ ყოვლისა, კათალიკოსი ეპისკოპოსობის ხელდასხმას აწარმოებს, მას ეკითხება საეკლესიო მსახურების განწესება, მათი თვალყურის დევნება და სხვ<sup>2</sup>.

ძეგლი მრავალმხრივ არის საყურადღებო.

1) პირველ ყოვლისა, ძეგლში ჩანს იმის ცდა, რომ საეკლესიო ხელისუფლება წინ დააყენოს. წერილი მოწოდებაა იმისა, რომ „კათალიკოსის სიტყვასა და ბრძანებას დაემორჩილონ“: მეფე, თავადი, დიდებული, აზნაური და სხვ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაწყევლილი იქნებიან<sup>3</sup>.

2) ძეგლი საყურადღებოა აგრეთვე იმით, რომ მაშინდელი სა-

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 222.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 222, 230, 231, 232.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 231, 220—229.

ზოგადობის სოციალური ფენებია დასახელებული: მეფე, თავადი, აზნაური და აზნაურისშვილი, მსახური და გლეხი<sup>1</sup>.

ქეგლის სხვა ადგილას კვლავ ჩამოთვლილია: მეფე, თავადი, დიდებული, აზნაური<sup>2</sup>. ხოლო მესამე ადგილზე დასახელებულია: მეფე, თავადი, აზნაური, აზნაურისშვილი, მსახური და გლეხი<sup>3</sup>. პირველი და მესამე ჩამოთვლა ზუსტად ერთი და იგივეა, ხოლო მეორე ცოტათი განსხვავებულია: „თავადის“ შემდეგ „დიდებული“ ჩართული. გაერთიანების ხანაში დიდებული მოხელეობასთან იყო დაკავშირებული, დიდებული აზნაურნი აზნაურთა განსაკუთრებულ წრეს, მაღალ წრეს შეადგენდა<sup>4</sup>. ქეგლის მიხედვით, თავადობა უკვე წარმოშობილია, რაც გაერთიანების ხანაში არ არსებობდა. არ ჩანს, თუ რა დამოკიდებულებაა თავადსა და დიდებულს შორის. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, ქართლში ნ დიდებული იყო და დიდებულად ითვლებოდა მსხვილი საფეოდალოს მეთაური. მაგალითად, არაგვის საერისთავოში — მხოლოდ არაგვის ერისთავი. ქეგლში კი, როგორც ვნახეთ, თავადის შემდეგ წერია დიდებული, ხოლო შემდეგ აზნაური. თავადი გაერთიანების ხანის მომდევნო პერიოდში წარმოიშვა; ტექსტის მიხედვით არ ჩანს, თავადი ან აზნაური დიდებული შეიძლება ყოფილიყო, თუ არა. ამის მიუხედავად, დიდებული, ვახტანგის სამართლის წიგნის ანალოგიით თავადი იყო, დიდი სათავადოს მეთაური.

ქეგლში თითქოს ყანა დაპირისპირებულია მამულთან: „... უნაყოფომცა არს ყანა, სათესვი არა არს თესლისა გამომღებელ, მამული მისი უნაყოფომცა და ნუ შეიკრებს მისგან ნაყოფსა“<sup>5</sup>. ყანაში თესლს თესავდნენ, ხოლო მამულში შეკრებდნენ ნაყოფს, მამულს დახვნა და დათესვა არ სჭირდებოდა. ეს განსხვავება სავსებით ნათლად არის მოცემული ქეგლში, მაგრამ საკითხი მდგომარეობს შემდეგში: მამულში შედიოდა სოფლები, სადაც ყანებიც იყო და ბაღ-ბოსტნებიც. გამოდის, რომ „მამულს“ ორგვარი მნიშვნელობა ჰქონია: მამული ვიწრო მნიშვნელობით შეიცავდა ხეხილის ბაღს, ვენახს, ბოსტანს და სხვ. ამ გაგებით „მამულში“ არ შედიოდა ყანა. მამული ფართო მნიშვნელობით ეწოდებოდა უძრავ

1 ქართული სამართლის ქეგლები, III, 1970, გვ. 224.

2 ი ქ ვ ე, გვ. 231.

3 ი ქ ვ ე, გვ. 232.

4 ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. 11, 1928, გვ. 40—47.

5 ქართული სამართლის ქეგლები, III, 1970, გვ. 232.

ქონებას, რომელშიც, ბაღებისა და ვენახების გარდა, ყანებიც შედიოდა. საყოლს, ცხენს, ძროხას და სხვას ძეგლში „საცხოვარი“ ეწოდება<sup>1</sup>. საყოლის გარდა, ოჯახს შეიძლება ჰქონოდა სულიერი და უსულო საგნები, ყველაფერ ამას, ერთად აღებულს, ძეგლი ეწოდებს „სახლს“<sup>2</sup>.

მონასტრის ქონებაში, ძეგლის მიხედვით შედის: „გლეხი მოსახლე“, საჭურჭლე, ჯოგი და სხვ<sup>3</sup>.

ძეგლში გვხვდება მოურავი მოხელეთა შორის. მოურავი მმართველობის ადგილობრივი აპარატის მოხელეა. მოურავი „სელმწიფის კარის გარიგებაში“ დამოწმებულია, უფრო ადრინდელ ძეგლებში კი ეს სახელო არ ჩანს.

XVII—XVIII საუკუნეებში მოურავს ჰყოფდნენ: ქალაქის მოურავად და სოფლის მოურავად. პირველი ქალაქის დიდი მოხელეა; მაგალითად, გიორგი სააკაძე XVII საუკუნის დასაწყისში თბილისის მოურავი იყო, ამავე დროს მას ამირთამირადაც იხსენიებდნენ; გაერთიანების ხანაში ქალაქის გამგებელს ამირთამირას ეწოდებდნენ.

სოფლის მოურავი სოფლის გამგებელი იყო. მეფეს, დედოფალს, უფლისწულებს, კათალიკოსსა და მსხვილ ფეოდალებს სოფლებში, თავიანთ მამულებში მოურავები ჰყავდათ<sup>4</sup>.

ძეგლში მოურავი ადგილობრივი, სოფლის მოხელე უნდა იყოს.

ერთ ადგილას მოურავი მოხელეთა და ხელისუფალთა შორის არის დასახელებული, ხოლო მეორე ადგილას წერია: „ვინცა და რამანცა კაცმან მონასტერთა და საყდართა მამული მოიგოს, იურგოს, ანუ ვინ მოურავად და მოსაქმედ შემოვიდეს“ დაწყვედილ იქნესო<sup>5</sup>.

აქ თითქოს ორი პირობაა მოცემული: 1) როცა მონასტერს მამულს ართმევენ და 2) როცა მონასტრის მამულში მეფის ან რომელიმე მსხვილი ფეოდალის შოურავი ან მოსაქმე შევა, მონასტრის შეუვალობას დაარღვევს, გადასახადს გააწერს და სხვ.

1 ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 232.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 230.

4 ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოს სამართლის ისტორიისათვის, 1, 1952, გვ. 394, 407, 424, 433, ქართული სამართლის ძეგლები. ივ. სურგულაძის რედ., 1970, იხ. ლექსიკონებში „მოურავი“; И. И. Сургуладзе. История государства и права Грузии, 1968, с. 88.

5 ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 229.



„მოსაქმე“, საერთოდ, იგივე მოხელეა, მხოლოდ დაბალი რანგისა და აღმასრულებელი ფუნქციების მქონე<sup>1</sup>.

3) ვხვდებით საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების მხრივ მრავალ საინტერესო ტერმინებს, ინსტიტუტებს.

ძეგლს, როგორც საეკლესიო შინაარსის ნაწარმოებს, ახასიათებს ზოგადი შინაარსის დეკლარაციული წინადადებანი. მაგალითად, ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულთა მიერ „ობოლთა და ქურიეთა, გლახაკთა და დავრდომილთა“ შეწყალება და შემწეობის აღმოჩენა<sup>2</sup>.

ძეგლის მიხედვით, ღმერთი არის მოსამართლე, ე. ი. ყოველი მორწმუნის მოქმედების გამრჩევი და გამკითხავი<sup>3</sup>.

„თანამზრახველი“ ძეგლში თანამონაწილეს ნიშნავს<sup>4</sup>.

გეოგრაფიული ცნებების სახით ძეგლში დასახელებულია: „თემნი, ქალაქნი და ქუეყანანი“<sup>5</sup>; ამ შემთხვევაში თემი სოფელს უნდა ნიშნავდეს.

როგორც აღვნიშნეთ, ძეგლში ჩამოთვლილია: მეფე, თავადი, დიდებული, აზნაური; მაგრამ ამ ჩამოთვლას აქვს გაგრძელება, სადაც წერია: „მოკელეთა, მოურაეთა, კელისუფალთა, დიდთა და მცირეთა, მდიდართა და გლახაკთა“ შესახებ<sup>6</sup>. მეორე ადგილას: „გინა მამათა, გინა დედათა, გინა დიდთა, გინა მცირეთა“<sup>7</sup>. მესამე ადგილას: „მოკელენი, კელისუფალნი, დიდნი გინა მცირენი“<sup>8</sup>.

„ხელი“ უფლებას ნიშნავდა. აქედან არის ნაწარმოები მოხელე, მეფის ბრძანებისა და კანონის აღმასრულებელი<sup>9</sup>. მოხელე იყო თანამდებობის პირი, სახელოს მქონებელი. მოხელეს ხელოსანსაც ეძახდნენ<sup>10</sup>.

სელისუფალნიც იყვნენ დიდნი და მცირენი, სწორედ ეს არის

1 ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952, გვ. 157.

2 ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1970, გვ. 226.

3 იქვე, გვ. 227.

4 იქვე.

5 იქვე.

6 იქვე, გვ. 229.

7 იქვე, გვ. 231.

8 იქვე, გვ. 232.

9 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, 1928, გვ. 108.

10 იქვე.

ასახული ძეგლში. დიდი მოხელე შეიძლება ყოფილიყო როგორც ცენტრში (ვეზირი), ისე ადგილზე (ერისთავი).

ამგვარად, თანამდებობის პირს, ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით, ეწოდებოდა მოხელე, ხოლო იმ მოვალეობას, რომელსაც ის ასრულებდა — სახელო<sup>1</sup>.

ძეგლში ორ ადგილას არის ნახმარი — მოხელენი და ხელისუფალნი, მაგრამ ძეგლის კონტექსტიდან არ ჩანს, თუ ისინი ერთმანეთისაგან რით განსხვავდებიან. ამას მოსდევს სიტყვები: „დიდნი და მცირენი“. ეს იმას ნიშნავს, რომ მოხელე, ანუ ხელისუფალი შეიძლება დიდიც იყოს და მცირეც.

„მამული“ მამისეულისაგან არის წარმომდგარი და ნიშნავს მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ ქონებას<sup>2</sup>. მამული აქ მონასტრის მიწა-ადგილებია, რომელიც მონასტერს უყილია.

4) ქართული სამართლის ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ძეგლის ის ადგილები, რომლებიც სიღმის სამართალს შეეხება. ძეგლში მოცემულ მთელ რიგ დანაშაულობაზე სასჯელად გათვალისწინებულია წყევლა-კრულვა.

შეეჩერდებით დანაშაულის ისეთ სახეზე, რომელსაც ზოგადი, საერთო შინაარსი აქვს.

ა) პატრონის ღალატი ან ორგულება; არ ჩანს კონკრეტულად „პატრონის“ სახით თუ ვის გულისხმობს, რადგანაც ძეგლი საკათალიკოსო სამწყსოს შეეხება, ამიტომ საფიქრებელია, რომ აქ პატრონად კათალიკოსია მხედველობაში.

ბ) ძეგლი ეხება „უხუედრო ცოლის შერთვას“, ე. ი. ნათესავის შერთვას, რაც აკრძალულია. უხუედრო აქ ნიშნავს „უწესოს“. დანაშაულია აგრეთვე ხუცესის, დიაკონის ან მთავარდიაკონის, ანუ „სწავლული კაცისა ცოლსა თანა“ შეცოდება, საწოლის შეგინება<sup>3</sup>.

ამ მუხლის მიხედვით, აკრძალულად ითვლება, ერთი მხრივ, ნათესავის შერთვა და მეორე მხრივ, საეკლესიო მსახურთა ცოლის შეცდენა, ე. ი. სქესობრივი ურთიერთობა ხსენებულ მსახურთა ცოლებთან. მრუშობა კმრიან ქალთან საწოლის შეგინებად ითვლებოდა<sup>4</sup>. აქ ეკლესიის მსახურთა ცოლებია მხედველობაში. მაგრამ

1 ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952, გვ. 158—162.

2 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, 1929, გვ. 393—390.

3 ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 225.

4 ი ქ ვ ე.

აღნიშნული დანაშაულის ასეთ დახასიათებას ზოგადი მნიშვნელობა აქვს და ის, საერთოდ, ქმრიან ქალთან მრუშობას შეეხება.

ძეგლში ნათქვამია: „სწავლული კაცის ცოლი“. ვინ არის ის? მოძღვარი სწავლულ კაცად ითვლებოდა. თუ მოძღვარს ცოლის შერთვის უფლება ჰქონდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში სწავლული კაცის სახით ძეგლში მოძღვარია მხედველობაში, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია, საერთოდ, კი საკითხი „სწავლული კაცის“ შესახებ გამოსარკვევია.

ძეგლის სხვა ადგილას სხვა ვარიანტით განმეორებულია „უხუედრო“, ე. ი. უწესო, უკანონო ქორწინება ნათესავთან (ძეგლში ორივე ადგილას ნახმარია სიტყვები: „სუნასა“ და „მეყვისა“. „სუნასა“ მონათვლასთან უნდა იყოს დაკავშირებული, ხოლო „მეყვისი“ ნათესავია და დასახელებულია კიდევ: ძმის ცოლი, ბიძის ცოლი (მუხ. 9)<sup>1</sup>.

იგივე დანაშაული განმეორებულია მესამედ (ძეგლის სხვა ადგილას): არ შეიძლება ორცოლიანობა, აკრძალულია მამა-შვილმა დედა-შვილი შეირთოს, ორმა ძმამ — ორი და, სიდედრი ან ნათესავი, ან რძალი, ან დობილი, ან დედობილი<sup>2</sup>. აქაც, ისე როგორც ორ ზემოსსენებულ შემთხვევაში, როცა ლაპარაკია ნათესავთან ქორწინების უკანონობაზე, ნახმარია ტერმინები „უხუედრო“, ე. ი. უკანონო და მეყვისი“, ე. ი. ნათესავი<sup>3</sup>.

„უხუედრი“ ცოლის შემრთავი ვალდებული იყო, კათალიკოსის ბრძანების თანახმად, გაყროდა „უხუედრ“ ცოლს, რადგანაც „უხუედრი“ ქორწინება „შეუნდობლად“, ე. ი. შეუწყნარებლად, მიუღებლად ითვლებოდა<sup>4</sup>.

გ) ძეგლში ნახსენებია ეკლესიის მსახურთა სარწმუნოებრივი და ზნეობრივი მოვალეობა; ჯერ ეპისკოპოსის თაობაზეა საუბარი, შემდეგ ქორეპისკოპოსის, შემდეგ მოძღვრისა და მღვდლის შესახებ<sup>5</sup>. მღვდელმა უნდა დაიცვას თავი „სიძვისაგან, ტაცებისაგან, სიხარბისაგან, დიდი სიცილისაგან, მთურალობისაგან და გარდარევისაგან, რომელ არ ჯერ-არს მოწესეთაგან“<sup>6</sup>.

რაც შეეხება „ტაცებას“, სხვისი ნივთის, ქონების მოტაცებას-

1 ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 230.

2 იქვე, გვ. 231.

3 იქვე, გვ. 230.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 228—229.

6 იქვე.

თან არის დაკავშირებული, რომელიც დანაშაულია. „დიდი სიცილი“, რასაკვირველია, დანაშაული არ არის, მაგრამ მღვდელს არ შეეფერება გადაჭარბებული მხიარულება. აგრეთვე სიხარბეც შეუფერებელია ეკლესიის მსახურისათვის. „მითურალობა და გარდარევა“, ძველის მიხედვით, საერთოდ ნოწესეს არ შეეფერება. ძველი ესება სიმთვრალეს და მისგან გამოწვეულ „გარდარევას“. სიმთვრალე და „გარდარევა“ თავის მხრივ საფუძველია თავაწყვეტილი ნოქმედებისა. საფიქრებელია, რომ ძველში სიმთვრალე და „გარდარევა“ შემთხვევით არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. სავარაუდოა, რომ ძველის შემდგენელთ ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვთ ხულიგნობის მსგავსი მოქმედება. მღვდელთან დაკავშირებით სიმთვრალე და ზოგიერთი სხვა დანაშაული გვხვდება სხვა ძველებშიც: „უკეთუ ვინმე სამღვდლო კაცი უწესოდ იქცეოდეს, ანუ ნაყროვანებისათა, ანუ მივრალობითა და სხვითა რომელთაზე“ — მღვდლობა ჩამოერთვასო. სიმთვრალე გათანაბრებულია ბოროტებასთან (ძველი 1777 წლისაა)<sup>1</sup>.

ანტონ II 1792 წლის წერილში წერდა: თუ მღვდელი „უგუნოდ“ იქცეოდეს, „იქმს სიმთვრალესა ანუ სიცრუესა ანუ მძარცუელობასა და მტაცებლობასა“, ან, საერთოდ, რაიმე „უწესობას“, საჭიროა მისი გადაყენება<sup>2</sup>.

დანაშაულის სახეებად დასახელებულია მძარცველობა და მტაცებლობა. ამასთან ერთად, მოხსენებულია სიცრუე, რომელიც ძველის მიხედვით, მღვდელს არ შეეფერება.

ღ) ხუცესმა ე. ი. მღვდელმა სხვა დიაკონან არ უნდა იმრუშოს. ამასთანავე, მასვე ეკრძალება მხევალთან მრუშობა<sup>3</sup>.

ე) ძველში ტერმინი ქრთამი ორჯერ არის ნახსენები:

1) სარწმუნოების საწინააღმდეგო საქმის გაკეთება ან მოყვრობით, ან ქრთამით, ან შეხვეწებით.

2) მონასტრის შევიწროება ან თავის, ან სხვის სასარგებლოდ, მტერობით, „გინა ქრთამის აღებისათს“<sup>4</sup>.

ქრთამი ორივე შემთხვევაში დანაშაულია.

მონასტერთა და საყდართა მამულის „მოგება“, ე. ი. მითვის-

1 ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 915.

2 იქვე, გვ. 1011.

3 იქვე, გვ. 231.

4 იქვე, გვ. 230.

სება ან მონასტრის შევიწროება, ძეგლის სხვა ადგილსაც არის ნახსენები<sup>1</sup>. მითვისებას ძეგლი დანაშაულად თვლის<sup>2</sup>.

3) მძიმე დანაშაულად არის ძეგლში მიჩნეული ძმისა და დის მკვლელობა<sup>3</sup>. დის მკვლელობაზე ნათქვამია: „ანუ თუსი და ანუ სხუად მოკლას, კრულ, წყეულ და შეჩუენებულმცა არს“<sup>4</sup>. წინა წინადადება ძმის მკვლელობას ეხება, ამიტომ მოყვანილ ციტატაში „და“ უნდა იგულისხმებოდეს არა კავშირი, არამედ და, თუმცა წინადადება აღნაგობის მხრივ ბუნდოვანია: გამოდის, რომ დის მკვლელობა ისეთივე დანაშაულია, როგორც საერთოდ („ან სხუად“) მკვლელობა. თუ ამ წინადადებაში ქალის მკვლელობა იგულისხმება, მაშინ რაღა საჭირო იყო დის მკვლელობის მოხსენიება. ამგვარად, ამ წინადადების შინაარსი გაურკვეველია.

ზ) ძეგლში გვხვდება წინადადება: „და თუ არ ღმრთისა უარისმყოფელნი ხართ, მეკობრესა ხუცესსა მოარჩობდით“<sup>5</sup>. გიორგი III-ის სიგელში მოხსენიებულია მპარავთმძებნელობის დაწესებულება, რომლის დანიშნულებას შეადგენდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გამოძიება და აღმნიშვნელების დასჯა. უფრო გვიან სვიმონ მეფის სიგელში ნახსენებია მეკობრისმძებნელი, რაც იგივე მპარავთმძებნელია, კიდევ უფრო გვიან, ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“ ხევისთავი იმავე ფუნქციებს ასრულებდა, რასაც მპარავთმძებნელი და მეკობრისმძებნელი. მაშასადამე, საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში საკუთრების უფლების დაცვას დიდი ყურადღება ექცეოდა გაბატონებული კლასისა და მისი სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ: XII საუკუნის მპარავთმძებნელი, XVI საუკუნის მეკობრისმძებნელი და XVIII საუკუნის ხევისთავი, თავიანთი ეპოქის შესაბამისად სხვადასხვა ხერხით ერთსა და იმავე მიზანს, საკუთრების უფლების დაცვას ემსახურებოდნენ. ტერმინი „პარვა“ უფრო ძველია, ვიდრე „მეკობრობა“, მაგრამ ისინი პარალელურადაც იხმარებოდნენ. „პარვას“ ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და ის, გარდა სხვისი ნივთის მითვისებისა, აშკარად მოტაცებასაც ნიშნავდა. XIX საუკუნეებში „მეკობრობა“ უფრო ყაჩაღობის აღმნიშვნელი ტერმინი იყო, ხოლო სვიმონ მეფის სიგელში (XVI ს.) „მეკობრობა“ და „პარვა“ ერთი და იგივეა. ეს

1 ქართული სამართლის ძეგლები, 111, 1970 გვ. 229.

2 იქვე, გვ. 229, 224.

3 იქვე, გვ. 225.

4 იქვე.

5 ქართული სამართლის ისტორია, 111, 1970, გვ. 231.

საკითხი სხვა შრომებში გვაქვს განხილული<sup>1</sup>. ზემოთ მოყვანილი ციტატის მიხედვით, გამოდის, რომ მეკობრეთა ხუცეოს, ე. ი. მეთაურს, თუ მეკობრობას დაუმტკიცებდნენ, ის უნდა „მოერჩოთ“, ე. ი. სიკვდილით დაესაჯათ<sup>2</sup>. ეს ადგილი იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ სასჯელის ასეთი სახე, საერთოდ, უცნობია ქართული კანონმდებლობისათვის, თუ არ ვცდებით, ეს პირველი და ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც „მორჩობა“ სასჯელის სახედ არის დასახელებული. გაუგებარია, თუ ვინ უნდა შეასრულოს ეს სასჯელი: ალბათ, საერო ხელისუფლებამ<sup>3</sup>.

ქართულ სამართალში სიკვდილით დასჯას შემდეგნაირად გამოთქვამდნენ: სიკვდილის მიცემა, ძელსა ზედა ჩამორჩობა, ძელსა ზედა დამოკიდება, ჩამორჩობა, კლდიდგან გადმოგდება, თავის მოკვეთა, მოშთობა. კლდიდან გადაგდება და მოშთობა მონღოლთა ბატონობის ხანაში იხსენიება ჟამთააღმწერელის მიერ. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართული სამართლით სასჯელად თავის მოკვეთა და ჩამორჩობა სცოდნიათ<sup>4</sup>. შესაძლებელია, ჩვენი ძეგლის „მორჩობა“, ისე როგორც ჟამთააღმწერლის „მოშთობა“ (ტერმინები ერთი და იგივე შინაარსის არის) მონღოლების ბატონობის ხანაშია შემოღებული: ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, სიკვდილით დასჯის ზოგიერთი სახე, მაგალითად, თავის მოკვეთა, საქართველოში მონღოლებამდე არც არსებობდა<sup>5</sup>; ასევე ითქმის მოშთობა-მორჩობის შესახებაც. ფაქტია, რომ „მორჩობა“, როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახე, გვხვდება ამჟამად ჩვენთვის საკვლევ ძეგლში და ასეთი სასჯელი მართლაც ყოფილა მაშინდელ საქართველოში. ახლა შევჩერდეთ ტექსტის მეორეგვარ გაგებაზე. ძეგლში წერია: „... მეკობრესა ხუცესსა მოარჩობდით“<sup>6</sup>. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს ეხება მეკობრეთა უფროსს<sup>7</sup>. მართებულია, რომ მეკობრეების უფროსს,

1 ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე. ქართული სამართლის ისტორიის მნიშვნელოვანი ძეგლი (საქ. სსრ მეცნიერ. აკად. საზ. მეცნ. ჯანყ. „მოამბე“), ტ. 1, 1960.

2 ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე. ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1965, გვ. 45, 56; საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, I, 1952, გვ. 339, 345; ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 696, 698.

3 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 113.

4 ი ქ ე ე, გვ. 520—524.

5 ი ქ ე ე, გვ. 521.

6 ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 225.

7 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 113.

ხელმძღვანელს სასტიკი სასჯელი დაედევას. მაგრამ ეს ადგილი სხვაგვარადაც შეიძლება გავიგოთ. ძველი საეკლესიო შინაარსისაა, ენება ეკლესიის მსახურებს და მათ შორის ხუცესსაც<sup>1</sup>. სავარაუდოა, ამ შემთხვევაში სწორედ ხუცესი, საეკლესიო მსახურია ნაგულისხმევი. წინადადებიდან ჩანს: ის ხუცესი, რომელიც მეკობრეობას ეწევა, „მორჩობის“ ღირსია. ხოლო ხუცესისადმი ასეთი სისასტიკე გასაგებია; ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, ხუცესი ღმერთსა და ეკლესიას უნდა ემსახურებოდეს. თუ მეკობრეთა მეთაურია ნაგულისხმევი, მაშინ „მეკობარზეც“ უნდა ყოფილიყო რაიმე თქმული.

როგორც აღვნიშნეთ, „პარვა“ და „მეკობრობა“ შინაარსით ერთი და იგივეა. თუ ეს ასეა, მაშინ წარმოუდგენელია, ერთ შემთხვევაში „პარვა“ კათალიკოსის საკანონოს იწვევდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში „მორჩობას“, ე. ი. სიკვდილით სასჯელს; ან ტექსტია გაუგებარი, ან შესაძლებელია, „პარვასა“ და „მეკობრობას“ ერთნაირი შინაარსი არ ჰქონდა, ე. ი. „იპაროს“ აქ იმ აზრით არის ნახმარი, რომ იგულისხმება მღვდლის მიერ ქორწინების არაკანონიერების მიზეზის დაფარვა და დაშალვა („იპაროს“).

როგორც ვხედავთ, ძველი ფრიად საყურადღებოა ქართული სამართლის ისტორიისათვის. იგი სამჯერ არის გამოცემული<sup>2</sup>.

### კათალიკოზთა სამართალი (1543—1549 წწ.)

ამ ძველის დათარიღების საკითხს მრავალი მკვლევარი შეესო. თელიძენი, რომ იგი შედგენილია XVII ან XVI საუკუნეში<sup>3</sup>. კ. კეკელიძის გამოკვლევით, ძველი შედგენილია 1543—1549 წლებში<sup>4</sup>. ეს თარიღი სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს<sup>5</sup>.

ძველი შედგენილია ქართლის კათალიკოსის მალაქიასა და აფხაზეთის კათალიკოსის ევდომონის მიერ; ამასთანავე, კათალიკო-

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 229.

<sup>2</sup> თ. ჟორდანიას ქრონიკები, II, გვ. 294—297; ს. კაკაბაძე. მცნება სარჯულო, 1913; ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 221—233.

<sup>3</sup> ვახუშტი. ქართლის ცხოვრება, წ. II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, 1851, გვ. 196. П. Иоселиани. Краткая история грузинской церкви, 1843, с. 117;

თ. ჟორდანიას ქრონიკები, II, 1917, გვ. 375; ს. კაკაბაძე. სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო, 1913.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 542.

<sup>5</sup> ივ. ჯაქაძის შვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 51; ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 605

სებთან ერთად, როგორც ეს ძეგლის შესავალშია აღნიშნული, შეკრებილნი ყოფილან „ყოველნი ებისკოპოსნი აფხაზეთისანი“<sup>1</sup>.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში ამ ძეგლს ეწოდება „წმიდათა და მართლმადიდებელთა ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოზთა და ღირსთა ეფისკოპოსთაგან გაწესებული სამართალი“<sup>2</sup>. ასეთი სათაური იქნებოდა სრული და შინაარსისადმი საესებით შესაბამისი. ი. დოლიძე ამოკლებს ამ სათაურს „კათალიკოზთა სამართალი“<sup>3</sup>. ძეგლი შედგენილია დასავლეთ საქართველოში და ამ მხარისათვის არის განკუთვნილი.

ძეგლის შესავალში აღნიშნულია მისი შედგენის მიზეზი/ „... ცოდვათა ჩუენთაგან, მრავალი უწესობა და უჯვარო საქმე შემოვიდა: კაცის კლვა, კაცის სყიდვა, ეკლესიის კრეხვა და უხვედრობა“<sup>4</sup>, ე. ი. კრების მოწვევის მიზეზი ყოფილა დასავლეთ საქართველოში შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობა, რომლის გამო საჭიროდ უცენიათ საგანგებო ზომების მიღება, რისათვისაც შეკრებილან და შეუდგენიათ კანონები — „კათალიკოზთა სამართლის“ სახით.

ამ პერიოდში საქართველო პოლიტიკურად დანაწილებულია, მაგრამ ამ კრებას, ქართლის კათალიკოსიც დასწრებიან. ფეოდალიზმის განვითარების თავისებურება საქართველოში ის იყო, რომ მთელმა რიგმა შინაგანმა და გარეგანმა ფაქტორებმა სელი შეუშალა ერთიან ქართულ სახელმწიფოს განვითარებას, მაგრამ ერთიანობისათვის ბრძოლა საქართველოში არასოდეს შეწყვეტილა. ის მიზეზები, რომლებმაც განაპირობა დასავლეთ საქართველოში ეკლესიის მესვეურთა კრების მოწვევა და კანონების მიღება, აღმოსავლეთ საქართველოშიც არსებობდა. ამიტომ ვხედავთ ამ კრებაზე აღმოსავლეთ საქართველოდან კათალიკოს მალაქიას.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, კათალიკოსთა სამართლის მოქმედების ასპარეზი დასავლეთ საქართველოთი შემოიფარგლება, მაგრამ რადგანაც გურიის ეპისკოპოსი არ მონაწილეობდა კათალიკოსთა სამართლის შედგენაში, ამიტომ გურიაში ეს სამართალი არ მოქმედებდა<sup>5</sup>.

„კათალიკოზთა სამართლის“ შესავალში წერია: „დაეიდევით

1 ქართული სამართლის ძეგლები, III, 1963, გვ. 393.

2 იქვე, გვ. 100.

3 იქვე, გვ. 606.

4 იქვე, გვ. 393.

5 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 57.



სჯულის კანონი და ჩუენცა იმისგან გაღმოვიღეთ; და რაც იმისაგან არ გაღმოვიღეთ, ჩვენ ჩუენი მაგიერი არა შეეგმატებია რა დასჯულის კანონიცა ასრე ბრძანებს“<sup>1</sup>.

დ. ბაქრაძის აზრით, ეს „სჯული“ უნდა იყოს ექვთიმე მთაწმიდელის მიერ ნათარგმნი „მცირე სჯულისკანონი“<sup>2</sup>; კ. კეკელიძე არ ეთანხმება დ. ბაქრაძეს და ამტკიცებს, რომ „კათალიკოზთა სამართლის“ შემდგენელნი დიდი სჯულისკანონით ხელმძღვანელობდნენ<sup>3</sup>, ეს მოსაზრება მართებული უნდა იყოს<sup>4</sup>.

„კათალიკოზთა სამართლის“ შემდგენის პერიოდი მეტად მძიმეა საქართველოსათვის. ოსმალეთის აგრესია განსაკუთრებით თავს იჩენს XVI საუკუნეში. სამცხე-საათაბაგო ოსმალეთმა ხანგრძლივი ომების შემდეგ დაიპყრო და მოსახლეობის გათურქებას შეუდგა. ამის შემდეგ ის იწყებს საქართველოს სხვა ნაწილების დალაშქვრას, განსაკუთრებით კი მან პირველად დასავლეთ საქართველოს შემოუტია. 1510 წელს ოსმალეთი სამცხე-საათაბაგოდან მოულოდნელად ქუთაისში შემოიჭრა<sup>5</sup>.

დასავლეთ საქართველოს ოსმალეთი ყოველმხრიდან უტევედა. საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარზე ოსმალეთმა თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია „ჯიქები და ზოგიც სხვა ჩერქეზულ-აფხაზური ტომი“<sup>6</sup>. ამ მხრიდან დაიწყო დასავლეთ საქართველოში ლაშქრობა. ამას გარდა, ოსმალეთი დასავლეთ საქართველოს ტრაპიზონის მხრიდანაც შემოესია. XVI საუკუნიდან ოსმალეთმა ჭანეთი (ლაზეთი) მიიტაცა და დასავლეთ საქართველოს გურიის მხრიდანაც მოადგა<sup>7</sup>. ოსმალეთის აგრესია თანდათან ძლიერდებოდა. ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება შეფერხდა. ეკონომიურ შეფერხებას საქართველოს პოლიტიკურად დაშლა მოჰყვა. ოსმალთა აგრესიის მძვინვარე ტალღები დასავლეთ საქართველოს წალეკვით ემუქრებოდა. ასეთ ვითარებაში ქვეყნის შიგნით გამწვავდა კლასთა ბრძოლა, გახშირდა მეკობრეობა, მკვლელობა. განსაკუთრებით საშიში გახდა ტყვეების საზღვარგარეთ გა-

<sup>1</sup> ქართული სამართლის ისტორია, I, 1963, გვ. 393.

<sup>2</sup> Сборник законов Грузинского царя Вахтанга VI-го, издание А. С. Френкеля, под редакцией Д. З. Бакрадзе, 1887, с. 129—130.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1951, გვ. 543.

<sup>4</sup> ქართული სამართლის ძეგლები, I, 1970, გვ. 609.

<sup>5</sup> საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 253; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 215.

<sup>6</sup> საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 283.

<sup>7</sup> იქვე.

ყიდვა. ოსმალეთი საქართველოდან ტყვეებით ვაჭრობას ყოველ-  
მხრივ უწყობდა ხელს. ქართველი გლეხების საზღვარგარეთ გაყიდ-  
ვა ქართული ფეოდალური საზოგადოების ფიზიკური არსებობის  
საკითხს კითხვის ქვეშ აყენებდა.

ასეთ ვითარებაში დასავლეთ საქართველოში მოიწვიეს საეკ-  
ლესიო კრება, რომელმაც „კათალიკოზთა სამართალი“ შეიმუშავა.  
„კათალიკოზთა სამართალი“ ეხება საეკლესიო და საერო სამართ-  
ლის საკითხებს.

როგორც აღვნიშნეთ, ოსმალთა აგრესიის გაძლიერების ვითა-  
რებაში განსაკუთრებით საშიში შეიქნა საქართველოსათვის ტყვე-  
ების ყიდვა-გაყიდვა. ძეგლიც სწორედ ამ დანაშაულის განმარტე-  
ბითა და სანქციით იწყება.

„რამანც კაცმან კაცი გაყიდოს, ანუ ღიღმან, ანუ მცირემან,  
ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, და ან გლეხმან, წმიდათა კრებულ-  
თაგან შეჩუენებულ იყოს და განჯდელი“<sup>1</sup>.

პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ტყვის „გაყიდვა“ და  
არა „ყიდვა-გაყიდვა“. ცხადია, იგულისხმება საზღვარგარეთ — ოს-  
მალეთში ან სპარსეთში, ან კავკასიის მთებში გაყიდვა. მყიდველს,  
ამ შემთხვევაში, ოსმალებს ან სპარსელებს და სხვა, ვერ დასჯი-  
დნენ, მათზე ხელი ქართველ ხელისუფალთ არ მიუწოდებოდათ,  
მაგრამ თუ ქართველი იყიდდა ტყვეს საზღვარგარეთ, და საქარ-  
თველოში მოიყვანდა, ეს აკრძალული არ იქნებოდა, რადგან არა-  
ქრისტიანს ქრისტიანულ ქვეყანაში მოიყვანდნენ და, ალბათ, გა-  
აქრისტიანებდნენ.

ამგვარად, დამნაშავედ ითვლება ტყვის გამყიდველი საქართვე-  
ლოდან საზღვარგარეთ.

ძეგლით კაცის გაყიდვა ყველას ეკრძალება „ღიღი“ იქნება  
თუ „მცირე“ — თავადი, აზნაური და გლეხი. XVI საუკუნეში გა-  
ბატონებული კლასის მაღალი ფენა თავადია, აზნაური გაბატონე-  
ბულ კლასს ეკუთვნის, მაგრამ თავადზე დაბლა დგას, ხოლო გლეხი  
მშრომელი მასების წარმომადგენელია. გლეხობა ამ პერიოდში ღი-  
ღი ხანია უკვე ყმადქცეულია. ადამიანის გაყიდვისათვის დაწესე-  
ბულია შეჩუენება და დაგმობა-გაძევება, მაგრამ ამით არ თავდება  
ამ დანაშაულის შესახებ საუბარი. საჭიროა საქმის მართებული გა-  
მოძიება („მართლით განკითხვითა და გამოძიებითა“); თუ აღმო-  
ჩნდება და დადასტურდება, რომ ბრალდებული დამნაშავეა, მაშინ

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 393, მუხ. 1.

ის უნდა დაისაჯოს. თუ დამნაშავე მის მიერ გაყიდულს დაიხსნის და მითყვეანს თავის ადგილზე, მაშინ ვალდებულია საურავი, ანუ ჯარიმა გადაუხადოს იმ სამწყსოს, ეპისკოპოსს, სადაც ტყვე ცხოვრობდა, აგრეთვე საურავი ტყვის ბატონს. თუ გაყიდულ ტყვეს დამნაშავე უკან ვერ დააბრუნებდა, მაშინ მას ჩამოხრჩობა არ ასცდებოდა. ხოლო თუ ვინმემ ქრთამი აიღო და „არ ჩამოახრჩო“, შეჩვენებული და დაწყევლილი იქნება<sup>1</sup>.

საყურადღებოა, რომ ქრთამი აქ აღნიშნულია, როგორც დანაშაული.

ამ მუხლით დამნაშავე უხდის საურავს ეპისკოპოსსა და გაყიდულის ბატონს. იზიტომ, რომ გაყიდვა ხდება ყმის, ე. ი. ადამიანის, რომელსაც ბატონი ჰყავდა. შეიძლება, როგორც გამონაკლისი, საზოგადოების სხვა ფენის წარმომადგენელიც გაეყიდათ, მაგრამ ეს იმდენად იშვიათი იქნებოდა, რომ ამის აღნიშვნა საჭიროდ არ უცენიათ.

ეკლესიისა და ხატის გაძარცვა, „კათალიკოზთა სამართლის“ მიხედვით, მკრეხელობაა და დამნაშავე უნდა ჩამოახრჩონ. ქართულ ტექსტში წერია: „ვინც ეკლესია გატეხოს და ხატი განძარცოს უკანონოდ, ძელსა მიეცეს“<sup>2</sup>. რუსულ ენაზე გამოცემულ ძეგლში კი ასეთი თარგმანია: «... кто церковь обокрадет и обряза ограбит, тот без суда будет повешен»<sup>3</sup>. როცა ერთმანეთს ვადარებთ ქართულსა და რუსულ ტექსტებს, ყურადღებას იქცევს ის, რომ ქართული „უკანონოდ“ რუსულად გადმოცემულია «без суда», რაც არ მიგვაჩნია მართებულად. სიტყვა „უკანონო“ წინა მუხლშიც არის ნახმარი და „უსამართლოს“ ნიშნავს<sup>4</sup>. აქაც ასე უნდა გავიგოთ. შემდეგი მუხლი (მე-3) ეხება ეკლესიიდან საქონლის „გამოტანას“, ე. ი. ეკლესიის საქონლის, ნივთის მითვისებას. წინა (მეორე) მუხლში, როგორც ვნახეთ, აღნიშნულია ეკლესიის „გატეხა“ და ხატის „გაძარცვა“, აქ კი წერია: „ვინცა ეკლესიას შიგან შევიდეს და საქონელი გამოიტანოს“<sup>5</sup>. მხედველობაშია „გატეხის“ და „გაძარცვის“ გარეშე ეკლესიაში შესვლა და იქიდან საქონლის გამოტანა. როცა ეკლესია ღიაა, იქ შესვლა ყვე-

1 ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 393, მუხ. 1.

2 იქვე, გვ. 394, მუხ. 2.

3 Сборник грузинского царя Вахтанга VI-го, под ред. Д. З. Бакрадзе, 1887, с. 130, ст. 3.

4 ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 393, მუხ. 1.

5 იქვე, გვ. 394, მუხ. 3.

ლას შეუძლია, შიგ ყოველთვის არის ეკლესიის მსახური, რომელიც ეკლესიის საქონელს წასაღებად არ გასცემს. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, ეკლესიიდან საქონლის გამოტანა ხდება ფარულად, ქურდულად. მესამე მუხლის მიხედვით, დამნაშავეს მიესჯება საქონლის ანაზღაურება და დაშაგება, ანუ გახეიბრება, რომელიმე ასოს მოკვეთა.

მეოთხე მუხლის მიხედვით, ძმისა და მამის მკვლელს უნდა მიესაჯოს ხელის მოკვეთა და გაძევება<sup>1</sup>. ხელის მოკვეთა ტალიონის პრინციპის გამოძახილია, რამდენადაც მკვლელობა ხელის საშუალებით ხდება, ამიტომ სწორედ ხელის მოკვეთაა გათვალისწინებული. ამგვარივე პრინციპია ასახული ვახტანგის სამართლის წიგნში, რომელიც მეფის მოლაღატეს (ვინც „მტერს მიუვიდეს“) ფეხის მოკვეთით ემუქრება (მუხ. 220).

მესუთე მუხლის მიხედვით, ვინც „უბრალოდ“, ე. ი. დანაშაულის გარეშე მოკლავს ვინმეს, ან მგზავრს, ან მცველს — დაისჯება<sup>2</sup>, მაგრამ სასჯელის სახე დასახელებული არ არის. ამასთანავე, ეს მკვლელობა თითქოს „ქურდობით“ ხდება, ე. ი. მიპარვით.

ბექეძესე მუხლით, ქურდი უნდა დაისაჯოს ძველი „წესის“ მიხედვით<sup>3</sup>, მაგრამ ამ წესის შინაარსი ახსნილი არ არის.

პირველ ყოვლისა, ქურდობას ქართული საკანონმდებლო ძეგლები (ვახტანგის სამართლის წიგნი, „დასტურლამალი“ და სხვ.) განასხვავებდნენ მისი ჩადენის ადგილის მიხედვით: ქვეყნის შიგნით, ქვეყნის გარეთ, ურდოში ჩადენილი. დანაშაული და სხვ. ქურდობისათვის სასჯელის სხვადასხვა სახე იყო დაწესებული: ორმაგი, სამმაგი, ოთხმაგი, ხუთმაგი და შვიდმაგი გადასახადი<sup>4</sup>.

მე-7 მუხლიდან დაწყებული მე-16 მუხლამდე, ე. ი. ცხრა მუხლი ეკლესიის მსახურთა მოვალეობას, ამ მოვალეობის შეუსრულებლობასა და სხვა საკითხებს ეხება.

ეპისკოპოსი თუ 20 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში თავის ეკლესიაში არ იმყოფება, ისე რომ მეფეს ან კათალიკოსს არ გაუგზავნია ან არ არის თავისი სამწყსოს დასათვალისწინებლად, ან არ ყოფილა ავად, ანდა სისტემატურად ქორეპისკოპოსს არ აგზავნის

1 ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 393, მუხ. 1.

2 იქვე, გვ. 194.

3 იქვე, გვ. 394.

4 იოანე ბაგრატიონი. სჯულდება, ივ. სურგულაძის რედ., 1957, გვ. 029—032; ივ. სურგულაძე. ნარკვევები სახელმწიფოს და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 51—54.

თავის სამწყსოში სხვადასხვა საკითხის მოსაგვარებლად, არ იცავს ეკლესიას, მის ქონებას, დიდი სჯულისკანონის წინააღმდეგ ნებას რთავს „უხვედრო“ (ნათესავეთა) ქორწინებაზე, ასეთი ეპისკოპოსი დაიწყევლოს და ექსორია ქმნილ იყოს თავისი საყდრისაგან (მე-7 მუხლი).

ეპისკოპოსმა ღირსეული დიაკონი და მღვდელი უნდა აკურთხოს. სანამ აკურთხებდეს, მანამ უნდა გამოსცადოს (მუხ. 8). ეპისკოპოსი არ უნდა ჩაერიოს სხვა ეპისკოპოსის სამწყსოს საქმიანობაში (მუხ. 9), წინააღმდეგ შემთხვევაში შეჩვენებული იქნება.

მღვდელი თუ ერისკაცის ხელით ვინმეს ზიარებას გაუგზავნის, ის მღვდლობიდან უნდა გადააყენონ (მუხ. 10), თუ ეპისკოპოსმა ასეთი მღვდელი არ დასაჯა, ის ეპისკოპოსი უნდა დაიწყევლოს (მუხ. 11).

ქორეპისკოპოსი ვალდებულია დადიოდეს საეპისკოპოსოში და ამოწმებდეს სარწმუნოებრივი წესების შესრულებას: მარხვის დაცვას, უქმე ღღეების შენახვას, ნათესაობას და სხვ. (მუხ. 12).

არც თავადს, არც აზნაურსა და არც გლეხს არა აქვთ უფლება წინააღმდეგენ ეპისკოპოსსა და ქორეპისკოპოსს და ხელი შეუშალონ წინა მუხლში აღნიშნულ საქმიანობაში (მუხ. 13). ასეთი წინააღმდეგობა „მეფემან მისად სისხლად და შეცოდებად მოიკითხოს“ (მუხ. 14), ე. ი. ჩაითვალოს მეფის წინააღმდეგ ჩადენილ ურჩობად და დანაშაულად.

ეპისკოპოსი სარწმუნოებრივ საკითხებში თუ წინააღმდეგება კათალიკოსს და არ შეისმენს მის შთავონებას, ეს საქმე კარგად გამოიძიონ და თუ ეპისკოპოსის დანაშაული კათალიკოსის მიმართ დამტკიცდება, ასეთი ეპისკოპოსი მეფის მიერ ექსორია ქმნილ უნდა იყოს (მუხ. 15).

მეფის მოღალატეს, თუ დანაშაული „მართლით განკითხვით და გამოწულილვითა“ დაუმტკიცდება, სიკვდილით დაისჯება (მუხ. 16).

კათალიკოსისა და ეპისკოპოსის გინებისათვის დამნაშავე ისე უნდა დაისაჯოს, როგორც ეს გათვალისწინებულია დიდი სჯულისკანონში (მუხ. 17).

ეპისკოპოსმა უღირსი მღვდელი ან დიაკონი თუ აკურთხა, ისე რომ იცოდა მისი უღირსობა, მაგრამ ქრთამი აიღო, ამისათვის უნდა შეჩვენდეს, როგორც სვიმონ მოგვი. ამასთანავე, ეპისკოპოსი, მოძღვარი და წინამძღვარი „ქრთამით ნუ დაიდგინების“, „სჯულის კანონი“ წყევლის, როგორც მაკურთხებელს, ისე კურთხეულს

(მუხ. 18). პირველ ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას იქცევს ბრალის საკითხი: ეპისკოპოსმა უნდა „იკოდეს“, რომ მღვდელი უღირსია, ე. ი. ეპისკოპოსს შეეცნობილი უნდა ჰქონდეს, რომ მისი მოქმედება დანაშაულებრივია; დამნაშავე ეპისკოპოსი დანაშაულს ჩადის ანგარიშით, კრთამით.

„კათალიკოზთა სამართალში“ ჩამოთვლილი დანაშაულის სახეები მძიმეა, მაგრამ ძეგლის მისედვით, განსაკუთრებით მძიმეა ტყვის გაყიდვა და ეკლესიის გაძარცვა, ამიტომაც სასამართლოს ევალება გვაცრი იყოს ასეთ დამნაშავეთა მიმართ. ძველი წყველაკრულვით ემუქრება იმას, ვინც ამ საქმეს მართებულად არ გამოიკვლევს, ვინც „მართალი მრუდად გამოიკულის და მრუდი განმართლოს“ (მუხ. 19).

„კათალიკოზთა სამართალი“ შეჩვენებით ემუქრება აგრეთვე იმას, ვინც ეკლესიასა და მონასტერს ქონებას წაართმევს (მუხ. 20). ამავე მუხლში (მუხ. მე-20) ჩამოთვლილია ეს ქონება: მამული, სოფელი, ვენახი, მიწა და აგარა.

მცნება „სასჯელოს“ განხილვისას აღენიშნეთ, რომ „მამული“ ყანასთან არის დაპირისპირებული; ყანაც შეიძლება შედიოდეს მამულში, აგრეთვე სოფელი, ვენახი, მიწა და აგარა, ანუ აგარაკი. „მიწა“ ამ შემთხვევაში „მიწა-ადგილის“ მნიშვნელობით არის ნახმარი.

აქ ჩამოთვლილი ცალკეული ერთეულები დაწვრილებით უნდა იქნეს შესწავლილი სხვა წყაროების მონაცემებთან დაკავშირებით. ძეგლის მიხედვით, მამული, სოფელი, ვენახი, მიწა და „აგარაკი“ ფეოდალური საკუთრების ცალკეული სახეებია.

მომდევნო მუხლში (მუხ. 21-ე) დასახელებულია: სახლი, მამული და აგარაკი. სახლი ოჯახს ნიშნავს, მამული — უძრავ საკუთრებას, ხოლო აგარაკი სახნავ-სათესი ადგილი უნდა იყოს.

ძეგლის 21-ე მუსლი ლოცვა-კურთხევას უგზავნის იმას, ვინც დაიცავს და შეასრულებს „კათალიკოზთა სამართლის“ მუხლებს, ხოლო წყველაკრულვით ემუქრება ამ სამართლის მოწინააღმდეგეთ<sup>1</sup>. ეს არის სიგელის ბოლო, რომელშიაც შედის: წყველაკრულვა სიგელის დამრღვევათა, ლოცვა-კურთხევა სიგელის დამამტკიცებელთა, ხელრთვა, თარიღი და სხვ.<sup>2</sup>

1 ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 396—397.

2 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სიგელთა-მკოდნობა, ანუ დიპლომატიკა, 1926, გვ. 111—118.

ხელრთვამდე კი ჩასმულია ცალკე მუხლი (მუხ. 22), რომელშიაც წერია: თავადი, აზნაური ან გლეხი, რომელიც რძალს შეირთავს, შეჩვენებულია და ამასთანავე „კაციცა და დედაკაციც ვალმა-გამოღმა დაიკირონ, და მკირავნი ჩუენგან დალოცვილ- და კურთხეულნი იყონ“<sup>1</sup>.

სასჯელის ასეთი სახე იშვიათად გვხვდება. როგორც ჩანს, ამ სახის დანაშაული გავრცელებული ყოფილა, რომ „კათალიკოზთა სამართალში“ შეუტანიათ. გაუგებარია, რომ სხვა ნათესავზე არაფერია აღნიშნული.

ამ მუხლს მოსდევს ხელრთვა.

თავში წერია აფხაზეთის კათალიკოსი, ამას მოსდევს საეკლესიო იერარქები შემდეგი თანამიმდევრობით: ქუთათელი, გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმინდელი და ჩიშელი<sup>2</sup>. მაგრამ ძეგლი ამით არ მთავრდება, ხელრთვის შემდეგ მოცემულია ცალკე მუხლი: „უბრალოდ“ ცოლის დამგდებელი შეჩვენებულიც იყოს და ამასთანავე „სიკუდილითა განიპატიჟოსო“<sup>3</sup>. ეს მუხლი შემდეგ უნდა იყოს დამატებული, ვის მიერ ან რისთვის არის მიმატებული, ეს არ ჩანს. ცოლის გაშვებისათვის სიკვდილით დასჯა გაუშართლებელია და ასეთი რამ უცნობია ქართული სამართლის სხვა წყაროებისათვის<sup>4</sup>.

„კათალიკოზთა სამართალი“ მნიშვნელოვანი წყაროა ქართული სამართლის ისტორიისათვის.

ამ ძეგლს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ნ. ურბნელმა<sup>5</sup>. ძეგლი პირველად გამოსცა ს. კაკაბაძემ<sup>6</sup>. ხოლო მეორედ ი. დოლიძემ<sup>7</sup>.

#### ბიჭვინთის იადგარი (XVI საუკუნის მეორე ნახევარი)

ბიჭვინთის საყდრის იადგარი სამი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, დანაშაულის სახეები და მათთვის გათვალისწინებული

1 ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 397.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 608—609.

5 ნ. ურბნელი. ჩვენი საეკლესიო ისტორიიდან, სამართალი კათალიკოზისა, „მოამბე“, 1898, № 3, 4.

6 ს. კაკაბაძე. კათალიკოზის სამართალი და მისი შედგენის დრო, 1913 წ.

7 ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 393—397.

სასჯელის სხვადასხვა სახე და ხელრთვები. მაგრამ იადგარის ამ ძირითად ტექსტს მოსდევს XVII—XVIII საუკუნეების შეწირულებების მინაწერები, რომელიც ძირითად ტექსტს თითქმის ორჯერ აღემატება<sup>1</sup>.

იადგარი პირველად გამოსცა ალ. ხახანაშვილმა (ძირითადი ტექსტი და მინაწერები სრულად)<sup>2</sup>. ამ ძეგლს მანვე მიუძღვნა სპეციალური სტატია<sup>3</sup>, რომელშიც ამტკიცებს, რომ ძეგლი წარმოადგენს „კათალიკოზთა სამართლის“ დამატებას და, რომ იგი დგებოდა თანდათანობით, დაწყებული XVI საუკუნიდან და დამთავრებული XVIII საუკუნის პირველი მეოთხედით.

ბიჭვინთის იადგარი შეწირულებათა მინაწერებით გამოსცა აგრეთვე ს. კაკაბაძე<sup>4</sup>. ს. კაკაბაძის აზრით, ძეგლის ძირითადი ნაწილი შედგენილი უნდა იყოს 1525—1550 წლებში.

ძეგლი განიხილა ლ. მუსხელიშვილმა, რომელიც თავის გამოკვლევაში ამტკიცებს, რომ იადგარი სიყალბეზეა აგებული და ამისათვის მოჰყავს სათანადო დასაბუთებას<sup>5</sup>.

ბიჭვინთის იადგარის ძირითადი ტექსტი გამოსცა ი. დოლიძემ, რომელმაც გაიზიარა ლ. მუსხელიშვილის შეხედულება იადგარის სიყალბის შესახებ და თავის შხრივ ახალი მტკიცებანიც დაურთო ამ მოსაზრების სასარგებლოდ<sup>6</sup>. ი. დოლიძის აზრით, ძეგლი შედგენილია ყალბისმქნელის მიერ ევდემინ კათალიკოსის დროს (1557—1578 წწ.)<sup>7</sup>.

მიუხედავად სიყალბისა, ლ. მუსხელიშვილიცა და ი. დოლიძეც აღნიშნავენ ძეგლის დიდ მნიშვნელობას საქართველოს ისტორიისათვის, კერძოდ, ქართული სამართლის ისტორიისათვის. მთავარია განისაზღვროს ძეგლის შედგენის დრო: თუ ძეგლი მართლაც XVI საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის, მაშინ ის ასახავს იმ პერიოდის ქართულ სინამდვილეს. სიყალბისმქნელი აზროვნებდა და წერდა თავისი ეპოქის ცნებებითა და შეხედულებებით. თუ სიყალბისმქნელის მიზანი იყო ზოგიერთი შეწირულების გაყალბება ან კი-

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 615.

<sup>2</sup> გუჯარები, ალ. ხახანაშვილის რედ., გვ. 124—153.

<sup>3</sup> Х а х а н а ш в и л и А., Дополнение к грузинским католическим законам (Юридический Вестник, т. XI, 1892, с. 568 — 571).

<sup>4</sup> ს. კაკაბაძე. აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი, საისტორიო მოამბე, 1952, გვ. 180—197.

<sup>5</sup> ენიშკის მოამბე, V—VI, 1940.

<sup>6</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 176—183.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 617.



დევ სისხლის ფასის ხელოვნურად ვაზრდა, ის არ შეეცდებოდა ყალბი ცნობები მოეტანა სხვა საკითხების შესახებ. პირიქით: ეცდებოდა, მის მიერ შედგენილი ძეგლი სხვა მხრივ სინამდვილის შესატყვისი ყოფილიყო. ამიტომ ბიჭვინთის იადგარი, ქართული სამართლის სხვა წყაროებთან შედარებით ძვირფასი წყაროა ქართული სამართლის ისტორიისათვის.

შესავალი მაღალფარდოვანი ენით არის შესრულებული. ძეგლში წინადადებები ზოგჯერ ბუნდოვანია. ძეგლი შეიცავს საყურადღებო ცნობებს საზოგადოებრივი წყობილებისა და სამართლის ინსტიტუტების შესახებ. პირველ ყოვლისა, ძეგლი ბიჭვინთის შეუვალობას, იმუნიტეტს განსაზღვრავს. მასში ვკითხულობთ: საყდრის ზამული „შემოსაზღვრით“, ე. ი. ის, რაც ბიჭვინთას ეკუთვნის, იმ საზღვრებში, მამული, სოფელი, გლეხები, სოფლებსა და ქალაქებში ბიჭვინთისადმი რაც შემოწირულია მხოლოდ ბიჭვინთის არის და მონასტრის ამ კუთვნილ მამულში „არა ჯელი შევიდოდეს“, ე. ი. მონასტრის მამული შეუვალია, არაფერი მას არ ეთხოვება: არც ბაჟი, არც სხვა რაიმე გამოსაღები, არც ვადასახადი რაიმე დანაშაულისათვის, მხოლოდ კათალიკოსის სასარგებლოდ იხდის მონასტერი ვადასახადს<sup>1</sup>.

შეუვალობის გამცემი მონასტრისადმი არის ბაგრატ მეფე (1510—1565), რომელიც მიმართავს მეფეებს, დადიანს, გურიელს, ათაბაგ-ამირსპასალარს, ერისთავებს, დიდებულებს, თავადებს, აზნაურებსა და გლეხებს, რომ არ დაარღვიონ მისი ბრძანება<sup>2</sup>. ბაგრატ მეფე თავს მეფედ-მეფედ იხსენიებს<sup>3</sup>. იმერეთი, ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგო ცალ-ცალკე პოლიტიკური ერთეულებია. სამეგრელო და გურიაც განცალკევების გზაზეა შემდგარი.

სამცხის ათაბაგი ამირსპასალარის ტიტულს ატარებდა, სანამ სამცხე-საათაბაგო სავსებით არ გამოეყო საქართველოს ცალკე სამთავროდ.

ძეგლში ჩამოთვლილია ბიჭვინთის ეკლესიის მსახურნი: დეკანოზი, მეტრაპეზე, კანდელაკი, ჯვარისმტვირთველი, წინამძღვარი, ომფორის მოლარე, ბიჭვინთის ძმები და მისი საყდრისშვილები<sup>4</sup>. „ძმებში“ მონასტრის ბერებია ნაგულისხმევი, „საყდრისშვილები“, ალბათ, ბიჭვინთის ეკლესიის მსახურნი არიან.

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 178.

2 იქვე, გვ. 183.

3 იქვე, გვ. 177.

4 იქვე, გვ. 178.

„საყდრისშვილების“ შემდეგ დასახლებული არიან: მამასახლისები, მესტუმრეები, ხევისთავეები, ნაცვალ-ხელისუფალნი და სხვა „მოხელენი“<sup>1</sup>.

მამასახლისის მონასტრის წინამძღვარსაც ეძახდნენ და მმართველობის ადგილობრივი აპარატის მოხელესაც. თუ მამასახლისი აქ მონასტრის წინამძღვარია, მაშინ ის უსათუოდ მონასტრის ისეთივე მოხელეა, ისეთივე „საყდრისშვილი“, როგორც მეტრაპეზე, კანდელაკი და სხვ. მაგრამ თუ მამასახლისი აქ სოფლის მოხელეა, ე. ი. მმართველობის ადგილობრივი აპარატის მოხელე, ასეთი მოხელე სოფლებში მონასტერსაც შეიძლება ჰყოლოდა და მეფესაც — სამეფო სოფლებში. კონტექსტით მამასახლისი მმართველობის ადგილობრივი აპარატის მოხელეა, ერისკაცი, ისევე როგორც მესტუმრე. მესტუმრე მონასტრისაც შეიძლება ყოფილიყო და მეფისაც.

ხევისთავი, უფრო გვიან, „დასტურლამალის“ მიხედვით, მეფის ის მოხელეა, რომელიც სოფლებში ქურდებს დევნის<sup>2</sup>, ხოლო XVI საუკუნეში ქურდების მძებნელს მეკობრისმძებნელი ეწოდებოდა<sup>3</sup>.

ძეგლის მიხედვით, ხევისთავი ნიშნავდა ხევის უფროსს, ხევისუფალს, ასეთი მოხელე ჰყავდა მეფეს; შეიძლება თუ არა ასეთი მოხელე მონასტერსაც ჰყოლოდა? ეს გაზოსარკვევია.

ნაცვალი გვიანფეოდალურ საქართველოში სოფლად და ქალაქად ზოურავის მოადგილე იყო<sup>4</sup>. ზოურავი და ნაცვალი თავის მამულებში შეიძლება მონასტერსაც ჰყოლოდა.

ტერმინი „ნაცვალ-ხელისუფალნი“ სხვა წყაროში არ შეგვხვედრია. ნაცვალი ცალკე უნდა იყოს, მაშინ იქნება: „ხელისუფალთა და სხვათა მოხელეთა“. ასეთი დაპირისპირება კი სწორად გვხვდება ძეგლებში.

მამასახლისი, მესტუმრე, ხევისთავი და ნაცვალი, შეიძლებოდა მეფისაც ყოფილიყო და მონასტრისაც, მაგრამ ამ შემთხვევაში მამასახლისი, მესტუმრე, ხევისთავი და ნაცვალი მეფის მოხელეებია,

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 178.

2 ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952, გვ. 339, 355; ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 696, 698.

3 მისივე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 45—56.

4 მისივე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952, გვ. 407, 409, 442, 444.

რადგანაც მეფე ავალებს მათ „საყდრისშვილები“ და, საერთოდ, ბიჭვინთის ეკლესია არ შეაწუხონ, არ შეაეწროვონ, არ მოსთხოვონ რაიმე გადასახადი, არ დაარღვიონ მეფის მიერ ბიჭვინთისათვის მიცემული შეუვალობა; ბიჭვინთასა და „საყდრისშვილებს“ არავინ არ უნდა ავნოს და უმტროს, ამის შესახებ სპეციალურად კიდევ არის აღნიშნული ძეგლში (მუხ. 2)<sup>1</sup>.

ბიჭვინთის იადგარის მიხედვით, მეფის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს იქით არ მიდიოდა, ეს იქედან ჩანს, რომ პირდაპირ დასახელებულია მეფის საიურისდიქციო ტერიტორია: სამეფო (იმერეთის), სადადიანო, საგურიელო, ეს არის იმერეთის მეფის საბრძანებელი და აფხაზეთის კათალიკოსის სამწყსო: „ლიხსა და კათას შუა და რუსეთის სამზღუარსა და ჭანეთს შუა“<sup>2</sup>.

აი, ამ საზღვრებში არის მოთავსებული იმერეთის სამეფო, აფხაზეთის საკათალიკოსო. ბიჭვინთის იადგარი მიზნად ისახავს, დაიცვას ბიჭვინთის შეუვალობა და შეუვალობის დაცვას უზრუნველყოფს იმერეთის მეფის იძულებითი აპარატი. პირველ მუხლში აღნიშნულია, რომ ამ საზღვრებში კათალიკოსი განაგებს საეკლესიო საქმეებს (მას ეკუთვნის თავდადების საწირავი, ეკლესიების კურთხევა).

პირველ ყოვლისა, იადგარი ზოგადად, კონკრეტული დანაშაულის გარეშე, აღნიშნავს, რომ ბიჭვინთას არავინ არ უნდა ავნოს რაიმეო (მუხ. 2)<sup>3</sup>. ვინც ბიჭვინთის საყდარი „გატეხოს“ და საყდრის შიგნიდან რაიმე გაიტანოს, თუ მეფის ყმაა, მაშინ ის თავისი მამულით, ქონებით გადაეცემა ბიჭვინთას. „სხუასა მეფისა ვერას ვიტყვთ რას, ამისთვის საყდარი მეფის არის“, ე. ი. სასჯელის სხვა სახეს არ განვსაზღვრავთ, რადგანაც დამნაშავეც მეფისაა და საყდარიცო<sup>4</sup>.

იადგარის მიხედვით, საყდრის „გატეხისას“ დამნაშავე „მოიპარავს“ საყდრის ნივთს (მუხ. 4)<sup>5</sup>. „გატეხა“ ნიშნავს გაძარცვას, ეს არის ყაჩაღური თავდასხმა, რომელსაც გაძარცვა მოსდევს. თვით ამ გაძარცვას, ძეგლში „მოპარვა“ ეწოდება; ამით ჩვენ იმისი თქმა გვინდა, რომ ძეგლის თანახმად, ქურდობა ნივთის აშკარა

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 180.

2 იქვე, გვ. 179—180.

3 იქვე, გვ. 180.

4 იქვე.

5 იქვე.

მოტაცებაა, ის ყაჩაღობას უღრიდა<sup>1</sup>, მპარავს ძეგლში მეკობრე ეწოდება (მუხ. 4).

თუ საყდრის გამტეხი დიდებულის ან თავადის, ან აზნაურის ყმა არის, მაშინ, პირველ ყოვლისა, უნდა გამოირკვეს, ბატონს ბრალი მიუძღვის თუ არა ამ დანაშაულში. ძეგლში აღნიშნულია: იცოდა თუ არა ბატონმა, თუ იცოდა, მაშინ დამნაშავეა, და თუ არ იცოდა, თავისუფალია და პასუხს წხოლოდ ყმა აგებს. ძეგლის მიხედვით, ბატონის დანაშაულის საკითხი წყდება ფიცის სამუალებით. ფიცი ასე ტარდებოდა: მეკობრის ბატონი მოწმედ მოიყვანდა თავისი წრის 12 კაცს („მისითა სწორითა კაცითა“), ხოლო მეკობრე, ე. ი. დამნაშავე თავის-მხრივ თანასწორ 24 კაცს: ეს 24 კაცი, ძეგლის მიხედვით, გლეხებია. 12 კაციდან 6 „ნაბნით“ დაიფიცებდა და 6 „უნაბნით“, 24 გლეხიდან — 12 „ნაბნით“ დაიფიცებდა და 12 „უნაბნით“. თუ ბატონმა საყდრის გატეხის შესახებ არაფერი არ იცოდა („უცოდინარეობა მეკობრის ბატონისა“), იგი თავისუფალი იყო, ხოლო მეკობრე „მისითა მამულითა და განაყოფითა საყდარს“ გადაეცემოდა<sup>2</sup>; თუ „ვერ დაიფიცოს, რასაცა მამულის მქონებელ იყოს, იგი საყდარსა მოაქსენონ, და მეკობრე და მეკობრის ბატონი ძელს მისცენ“ (მუხ. 4)<sup>3</sup>.

იადგარის მეოთხე მუხლი შემდეგ შენიშვნას იწვევს. თუ დაიფიცებდნენ, რომ ბატონი არ მონაწილეობდა, მაშინ ბატონი თავისუფალი იქნებოდა, ხოლო დამნაშავე მამულით საყდარს გადაეცემოდა; თუ არ დაიფიცებდა, ორივეს — ბატონსა და ყმას — ჩამოახრჩობდნენ. ამ დანაშაულისათვის ქონების კონფისკაციასთან ერთად ჩამოხრჩობა იყო გათვალისწინებული; ფიცის შემთხვევაში, დამნაშავეს რატომ არ უნდა შეუფარდდეს სასჯელი? ეს გაუგებარია. „ნაბნითა“ და „უნაბნითა“ სიტყვების შინაარსი უცნობია.

როგორც ეს, ისე წინა (მუხ. მე-3) მუხლი ეხება იმას, თუ დამნაშავე თავისი მამულითა და განაყოფით როგორ გადაეცემოდა საყდარს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კოლექტიურ, ოჯახის სოლიდარულ პასუხისმგებლობასთან. დამნაშავესთან ერთად ეკლესიას გადაეცემა დამნაშავეს განაყოფიც, ე. ი. განაყოფი იზიარებს დამნაშავეს პასუხისმგებლობას.

1 ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე. ქართული სამართლის ისტორიის მნიშვნელოვანი ძეგლი (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახ. მეცნ. განყოფილების „მოამბე“, 1960, ტ. 1).

2 ქართული სამართლის ძეგლები, 11, 1965, გვ. 180.

3 ი ქ ე ე.

მეკობრემ თუ საყდრის ღობის შიგნიდან რაიმე „გაიტანოს“, სამი თავადის სისხლი, „მისი წინწასაძღუანითა საუბატიოდ საყდარსა დაუურვოს“ (მუხ. 5)<sup>1</sup>, ხოლო ეკლესიის კუთვნილი ქონება, „გინა პირუტყვი“ ზღუდის, ე. ი. ღობის გარეთ, თუ იყო, მაგრამ ისე რომ „ზარის ემა ისმოდა“ და იქედან წაიღო, მაშინ მან საყდარს „თავადის ორი სისხლი დაუურვოს“, სულ ერთია „მეკობრობით ქმნას, განა მძლავრობით ანუ ნატაცეობით“ (მუხ. 6)<sup>2</sup>.

მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ჩადენის ადგილს. ყველაზე მძიმე დანაშაულად ითვლებოდა საყდრის გატეხვა და ნივთის შიგნიდან წაღება, უფრო მსუბუქად — ეკლესიის ეზოდან, ღობის, ზღუდის შიგნიდან გატაცება, კიდევ უფრო მსუბუქად — ზღუდის გარედან. ზღუდის გარეთ ჩადენილ დანაშაულზე აღნიშნულია, აღწევდა თუ არა ეკლესიის ზარის ხმა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ეკლესიასთან ახლოს ჩადენილი დანაშაული, უფრო მძიმე იყო და სასჯელიც მკაცრი.

სიახლოვე და სიშორე იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი, რომ ყაჩაღობა-მძლავრობა უფრო საშიში იყო, რადგანაც მოტაცება ქონების პატრონის თანდასწრებით ხდებოდა, ეს იწვევდა წინააღმდეგობას, პატრონის შეურაცხყოფას და სხვ.

გაუგებარია, რა განსხვავებაა „მძლავრობასა“ და „ნატაცობა“ შორის.

მე-7 მუხლის მიხედვით, კათალიკოსზე საცემად მისდომა ან დიდებულის, თავადის, ან აზნაურის მიერ გინება, იწვევდა 50 გლახის საყდრისათვის დაურევებას და ორი სისხლის ფასის კათალიკოსისათვის გადახდას<sup>3</sup>.

მაშასადამე, აქ მოცემულია ცემის ცდა და ცემისათვის გათვალისწინებული სასჯელი.

თუ ეკლესიის „ძმათაგანს სცეს“, ე. ი. სცემეს ან მიუხდნენ სახლში, შეიპყრეს, ან აგინეს „პირდაპირ“, ექვსი გლახი ეკლესიისთვის უნდა მიეცათ და ორასი თეთრი დაზარალებულისათვის<sup>4</sup>. აქ ყურადღებას იქცევს პირდაპირი გინება, ზურგს უკან გინების შესახებ კი არაფერია ნათქვამი.

საყდრისშვილის, ანუ ძმათაგანის მოკვლისათვის დამნაშავეს

1 ქართული სამართლის ძეგლები, 11, 1905, გვ. 180.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე.

ეკლესიისათვის უნდა გადაეხადა ოცი გლეხი, ხოლო ორი სისხლის ფასი დაზარალებულისათვის (მუხ. 9)<sup>1</sup>.

კათალიკოსის ჯოგის გატაცებისათვის დამნაშავეს საყდრისათვის ექვსასი ათასი ძველი თეთრი უნდა გადაეხადა<sup>2</sup>.

ვინც საყდრისშვილს ან ეკლესიის მოხელის ჯოგს გაიტაცებდა, უნდა გადაეხადა ეკლესიის სასარგებლოდ ათათასი თეთრი, ხოლო დაზარალებულისათვის — ორი ათასი „დიდის შეხვეწითა“, ამასთან ნაძარცვი უკლებლად უნდა დაბრუნებოდა დაზარალებულს (მუხ. 11)<sup>3</sup>. ყურადღებას იქცევს აქ „შეხვეწება“, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ გადახდევინება თითქოს ცოტაა. სინამდვილეში დაურეგება არათუ ცოტაა, არამედ მეტად მაღალია. მკვლევარებს, რომელთა შრომები ზემოთ მოვიყვანეთ, ჰიჭვინთის იადგარის სიყალბის ერთ-ერთი დამამტკიცებელ საბუთად ის მიაჩნიათ, რომ სისხლის ფასი მეტად მაღალია.

ვინც „კათალიკოსის“ გამოგზავნილ კაცს გაძარცვავდა, უნდა გადაეხადა ათი-ათასი თეთრი საყდრის სასარგებლოდ, ხოლო ოთხი ათასი — დაზარალებულისათვის (მუხ. 12)<sup>4</sup>. კათალიკოსის შიშველი „გამოგზავნილ კაცში“ უნდა ვიგულისხმეთ კათალიკოსის მოხელე ან ზაგანგებო დავალებით მის წიერ ნოვლენილი პირი, რომელიც, ალბათ, ეკლესიის მსახური იქნებოდა. შესაძლებელია, კათალიკოსს რაიმე დავალება ერისკაცისთვისაც მიეცა, მას ნოსტრუმად აქვდა არა მხოლოდ სასულიერო პირნი, არამედ ერისკაცნიც. ისიც უსაშუალოდ კათალიკოსს რაიმე დავალება მიეცა ისედაც პირისათვის, რომელიც, საერთოდ, მისი მოხელე არ იყო.

„ვინცა ზურგიით მზიდავი ჯარი და ან სეფე ჯარი წაიყუნოს, თორმეტი ათასი თეთრი საყდარს“ დაუჭრვოს (მუხ. 13). „ზურგიით მზიდავი“, ალბათ, სახელარი ხარია, ხოლო სეფე — საბატონო, სამეფო, დიდებულთათვის განკუთვნილი (სულზან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი). რა მხრივ უნდა ყოფილიყო ხარი „სეფე“, არ ჩანს; შეიძლება ამ ხარის დანიშნულებას შეადგენდა პატრონის ტარება, ყოველ შემთხვევაში, გადახდევინების მხრივ სახელარსა და სეფე ხარს შორის განსხვავება არ იყო.

მოხელის მიერ გაგზავნილი კაცის გამძარცველი იხდიდა ეკლეს-

1 ქართული სამართლის აქტები, 11, 1965, გვ. 150.

2 იქვე, გვ. 181.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 187.

სიის სასარგებლოდ ოთხი ათას თეთრს, ხოლო ორი ათასს — დაზარალებულისთვის (მუხ. 14)<sup>1</sup>.

ვინც ქორეპისკოპოსს სცემს ან შეიპყრობს, ან აგინებს, ან უპატიობას რაიმეს კჳადრებს, მას საყდრისათვის თორმეტი გლეხი უნდა მიეცა, ხოლო სამასი ათასი თეთრი — დაზარალებულისთვის (მუხ. 15)<sup>2</sup>.

იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე გლეხი იყო, ის თავისი „მამულით“ საყდრისთვის უნდა გადაეცათ<sup>3</sup>. ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გლეხს მამული აქვს, ე. ი. შემკვიდრეობით მიღებული მიწა-ადგილი: შეიძლება ეს იყო საკარმიდამო, ვენახი და სხვ. რასაკვირველია, გლეხი ყმაა, ხოლო ყმას არ შეეძლო ბატონის დაუკითხავად მიწა-ადგილის გასხვისება (ვახტანგის სამართლის წიგნი, მუხლი 160).

ვინც კათალიკოსის ყმა-მსახურს მოკლავდა, მას ექვსასი ათასი თეთრი უნდა გადაეხადა საყდრის სასარგებლოდ, ამის გარდა, სამასი ათასს იხდიდა სისხლის ფასს და თხუთმეტი ათასს სანახშიროს — დაზარალებულის ოჯახის სასარგებლოდ (მუხ. 16)<sup>4</sup>.

მე-16 მუხლში აგრეთვე აღნიშნულია, რომ საყდრის მოხელეთა კომპოზიცია ისეთივეა, როგორც საყდრისშვილების (მუხ. 9,11).

მე-17 მუხლის მიხედვით, „ვინცა საყდრის მოინალე კაცი მოკლას, შუდასი ათასი თეთრი საყდარსა დაუურვოს, ოთხასი ათასი სისხლად და თხუთმეტი ათასი სანახშირედ იმათ დაუურვოს“<sup>5</sup>.

მალალი საზღაური, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძეგლის სიყალბის მაჩვენებელია, მაგრამ შედარებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ „მოინალე“ კათალიკოსის ყმა-მსახურზე მალლა დგას (მუხ. 16); სამწუხაროდ, ძეგლში მკვლევლობაზე (მუხ. 9), გლეხების მიცემასა და სისხლის ფასზეა ლაპარაკი, ხოლო გლეხის ფასი ან სისხლის ფასი ძეგლში ფულის ერთეულებში გადაყვანილი არ არის, შედარება რომ მოგვეხდინა.

„მოინალე კაცი“ რომ კათალიკოსის ყმა-მსახურზე მალლა დგას, ძეგლიდან ჩანს, მაგრამ სხვა მხრივ „მოინალე კაცის“ შინაარსის დადგენა არ ხერხდება. აქაც ისე, როგორც წინა მუხლში, სამნაირი საზღაურია დასახელებული: საყდრის დაურევა, სისხლის

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 181.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე.

ფასის დაურეგება დაზარალებულისათვის და ჭრილობის (სანახშირე) საზღაურის გადახდა დაზარალებულის სასარგებლოდ.

საყდრის სასარგებლო დაურეგება ჯარიმაა საჯარო ხელისუფლების სასარგებლოდ; ამ შემთხვევაში საყდარი საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელია.

კომპოზიციის სისტემა ერთგვარი მოწესრიგებაა შურისძიების. პირველად არსებობდა სისხლის აღება, დაზარალებული თვითონვე უხდიდა სამაგიეროს ზიანის მიმყენებელს: მკვლელს, ქურდს და სხვ. შემდეგში სახელმწიფო შეეცადა ჩარეულიყო ამ საქმეში; პირველად დაურეგებას ნებაყოფლობითი ხასიათი ჰქონდა დაზარალებულისათვის, შემდეგში სახელმწიფომ ის სავალდებულოდ გახდა და აკრძალა ყოველგვარი თვითნებობა. ამ დროს სახელმწიფო ხელისუფლება დაურეგებას ჯარიმის ხასიათს აძლევდა, ე. ი. სახელმწიფო საჯარო ხელისუფლების სასარგებლოდ აწესებდა კომპოზიციის ნაწილს, ხოლო შემდგომ შემოიღო სასჯელთა სისტემა და ამით უარყო კომპოზიცია.

საკვლევი ძეგლი იმ მხრივ იქცევა ყურადღებას, რომ საჯარო ხელისუფლებისათვის გათვალისწინებულია დაურეგება, რასაც ჯარიმის ხასიათი აქვს.

ძეგლის ოთხ მუხლში (მე-16, მე-17, მე-19 და მე-20) დანაშაულისათვის სამნაირი გადასახადია გათვალისწინებული: დაურეგება საყდრის სასარგებლოდ, სისხლის ფასი დაზარალებულის სასარგებლოდ და სანახშირე, აგრეთვე მის სასარგებლოდ. საყდრის სასარგებლოდ დაურეგება ნიშნავდა ჯარიმას საჯარო ხელისუფლების სასარგებლოდ, ხოლო სისხლის ფასი დაზარალებულის ან მისი ოჯახის სასარგებლოდ. დამნაშავე იმას იხდიდა, რა ფასიც ჰქონდა მოკლულის გვარს.

ახლა შევეხოთ „სანახშირეს“. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონით სანახშირე ნიშნავს ბეს, ანუ საწინდარს, რომელსაც, მესისხლეთა დაზავების შემთხვევაში დაზარალებულის მხარეს მისცემს მოპირდაპირე მხარე, რომ სისხლის ფასს ის გადაიხდის; ასეთივე განმარტებას იძლევა დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი.

„სანახშირო“ ორჯერ გვხვდება ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში (მუხ. 123, 162). მართებულად აღნიშნავს დ. ბაქრაძე, რომ ეს ტერმინი ხშირად არის ნახმარი სიგელ-გუჯრებში<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Сборник законов Грузинского царя Вахтанга VI-го, под ред. Д. З. Бакрадзе, 1887, с. 127.. ვახტანგის წიგნთა კრებულის რუსულ თარგმანში „სანახშირო“ ვადათარგმნილია სიტყვით «штраф» (იქვე).



ნ. შარის გამოკვლევით, „სანახშირო“ და „გერში“ ნადირობასთან დაკავშირებით წარმოშობილი ტერმინებია და თავდაპირველად ჭრილობასა და სისხლს ნიშნავდა, ხოლო შემდეგ ზარალსა და საზღაურს<sup>1</sup>. ივ. ჯავახიშვილი იზიარებს ამ განმარტებას<sup>2</sup>.

ნ. ურბნელის მოსაზრებით, სიგელების მიხედვით, რომელშიაც სანახშირო გვხვდება, ის მძიმე სისხლის სამართლის საქმეებში იყო გათვალისწინებული<sup>3</sup>.

ნ. ურბნელის აზრით, სანახშირო სათავედებო მიცემა იყო და შედიოდა სისხლის საზღაურის საერთო გადასახადში, ამის მიხედვით, სანახშირო გამოაკლდებოდა საერთო თანხას<sup>4</sup>. ი. კარსტი არ ეთანხმება ნ. ურბნელს უკანასკნელ საკითხში და აღნიშნავს, რომ ბექა-ალბულას სამართლის წიგნის 162-ე მუხლის მიხედვით სანახშირო ცალკე გადასახადია და არ შედის სისხლის დაურევების საერთო გამოანგარიშებაში<sup>5</sup>.

ალ. ვაჩიშვილი ამ შემთხვევაში კარსტს ეთანხმება<sup>6</sup>.

ი. დოლიძის აზრითაც, ბექა-ალბულას სამართლის წიგნის 162 მუხლით სანახშირო „როგორც ქონებრივი სასჯელი არ შედიოდა სისხლის ოდენობაში“<sup>7</sup>, მაგრამ მკვლევარი ლექსიკონში სანახშიროს ასეთ განმარტებას აძლევს: „სანახშირო 162 განსაკუთრებული საზღაური; სისხლის დაურევების საწინდარი“<sup>8</sup>. საინტერესოა, რომ ავტორი 162-ე მუხლზე მითითებით აკეთებს ასეთ განმარტებას. ამის მიხედვით, სანახშიროს ორი გაგებაა: ერთი გაგებით ის „განსაკუთრებული საზღაურია“, მეორე გაგებით — „დაურევების საწინდარი“. ეს ორი განმარტება ერთმანეთისაგან წერტილ-მძიმითაა გამოყოფილი, რაც წინადადებათა დამოუკიდებელ შინაარსზე

---

<sup>1</sup> Н. М а р р. Происхождение из охотничьего быта двух груз. терминов уголовного права, Зап. Вост. отд. русск. археологического общества, XVII, вып. IV, 1908, с. 168—171.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, 1929, გვ. 301—302.

<sup>3</sup> ნ. ურბნელი. თაბაჯნი ბექა და ალბულა და მათი სამართალი, გვ. 261.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 259—261.

<sup>5</sup> Karst. Code d' Aghsbougha, Temo II, Livre 2, 1933, გვ. 29.

<sup>6</sup> ალ. ვაჩიშვილი. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, 1946, გვ. 53.

<sup>7</sup> ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, 1953, გვ. 223.

<sup>8</sup> იქვე, იხ. ლექსიკონი.

მიუთითებს. ამასთანავე, თუ მეორე გაგებით, „სანახშირო“ საწინ-  
დარი, მაშინ, როგორც საწინდარს შეედრება, ის ანგარიშსწორე-  
ბის დროს საერთო თანხიდან უნდა გამოვირიცხოთ, ე. ი. თუ ის  
საწინდარია, უნდა შედიოდეს დაურეების საერთო გამოანგარიშე-  
ბაში.

ნ. ურბნელისა და ი. დოლიძის ასეთი მოსაზრება, ალბათ, ეყრ-  
დნობა სულხან-საბა ორბელიანს: „სანახშირე ესე არს მესისხლენი  
დაზავდნენ, პირველად სანდო რამე მისცენ სისხლის გარდაჯამდე“.  
სულხანის ლექსიკონზე დაყრდნობით, დ. ჩუბინაშვილს „სანახში-  
რო“ ასე აქვს განმარტებული: მესისხლეთა დაზავების „პირველადი  
საწინდარი“, რუსულად «предварительный задаток до уплаты  
за кровь». განმარტებანი, მართლაც რომ ანგარიშგააწევიან.  
სულხანი კარგად იცნობდა მისი ეპოქის სამართლის ინსტი-  
ტუტებს. იქნებ აღმოჩნდეს კიდევ საინისო მასალა, რომელსაც ეყრ-  
დნობოდა იგი თავის განმარტებაში. რაც შეეხება ძველს, ისე რო-  
გორც ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის 162-ე მუხლს, გადაჭრით  
შეიძლება ითქვას, რომ სანახშირო ცალკე გადასახადია, რომელიც  
სისხლის ფასში არ შედის.

მე-19 მუხლიც, როგორც აღვნიშნეთ, აგრეთვე სამი ხასის გა-  
დასახადს ეხება: ვინც ბიჭვინთის „გარანს და სოფლებში“ მსაბ-  
ლობელნი „გლეზნი, მსახურნი და მოინადე... მოკლას“ იმას გადა-  
ხდეს საყდრის სასარგებლოდ ექვსასი ათასი თეთრი, სისხლას ფა-  
სად, სამასი ათასი, ხოლო სანახშირედ თხუთმეტჯი ათასი<sup>1</sup>.

სვანეთში „სისხლს“ ისეთივე შინაარსი ჰქონდა, როგორც სა-  
ქართველოს სხვა ნაწილებში. ამასთანავე, სვანეთში ვსვდებით  
„გერმსა“ და „სანახშიროს“. ამ ტერმინებით სვანეთში, როგორც  
ჩანს, ჭრილობის საზღაური აღინიშნებოდა<sup>2</sup>.

მე-18 მუხლი მეექვსის მსგავსია. ორივე ეხება საყდრიდან ზა-  
რის მისაწვდომ ადგილზე დანაშაულის ჩადენას. თუ ბიჭვინთის  
გარშემო სოფლებში, სადაც ზარის ხმა წვდება, დამნაშავემ სოფე-  
ლი და გლეხები გაძარცვა, დაარბია, ნახირი მოსტაცა „ექუსასი  
ათასი ძველი კირმანაული თეთრი საყდარსა“ უნდა მისცეს და

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები. 11, 1965, გვ. 181.

<sup>2</sup> მ. კეკელიძე. ზემო სვანეთის ანტიკადობრივი წყობილებიანა და სა-  
მართლის საკითხები აღიშნისა და სესტიის რ. თხაიჯის მინაწერთა მოყვებით (აბი-  
ლისის უნივერსიტეტის შრომები, I (138), კუმანიტარული მეცნიერებანი, 1971,  
გვ. 180—182).

სამი ათასი დაზარალებულს<sup>1</sup>; მე-ნ მუხლში კი აღნიშნულია საყდრის ზღუდის გარეთ, მაგრამ საყდრის მახლობლად დარბევაცაჩალობა. ალბათ, მე-ნ მუხლში გათვალისწინებულია ბიჭვინთისადმი უშუალოდ კუთვნილი ქონება, მე-18 მუხლში კი იმ სოფლებისა და გლეხების ქონებაა ნაგულისხმევი, რომლებიც გადასახლდნენ საყდარს უხდიან.

იადგარის მე-20 მუხლის მიხედვით, ბიჭვინთის სოფლებისა და გლეხების დარბევისათვის დამნაშავეს საყდრის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა ორასი ათასი თეთრი და ორ-ორი ათასი თითოეული დარბეული გლეხისათვის; ამასთანავე, გლეხებს უნდა დაბრუნებოდათ მიტაცებული ქონება<sup>2</sup>. როგორც ჩანს, ეს ეხება იმ სოფლებს, რომლებიც არ არიან მონასტერთან ახლოს და ზარის ხმა ვერ აღწევს.

მე-20 მუხლში წერია: „რასაცა მიზეჯისათუხ მიხდომოდენ ის გაუცუდდეს“; ასეთივე წინადადებაა 25-ე მუხლში: ვინც ვენახი დაუკაფოს საყდარს ან მის ყმას, ოცდაათი ათასი თეთრი საყდარს გადაუხადოს და ათასი იმას, ვისიც ვენახი იყო, ხოლო „რისთვის ეყო, ისი გაუცუდდეს“<sup>3</sup>. ორივე მუხლი შეიძლება ასე გავიგოთ: დამნაშავე დანაშაულს ჩადიოდა სამაგიეროს გადახდის მიზნით, რადგან უკმაყოფილო იყო დაზარალებულის მოქმედებით; თუ ეს გაგება მართებულია, მაშინ ამ მუხლების შინაარსი მთლიანად მდგომარეობს, რომ აიკრძალოს თვითგასწორება, თვითნებობა, ეს არის საჯარო ხელისუფლების მისწრაფება, დაამყაროს მშვიდობა, წესრიგი და აიძულოს ყველა, კანონსა და საჯარო ხელისუფლებას დამორჩილოს.

მე-20 მუხლის უკანასკნელი წინადადებაა: „... და თუ მომხდომი მოკლან, სისხლი და სანახშირე გაუცუდდეს“<sup>4</sup>. ამ წინადადების არსიცი ისაა, რომ აკრძალოს თვითგასწორება. გარდა ამისა, აქ საქმე გვაქვს დაუმთავრებელ დანაშაულთან, დანაშაულის ცდასთან („მიხდომა“): ბრალდებულმა გაძარცვის მიზნით მოახდინა თავდასხმა, „მიხდომა“, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა (უშედეგობის მიზეჯი ძეგლში არ არის დასახელებული). თუ გაძარცვის მცდელი მოკლეს, ძეგლის მიხედვით, მართალია, მას დანაშაული არ დაუმთავრებია, გაძარცვის ფაქტი არ მომხდარა, მაგრამ რადგა-

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1970, გვ. 181.

2 იქვე, გვ. 181—182.

3 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 182.

4 იქვე.

ნაც ცდას ადგილი ჰქონდა, ამიტომ მოკლულს არ ეკუთვნის არც სისხლის ფასი და არც სანახშირე.

21-ე მუხლი ეხება საყდრის „ჯოგისა და ნახირის“ გატაცებას<sup>1</sup>, ხოლო მომდევნო მუხლი საყდრის ეკლესიის გაძარცვას<sup>2</sup>. ზემოთ მე-3 მუხლი ბიჭვინთის საყდრის გაძარცვას ეხებოდა, ხოლო 22-ე მუხლი ალბათ ბიჭვინთის სამწყსოში არსებული ეკლესიების გაძარცვას.

23-ე მუხლით გათვალისწინებულია ბიჭვინთის საყდრის ყმის ცოლის მოტაცება. თუ დაზარალებული მღვდელი იყო, მაშინ მას ორი სისხლის ფასი უნდა გადაუხადონ, ხოლო „თუ ერისკაცი“ — ერთი „სისხლი სრული“<sup>3</sup>.

24-ე მუხლში წერია: „ვინცა ქალი დაუგდოს, სრული სისხლი დაეურვოს“<sup>4</sup>. ეს მუხლი ბუნდოვანია: ქალის დაგდება შეიძლება ნიშნავდეს: 1) დანიშნული ქალის, მაგრამ გვირგვინუკურთხებლის დაგდებას, 2) ცოლის ბრალის გარეშე, ქმრის მიერ ცოლის გაგდებას. სისხლის ფასი ფასდებოდა ცოლის მამის სისხლის ფასის მიხედვით.

26-ე მუხლით „ვინცა ბიჭვინთის საყდრის ყმის მეჯინიბე, ანუ მეხადილე, ანუ მწყემსი სცეს, ანუ გაძარცუოს“, დამნაშავემ საყდარს ათი ათასი თეთრი მისცეს, ხოლო დაზარალებულის ბატონს ათასი თეთრი<sup>5</sup>.

„ხადილი“ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს: 1) უღალტესთა მოწოდებას<sup>6</sup>. 2. „ხადილი“ იმერულად „სამასპინძლო“.

დავით ჩუბინაშვილის განმარტებით, „ხადილი — წვეულობა, სტუმრობა: зов, званый вечер, обед ... მოუწოდებ უღალტესთა; მოვიწვევ; звать, приглашать“<sup>7</sup>.

ამ მუხლში სამი მოხელეა დასახელებული: მეჯინიბე, მეხადილე და მწყემსი. მეჯინიბე და მწყემსი გლეხები, ე. ი. ყმები იქნებოდნენ, ასევე უნდა ყოფილიყო მეხადილეც, რამდენადაც სამივეს ერთნაირი უფლებრივი მდგომარეობა აქვთ, რაც იქედან ჩანს,

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 182.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე.

6 სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა, 1949.

7 დ. ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1887.

რომ ერთი რაოდენობის სისხლის ფასს უხდიან სამივეს პატრონს („ათასი ვისიცა იყოს მას“). ამის მიხედვით, მეხადილევც დაბალი რანგის მოხელეა, შესაძლებელია მისი ფუნქცია სუფრის სამსახურთან იყო დაკავშირებული.

ძეგლის 27-ე მუხლი ასე იკითხება: „და თუ ვინმე მეკობრობით შორის. რამე შობიაროს ოცი ათასი თეთრი საყდარს დაეურვოს“<sup>1</sup>. სავარაუდოა, რომ „შორის“ ნიშნავს შორს, მანძილით შორს. ძეგლის მე-6 და მე-18 მუხლები ეხება გაძარცვას ისეთ მანძილზე, სადაც ზარის ხმა არ ისმის. ამ შემთხვევაში კი საქმე გვაქვს მოპარვასთან, ე. ი. ქურდობასთან, რომელიც ჩადენილია „შორს“. ქართული სამართალი (ვახტანგის სამართლის წიგნი, „დასტურლამალი“ და სხვ.) განასხვავებდა ქურდობის ჩადენას ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ, ლაშქრობის დროს და სხვ. ამგვარად, ქართული სამართალი სასჯელის მიყენების დროს მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, თუ სად იყო ჩადენილი დანაშაული<sup>2</sup>. ამ შემთხვევაშიც ბიჭვინთის იადგარს მხედველობაში აქვს ქურდობა ბიჭვინთიდან შორს მანძილზე.

თევზაობა კათალიკოსის უნებართვოდ „ბიჭვინთის წყალში... მოსადებლითა“ აკრძალული იყო. ამ წესის დამრღვევი იხდიდა ოცი ათას თეთრს საყდრის სასარგებლოდ<sup>3</sup> „მოსადებელი“ დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონით ბადეს ნიშნავს.

ძეგლის 29-ე მუხლში წერია: „ვინც საყდრის ყმა დაკოდოს უდალოს ადგილსა, სამი გე(რ)ში დაეურვოს, თუ დალი დაასუას მეთორმეტე სისხლისა დაეურვოს“<sup>4</sup>. საყდრის ყმის დაჭრა („დაკოდვა“) იწვევს სამი ჭრილობის ანაზღაურებას, თუ ჭრილობა მიყენებულია უდალოდ. დალის დასმა კი, დამნაშავეს ავალებს მეთორმეტედი სისხლის დაურვებას (29-ე)<sup>5</sup>.

ბიჭვინთის საყდარი, წერია ძეგლში, ყველა ტაძარზე „უწარჩინებულესია“, ამიტომ მისთვის „უშეტესი იადგარი“ დავდევით და მეფე უბრძანებს ყველას, არ მოშალოს ეს იადგარი. და მოუწო-

1 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 182.

2 იოანე ბაკრატიონი. სჯულდება, ივ. სურგულაძის რედ., 1957, გვ. 029—032; ივ. სურგულაძე. ნარკვევები სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 51—54.

3 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 182.

4 იქვე.

5 იქვე.

დებს ხელი არ შეუშალონ იადგარში გათვალისწინებული წესების შესრულებას<sup>1</sup>.

ძველის სათაურია: ბიჭვინთის იადგარი. „იადგარი“ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონით ნიშნავს სახსენებელს, ხოლო დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონის მიხედვით — მოსახსენებელ სიგელს. ამ შემთხვევაში ძველი წარმოდგენს ბიჭვინთის საყდრისადმი ბოძებულ სიგელს სხვადასხვა პრივილეგიის შესახებ.

ბიჭვინთის იადგარი შინაარსის მხრივ მრავალ შენიშვნას იწვევს. ეს შენიშვნები შეეხება ერთგვარ წინააღმდეგობებს, როსღესაც ადგილი აქვს ძველში. ეს წინააღმდეგობანი განსაკუთრებით შესანიშნავია შემდეგ შემთხვევებში:

1) ბიჭვინთის საყდრის გაძარცვას ეხება მე-2 და მე-3 მუხლები; ამასთანავე მოცემულია გამოძიების წესი და მტკიცების საშუალება (ფიცო); გაძარცვა დაკავშირებულია საყდრის შიგნიდან რაიმეს გატაცებასთან. 22-ე მუხლში აღნიშნულია აგრეთვე ეკლესიის გატეხვა; როგორც აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში გკლესია ბიჭვინთის საყდრის მფლობელობაში შედის და მას ბიჭვინთის საყდარი განაგებს. 22-ე მუხლში განსხვავებული არ არის ეკლესიის შიგნიდან და გარედან მომხდარი გაძარცვა.

2) ძველში დაურევების სისტემა ერთ პრინციპზე არ არის აგებული.

მე-5 და მე-6 მუხლებში დაურევათა თვადის სისხლის თასით არის ნაგულისხმევი, ზოგიერთ მუხლში (7, 22, 23, 24, 29) დაურევების ერთეულად უბრალოდ „სისხლია“ აღებული, ხოლო მე-8, მე-9 და მე-15 მუხლებში საზღაურის ერთეულებად — გლახებია, რიგი დანაშაულისათვის „თეთრით“ ანაზღაურებაა გათვალისწინებული (მუხ. 10, 11, 12, 13, 14, 16, 17, 19, 20, 21, 25, 26, 27, 28).

საზღაურად ზოგჯერ დასახელებულია „ძველი კირმანაული თეთრი“ (მუხ. 18).

სისხლის დაურევების გარდა, ზოგჯერ დასახელებულია „სანახ-შირე“ (16, 17, 19); ასეთი სხვადასხვაობა თუ შეუსაბამობა, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ძველის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირის მიერ არის დაწერილი და შემდეგ გაერთიანებული. შესაძლებელია, ყალბისმქმნელმა შეაგროვა ცნობები, სიგელები და შეეცადა მათთვის ერთიანი სახე მიეცა.

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, 11, 1965, გვ. 182—183.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ქართული სამართლის ისტორიის წყაროების მიმოხილვა	5
საერო შინაარსის სამართლის ძეგლები	17
ჩხიზის სიგელი (1027—1072 წწ.)	17
ღაკით აღმაშენებლის ანდერძი შიო მღვიმის მონასტრისადმი (1123 წ.)	18
გეორგი III-ის 1170 წლის სიგელი	20
ჭრიგოლ ერისთავთერისთავის დაწერილი შიო მღვიმის მონასტრისადმი (1246—1248 წწ.)	22
შეწირულების დაწერილი მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი (1259 წ.)	45 <sup>c</sup>
ხელმწიფის კარის გარიგება	49
წესი და განგება მეფეთ კურთხევისა (XIV ს.)	57 <sup>b</sup>
ძველი ერისთავთა (1348—1400 წწ.)	69 <sup>a</sup>
გიორგი V-ის ძეგლის დადება	73 <sup>b</sup>
აღბულას სამართლის წიგნი	77 <sup>b</sup>
ქსნის ერისთავის 1470 წლის სიგელი ლარგვისის მონასტრისადმი ბოძებული	90
სვიმონ მეფის 1590 წლის განწესება მეკობართმძებნელის შესახებ (1590)	91
სამართლის განაჩენი დიდი მოურავისა დო ჯავახიშვილის საქმის გამო (1620 წ.)	91
სამართლის განაჩენი მანუჩარ და პაპუნა ციციშვილების საქმეზე (1640 წ.)	94
გიორგი XI-ის წყალობის წიგნი ბეკთაბეგ შანშიან მარტიროზის შვილისადმი (1685 წ.)	100
ჩახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული	104
ქელაშით შინაარსის სამართლის ძეგლები	131
შცქრე სჯულის კანონი	131
პეტრიწონის ქარდგელთა მონასტრის ტიპიკონი (1083 წ.)	134
დიდი სჯულის კანონი (XI—XII ს-ის მიჯნა)	145
ჩუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ძეგლისწერა ეპანის ქებათა განგება (1204—1—34)	150
სამთავისის სამწყსოს საკანონოს წიგნი (1453 წ.)	166
მცნებაჲ სასჯულოჲ (1470—1474)	174
ქათალიკოსთა სამართალი (1543—1549 წ.წ.)	186
ბიჭვინთის იაღგარი (XVI ს-ის მეორე ნახევარი)	194